



მდგრადი განვითარების მიზნები

დამხმარე საკითხავი მასალა
მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის



REPUBLIC OF ESTONIA
MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS



Jaan Tõnissoni Instituut

მდგრადი განვითარების მიზნები

ავტორი: მანანა რატიანი

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: მაკა ბიბილეიშვილი

დამხმარე საკითხავი მასალა მომზადებულია პროექტის „სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა მდგრადი განვითარებისთვის“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მიერ ესტონურ ორგანიზაცია „Jaan Tõnnissoni Instituut“-თან თანამშრომლობით და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „განვითარების სფეროში თანამშრომლობის პროგრამის“ ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და ის არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც დონორის პოზიცია და მოსაზრება.

სარჩევი

მიზანი N1: სიღარიბის ყველა დონის აღმოფხვრა.....	4
მიზანი N2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოება.....	15
მიზანი N3: ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.....	28
მიზანი N4: ინკლუზიური, თანასწორი განათლების უზრუნველყოფა....	42
მიზანი N5: გენდერული თანასწორობის მიღწევა.....	55
მიზანი N6: წყლის რესურსების მდგრადი მართვა.....	69
მიზანი N7: მდგრადი ენერჯის ხელმისაწვდომობა.....	83
მიზანი N8: მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.....	97
მიზანი N9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა.....	110
მიზანი N10: უთანასწორობის შემცირება.....	122
მიზანი N11: ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება.....	136
მიზანი N12: მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველყოფა....	151
მიზანი N13: კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ზომების გატარება.....	167
მიზანი N14: ოკეანეებისა, ზღვის რესურსების მდგრადი გამოყენება.....	182
მიზანი N15: ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა.....	196
მიზანი N16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.....	211
მიზანი N17: გლობალური პარტნიორობის გაძლიერება მდგრადი განვითარებისთვის.....	226

მდგრადი განვითარების მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.....	4
რაში მდგომარეობს მიზნის არსი?.....	4
ქვემიზნები მიზნისთვის „სიღარიბის აღმოფხვრა“:	5
ფაქტები და მონაცემები:	6
ტერმინები - სიღარიბის სახესხვაობები	6
სიღარიბის მიზეზები.....	7
რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?.....	8
რატომ არის ამდენი სიღარიბე მსოფლიოში?.....	9
რატომ უნდა ვიდარდო სხვა ადამიანების ეკონომიკურ მდგომარეობაზე?	9
რატომ არის სოციალური დაცვა ასე მნიშვნელოვანი?	9
სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში	10
რა შეიძლება გაკეთდეს სიღარიბის დასაძლევად.....	11
მე რისი გაკეთება შემიძლია?.....	11
გამოყენებული ლიტერატურა:.....	12
ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია).....	13

რაში მდგომარეობს მიზნის არსი?

2030 წლისთვის ყველგან დასრულდეს სიღარიბე ყველა ფორმით.

სიღარიბე წარმოადგენს მდგომარეობას, როდესაც პიროვნება განიცდის ფინანსური რესურსების ნაკლებობას იქონიოს სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობები. სიღარიბე შესაძლოა, ასევე მოიცავდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგენელებსაც. არსებობს მისი რამდენიმე განსაზღვრება: გაეროს იგი აღწერილი აქვს, როგორც ქმედითუუნარობა არჩევანისა და შესაძლებლობების მიერ პროცესში, რაც აისახება საზოგადოების ნაკლებ ჩართულობაში სოციალურში. უფრო ფართო მასშტაბით, სიღარიბე მოიცავს საკვებისა და ტანსაცმლის არქონას, განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურების მიღების შესაძლებლობაზე შეზღუდულობას, მეურნეობისთვის განკუთვნილი მიწის

სიმცირეს, ან სამსახურში დაბალი ხელფასის გამომჟღავნებას. სიღარიბისთვის დამახასიათებელია დაუცველობა, უძულურება, საზოგადოების დიფერენციაცია და სხვა.

სიღარიბე მსოფლიო პრობლემაა და მისი მასშტაბები გამუდმებით იზრდება. დღეს ეს პრობლემა მილიონობით ადამიანს ეხება. ყველა ქვეყანაში არსებობს მინიმალური სტანდარტი, რომლის ქვემოთაც ხალხი „ღარიბთა“ კატეგორიაში ხვდება. როდესაც ადამიანის ან ოჯახის შემოსავალი გარკვეული დონის, ნორმალური ცხოვრების სტანდარტებისთვის მიჩნეული აუცილებელი მინიმუმის ქვემოთაა, ასეთი პიროვნება ან ოჯახი ღარიბად მიიჩნევა.

ქვემოწინები მიზსწისთვის „სიღარიბის აღმოფხრა“:

1. 2030 წლისთვის მთელს მსოფლიოში აღმოიფხვრას უკიდურესი სიღარიბე, რომელიც განისაზღვრება როგორც ადამიანთა ცხოვება დღეში 1.25 დოლარზე ნაკლები რესურსით.
2. 2030 წლისთვის სულ მცირე განახევრდეს სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის კაცის, ქალის და ბავშვის რაოდენობა.
3. შეიქმნას შესაბამისი ნაციონალური სოციალური დაცვის სისტემა ყველასთვის, მათ შორის მინიმალური სოციალური უფლებები, და 2030 წლამდე ფაქტიურად სრულად მოიცვას სიღარიბეში მყოფი და მოწყვლადი ჯგუფები
4. 2030 წლამდე უზრუნველყოს ყველა ქალისა და მამაკაცის (განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფი და მოწყვლადი ჯგუფები) თანაბარი უფლება ჰქონდეთ წვდომა ეკონომიკურ რესურსებზე, ისევე როგორც ელემენტარულ სერვისებზე, მიწისა და სხვა უძრავი ქონების საკუთრებასა და მართვაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, შესაბამის ახალ ტექნოლოგიებზე და ფინანსურ რესურსებზე, მათ შორის მიკროფინანსებზე.
5. 2030 წლისთვის გააძლიერდეს სიღარიბეში მცხოვრებთა და მოწყვლადი ჯგუფების მედეგობა და შემცირდეს მათი დაუცველობა კლიმატისგან გამომწვეული კატასტროფებისგან და სხვა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი შოკებისა და უბედური შემთხვევებისგან.
 - 1A. მოხდეს სხვადასხვა წყაროებიდან რესურსების მობილიზება რათა განვითარებად ქვეყნებს ჰქონდეთ ადეკვატური და პროგნოზირებადი რესურსების წყაროები, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს საშუალება ჰქონდეთ განახორციელონ პროგრამები და პოლიტიკა რათა აღმოფხვრან ყველა ფორმის სიღარიბე.
 - 1B. შეიქმნას პოლიტიკის ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო ჩარჩო სიღარიბეში მცხოვრებ მოსახლეობასა და გენდერულად სენსიტიურ განვითარების სტრატეგიის გათვალისწინებით, რათა მოხდეს ინვესტიციების დაჩქარება სიღარიბის აღმოფხვრის ქმედებებში.

ფაქტები და მონაცემები:

- 2015 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 10 პროცენტი ან 734 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა დღეში 1.90 დოლარზე ნაკლები შემოსავლით.
- მოსალოდნელია, რომ სამხრეთ აზიასა და სუბ-საჰარის აფრიკაში ყველაზე მეტად გაიზრდება უკიდურესი სიღარიბე, ეს მატება 32 მილიონ ადამიანს შეადგენს.
- უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მსოფლიოს მშრომელთა წილი გასული ათწლეულის განმავლობაში განახევრდა: 2010 წლის 14.3%-დან 2019 წელს 7.1%-მდე.
- ჯერ კიდევ COVID-19- მდე, საბაზისო პროგნოზების მიხედვით ნავარაუდები იყო, რომ 2030 წელს გლობალური მოსახლეობის 6% კვლავ უკიდურეს სიღარიბეში იქნებოდა. პანდემიის შედეგად 70 მილიონზე მეტი ადამიანი დაემატება უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებთა რაოდენობას.
- ხუთი ბავშვიდან ერთი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში. ადრეულ ასაკში სიღარიბის შედეგები უარყოფით გავლენას იქონიებს მათ ცხოვრებაზე.
- 2016 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 55% - დაახლოებით 4 მილიარდი ადამიანი - არ სარგებლობდა სოციალური დაცვის რაიმე ფორმით

<https://worldpoverty.io/map> აღნიშნულ რუკაზე მოცემულია ქვეყნების მონაცემები სიღარიბეზე, რამდენია მოსახლეობა, მათგან რამდენია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, რასაც ქვეყნის კონტურზე კურსორის მიტანით ადგენთ. ქვეყნის ფერი ნაცრისფერი ნიშნავს, რომ მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მწვანე, რომ სიღარიბე გეგმის მიხედვით მცირდება, ყვითელი, რომ მოცემულ მიზანს ასცდა, ხოლო წითელი, სიღარიბის ზრდას აღნიშნავს. ზემოთ მოცემული ფილტრების მიხედვით შეგიძლიათ მონაცემები სოფლის და ქალაქის, ქალის და მამაკაცის, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამოიტანოთ რუკაზე.

ტერმინები - სიღარიბის სახესხვაობები

- **აბსოლუტური (უკიდურესი) სიღარიბე** – წარმოადგენს მდგომარეობას, როდესაც პიროვნება განიცდის სიცოცხლისთვის ისეთი საჭიროებების ნაკლებობას, როგორებიცაა: საკვები, სასმელი წყალი, საცხოვრისი, ჯანდაცვა და სხვა. მისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ შემოსავლის, არამედ ხელმისაწვდომობის ნაკლებობაც კი. მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა, რობერტ მაქნემარმა, უკიდურესი სიღარიბე აღწერა მდგომარეობად, როდესაც ადამიანი განიცდის როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ დაუკმაყოფილებლობას.
- **შედარებითი (ფარდობითი) სიღარიბე** – წარმოადგენს სიღარიბის დონის განსაზღვრის ყველაზე მარტივ გზას. იგი აღწერს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოების განსხვავებულ ჯგუფს, რის შედეგადაც გამოიკვეთება ხალხთა ერთობლიობა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ნორმალური ცხოვრების სტანდარტულ პირობებს. შედარებით სიღარიბეს იწვევს უმუშევრობა (აშშ-ში 2014წ უმუშევრობის დონე 8% იყო, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება სიღარიბის დონეზეც) და განათლება („რაც უფრო დაბალია შენი განათლების დონე მით უფრო ნაკლები შანსი გაქვს, რომ დასაქმდე.)

- **მეორადი სიღარიბე** – უკავშირდება იმ საზოგადოების ჯგუფს, რომელსაც აქვს საკმარისი შემოსავალი, რომ დაიკმაყოფილოს პირველადი მოთხოვნილებები, მაგრამ იგი ამ სახსრებს მთლიანად ხარჯავს ალკოჰოლზე, ნარკოტიკზე და სხვა. მე-18-19სს დიდ ბრიტანეთში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც გამოვიდა აზარტული თამაშების წინააღმდეგ, რაც მეორადი სიღარიბის ერთ-ერთ სახესხაობას წარმოადგენს.
- **ციკლური სიღარიბე** – დაკავშირებულია იმ სახის სიღარიბესთან, რომელმაც შესაძლოა, მოიცვას გარკვეული მასშტაბები, მაგრამ იგი აუცილებლად დროშია შეზღუდული. ინდუსტრიამდელ ხანაში საზოგადოებას არ შეეძლო, ეწარმოებინა საკმარისი რაოდენობის პროდუქტი, რომელიც, ერთის მხრივ, შიმშილს, ხოლო მეორე მხრივ, უმუშევრობას იწვევდა. მცირე რაოდენობის საქონლის პირობებში ფასებიც საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა მაშინ, როდესაც ხელით მუშაობა ჩანაცვლდა მანქანის გამოყენებით და ხალხმა მიიღო საკმარისი რაოდენობის პროდუქტი. ციკლური სიღარიბის მაგალითს წარმოადგენს „დიდი დეპრესია“ რომელიც მძვინვარებდა აშშ-ში 1930-იან წლებში.
- **ერთობლივი(კოლექტიური) სიღარიბე**- ციკლური სიღარიბისგან განსხვავებით არაა დროში შეზღუდული. პირიქით, იგი ძირითად შემთხვევაში თაობიდან თაობასაც კი გადაეცემა. იგი დამახასიათებელია აზიისა და სამხრეთ ამერიკის, აგრეთვე აფრიკის ქვეყნებისთვის. ერთობლივი სიღარიბის შემცირება შესაძლებელია ინდუსტრიის ხელშეწყობით, რაც გაზრდის მშპ-ს ან პირიქით, მოსახლეობის რაოდენობის ზრდაზე გარკვეული ლიმიტების დაწესებით., მაგრამ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელი ის ფაქტი, რომ კეთილდღეობის დონის ზრდისთვის მშპ-ს ზრდის ტემპი აუცილებლად უნდა უსწრებდეს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპს.

სიღარიბის მიზეზები

სხვადასხვა ქვეყანას გააჩნია შიდა და გარე ელემენტები, ფაქტორები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ სიღარიბის არსებობაში:

- სასმელის წყლისა და საკვების ნაკლებობა;
- ცუდი საცხოვრებელი პირობები;
- ფიზიკური ქნედიტუუნარობა;
- ჯანდაცვის და განათლების გაუმართავი სისტემა;
- უმუშევრობა;
- სქესობრივი, რასობრივი და სხვა დისკრიმინაცია;
- კორუფცია;

არსებობს არამატერიალი ელემენტებიც, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სიღარიბესთან: განათლების დაბალი დონე, არაგულმოდგინეობა, თავდაუჯერებლობა, ლიდერის თვისებების ნაკლებობა, სოციალური კაპიტალის არარსებობა, ომი და სხვა

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

2015 წელს, 700 მილიონზე მეტი ადამიანი, ან მსოფლიოს მოსახლეობის 10% ცხოვრობდა უკიდურეს სიღარიბეში, იბრძოდა ყველაზე ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, როგორცაა ჯანმრთელობა, განათლება, წყალზე და სანიტარიულ პირობებზე წვდომა. თუმცა, COVID-19 პანდემიამ შეანელა სიღარიბის შემცირების ტენდენცია, დამატებით ათობით მილიონი ადამიანი დაემატა უკიდურეს სიღარიბის ქვეშ მცხოვრებთა რიცხვს. უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებელ ითვლებიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ 1,90 დოლარზე ნაკლებზე დღეში, ასეთია სუბ-საჰარის მოსახლეობის უმეტესობა. მსოფლიოს მასშტაბით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სიღარიბის დონე 17.2 %-ია, რაც სამჯერ მაღალია ვიდრე ეს ქალაქის მაცხოვრებლებშია.

ჯერ კიდევ პანდემიამდე ვარაუდობდნენ, რომ 2030 წელს გლობალური მოსახლეობის 6% კვლავ უკიდურეს სიღარიბეში იქნებოდა, თუმცა დამანგრეველი სოციალური და ეკონომიკური კრიზისი მეტს გააღარიბებს. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ ღარიბი მოსახლეობის შემოსავალი ძირითადად არაფორმალური სამიანობიდან მიღებულ შემოსავალზეა დამოკიდებული. ეს შემოსავალი არის აღრიცხული სახელმწიფოს ბაზებში, ნაკლებად დაცულია კრიზისებისგან. თუკი დაზარალებული ფორმალური სექტორის წარმომადგენლებს აქვთ გარკვეული უფლებები, შეუძლიათ მოითხოვონ დამსაქმებლისგან დახმარება, ან სახელმწიფოსგან და პროფკავშირისგან თანადგომა, ამის გაკეთება არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებს არ აქვთ, მათ უფლებებს არავინ იცავს. მსგავსი სამუშაოები პანდემიის დროს გაქრა, ან შემცირდა, შეიზღუდა ადამიანის გადაადგილების უფლება. ასევე დაზარალდა ეკონომიკის ისეთი სექტორები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ადამიანების შემოსავალს განაპირობებდნენ. ყველაზე მეტად ტურიზმმა განიცადა დარტყმა. ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურების სფეროებში დასაქმებულები უმუშევრობისთვის და შესაბამისად სიღარიბისთვის განწირულები აღმოჩნდნენ. განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი სამუშაოს შემსრულებლები, რადგან მათ არ ჰქონდათ საკმარისი დანაზოგები.

სამსახურის ქონა არ უზრუნველყოფს ღირსეულ ცხოვრების პირობებს. ფაქტია, რომ 2018 წელს დასაქმებულთა 8% და მათი ოჯახები ცხოვრობდნენ ექსტრემალურ სიღარიბეში. სიღარიბე უმძიმეს გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე. ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრობს ექსტრემალურ სიღარიბეში. ბავშვებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა კრიტიკულად მნიშვნელოვანია სიღარიბის შესამცირებლად.

სიღარიბეს მრავალი საზომი აქვს, მაგრამ ძირითადად მისი გამომწვევი არის უმუშევრობა, სოციალური დისტანცირება, ასევე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მაღალი დაუცველობა სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფებისგან, დაავადებებისგან და სხვა მიზეზებისგან, რაც მათ ხელს უშლით იყვნენ პროდუქტიულები. ბუნებრივი კატასტროფების წინაშე ყველაზე დაუცველი ღარიბები არიან, რადგან მათ არ აქვთ მკვიდრად ნაშენი უძრავი ქონება, სახლი, კარმიდამო რომელიც მიწისძვრას, წყალმოვარდნას თუ წყალდიდობას გაუძლებს,

შესაბამისად, მათ შეიძლება ის თავშესაფარიც დაკარგონ. გვალვა შესაძლოა საცხოვრებელს არ უნადგურებს, თუმცა მოსავალს, რომელზეც სრულად არიან დამოკიდებულები ღარიბები, ანადგურებს. მათ არ აქვთ საკმარისი ფინანსები, რომ გააკეთონ სარწყავი სისტემები და დაიცვან ნიადაგი დეგრადაციისგან და მოსავალი გაჩანაგებისგან.

ამგვარი რყევები ზრდის უთანასწორობას. უთანასწორობა და სიღარიბე პოლიტიკურ და სოციალურ დამაბულობას იწვევს, და ზოგიერთ შემთხვევაში არასტაბილურობასა და კონფლიქტს წარმოშობს.

რატომ არის ამდენი სიღარიბე მსოფლიოში?

სიღარიბეს მრავალი განზომილება აქვს, მაგრამ მისი მთავარი გამომწვევი მიზეზებია უმუშევრობა, სოციალური გარიყულობა და გარკვეული მოსახლეობის ჯგუფების მაღალი დაუცველობა ბუნებრივი კატასტროფების, დაავადებებისა და სხვა კრიზისების მიმართ, რაც ხელს უშლის ამ ადამიანების პროდუქტიულობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბ რეგიონებში და ღარიბ მოსახლეობაში უფრო მაღალია ბუნებრივი მატება. ეხება ტროიკული აფრიკის, სამხრეთი აზიის ქვეყნებს, სადაც სიღარიბეს ამძაფრებს ოჯახის დაუგეგმავი ზრდა. ამ ბავშვებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურება, რაც მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. ასევე ამ ბავშვებს ეზღუდებათ განათლების მიღების უფლება, რაც მომავალში არ აძლევს მაღალშემოსავლიან სამუშაოზე დასაქმების საშუალებას. იქმნება მოჯადოვებული წრე, რომლის გარღვევაც ღარიბი ოჯახის შვილებს უჭირთ.

რატომ უნდა ვიდარდო სხვა ადამიანების ეკონომიკურ მდგომარეობაზე?

ბევრი მიზეზი არსებობს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ადამიანების კეთილდღეობა დიდწილად ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მზარდი უთანასწორობა საზიანოა ეკონომიკური ზრდისთვის და ძირს უთხრის სოციალურ ერთობას, ზრდის პოლიტიკურ და სოციალურ დამაბულობას და, ზოგიერთ ვითარებაში, იწვევს არასტაბილურობას და კონფლიქტებს. სახელმწიფოსთვის დამაზიანებელია ღარიბების მაღალი მოცულობა მოსახლეობაში, ეს ადამიანები შრომის ბაზარზე პროდუქტიულები არ არიან, ვერ ქმნიან დოვლათს და არ იხდიან გადასახადებს. მათ ესაჭიროებათ სოციალური დაცვა, რაც ერთგვარი ფინანსური ტვირთი არის. მოსახლეობის საშუალო და მდიდარი ფენისთვის ეს უთანასწორობა ქმნის კრიმინალის გაზრდის რისკს, რაც ადამიანის კეთილდღეობასაც უქმნის საფრთხეს. ამიტომ თითოეული ადამიანი და სახელმწიფო ინსტიტუტები მოწოდებულები უნდა იყვნენ, რომ დაძლიონ უკიდურესი სიღარიბე.

რატომ არის სოციალური დაცვა ასე მნიშვნელოვანი?

სოციალური დახმარება ეს არის ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც მიმართულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;

ხშირ შემთხვევაში ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური დახმარება ერთადერთი საარსებო საშუალებაა. მათ გარეშე ოჯახები განწირულები არიან. სოციალურ დაცვაში არ იგულისხმება მხოლოდ ფინანსური დახმარებები. სოციალური დაცვა შეიძლება იყოს ჯანმრთელობის დაზღვევა, რსაც სახელმწიფო დააფინანსებს. ასევე შეიძლება სხვა სახის მიზნობრივი დახმარებების გატარება, რაც ქვეყნების სოციალურ პოლიტიკაზე, მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე არის დამოკიდებული.

COVID-19 პანდემიას ექნება როგორც მყისიერი, ისე გრძელვადიანი ეკონომიკური შედეგები მთელს მსოფლიოში. სოციალური დაცვის ძლიერი სისტემები აუცილებელია უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად და მრავალი ადამიანის სიღარიბეში ჩავარდნისგან დასახსნელად. პანდემიამდეც კი 2016 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 55 %-ს - დაახლოებით 4 მილიარდ ადამიანს - ჭირდებოდა რაიმე სახის სოციალური დაცვა. მათგან მხოლოდ 22 %-მა მიიღო უმუშევრობის შეღავათები.

სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში

ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა მიზანმიმართულად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით შექმნილია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა და დამტკიცებულია მისი ფორმირების წესი.

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის მიმართვა შეუძლია ოჯახს, რომელიც მიიჩნევს, რომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიხედვით იმყოფება სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში, საჭიროებს დახმარებას და შეიძლება გახდეს ამ დახმარების მიმღები.

დახმარების გასაცემად გამოიყენება საარსებო მინიმუმი, რომელსაც არეგულირებს ნორმატიული აქტი <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/55534?publication=0> „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“.

ფართოდ გავრცელებული უკიდურესი გაჭირვება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ხელს უშლის ადამიანის უფლებებით სრულად და ეფექტურად სარგებლობას, განსაკუთრებით კი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით.

აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, თანასწორობის, თავშესაფრისა და სხვა აუცილებელი პირობების არარსებობა, რაც სიღარიბის შედეგს წარმოადგენს, ასევე აბრკოლებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობას.

უმუშევრობა

უმუშევრობა და ცუდი სამუშაო პირობები დაბრკოლებას უქმნის ადამიანის კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და ღირსეულ ინტეგრაციას საზოგადოებაში. უმუშევრობა სიღარიბის

გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია. შრომის უფლება, როგორც ერთ-ერთი სოციალური და ეკონომიკური უფლება, უზრუნველყოფილია საერთაშორისო დოკუმენტებითა და საქართველოს კონსტიტუციით. შრომის უფლება გულისხმობს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, უზრუნველყოს საკუთარი არსებობა სამუშაოთი, რომელსაც ირჩევს, ან რომელზეც თანხმდება.

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომლის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

რა შეიძლება გაკეთდეს სიღარიბის დასაძლევად

უნდა შეიქმნას სოციალური დაცვის შესაძლებლობები იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები, რომ ღარიბი მოსახლეობა მუდმივად არ იყოს სახელმწიფო დახმარებებს იმედად და თავად შეძლოს ღირსეული დასაქმება. ამისთვის საჭიროა შრომის ბაზრისთვის მოთხოვნადი პროფესიებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარება, მათ პროფესიული გადამზადება.

საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკა იყოს ინკლუზიური და იყოს უთანასწორობს დაძლევაზე ორიენტირებული. თითოეული მოქალაქს აქტიურ ჩართულობას პოლიტიკის შემუშავებაში შეუძლია სიღარიბის შემცირებაზე დადებითი გავლენა იქონიოს. თქვენი ხმის გაგებას, თაობათაშორისი ცოდნის გაზიარება, სოციალური ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ტრანსფორმაციულ ცვლილებებს იწვევს. თუკი საზოგადოება არ გაჩერდება სიღარიბის თემაზე, მთავრობებს მოუწევთ ხელსაყრელი გარემოს შექმნა ღარიბებისა და მარგინალური ჯგუფების პროდუქტიული დასაქმებისთვის. ითანამშრომლებს კერძო სექტორთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილების შექმნა და ინკლუზიური ზრდა. მეცნიერების წვლილი სიღარიბის დაძლევაში მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ქმნიან ტექნოლოგიურ მიღწევებს, უფრო ხელმისაწვდომ იაფ ალტერნატივას უსაფრთხო ენერჯის მისაღებად, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებზე წვდომის ხელშესაწყობად, იაფიან ტექნოლოგიებს, პროდუქციას, სამედიცინო მომსახურებას, რათა გააუმჯობესონ საცხოვრებელ პირობები.

მე რისი გაკეთება შემიძლია?

- ✓ დააინტერესე და ჩართე სხვებიც სიღარიბესთან ბრძოლაში;
- ✓ ცნობიერების ასამაღლებლად საგანმანათლებლო ვიზიტების ფარგლებში ესტუმრეთ ადგილებს, რომლებიც მოწყვლადია და საჭიროებს ყურადღებას თუ დახმარებას;

- ✓ დაბადების დღის საჩუქრების ნაცვლად მოითხოვე თანხის ჩარიცხვა შენს მიერ შერჩეული საქელმოქმედო ორგანიზაციის ანგარიშზე;
- ✓ როცა არჩევანია, იყიდე „სამართლიანი ვაჭრობის“ (Fair trade არის პროდუქტების ყიდვისა და გაყიდვის სამართლიანი ფორმა, რომელიც გარანტიას, რომ ადამიანები რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ განვითარებად ქვეყნებში იღებენ სამართლიან თანხას. ამით ფერმერები უკეთეს ანაზღაურებას იღებენ და იუმჯობესებენ საცხოვრებელ პირობებს. თუკი პროდუქციას „სამართლიანი ვაჭრობის“ სერტიფიკატი აქვს, ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ფერმერებისთვის უსაფრთხო სამუშაო პირობებია შექმნილი, გარემოს დაცვა უზრუნველყოფილია და პროდუქცია არ შეიცავს საშიშ ქიმიკატებს, უზრუნველყოფილია მათი საცხოვრისის მდგრადობა და წვდომა აქვთ სათემო განვითარების ფონდებზე) სერტიფიკატიანი პროდუქცია;
- ✓ დაფიქრდი, როგორ დახარჯო დრო სასარგებლო საქმეზე, მოხალისეობრივად ჩაერთე საქვემოქმედო ორგანიზაციების, სასწავლო ცენტრების საქმიანობაში, რომლებიც ასწავლიან მოწყვლად ჯგუფებს; დაეხმარე ბავშვთა სახლებსა და მოხუცებულთა და მიუსაფართა თავშესაფარებს; შენი დრო ფულზე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს;
- ✓ იყიდე ტანსაცმელი იმ კომპანიებისგან, რომლებსაც აქვთ სოციალური პასუხისმგებლობა და ღარიბი ჯგუფებისთვის დონაციას ეწევიან;
- ✓ გაუნაწილე შენი ნივთები (სათამაშოები, ტანსაცმელი, საკვები, წიგნები) თანატოლს, რომელსაც ეს სჭირდება, როცა გაიზრდები იზრუნე ასეთ ბავშვზე, დაეხმარე მიიღოს ისეთი განათლება, რომ რეალიზებული იყოს;
- ✓ დაეხმარეთ მათხოვრებს, თუ ფული არ გაქვთ უწილადეთ კანფეტი, ვაშლი, სენდვიჩი, რითიც შეგიძლიათ დაეხმარეთ;
- ✓ სკოლაში დონაციისთვის რეგულარულად შეაგროვეთ ხოლმე საკვები და სანიტარული ნივთები, აარჩიეთ რომელ ორგანიზაციას დაეხმარებით ხოლმე;
- ✓ შეარჩიეთ და წაიკითხეთ წიგნი, ან ნახეთ ფილმი სიღარიბეზე და შიმშილობაზე („უფლისწული და მათხოვარი“, მარკ ტვენი, ანა ფრანკის დღიური“, ფილმი „კატვებს დედოფალი“, „ჩრდილების თამაში“ და სხვა. მოაწყვეთ განხილვა კლასში);
- ✓ დაბალკლასელებს უჩვენეთ ანიმაცია „ასანთის გამყიდველი გოგონა“, ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრის მიხედვითდა მოაწყვეთ განხილვა;
- ✓ სკოლაში მოაწყვეთ სიღარიბეზე დისკუსიები;
- ✓ მიაწოდეთ საქველმოქმედო აქციების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ მედია, რათა გაზარდოთ მოსახლეობის ცნობიერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ენციკლოპედია „ბრიტანიკა“ – „სიღარიბის სახესხვაობები და ფაქტები“. Encyclopedia Britannica – “Poverty Types and Facts” <https://www.britannica.com/topic/poverty>
<https://worldpoverty.io/map>
<https://www.un.org/sustainabledevelopment/>
<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

<http://geoeconomics.ge/?p=13270>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

- რომელ რეგიონშია ღარიბი მოსახლეობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი?
 - ლათინური ამერიკა და აღმოსავლეთ აზია
 - ოკეანეთი და დასავლეთ აფრიკა
 - სამხრეთი აზია და სუბ-საჰარის აფრიკა
 - ცენტრალური აზია და ჩრდილო აფრიკა
- ეწვიეთ სიღარიბის ამსახველ რუკას <https://worldpoverty.io/map> და ჩამოთვლილთაგან მონიშნეთ ყველა ქვეყანა, რომელშიც სიღარიბის მაჩვენებელი იზრდება
 - გვატემალა
 - ვიეტნამი
 - იემენი
 - მიანმა
 - ომანი
 - პაპუა ახალი გვინეა
 - სურინამი
 - ჩრდილო კორეა
- ეწვიეთ სიღარიბის ამსახველ რუკას <https://worldpoverty.io/map> და ქვემოთ მოცემული დებულებებიდან მონიშნეთ ყველა სწორი დებულება
 - მამაკაცებში მეტია სიღარიბის მაჩვენებელი
 - სასოფლო დასახლებებში მეტია სიღარიბის მაჩვენებელი
 - საქალაქო დასახლებებში მეტია სიღარიბის მაჩვენებელი
 - ქალაქსა და სოფელში თანაბარია სიღარიბის რაოდენობა
 - ქალებსა და მამაკაცებს შორის თანაბარია სიღარიბის რაოდენობა
 - ქალებში მეტია სიღარიბის მაჩვენებელი
- რა არის სიღარიბის არსებითი მახასიათებლები? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება
 - არჩევანის და შესაძლებლობების ძიების პროცესში ქმედითუუნარობა
 - განათლებაზე და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობას
 - დასვენების შესაძლებლობებში არჩევანის შეზღუდვა
 - საკვების და ტანსაცმლის არქონა
 - სოციალურ დაუცველობას და არასაკმარის სოციალურ დახმარებებს
 - უმუშევრობას, ან სამუშაოზე დაბალ ანაზღაურებას
 - ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

5. რა ეწოდება სიღარიბის ფორმას, რომლის დროსაც ადამიანი განიცდის შემოსავლების, საკვების, სასმელი წყლის ნაკლებობას, მისთვის მიუწვდომელია განათლების, ჯანდაცვის სერვისები?
- ა. აბსოლუტური
 - ბ. კოლექტიური
 - გ. ფარდობითი
 - დ. ციკლური
6. რომელი სიღარიბის ფორმაა დროში შეზღუდული, რომელსაც მოსდევს მდგომარეობის გაუმჯობესება?
- ა. აბსოლუტური
 - ბ. კოლექტიური
 - გ. ფარდობითი
 - დ. ციკლური
7. რა უშლის ხელს სიღარიბის დაძლევას?
- ა. განათლების დაბალი დონე
 - ბ. კორუფცია
 - გ. სქესობრივი, რასობრივი და სხვა დისკრიმინაცია
 - დ. ფიზიკური ქნედითუუნარობა
 - ე. ჯანდაცვის გაუმართავი სისტემა
 - ვ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი
8. როგორ შეცვალა COVID -19 პანდემიამ სიღარიბის დაძლევის პროცესი მსოფლიოში?
- ა. დააჩქარა სიღარიბის შემცირებისკენ მიმართული ქვეყნების რეაგირება
 - ბ. მილიონამდე ადამიანი კიდევ უფრო გაღარიბდა
 - გ. შეანელა სიღარიბის შემცირების ტენდენცია
 - დ. ჯანდაცვის კრიზისი სიღარიბეზე არ ასახულა
9. როგორ აისახება მოსახლეობის დიდი ნაწილის სიღარიბე ქვეყნის კეთილდღეობაზე და ადამიანებზე, რომლებსაც სტაბილური და მაღალი შემოსავალი აქვს? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება
- ა. აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას
 - ბ. იწვევს პოლიტიკურ და სოციალურ დაძაბულობას
 - გ. საზოგადოების კეთილდღეობა დიდწილად ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმაპირობებელია
 - დ. შეუძლია გამოიწვიოს არასტაბილურობა და კონფლიქტები
 - ე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი
10. სიღარიბის წინააღმდეგ ქმედებაში რომელი დებულებაა სწორი?
- ა. ინდივიდის ქმედება არ არის ეფექტური
 - ბ. მხოლოდ ბიზნესს შეუძლია სიღარიბის წინააღმდეგ მოქმედება
 - გ. მხოლოდ სახელმწიფოს აქვს ბერკეტები სიღარიბის წინააღმდეგ იმოქმედოს
 - დ. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩაერთოს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში

მდგრადი განვითარების მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა.....	15
რაში მდგომარეობს მიზნის არსი?.....	15
ქვემიზნები მიზნისთვის „არა შიმშილს!“:.....	16
ფაქტები და მონაცემები:	17
შიმშილობასთან დაკავშირებული ტერმინები	18
შიმშილობის მიზეზები:	19
რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?.....	21
კვების პრობლემა განვითარებულ ქვეყნებში.....	22
მე რისი გაკეთება შემძღობია?.....	23
გამოყენებული ლიტერატურა:.....	24
ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)	24

რაში მდგომარეობს მიზნის არსი?

2030 წლისთვის შიმშილი უნდა აღმოფხვრას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სასურსათო უსაფრთხოებითა და სოფლის მეურნეობაში მდგრადობის პრინციპების დანერგვით გაუმჯობესდეს ადამიანების კვების უსაფრთხოება.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში ჯამურად მოყვანილი და წარმოებული საკვების კალორიებით შესაძლებელია არსებული 7,8 მილიარდი მოსახლეობის დაკურება, მეტიც მათ საკმარისზე 1,5-ჯერ მეტი კალორიები ერგებათ. თუმცა ვხედავთ, რომ გვყავს მოსახლეობა, რომლებიც შიმშილობენ და მათი რაოდენობა, სათანადო ღონისძიებების გაუტარებლად, გაიზრდება. რატომ ხდება ასე? პრობლემა საკვების გადანაწილებაშია და ასევე მის დიდ დანაკარგებში, რომელთა წილი 30-40%-ია.

დროა გადავფასოთ თუ როგორ მოგვყავს, ვუზიარებთ და მოვიხმართ საკვებს. აღნიშნულის სწორად გაკეთების შემთხვევაში ჩვენი სოფლის მეურნეობა, ტყე და საბადურები მოგვცემდა ნოყიერ საკვებს ყველასთვის და ასევე გამოიმუშავებდა ღირსეულ შემოსავალს,

საზოგადოებაზე ორიენტირებული სოფლის განვითარებითა და გარემოს დაცვის გათვალისწინებით. ვუთხრათ არა შიმშილს!

ამჟამად ჩვენი ნიადაგი, სუფთა წყალი, ოკეანეები, ტყეები და ბიომრავალფეროვნება სწრაფად დეგრადირდება. კლიმატის ცვლილება კი უფრო მეტად ახდენს გავლენას იმ რესურსზე რომელზეც ვართ დამოკიდებული, იზრდება ისეთ კატასტროფებთან დაკავშირებული რისკები როგორცაა გვალვები და წყალდიდობები, რაც სხვა ზარალთან ერთად მოსავალს ანადგურებს. ბევრი ქალი და კაცი ვეღარ ახერხებს საკუთარი მიწით საკმარისი ფინანსური რესურსის მოძიებას, რაც აიძულებთ მათ ქალაქებისკენ მიგრაციას, სადაც ახალ შესაძლებლობებს ეძებენ. არასაკმარისი საკვების და მისი უსაფრთხოების ნორმებთან შეუსაბამობის გამო მილიონობით ბავშვი აჩერებს ზრდას ან არიან თავის ასაკთან შედარებით უფრო ტანმორჩილები.

ჩვენ გვჭირდება საფუძვლიანად შევცვალოთ გლობალური საკვებისა და სოფლის მეურნეობის სისტემა, რათა გამოვკვებოთ ის 821 მილიონი ადამიანი, რომელთაც დღეის მონაცემებით უწევთ შიმშილობა. ასევე 2050 წლისთვის უნდა დავაზღვიოთ ის 2 მილიარდი ადამიანი რომელთაც აღმოჩნდებიან შიმშილის ზღვარზე. სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები გაზრდის პროდუქტიულობა და მდგრადი საკვების სისტემის შექმნა გამოსავალია, რაც შეამცირებს შიმშილის საფრთხეს.

ქვემოწინები მიზნისთვის „არა შიმშილს!“:

- 2030 წლისათვის შიმშილის აღმოფხვრა და ყველასთვის, განსაკუთრებით ღარიბი და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის, მათ შორის ჩვილებისთვის, მთელი წლის განმავლობაში უსაფრთხო, ნოყიერი და საკმარისი საკვების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- 2030 წლისთვის კვების დეფიციტის აღმოფხვრა, ხოლო 2025 წლისთვის მიღწეული იქნას მიზნობრივი მაჩვენებლები 5 წლამდე ასაკის ბავშვების ზრდის შეფერხების შემცირების მიმართულებით; ასევე დაკმაყოფილებული იქნეს მოზარდი გოგონების, ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში მყოფი ქალების, ასევე ასაკოვანი პირების კვებითი საჭიროებები
- 2030 წლისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და სურსათის მცირე მწარმოებლების, კერძოდ, ქალების, მკვიდრი მოსახლეობის, საოჯახო ფერმერების, მწყემსებისა და მეთევზეების შემოსავლების გაორმაგება, მათ შორის მიწაზე და სხვა პროდუქტიულ რესურსებზე და საშუალებებზე, ცოდნაზე, ფინანსურ მომსახურებაზე, ბაზრებსა და დამატებითი ღირებულების შექმნის და არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმების შესაძლებლობებზე უსაფრთხო და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მეშვეობით
- 2030 წლისათვის სურსათის წარმოების მდგრადი სისტემების უზრუნველყოფა და სიცოცხლისუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა, რომელიც გაზრდის პროდუქტიულობას და წარმოების მოცულობას, ხელს შეუწყობს ეკოსისტემების

შენარჩუნებას, რაც გააძლიერებს კლიმატის ცვლილებასთან, ექსტრემალურ ამინდთან, გვალვასთან, წყალდიდობასა და სხვა სახის კატაკლიზმებთან ადაპტირების უნარს და თანდათანობით გააუმჯობესებს მიწის ნაკვეთებისა და ნიადაგის ხარისხს

- 2020 წლისთვის თესლების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ფერმისა და შინაური ცხოველების და მათი მონათესავე ველური სახეობების გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება, მათ შორის კარგად მართული და დივერსიფიცირებული სათესლე და მცენარეთა ბანკების საშუალებით სახელმწიფო, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე, აგრეთვე გენეტიკური რესურსების და ამასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის გამოყენებით მიღებული სარგებლის ხელმისაწვდომობის და სამართლიანი და თანაბარი გაზიარების უზრუნველყოფა, როგორც ეს საერთაშორისო დონეზე იქნა შეთანხმებული
- სოფლის ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის კვლევის და საკონსულტაციო მომსახურების, ტექნოლოგიების განვითარების და მცენარეებისა და მსხვილფეხა საქონლის გენეტიკურ ბანკებთან დაკავშირებით ინვესტიციების ზრდა, მათ შორის ინტენსიური საერთაშორისო თანამშრომლობის გზით, განვითარებად, განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდის მიზნით
- მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე ვაჭრობის შეზღუდვებისა და შეფერხებების აღმოფხვრა, მათ შორის სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქტებზე სუბსიდიებისა და ყველა მსგავსი გავლენის მქონე აქტივობის ერთობლივი გაუქმება, დოჰაის განვითარების რაუნდის შესაბამისად
- სურსათის სასაქონლო ბაზრების გამართული ფუნქციონირებისა და საბაზრო ინფორმაციაზე დროული წვდომის უზრუნველყოფა, მათ შორის საკვები პროდუქტების რეზერვების შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული და სურსათის ფასების მკვეთრი რყევები

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ ამჟამინდელი შეფასებით, თითქმის 690 მილიონი ადამიანი შიმშილობს, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 8.9% - მონაცემი ერთ წელიწადში 10 მილიონით გაიზარდა, ხოლო ხუთ წელიწადში 60 მილიონით.
- ✓ უმრავლესობა ადამიანებისა, რომლებიც არასრულფასოვნად/არასაკმარისად იკვებებიან, მათი რეგიონული განაწილების სურათი შემდეგია - 381 მილიონი - აზიაში ცხოვრობს, ხოლო 250 მილიონზე მეტი ადამიანი - აფრიკაში, სადაც არასაკმარისი კვების პრობლემა ბევრად სწრაფად იზრდება, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა წერტილში. ამ 2 რეგიონში სიღარიბეს და შიმშილობას მაღალი შობადობა ემატება.
- ✓ მსოფლიოში 2019 წელს, 750 მილიონზე მეტი ადამიანი - ათიდან ერთი - სასურსათო უსაფრთხოების დაუცველობით დაზარალდა.

- ✓ 2019 წელს დაახლოებით 2 მილიარდ ადამიანს მსოფლიოში არ ჰქონდა რეგულარული წვდომა უსაფრთხო და საკმარის საკვებზე.
- ✓ თუ ბოლოდროინდელი ტენდენციები გაგრძელდება, შიმშილით დაზარალებულთა რიცხვი 2030 წლისთვის გადააჭარბებს 840 მილიონს, ანუ გლობალური მოსახლეობის 9.8 პროცენტს.
- ✓ 2019 წელს 144 მილიონი 5 წლამდე ბავშვი შიმშილობით დაზარალდა, რომელთა სამი მეოთხედი ცხოვრობს სამხრეთ აზიასა და სუბსაჰარულ აფრიკაში.
- ✓ 2019 წელს 5 წლამდე ბავშვების 6,9 პროცენტში (ანუ 47 მილიონ ბავშვს) საკვების უკმარისობით ან მწვავე არასაკმარისი კვებით, გამოწვეული იყო სხვადასხვა დაავადებები.
- ✓ სავარაუდოდ, სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდება COVID-19-ის გამო.

შიმშილობასთან დაკავშირებული ტერმინები

შიმშილი და საკვების უკმარისობა – მოხმარებული საკვების სერიოზული ნაკლებობით გამოწვეული ფიზიკური მდგომარეობაა. საკვების ხანგრძლივმა დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს დისკომფორტი, სისუსტე ან ტკივილი. ხშირად შიმშილი იწვევს გარე სხვა ფაქტორების ჩარევის გარეშე მსხვერპლის დაღუპვას.

საკვების სისტემატური უკმარისობა არ არის ისეთი სერიოზული მდგომარეობა, როგორც შიმშილი, თუმცა ის ორგანიზმის სერიოზულ დასუსტებას იწვევს. შეიძლება ითქვას, რომ სისუსტე შიმშილისა და საკვების უკმარისობის მხოლოდ პირდაპირი გამოვლინებაა. მას სხვა არანაკლებ სერიოზული შედეგები მოსდევს, როგორებიცაა ბავშვთა შრომა, რადგან ოჯახს არსებობისთვის ბავშვების შრომის გამოყენება უწევს მიღებული სარგებლის სანაცვლოდ, ან/და პროდუქციის გამომშავევლად დახმარებისთვის (ძირითადად, მიწაზე სამუშაოდ). ბავშვთა შრომა მას ართმევს განათლების უფლებას, რაც მომავალშიმას არ მისცემს საშუალებას მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმდეს. ტრეფიკინგის მსხვერპლიც ყველაზე ხშირად სწორედ ღარიბები ხდებიან, მათ იძულებით აშრომებენ და ამის სანაცვლოდ მათი ცხოვრების ხარისხი არ უმჯობესდება.

ასევე შიმშილობასა და რესურსების დეფიციტს ხშირად კონფლიქტი და ომი მოსდევს, რასაც სიტუაციის კიდევ უფრო დამძიმებისკენ მიჰყავს. არ არის გასაკვირი, რომ ხანგრძლივ შიმშილსა და საკვების უკმარისობამ შეიძლება ქრონიკული დაავადებები, ასევე ავადმყოფობები გამოიწვიოს, რადგან ამ დროს ორგანიზმს აღარ აქვს რესურსები გაუმკლავდეს დაავადებებს, დაავადებულს კი სიღარიბის გამო, მისი განკურნების საშუალებაც არ აქვთ, რაც ხშირად სიკვდილით მთავრდება. ლეტალური შედეგის გარეშე მოშიმშილეს ორგანიზმი დასუსტებულია, რაც ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ძალა და ენერჯია, რომ გაუმკლავდნენ პრობლემებს და თავი დააღწიონ სიღარიბეს.

არასრულფასოვანი/არასაკმარისი კვება - სამედიცინო ნორმებით დადგენილია საკვების რაოდენობა, რომელზე ნაკლები და მეტი კალორიების მოხმარებას ადამიანის ჯანმრთელობის დარღვევისკენ მივყავართ. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით ადამიანის

კვების საშუალო დღიურმა ნორმამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 2400-2500 კილოკალორია (ზრდასრული ადამიანის). მცირედი განსხვავებაა ქალის და მამაკაცისთვის საჭირო კალორიებს შორის, ასევე ასაკის მიხედვითაც გვხვდება განსხვავებები. მაგალითად, ხანდაზმულებს ნაკლები კალორია სჭირდებათ. მნიშვნელობა ენიჭება ასევე საქმიანობის ტიპსაც. ფიზიკურად დიდი დატვირთვით მომუშავე ადამიანები მეტ კალორიებს საჭიროებენ. არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე ბუნებრივი ფაქტორებიც. თუ დღიურმა ნორმამ შეადგინა 1800 კილოკალორიაზე ნაკლები, ეს უკვე არასრულფასოვანი კვების მაჩვენებელია, ხოლო 1000 კილოკალორია კრიტიკული ზღვარია, რაც სრულ შიმშილს ნიშნავს. თუმცა მხოლოდ კალორიები არ განაპირობებს კვების რაციონის სრულფასოვნებას. კვების აუცილებელი პირობაა კვების რაციონის ბალანსირებული შედგენილობა. კერძოდ, გასათვალისწინებელია ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების განსაზღვრული დაბალანსებული რაოდენობა. თუ რომელიმე მათგანის რაოდენობა ნაკლებია ნორმაზე, კვება უკვე არასრულფასოვნად ითვლება.

სხეულის მასის ინდექსი იანგარიშება სიმალლე-წონის თანაფარდობით, რათა ადამიანმა იცოდეს, რასთან აქვს საქმე. მიიჩნევა, რომ 18,5-ზე ნაკლები ინდექსი ნორმაზე ნაკლებ წონას გულისხმობს და კვების დეფიციტზე მიუთითებს, 18,5-დან 25-მდე შუალედში სხეულის მასის ინდექსი ნორმალურია, 25-30 – ჭარბ წონას გულისხმობს, ხოლო 30-ის ზემოთ უკვე სიმსუქნეა.

სამართლიანი ვაჭრობა (Fair trade) არის პროდუქტების ყიდვისა და გაყიდვის სამართლიანი ფორმა, რომელიც გარანტიას, რომ ადამიანები რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ განვითარებად ქვეყნებში იღებენ სამართლიან თანხას. ამით ფერმერები უკეთეს ანაზღაურებას იღებენ და იუმჯობესებენ საცხოვრებელ პირობებს. თუკი პროდუქციას „სამართლიანი ვაჭრობის“ სერტიფიკატი აქვს, ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ფერმერებისთვის უსაფრთხო სამუშაო პირობებია შექმნილი, გარემოს დაცვა უზრუნველყოფილია და პროდუქცია არ შეიცავს საშიშ ქიმიკატებს, უზრუნველყოფილია მათი საცხოვრისის მდგრადობა და ფერმერებს და იქ მომუშავე ადამიანებს წვდომა აქვთ სათემო განვითარების ფონდებზე

შიმშილობის მიზეზები:

საინტერესოა, თუ რა იწვევს საკვების დეფიციტს. ფაქტორებს შორის აღსანიშნავია ბუნებრივი, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ფაქტორები.

- ენერგო მომხმარებლებზე ფასების ზრდა, იწვევს საკვებზე ფასების ზრდას.
- საკვებზე მოთხოვნის გაზრდა მოსახლეობის ზრდის პარალელურად მიმდინარეობს; ამავედროულად სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში საგრძნობლად იმატა მოხმარებული საკვების მოცულობამ და გაიზარდა მოთხოვნა ისეთ საკვებზე (ხორცი, კვერცხი, რძის პროდუქტები), რომლებიც ტრადიციულად ამ ქვეყნებში ნაკლებად მოიხმარებოდა. მაგალითად, აზიის ქვეყნების წამყვანი კულტურა ბრინჯი იყო და ის თევზთან ერთად ყოველდღიურ რაციონში იკავებდა ადგილს.
- გახშირებული გვალვები და შტორმული ხასიათის წვიმები ამცირებს პროდუქციის მოყვანის მასშტაბებს, იგივე შეიძლება ითქვას ბუნებრივ-კატასტროფულ მოვლენებზე,

რომელთა სიხშირემ საგრძნობლად იმატა. საკვებზე ფასის ზრდას კი მოჰყვება ის, რომ მსოფლიო ბაზარზე ძვირ ფასებს განვითარებადი ქვეყნები ვერ იხდიან და პროდუქცია განვითარებულ ქვეყნებს რჩებათ. ეს ზრდის ქვეყნებს შორის უთანასწორობას.

- ბიოსაწვავის მოხმარება იზრდება, მისთვის ნედლეულის მოყვანა კი სასოფლო-სამეურნეო მიწების მოხმარებიდან ამოღებას გულისხმობს ადამიანების საკვებისთვის განკუთვნილი ფართობებიდან. ბიოსაწვავზე მოთხოვნა აშშ-სა და ევროპის ქვეყნებშია, რაც გულისხმობს ამ პროცესის შეუქცევად ხასიათს, რადგან ბიოსაწვავს ჰყავს მომხმარებელი და მის გასაღების ბაზარს საფრთხე არ შეექმნება.
- განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც სასურსათო დახმარების იმედად არიან, დგანან ამ დახმარების შეწყვეტის პრობლემის წინაშე, რადგან დონორ ქვეყნებში განუხრელად იზრდება ხანდაზმულთა წილი მოსახლეობაში, რაც ადგილზე მეტ ფინანსურ ტვირთს გულისხმობს სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად.
- ბაზარზე ორიენტირებული კომერციული პრაქტიკა, გაანადგურონ ზედმეტი პროდუქცია ფასების სტაბილურობას განაპირობებს, თუმცა არ ჭრის შიმშილობის მწვავე პრობლემას.
- კონფლიქტების და ომში ჩართული ქვეყნების მოსახლეობა რისკ-ჯგუფია. მათ პოლიტიკური არასტაბილურობის გამო არ აქვთ საშუალება შექმნან დოვლათი, იძულებითი მიგრაციის საფრთხის ქვეშ არიან და ამავდროულად, უნადგურდებათ მოყვანილი პროდუქცია.
- სიღარიბე თავისთავად იწვევს შიმშილობას, რასაც დამატებითი ახსნაც არ ჭირდება.
- განათლებას პირდაპირი კავშირი აქვს პიროვნების ცოდნასა და უნარებთან, რომლის არსებობის შემთხვევაში მისი დასაქმების შანსი მრავალჯერ იზრდება. ეს კი სიღარიბისგან და შესაბამისად შიმშილობისგან და არასაკმარისი კვებისგან თავის დაღწევის საშუალებაა.
- მაღალი ბუნებრივი მატების მქონე ქვეყნებში მეტი დაწოლაა რესურსებზე, მეტია კონკურენცია სამუშაო ბაზარზე. სოფლებში მრავალშვილიანობის გამო მიწის დაქუცმაცება ხდება მეტ მემკვიდრეზე. ამით მცირდება თითოეულის მიერ მოყვანილი სასოფლო პროდუქციის მოცულობა. არ რჩებათ გასაყიდი ან გასაცვლელი პროდუქცია, მათი დიეტა ერთფეროვანი ანუ დაუბალანსებელი ხდება.

არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ განვითარებული ქვეყნების ფერმერები ერთი და იმავე ფართობის სავარგულებიდან მეტ მოსავალს იღებენ, ვიდრე განვითარებადი ქვეყნებისა. აღსანიშნავია ამის რამდენიმე მიზეზი:

- ✓ განვითარებადი ქვეყნების უმეტესობას აქვს თვითკმარი მეურნეობები, რაც გულისხმობს, რომ აქ მოწეული სურსათი ძირითადად საოჯახო მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. თვითკმარ მეურნეობებს არ აქვთ სურვილი და მოტივაცია, გაზარდონ თავიანთი პროდუქტიულობა.
- ✓ განვითარებადი ქვეყნებში იშვიათია მონოკულტურები, მათ მრავალფეროვანი პროდუქცია მოჰყავთ, რაც უფრო მეტად ზღუდავს რომელიმე პროდუქციის ჭარბად მიღებას კომერციული მიზნებისთვის. ამით გასაღების ბაზარზე გასვლა ეზღუდებათ. გარდა ამისა, ისინი ვერ იკავებენ სპეციალურ ნიშას, ვერ სპეციალიზდებიან ერთი პროდუქციის წარმოებაში.
- ✓ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო მეთოდები გამოიყენება იმის გამო, რომ არ არის საკმარისი ცოდნა და ტექნოლოგიები სიტუაციის შესაცვლელად.

- ✓ ვინაიდან სურსათის შენახვას სპეციფიკური პირობები სჭირდება, რომელთა უზრუნველყოფის საშუალებაც ადგილობრივ ფერმერებს არ აქვთ, მოწეული პროდუქციის დიდ ნაწილს მწერები და მღრღნელები ანადგურებენ. ვარაუდობენ, რომ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში პროდუქციის 30%-იან დანაკარგს სწორედ შენახვის პირობების არარსებობა იწვევს.
- ✓ შვილების სიმრავლის გამო ოჯახის თავის სიკვდილის შემდეგ შთამომავლები საგვარეულო მიწებს წვრილ ერთეულებად ყოფენ. ეს შესაძლოა სამართლიანი იყოს, რადგან მათ თანაბარი ფართობის სავარგულები ხვდებათ, მაგრამ უკვე აღარ არის საკმარისი მომავალი განვითარებისთვის. მცირემიწიანი ტერიტორია ტექნიკით ვეღარ მუშავდება, რაც ზრდის დამუშავებისთვის საჭირო დროს, რომელიც შეიძლება სხვა შემოსავლიან საქმეს დათმობოდა.
- ✓ ხშირად გლეხებს საკუთარი მიწაც არ აქვთ და სხვისთვის მუშაობენ, რაც გულისხმობს მეპატრონისთვის პროდუქციის მეტი წილის ჩაბარებას და თავისთვის მხოლოდ მცირე ნაწილის წამოღებას, რაც ხშირად ოჯახსაც ძლივს ჰყოფნის. მეტი მოსავლის მიღება არც ამ გლეხის ინტერესშია, ვინაიდან მეტს ჩამოართმევენ.
- ✓ განვითარებად ქვეყნებში აგრობიზნესის კორპორაციები გლეხებს ურჩევენ, დაანებონ თავი სურსათის მოყვანას თავი და თამბაქოს, ბამბის ან ჩაის წარმოებაზე გადაერთონ. ეს თითქოს ლოგიკურიც კია, რადგან პროდუქცია ექსპორტზე გადის, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე არსებულ ტენდენციას თუ გავითვალისწინებთ, მათზე ფასი განუხრელად მცირდება, ამდენად, ფერმერები, რომლებსაც ადრე სურსათი მოჰყავდათ, ხვდებიან, რომ იმაზე ნაკლების მსყიდველობითუნარიანობა აქვთ, ვიდრე მაშინ ექნებოდათ, თავად რომ მოეყვანათ ეს პროდუქცია.
- ✓ ფერმერებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა, რათა დაიცვან თავიანთი [ნიადაგი](#)¹ ეროზიისგან, რაც სულ უფრო ამცირებს მოსავლიანობას. ეროზირებულ ნიადაგს აღდგენა სჭირდება, ეს კი ძვირი ღირს. ბევრს არ შეუძლია სასუქის ყიდვა.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

კონფლიქტებთან, კლიმატურ შოკებთან და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, პანდემიები დამატებით საფრთხეს უქმნის კვების სისტემებს. სამოქალაქო დაუცველობამ და საკვების წარმოების შემცირებამ ხელი შეუწყო საკვების დეფიციტს და სურსათის მაღალ ფასებს. სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიცია გადამწყვეტია შიმშილისა და სიღარიბის შემცირების, სურსათის უვნებლობის გასაუმჯობესებლად, დასაქმების შესაქმნელად და კატასტროფებისა და შოკებისადმი გამძლეობის შესაქმნელად.

ჩვენ ყველას გვსურს, რომ ჩვენს ოჯახებს ჰქონდეთ საკმარისი და ჯანსაღი საკვები. ქვეყანას, რომელსაც ნულოვანი შიმშილის მაჩვენებელი აქვს შეუძლია დადებითი გავლენა იქონიოს ეკონომიკაზე, ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, თანასწორობაზე და სოციალურ სამართლიანობაზე.

¹ გადადით ბმულზე და გაეცანით მითითებულ სტატიას „ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემები“

ეს არის ყველასთვის უკეთესი მომავლის შექმნის მთავარი კომპონენტი. გარდა ამისა, შიშხილი ზღუდავს ადამიანის განვითარებას, ჩვენ ვერ მივალწევთ მდგრადი განვითარების დანარჩენ მიზნებსაც, როგორცაა განათლება, ჯანმრთელობა და გენდერული თანასწორობა.

კვების პრობლემა განვითარებულ ქვეყნებში

ჟურნალ National Geographic-ის ერთ ნომერში საინტერესო მოკლე ინფორმაციას წავაწყდით: “რას იწონის მსოფლიო”. გამოთვალეს, რომ ამჟამად დედამიწის მოსახლეობას 3,5 მლნ ტონაზე მეტი ჭარბი წონა აქვს. აფრიკისა და აზიის მოსახლეობა საშუალო მაჩვენებელზე მსუბუქია, ხოლო დანარჩენი – უფრო მძიმე. იქვე ნათქვამი იყო, რომ თუ ყველა ქვეყანამ აშშ-ს მიბაძა, მსოფლიოს მოსახლეობის ჭარბი წონის ნამატი კიდევ ერთი მილიარდი ადამიანის წონას გაუტოლდება.

განვითარებულ ქვეყნებში ინტენსიური სოფლის მეურნეობაა წამყვანი, რაც იმას გულისხმობს, რომ ნაკლებ ფართობზე მეტი პროდუქციის მოყვანა ნაკლებ ფერმერს შეუძლია. სოფლის მეურნეობა აღარ მოითხოვს იმდენ ადამიანურ რესურსს, რასაც ადრე. ტექნოლოგიები ეფექტურად ანაცვლებს ათობით ადამიანს, რაც ზოგავს დროსა და სახსრებს, თუმცა ამავე ტექნოლოგიების შექმნა ღარიბ ქვეყნებს არ შეუძლიათ.

როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ჭარბი წონის პრობლემა მილიარდ-ნახევარ ადამიანს აქვს და ეს მაჩვენებელი განუხრელად იზრდება. მსუქანთა რიცხვი კი ნახევარ მილიარდს აღემატება.

ნავარაუდევია, რომ ჭარბი წონის პრობლემა უკვე 2022 წლისთვის 2,3 მილიარდ ადამიანს ექნება, ხოლო კიდევ 790 მილიონს – სიმსუქნისა. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ სიმსუქნესა და ჭარბ წონასთან დაკავშირებულ პროგრამებზე მხოლოდ აშშ-ში წლიურად 76 მილიარდი აშშ დოლარი იხარჯება.

შეიძლება ითქვას, რომ ჭარბი წონა უკანასკნელი 50 წლის პრობლემაა, რაც გამოიწვია განვითარებამ. ტექნოლოგიების განვითარების გამო ადამიანს შრომა შეუმსუბუქდა. ტრანსპორტის განვითარებამ და ხელმისაწვდომობამ კი ადამიანს გადაადგილებისთვის დახარჯული ენერჯიაც დაუზოგა. საკვების გამრავალფეროვნებამ, მისმა ექსპორტმა და სწრაფი კვების ობიექტების სიმრავლემ ასევე შეუწყო ხელი ჭარბი წონის პრობლემის მასშტაბის ზრდას. სხვათა შორის, კვლევები მოწმობს, რომ სწრაფი კვების ობიექტების სიახლოვეს იზრდება ჭარბწონიანთა რიცხვი, ხოლო მოშორებით მეტია გამხდარი. ეს გამოკვლევა ტეხასის უნივერსიტეტის სიმსივნური დაავადებების ცენტრმა ჩაატარა და დასკვნები მეცნიერულადაც დაადასტურა.

მიუხედავად ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა სიმსუქნის პრობლემაზე, მას მაინც მზარდი ხასიათი აქვს. სიმსუქნე და ჭარბი წონა კი ისევე საშიშია ჯანმრთელობისთვის, როგორც შიშხილობა და არასაკმარისი კვება. იგი სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებას, სისუსტეს, გულსა და სისხლძარღვებთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს, ზრდის II ტიპის დიაბეტის

განვითარების რისკს. დიაბეტის ასოციაცია ვარაუდობს, რომ 2030 წლისთვის ამ ტიპის დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი გაორმაგდება.

სიმსუქნეს მდიდარი ქვეყნების დაავადებათა ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიიჩნევენ.

ჭარბი წონის პრობლემა, რა გასაოცარიც უნდა იყოს, მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში არ გვხვდება. ჭარბწონიანებს შორის ოკეანეთის მრავალი კუნძულოვანი ქვეყანაა: ნაურუ, მიკრონეზია, კუკის კუნძულები, ტონგა. აქ მოსახლეობის 80% ჭარბწონიანია. ამის ახსნა კულტურული თავისებურებით შეიძლება: სწორედ სიმსუქნე მიუთითებს ოჯახის მაღალ სოციალურ სტატუსზე. აფრიკის კონტინენტზე, მავრიტანიაში, სადაც ძირითადი ბუნებრივი ლანდშაფტი უდაბნოა, გოგონებს აძალებენ კალორიული საკვების ჭამას, რათა გასუქდნენ და სიგამხდრის გამო საქმრომ არ დაიწუნოს.

მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრებისა და ჯანსაღი კვების მნიშვნელობის ადრეული ასაკიდანვე სწავლება, რაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომავალი პრობლემებისგან ერთგვარი პრევენციაა.

მე რისი გაკეთება შემიძლია?

თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება - სახლში, სამსახურში და საზოგადოებაში - ადგილობრივი ფერმერების ან ბაზრების მხარდაჭერით და მდგრადი საკვების არჩევით, ყველასთვის კარგი კვების მხარდაჭერით და საკვების ნარჩენებთან ბრძოლით.

თქვენ ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი ძალა როგორც მომხმარებელმა და ამომრჩეველმა, მოსთხოვოთ ბიზნესსა და მთავრობებს გააკეთონ არჩევანი ცვლილებებისკენ, რომლებიც ნულოვან შიმშილს რეალობად აქცევს. ჩაერთეთ საუბარში, იქნება ეს სოციალური მედიის პლატფორმებზე თუ თქვენს ადგილობრივ თემებში.

- ✓ დააინტერესე და ჩართე სხვებიც, რაც მეტი ადამიანი შეიტყობს შიმშილობის პრობლემაზე, მეტს გაუჩნდება მოქმედების სურვილი;
- ✓ სკოლაში დონაციისთვის რეგულარულად შეაგროვეთ ხოლმე საკვები, რომელიც არაა მალფუჭებადი, რომ დაეხმაროთ ღარიბებს. აარჩიეთ რომელ ორგანიზაციას დაეხმარებით ხოლმე. ეს შეიძლება იყოს მოხუცებულთა, ბავშვთა სახლებს, ან სოციალურად დაუცველების ოჯახზე აიღოთ პატრონაჟი;
- ✓ დაფიქრდი, როგორ დახარჯო დრო სასარგებლო საქმეზე, მოხალისეობრივად ჩაერთე საქვემოქმედო ორგანიზაციების, სასწავლო ცენტრების საქმიანობაში, რომლებიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ეხმარება. შენი დრო ფულზე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს;
- ✓ ფულის ნაცვლად მათხოვრისთვის იქონიეთ ვაშლი, ხილი ან სხვა საკვები, რომელსაც საკუთარი თავისთვის არ/ვერ ყიდულობენ;
- ✓ შეარჩიეთ და წაიკითხეთ წიგნი, ან ნახეთ ფილმი სიღარიბეზე და შიმშილობაზე („უფლისწული და მათხოვარი“, მარკ ტვენი, ანა ფრანკის დღიური“, ფილმი „კატვებს დედოფალი“, „ჩრდილების თამაში“ და სხვა. მოაწყვეთ განხილვა კლასში);

- ✓ დაბალკლასელებს უჩვენეთ ანიმაცია და მოაწყვეთ განხილვა „ასანთის გამყიდველი გოგონა“, ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრის მიხედვით;
- ✓ შეამცირეთ საკვების ნარჩენები, იყიდეთ იმდენი, რამდენსაც შეჭამთ;
- ✓ როცა არჩევანია, იყიდე „სამართლიანი ვაჭრობის“ სერტიფიკატის პროდუქცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

მ.რატიანი, უთანასწორობა საკვების ხელმისაწვდომობის კუთხით, 2015

მ.რატიანი, შიმშილობის გეოგრაფია, 2015

მ.რატიანი, ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემები, 2015

Geography, Garrett Nagle, Briony Cooke, Oxford University Press, 2009

Soil Science Society of America, Annual Report, 2012

http://www.soil-net.com/legacy/advanced/soil_functions.htm

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

11. რომელი კონტინენტები გამოირჩევა მოშიმშილეთა რაოდენობით?
- ა. ავსტრალია და ოკეანეთი
 - ბ. აზია და აფრიკა
 - გ. აფრიკა და სამხრეთ ამერიკა
 - დ. სამხრეთ ამერიკა და აზია

12. დააკვირდით მოცემულ რუკას „დღეში ერთ კაცზე მოხმარებული კალორიები“ და ჩამოთვლილთაგან მონიშნეთ ყველა ქვეყანა, რომელშიც მიღებული კალორიების რაოდენობა 3000-ს აღემატება



- ა. ავსტრალია
- ბ. არგენტინა
- გ. ბრაზილია
- დ. თურქეთი
- ე. მექსიკა
- ვ. ნორვეგია
- ზ. რუსეთი
- თ. საფრანგეთი
- ი. ყაზახეთი

13. მონიშნეთ დებულებები, რომლებიც გულისხმობს არასრულფასოვანი კვებას?

- ა. 1000 კილოკალორიაზე ნაკლების მოხმარებას დღიურად, ხანგრძლივი დროის მანძილზე
- ბ. 1000-დან 1800-მდე კილოკალორიის მოხმარებას ხანგრძლივი დროის მანძილზე
- გ. 2000-2500 კილოკალორიის მიღებას, რომელიც ძირითადად ნახშირწყლებს მოიცავს და არ არის დაბალანსებული ცილებით და ცხიმებით
- დ. დროებით საკვების შეზღუდვას წონის დარეგულირების მიზნით ექიმის მეთვალყურეობით

14. რას იწვევს ხანგრძლივი დროის მანძილზე შიმშილობა? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. ზრდის და გონებრივი განვითარების შეფერხებას
- ბ. იმუნიტეტის დასუსტებას დაავადებების გასამკლავებლად
- გ. სასურველი წონის მიღწევას

დ. ქრონიკულ დაავადებებს

15. როგორ იზომება ადამიანის წონის შესაბამისობა ნორმასთან?

- ა. დადგენა ვერ ხერხდება
- ბ. კილოკალორიების ცხრილის საშუალებით
- გ. სიმაღლის სკალის საშუალებით
- დ. სხეულის მასის ინდექსის საშუალებით

16. რა ფაქტორები ახდენს გავლენას შიმშილობის ზრდაზე? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. დაავადებებით გამოწვეული ქმედითუნარობა
- ბ. დემოკრატიის დეფიციტი
- გ. მოდა
- დ. მოსავლის განადგურება ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობების გამო
- ე. ომი და კონფლიქტები
- ვ. საკვების დეფიციტი და გაზრდილი ფასები
- ზ. სამუშაო პირობებით უკმაყოფილება
- თ. სიღარიბე და უმუშევრობა

17. რა იწვევს განვითარებად ქვეყნებში ფერმების ნაკლებპროდუქტიულობას? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. მაღალი შობადობით გამოწვეული მცირემიწიანობა და შინამეურნეობების დანაწევრება
- ბ. სურსათის შენახვასა და გადამუშავებაში შეზღუდვები
- გ. ტექნოლოგიების ინტენსიური მოქმარება
- დ. ტრადიციული ცოდნის გამოყენება

18. ჭეშმარიტია თუ მცდარი დებულება: ჭარბი წონის პრობლემა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში ვლინდება

- ა. მცდარია
- ბ. ჭეშმარიტია

19. რა ეწოდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ისეთ ფორმებს, რომელიც ადგილობრივ ფერმერთა მეტ კმაყოფილებას, პროდუქციის მაღალი ფასის გადახდას გულისხმობს, რომლის დროსაც გარანტირებულია პროდუქციის უსაფრთხოება

- ა. მწვანე ეკონომიკა
- ბ. ორმხრივი ხელშეკრულება
- გ. სამართლიანი ვაჭრობა
- დ. ციკლური ეკონომიკა

20. მოცემული დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვას, ნიადაგის დეგრადაციის რომელი ფორმაა ყველაზე მეტად გავრცელებული?

ნიადაგის დეგრადაცია



(წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ჰარბი მორწყვა)

ა. ბიოლოგიური დეგრადაცია
(ჰუმუსის დაკარგვა, ცვლილებები
მცენარეებისა და ცხოველების
სასიცოცხლო ციკლში)

ბ. ფიზიკური დეგრადაცია
(სტრუქტურის შეცვლა, ფორიანობის
შემცირება)

გ. ქიმიური დეგრადაცია (მჟავიანობა,
ნაყოფიერების შემცირება, PH-ის
ცვლილება, დამლაშება, ქიმიური
ტოქსიკაცია)

დ. წყლისმიერი ეროზია

მდგრადი განვითარების მიზანი 3: ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასთვის, ყველა ასაკში



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 3: ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასთვის, ყველა ასაკში	28
რაში მდგომარეობს მიზნის არსი?	28
ქვემიზნები მიზნისთვის „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“:	29
ფაქტები და მონაცემები:	30
ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული ტერმინები	32
რატომ არის მიზნის მიღწევა მნიშვნელოვანი?	33
რა პროგრესი გვაქვს აქამდე?	33
ვაქცინაციის მიმოხილვა	34
ვაქცინაციაზე ხელმისაწვდომობა	36
როგორ შეგვიძლია მივაღწიოთ მდგრადი განვითარების მესამე მიზანს?	38
რისი გაკეთება შემოიძლია დასახმარებლად?	38
გამოყენებული ლიტერატურა:	39
ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)	39

რაში მდგომარეობს მიზნის არსი?

2030 წლისთვის ყველას კეთილდღეობისთვის, მიუხედავად ასაკისა, ხელმისაწვდომი იყოს ჯანსაღი ცხოვრების წესი

მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ყველა ასაკის ადამიანისათვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირების თვალსაზრისით. თუმცა, იმ მიზნის მისაღწევად, რომ 2030 წლისთვის ყოველ 100 000 ცოცხლადშობილ ბავშვზე დედათა

სიკვდილიანობა შემცირებულ იქნას 70-ზე ნაკლებ მაჩვენებლამდე, საჭიროებს მეანების პროფესიული უნარების გაუმჯობესებას.

2030 წლისთვის არაინფექციური დაავადებებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობის მაჩვენებლის 1/3-ით შესამცირებლად საჭიროა უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიების შემუშავება გარემოს დასაცავად, ნიკოტინის, ალკოჰოლის, სწრაფი კვების მოხმარების მავნებლობის რისკების შესახებ საზოგადოების მეტად ინფორმირება.

სხვა ბევრი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რათა სრულად აღმოფხვრას დაავადებების უამრავი სახეობა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა ბევრი გადაუდებელი საკითხი. ჯანდაცვის სისტემების ეფექტიანი დაფინანსებით, სანიტარული მდგომარეობისა და ჰიგიენის გაუმჯობესებით, მედ-პერსონალის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და გარემოს დაბინძურების შემცირებით, შესაძლებელია, მილიონობით სიცოცხლის გადასარჩენა.

მესამე მიზნის აქტუალობა პანდემიამ განსაკუთრებული ძალით წარმოაჩინა.

ქვემიზნები მიზნისთვის „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“:

- 2030 წლისათვის დედათა სიკვდილიანობის გლობალური მაჩვენებლის შემცირება 70 შემთხვევაზე ნაკლებ მაჩვენებლამდე 100,000 ცოცხალშობილ ბავშვზე.
- 2030 წლისათვის ახალშობილთა და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის აღმოფხვრა იმ დაავადებებიდან, რომელთა პრევენცია შესაძლებელია; ყველა ქვეყანამ მიზნად უნდა დაისახოს მშობიარობის შემდგომი სიკვდილიანობის შემცირება სულ მცირე 12-მდე 1,000 ცოცხალშობილ ბავშვზე და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება სულ მცირე 25-მდე 1,000 ცოცხალშობილ ბავშვზე.
- 2030 წლისათვის შიდსის ეპიდემიის, ტუბერკულოზის, მალარიისა და სხვა ტროპიკული დაავადებების აღმოფხვრა. ჰეპატიტთან, ასევე წყლით გადამდებ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა.
- 2030 წლისთვის არაინფექციური დაავადებების შედეგად ნაადრევი სიკვდილიანობის ერთი მესამედით შემცირება პრევენციისა და მკურნალობის მეშვეობით და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა.
- აკრძალული ნივთიერებების მოხმარების, მათ შორის ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის დამლუპველი მოხმარების პრევენციისა და მკურნალობის გაძლიერება.
- 2020 წლისთვის მსოფლიო მასშტაბით ავტოსაგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაზიანებების რაოდენობის განახევრება.
- 2030 წლისთვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის, ინფორმაციისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინტეგრირება ეროვნულ სტრატეგიებსა და პროგრამებში.
- ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის მიღწევა, მათ შორის ფინანსური რისკებისგან დაცვა, ჯანდაცვის ხარისხიანი ძირითადი სერვისების მისაწვდომობა,

ასევე უსაფრთხო, ეფექტიანი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ძირითადი მედიკამენტებისა და ვაქცინების ხელმისაწვდომობა.

- 2030 წლისთვის სახიფათო ქიმიური ნივთიერებებისა და ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შედეგად სიკვდილისა და ავადმყოფობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება.
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის განხორციელების გაძლიერება ყველა ქვეყანაში, საჭიროების შესაბამისად.
- იმ ინფექციური და არაინფექციური დაავადებებისთვის ვაქცინების და მედიკამენტების კვლევისა და განვითარების მხარდაჭერა, რომლებიც ძირითადად განვითარებად ქვეყნებს უქმნის საფრთხეს. აუცილებელი მედიკამენტების და ვაქცინების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, TRIPS შეთანხმების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ დოჰას დეკლარაციის შესაბამისად; აღნიშნული დეკლარაცია ადასტურებს განვითარებადი ქვეყნების უფლებას, სრულად გამოიყენონ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ვაჭრობასთან დაკავშირებული შეთანხმების დებულებები, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მოქნილ სისტემას, განსაკუთრებით კი ყველა ადამიანისთვის მედიკამენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.
- განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსა და მცირე კუნძულოვან განვითარებად ქვეყნებში ჯანდაცვის დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდა და ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალის დაქირავების, განვითარების, ტრენინგისა და შენარჩუნების გაუმჯობესება.
- ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ეროვნული და გლობალური რისკების ადრეული გაფრთხილების, რისკების შემცირების და მათი მართვის შესაძლებლობების გაძლიერება

მესამე მიზანს 1 ეროვნული ამოცანა აქვს დამატებული

- 3.3 ბ თითქმის 100%-ს აღწევს C ჰეპატიტის მქონე იმ პაციმართა გაზრდილი პროცენტული რაოდენობა, რომლებიც გადიან მკურნალობას

ფაქტები და მონაცემები:

ბავშვის ჯანმრთელობა

- ✓ მხოლოდ 2018 წელს დაილუპა 6,2 მილიონი ბავშვი და 15 წლამდე ასაკის მოზარდი, უმეტესად ისეთი მიზეზების გამო, რომელთა პრევენცია შესაძლებელი იყო. 5.3 მილიონ სიკვდილს 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ჰქონდა ადგილი. მათი თითქმის ნახევარი სიცოცხლის პირველ თვეში დაფიქსირდა.
- ✓ მიუხედავად პროგრესისა, რომელიც მსოფლიოს უმეტეს რეგიონში შეინიშნება, ბავშვთა სიკვდილიანობა მზარდია სუბ-საჰარის აფრიკასა და სამხრეთ აზიაში. ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში მსოფლიოში აღრიცხულ სიკვდილიანობაში ხუთიდან ოთხი სწორედ ამ რეგიონებზე მოდის.

- ✓ ბავშვები სუბსაჰარის აფრიკაში 15-ჯერ უფრო ხშირად იღუპებიან 5 წლამდე ვიდრე ბავშვები მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში.
- ✓ არასრულფასოვან კვებაზე მყოფი ბავშვები, განსაკუთრებით როდესაც საქმე გვაქვს საკვების მწვავე უკმარისობასთან, არიან ბავშვთა სიკვდილიანობის უფრო მაღალი რისკის ქვეშ, მათ უფრო მარტივად უვითარდებათ დაავადებები, რაც სიკვდილიანობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს, 3,1 მილიონი ბავშვი სწორედ შიმშილობით გამოწვეული მიზეზებით იღუპება. როგორებიცაა დიარეა, ჰაშიოკური, ტუბერკულოზი და სხვა.
- ✓ 5 წლამდე ასაკის ბავშვებში სიკვდილიანობის დაახლოებით 45 პროცენტი არასაკმარის კვებას უკავშირდება.

დედის ჯანმრთელობა

- ✓ ქვეყნების 40 % -ზე მეტს ყოველ 10 ათას ადამიანზე 10-მდე ექიმი ჰყავს. ქვეყნების 55 პროცენტზე მეტს 40 -ზე ნაკლები მედდა და სანიტარი ჰყავს ყოვე 10 ათას ადამიანზე, რაც მიუთითებს სამედიცინო კვალიფიციური პერსონალის დეფიციტზე.
- ✓ აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში დედათა სიკვდილიანობა შემცირდა დაახლოებით ორი მესამედით.
- ✓ 2017 წელს, ყოველდღიურად დაახლოებით 810 ქალი იღუპებოდა ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული მიზეზების გამო, რომელთა პრევენცია შესაძლებელი იყო.
- ✓ დედების სიკვდილიანობის 94 პროცენტს ადგილი აქვს დაბალი და საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში.
- ✓ ნაადრევი ორსულობის შედეგად გართულებების და სიკვდილის უფრო მაღალი რისკია, ვიდრე ზრდასრულ ქალებში.
- ✓ განვითარებად ქვეყნებში მშობიარობის დროს სიკვდილიანობა 14 ჯერ აღემატება განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს.

აივ/შიდსი, მალარია და სხვა დაავადებები

- ✓ 2019 წელს მსოფლიოში 38 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა აივ ინფექციით.
- ✓ 2019 წელს 25.4 მილიონი ადამიანი იღებდა ანტირეტროვირუსულ თერაპიას.
- ✓ 2019 წელს 1,7 მილიონი ადამიანი ინფიცირდა აივ/შიდსით
- ✓ 2019 წელს 690 000 ადამიანი გარდაიცვალა შიდსით გამოწვეული დაავადებებით.
- ✓ ეპიდემიის დაწყებიდან აივ ინფექციით სულ 75,7 მილიონი ადამიანი დაინფიცირდა, ხოლო 32,7 მილიონი ადამიანი დაიღუპა შიდსით გამოწვეული დაავადებებით.
- ✓ აივ ინფიცირებულთა შორის ტუბერკულოზი რჩება სიკვდილის წამყვან მიზეზად, რაც შიდსთან დაკავშირებული გარდაცვალების დაახლოებით სამი პროცენტია.
- ✓ გლობალურად, მოზარდ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს ემუქრებათ გენდერული უთანასწორობა, გარიყვა, დისკრიმინაცია და ძალადობა, რაც მათ უფრო მაღალი რისკის ქვეშ აყენებს სიღარიბეში აღმოჩნდნენ თანმდევი პრობლემებით.
- ✓ აივ/შიდსი არის რეპროდუქციული ასაკის ქალების სიკვდილის წამყვანი მიზეზი მსოფლიოში.
- ✓ აფრიკაში მოზარდებში (10–19 წლის) შიდსი არის სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზი, ხოლო მსოფლიოში მეორე ყველაზე გავრცელებული მიზეზი.
- ✓ მალარიის 6,2 მილიონზე მეტი სიკვდილი 2000-დან 2015 წლამდე თავიდან აცილებული იქნა, განსაკუთრებით ეფექტურად ეს მოხერხდა ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში სუბსაჰარის აფრიკაში. გლობალური მალარიის შემთხვევები შემცირდა

დაახლოებით 37 პროცენტით და სიკვდილიანობა 58 პროცენტით. მიზეზი ათასწლეული განვითარების მიზნებში მალარიის წინააღმდეგ გლობალური ძალისხმევა იყო.

ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული ტერმინები

ათასწლეულის განვითარების მიზნები (Millennium Development Goals) 21-ე საუკუნის დასაწყისში (2000-2015 წწ.) გაერომ დაამტკიცა და ის 8 მიზანზე იყო ფოკუსირებული, რომელთა უმრავლესობა სოციალური ხასიათის იყო და განვითარებადი ქვეყნებისკენ იყო მიმართული.

1. აღმოფხვრას უკიდურესი სიღატაკე და შიმშილობა
2. მიიღწეს უნივერსალური დაწყებითი განათლება ყველასთვის
3. გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება
6. აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა
7. განმტკიცდეს გარემოს მდგრადობა
8. განვითარებისთვის გლობალური პარტნიორობის/თანამშრომლობის ჩამოყალიბება

შობადობა - დაბადებულთა რიცხვი 1000 კაცზე;

სიკვდილიანობა - გარდაცვლილთა რიცხვი 1000 კაცზე;

ბუნებრივი მატება - მოსახლეობის ზრდა ან კლება, რომელიც გამოითვლება შობადობასა და სიკვდილიანობას შორის სხვაობით. თუ შედეგი დადებითია, ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის მატებას აქვს ადგილი, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში - კლებას;

ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა - 1 წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა შეფარდება ყოველ 1000 დაბადებულთან;

ბავშვთა მოკვდაობა - 5 წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა შეფარდება ყოველ 1000 დაბადებულთან;

სიცოცხლის ხანგრძლივობა - იმ წლების საშუალო ოდენობა, რომლებიც მოსალოდნელია იცოცხლოს ადამიანმა. სიცოცხლის ხანგრძლივობა ქვეყნების მიხედვით საგრძნობლად მერყეობს. განვითარებულ ქვეყნებს ამ მხრივ უფრო მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა აქვთ.

სიღარიბის დაავადებები - დაავადებების, რომელთა ძირითადი მიზეზი ჯანდაცვის სერვისების მიუწვდომლობა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების არქონა, ჰაერის და წყლის დაბინძურება და სიღარიბეა. ამ დაავადებებს შორისაა ტუბერკულოზი, მალარია, რესპირატორული დაავადებები, აივ/შიდსი, დიარეა, ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, საკვების უკმარისობა, ტროპიკული დაავადებები.

სიმდიდრის დაავადებები - ძირითადად არაჯანსაღი ცხოვრების წესით და სიცოცხლის გაზრდილი ხანგრძლივობით განპირობებული დაავადებებია, ესენია, მეორე ტიპის დიაბეტი, ასტმა, გულ სისხლძარღვთა დაავადებები, სიმსუქნე, სიმსივნე, ჰიპერტონია, ალერგია, დეპრესია, მენტალური დაავადებები, ალცჰეიმერი.

რატომ არის მიზნის მიღწევა მნიშვნელოვანი?

ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია საზოგადოებების კეთილდღეობის შესაქმნელად. თუმცა, COVID-19 პანდემიამ გააზარალა ჯანმრთელობის სისტემა გლობალურად და საფრთხეს უქმნის უკვე მიღწეულ ჯანმრთელობის შედეგებს. პანდემიამ განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩინა ჯანდაცვის სისტემის სისუსტეები. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარება, ისე ჰოსპიტალური სექტორის.

უმეტეს ქვეყნებს, განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებს, არასაკმარისი ჯანდაცვის საშუალებები, სამედიცინო მარაგები და ჯანდაცვის მუშაკები ყავთ, რომლებიც ვერ აუდიან გაზრდილ მოთხოვნილებას. დამატებით 18 მილიონი ჯანდაცვის მუშაკია საჭირო უნივერსალური ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად დაბალი შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყნებში.

საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა ჯანმრთელობის საყოველთაო დაფარვისა და ჯანმრთელობის მდგრადი დაფინანსების მისაღწევად; გაუმკლავდეს დაავადებების მზარდ ტვირთს, გაუმკლავდეს ანტიბაქტერიულ რეზისტენტობას და დაავადებებს. პანდემიამ აჩვენა, რომ ჯანმრთელობის გადაუდებელ სიტუაციას შეუძლია ხალხი გაკოტრებამდე ან სიღარიბემდე მიიყვანოს.

რა პროგრესი გვაქვს აქამდე?

პროგრესი ჯანმრთელობის ბევრ სფეროში მიღწეულია, როგორცაა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, იმუნიზაციის გაშუქების გაზრდა. იმუნიზაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება კვლავ აქტუალური აღმოჩნდა პანდემიის გასამკლავებლად. ზოგიერთი ინფექციური დაავადების შემცირება გრძელდება, მაგრამ გაუმჯობესების მაჩვენებელი შენედა. განსაკუთრებით COVID-19– ის დროს, რომელიც გლობალურად აჭარბებს ჯანდაცვის სისტემების გამტარიანობას და საფრთხეს უქმნის უკვე მიღწეული შედეგების მდგრადობას.

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა

სიცოცხლის ხანგრძლივობა უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითისათვის, შეგვიძლია შევადაროთ, როგორ შეიცვალა შერჩეულ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა.

	წელი			
ქვეყანა	1800	1900	2000	2020
სამხრეთ კორეა	25,8	25,9	76,3	83,4
ავღანეთი	28,2	29,4	54,6	64,4
ირანი	25	26,3	73,6	78

საქართველო	31,9	33,4	73,1	73,3
ჩინეთი	32	32	72,1	77,7
იტალია	29,7	43,5	79,6	83,6
გაერთიანებული სამეფოები	38,6	46,3	78	81,2
ბრაზილია	32	32,3	71,7	76,1

ცხრილში მოცემული მონაცემები აღებულია ინტერაქტიული გვერდიდან [https://www.gapminder.org/tools/#\\$state\\$time\\$value=2020;&marker\\$axis_x\\$domainMin:null&domainMax:null&zoomedMin:null&zoomedMax:null&scaleType=genericLog&spaceRef:null;&axis_y\\$domainMin:null&domainMax:null&zoomedMin:null&zoomedMax:null&spaceRef:null;;&chart-type=bubbles](https://www.gapminder.org/tools/#$state$time$value=2020;&marker$axis_x$domainMin:null&domainMax:null&zoomedMin:null&zoomedMax:null&scaleType=genericLog&spaceRef:null;&axis_y$domainMin:null&domainMax:null&zoomedMin:null&zoomedMax:null&spaceRef:null;;&chart-type=bubbles). თითოეული წერტილი ქვეყანას აღნიშნავს, მისი ფერი – რეგიონს, ხოლო ზომა მოსახლეობის რაოდენობას. კურსორის მიტანით ვხედავთ ქვეყანაში სიცოცხლის ხალგრძლივობას და მის მშპ-ს. წერტილოვანი დიაგრამის ქვემოთ ისარზე დაწკაპუნებით 1800 წლიდან დღემდე დინამიკას გვიჩვენებს. ეს ინტერაქტიული გრაფიკი გვიჩვენებს, რომ ყველა ქვეყანამ საგრძნობი პროგრესი განიცადა მოცემულ წლებში. მთავარი მიზეზი კი მედიცინის განვითარებაა.

რატომ შემცირდა ასე მკვეთრად სიკვდილიანობა, ბევრი რამით შეიძლება აიხსნას, მაგრამ მთავარი მაინც საბაზისო სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დამკვიდრება და მედიცინის მიღწევებია. შეიძლება დავასახელოთ მათი უკეთესი ხელმისაწვდომობაც. იმუნიზაციამ მოიცვა მთელი მსოფლიო. ის განსაკუთრებით ხელმისაწვდომი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების ჯანდაცვის პროგრამებმა. სწორედ ამ გზით შემცირდა მანამდე სასიკვდილო დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა და გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. უნდა ითქვას, რომ კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ სტაბილურობით გამოირჩეოდა, ზრდა უმნიშვნელო იყო. თუმცა მოგვიანებით ზრდის ტემპი საგრძნობლად დაჩქარდა, რამაც 50-იანი წლების შემდეგ სახიფათო კონტურები შეიძინა. ისევ რიცხვებს დავუბრუნდეთ: კაცობრიობის მთელი ისტორია აღმოჩნდა საჭირო, რომ მოსახლეობას 1800 წლისთვის მილიარდიანი ნიშნულისთვის მიეღწია, 1930 წელს კი დედამიწას უკვე 2 მილიარდი მკვიდრი ჰყავდა, რაც ნიშნავს იმას, რომ 130 წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა მოსახლეობის 100%-იანი ზრდისთვის. ამის შემდეგ ტემპი უფრო მეტად გაიზარდა და მხოლოდ 30 წელიწადში მოსახლეობას კიდევ მილიარდი შეემატა. შუალედის შემცირება გაგრძელდა და მომდევნო მატებას მხოლოდ 15 წელი დასჭირდა. დღეს კი 12-13 წელია საკმარისი, რომ მოსახლეობამ 1 მილიარდიანი ზრდა აჩვენოს.

ვაქცინაციის მიმოხილვა

თუკი უკანასკნელ 40 წელს გადავხედავთ, ამ პერიოდში მსოფლიოში 1000-ზე მეტ ეპიდემიასა და პანდემიას ჰქონდა ადგილი. ინფექციური დაავადებები სწრაფად ვრცელდებიან მოსახლეობის გაზრდილი მობილობის გამო. ესენია: ზიკა, სარსი, ქოლერა, მერსი-კოვი, ებოლა, აივ-შიდსი. მათ ნაწილს რეგიონული გავრცელება ახასიათებდა. მათ მოჰყვა

სოციალური, ეკონომიკური უთანაბრობის გამწვავება, შედეგები უზარმაზარი ზიანით ეკონომიკაზე, ადამიანების დანაკარგებით შეიძლება დავახასიათოთ.

კრიზისის დროს ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები კოორდინირებულად მუშაობენ, ერთიანდებიან და ცდილობენ, მაქსიმალურად მოკლე ვადებში დაეხმარონ ქვეყანას, სადაც ეს შემთხვევა გამოვლინდა, რომ არ მოხდეს ინფექციის გავრცელება. უმეტეს შემთხვევაში ეს ხერხდება და ინფექციის შეკავება ხდება დიდი ძალისხმევით, პარალელურად მეცნიერები ცდილობენ მის დამარცხებას.

მხოლოდ ებოლას დროს დაიწერა 40-მდე კვლევა, შემუშავდა საინტერესო რეკომენდაციები, თუმცა როგორც კი ხერხდება ინფექციის დამორჩილება, ფოკუსი იცვლება, თემისადმი ინტერესი იკარგება და გამოცდილებაზე დაფუძნებით აღარ ვემზადებით მომდევნო ეპიდემიისა თუ პანდემიისთვის. არადა, შემდეგი ეპიდემია მხოლოდ დროის საკითხია. საჭიროა, ყველა ასეთი შემთხვევა განვიხილოთ, მისგან ვისწავლოთ და მომავალს ბევრად მომზადებული შევხვდეთ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე იმუნიზაციასთან დაკავშირებით არაერთ საინტერესო ინფორმაციას ამოიკითხავთ. სწორედ ვაქცინაცია ითვლება ინფექციურ დაავადებებთან საბრძოლველ ყველაზე ეფექტურ იარაღად. ვაქცინა იმუნურ სისტემას მომავალი საფრთხისთვის წვრთნის. ის დახოცილი ან მოდიფიცირებული მიკრობებისგან, მათი ნაწილებისგან ან დნმ-ისგან შედგება. ვაქცინა ორგანიზმს „ატყუებს“ – აფიქრებინებს, რომ ინფექცია შეხვდა. იმუნური სისტემა თავს ესხმის მოჩვენებით მტერს და მომავალისთვის ამზადებს. ამ გზით ადამიანი ინფექციის მიმართ იმუნიტეტს გამოიმუშავებს – თუ მას მომავალშიც შეეჯახა, სათანადოდ შეიარაღებული დახვდება. მედიცინაში ასეთი გარღვევა 1796 წელს ედუარდ ჯენერმა შეიმუშავა. შემუშავებული პროცედურა კი პირველად ჩაუტარა რვა წლის ბიჭს. მან აცრისთვის გამოიყენა საქონლის ყვავილით [vaccinia virus, ყვავილვაქცინის ვირუსი] დაავადებული ახალგაზრდა ქალის მასალა. ეს იყო დასაბამი თანამედროვე ვაქცინაციისა – ტერმინი კი ლათინური სიტყვიდან „vacca“ – „ძროხა“ მოდის. ვაქცინაციის ისტორიას XVIII საუკუნის მიწურულიდან, ჯენერის მეთოდის გამოცდის დღიდან ითვლიან. მიუხედავად ასეთი ხანგრძლივი დროისა, ყვავილი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მხოლოდ 1980 წელს მიიჩნია აღმოფხვრილად, რაც გლობალური კამპანიის შედეგი გახდა. მხოლოდ მეოცე საუკუნეში ყვავილს 300 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა. კაცობრიობის ისტორიის ამ და სხვა ღირშესანიშნავ ეპიზოდებს შეგიძლიათ გაეცნოთ National Geographic-ის რიჩარდ კონიფის სტატიაში „როგორ გვცვლის პანდემიები“, აგვისტო, 2020. **როგორ გვცვლის პანდემიები გვემახსოვრება თუ არა ეს გაკვეთილი, როდესაც საფრთხე ჩაივლის?**

საუკუნეებია კაცობრიობა იმუნიზაციის გზით ებრძვის ისეთ დაავადებებს, როგორცაა ყვავილი, პოლიომიელიტი, წითელა, ცოფი და სხვა. ასევე სხვა მიკროორგანიზმებით გამოწვეულ დაავადებებს, როგორებიცაა – შავი ჭირი, ქოლერა, ტუბერკულოზი, დიფთერია, ტეტანუსი, ჯილეხი თუ სხვა. სწორედ საყოველთაო ვაქცინაციის წყალობით ყოველწლიურად 3 მილიონი ბავშვის გადარჩენა ხერხდება. აქვე გვეუბნებიან, რომ იმუნიზაცია, აცრილების გარდა, იცავს აუცრელებსაც, რადგან აცრილთა სიმრავლე დაავადების გავრცელებას აჩერებს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მასობრივი ვაქცინაციის უზრუნველყოფა.

ვაქცინების შემუშავების მეთოდები და ტიპები გასაგებადაა ახსნილი ავერსის ვებგვერდზე [რა სარგებლობა მოაქვს იმუნოზაციას?](#)

აღნიშნული მეთოდებიდან 4 კოვიდის ვაქცინების შესაქმნელად გამოიყენეს. მათ შორისაა ტრადიციული მეთოდი, პროტეინული ერთეულების შეყვანა, ვექტორული ვაქცინა და ინფორმაციული, ანუ მესინჯერ-რნმ ვაქცინები.

ვაქცინაციაზე ხელმისაწვდომობა

ვაქცინაცია საზოგადოებრივ სიკეთეს განეკუთვნება, რადგან ის უკლებლივ ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიისა, სქესისა, ასაკისა, შემოსავლისა, აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს საერთაშორისოდ დადგენილი აუცილებელი ვაქცინები. ამას განვითარებული ქვეყნები თავად უზრუნველყოფენ, ხოლო განვითარებადი ქვეყნების ნაწილი კი, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი თანხები, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, ან UNICEF ეხმარება. იმუნოზაციის პროცესთან დაკავშირებული კოორდინაცია თუ რთულდება, მართვის სათავეები გადადის საერთაშორისო სააგენტოებზე. „გავის ალიანსი“ ამის კარგი მაგალითია. იგი დიდი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობის მიზანია ვაქცინაციის ხელმისაწვდომობა ყველასთვის და განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობისათვის. პანდემიის დროს მას ვაქცინების განაწილების სამართლიანი მექანიზმის შემუშავება და განხორციელება დაევალა.

წარსული პანდემიებიდან მიღებული გამოცდილება აჩვენებს, რომ დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები, როგორც წესი, ვაქცინებს უფრო დიდხანს ელოდებიან, ვიდრე მდიდარი ქვეყნები. ეფექტური ვაქცინების ხელმისაწვდომობის შემთხვევაშიც კი დაბალშემოსავლიანი ქვეყნების დაუცველ პირებს, ნაკლებად აქვთ ვაქცინებზე წვდომა. ამ უსამართლობის აღმოსაფხვრელად, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და კონკურენციის გამო ვაქცინების არასაკმარისი მიწოდების გასაწესებლად შეიქმნა კოვაქსის ინიციატივა, რომელსაც 186 ქვეყანა შეუერთდა. ის უზრუნველყოფს ვაქცინების სამართლიან განაწილებას. სწორედ ამიტომ, რომ კოვიდზე ვაქცინაცია დღეს ქვეყნების გამოსავალი პანდემიის დასასრულებლად.

აივ ინფექცია/შიდსი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის [მონაცემებით](#) ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე მსოფლიოში 32 მილიონ ადამიანზე მეტი გარდაიცვალა შიდსის ვირუსით. მხოლოდ 2018 წელს კი - 770 000 ადამიანი. ამავე წლის ბოლო მონაცემებით შიდსის ვირუსით მსოფლიოში 37,9 მილიონი ადამიანი ინფიცირებული, აქედან 1,7 მილიონი ადამიანი 2018 წელს დაინფიცირდა.

საქართველოში შიდსის პირველი შემთხვევა 1989 წელს გამოვლინდა. საქართველო აივ ინფექცია/შიდსის დაბალი გავრცელების ქვეყნებს მიეკუთვნება. აივ ინფიცირებულების სავარაუდო რიცხვი საქართველოში 10500-ს უტოლდება. ეს კი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, მაინც საკმაოდ სოლიდური რიცხვია.

2019 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით, 1989 წლიდან ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში რეგისტრირებულია აივ-ით ინფიცირების 8028 შემთხვევა, აქედან 6023 - მამაკაცი და 2005 - ქალი. პაციენტთა

უმრავლესობა 29-დან 40 წლამდე ასაკისაა. შიდა განუვითარდა 4197 პაციენტი, 1626 გარდაიცვალა. 2019 წელს გამოვლინდა 594 ახალი შემთხვევა. ვინაიდან აივ ინფექციას დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები არ გააჩნია, მის დიაგნოსტიკაში ლაბორატორიულ გამოკვლევებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. საჭიროა გამოკვლევების ჩატარება განსაკუთრებით კი სარისკო ქცევის შემთხვევებში.

აივ ინფექციის გადაცემის სამი გზა არსებობს:

1. სისხლის გადასხმის და სხვა ინვაზიური მანიპულაციებისას არასტერილური დაბინძურებული სამედიცინო ინტრუმენტების გამოყენებით. ყველაზე ხშირად დაავადება გადადის ნარკოტიკების ინექციური მოხმარებისას აივ ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპრიცებისა და ნემსების გამოყენებით;
2. დაუცველი სქესობრივი კავშირი (პრეზერვატივის გარეშე) აივ ინფიცირებულ პირთან;
3. ინფიცირებული დედიდან ბავშვზე ორსულობის დროს, მშობიარობის ან ძუძუთი კვების შედეგად.

ტუბერკულოზი

ტუბერკულოზი საშიში ინფექციური დაავადებაა, რომელიც დაგვიანებული და არასწორი მკურნალობის შემთხვევაში იწვევს სიკვდილს. ტუბერკულოზი ყველაზე ხშირად აზიანებს ფილტვებს, თუმცა შეიძლება დააზიანოს სხვა ორგანოებიც.

ტუბერკულოზი გლობალური ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. იგი აივ ინფექციის შემდეგ ინფექციური აგენტით გამოწვეული ყველაზე დიდი მკვლეელია მსოფლიოში. მსოფლიოში ტუბერკულოზით ყოველწლიურად დაახლოებით 9 მილიონი ადამიანი ავადდება და 2 მილიონამდე ადამიანი კვდება.

როგორ ვრცელდება ტუბერკულოზი?

ტუბერკულოზის გამომწვევია ე.წ. „კოხის ბაქტერია“, რომელიც 1882 წელს აღმოაჩინა გერმანელმა რობერტ კოხმა. უმეტეს შემთხვევაში ტუბერკულოზი ვრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული პირისგან. ინფექციის მთავარი წყაროა ტუბერკულოზის მიკობაქტერიების შემცველი ავადმყოფის ნახველი, რომელიც უმცირესი სახით გამოიყოფა ხველების, ცემინების ან საუბრის დროს და ჰაერთან ერთად შეიძლება მოხვდეს ჯანმრთელი ადამიანის ფილტვებში, გამოიწვიოს მათი დაავადება. ტუბერკულოზის მიკობაქტერია იწვევს ფილტვის ქსოვილის რღვევას, რაც, მკურნალობის გარეშე დარჩენილი პირისთვის ხდება მძიმე ავადმყოფობის ან სიკვდილის მიზეზი. თუ ადამიანი არ აქცევს სათანადო ყურადღებას საერთო სისუსტეს, დაავადება შეიძლება ფარულად მიმდინარეობდეს და პაციენტმა დაგვიანებით მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას, როდესაც უკვე მკურნალობა საჭიროებს მეტ დროს, ძალისხმევას და, რაც მთავარია, შეიძლება უშედეგო აღმოჩნდეს. ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებულმა პირმა (თუ იგი არ იტარებს სათანადო მკურნალობას), ერთი წლის განმავლობაში შეიძლება დააინფიციროს 10-15 ჯანმრთელი ადამიანი. განსაკუთრებით რისკის ქვეშ იმყოფებიან ავადმყოფის ოჯახის წევრები და მასთან მჭიდრო კონტაქტში მყოფი პირები.

ტუბერკულოზი საშიში ინფექციური დაავადებაა, რომლის მკურნალობა საკმაოდ დიდხანს გრძელდება და მოითხოვს ექიმის ყველა დანიშნულებისა და რჩევის აუცილებელ შესრულებას.

როგორ შეგვიძლია მივაღწიოთ მდგრადი განვითარების მესამე მიზანს?

თუკი ჯანდაცვის საყოველთაო დაფარვა რეალობად იქცევა 2030 წლისთვის, აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისა და გამოყენების ზრდა მნიშვნელოვნად უნდა დაჩქარდეს.

2030 წლისთვის ყველასთვის ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველყოფა მოითხოვს ადებულ ვალდებულებებისადმი ერთგულებას. მიღწეული სარგებელი აჭარბებს ღირებულებას, რადგან ჯანმრთელი ხალხი არის ჯანსაღი ეკონომიკის საფუძველი. იმუნიზაცია არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ეკონომიურად ეფექტური სამედიცინო ჩარევა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვილებში ვაქცინაციის დაფარვა გაიზარდა 72 პროცენტიდან 2000 წელს 86 პროცენტამდე. ფაქტობრივად, 2020 წლის მარტიდან ბავშვობის იმუნიზაციის ყოველწლიური სერვისები ჩაშლილია იმ მასშტაბით, რაც არ ყოფილა დაარსების დღიდან.

რისი გაკეთება შემიძლია დასახმარებლად?

- თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ თქვენი და თქვენს გარშემო მყოფთა ჯანმრთელობის ხელშეწყობით და დაცვით, კარგად ინფორმირებული არჩევანის გაკეთებით, ჯანსაღი ცხოვრების წესით და თქვენი ოჯახის წევრების ვაქცინაციით.
- თქვენ შეგიძლიათ გაზარდოთ ცნობიერება თქვენს საზოგადოებაში კარგი ჯანმრთელობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. ასევე შეგიძლიათ მოითხოვოთ მთავრობისგან ადამიანების უფლების დასაცავად მიიღონ ხარისხიანი მომსახურება, განსაკუთრებით ყველაზე დაუცველებმა, როგორებიც არიან ქალები და ბავშვები.
- იყავით მეტად აქტიური, ივარჯიშეთ, ისეირნეთ, ითამაშეთ.
- იარეთ ფეხით ან ველოსიპედით ყოველთვის, როცა ამის საშუალება გექნებათ.
- დაიცავით სანტარული ნორმები, რომ დაცული იყო გადამდები დაავადებებისგან.
- დაიცავით ჯანსაღი დიეტა, მიიღეთ მეტი ხილი და ბოსტნეული, უარი თქვით სწრაფი კვების საჭმელზე და გაზიან ტკბილ სასმელებზე, დალიეთ ბევრი წყალი.
- არ დაიწყოთ მოწევა, უარი თქვით ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზე.
- გახსოვდეთ, რომ აივ/შიდსი არ დასრულებულა. გქონდეთ ინფორმაცია მის პრევენციაზე, ასევე სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე, რომ დაიცვათ თავი.
- საკმარისი იძინეთ, რადგან ეს დრო აღადგენს დახარჯულ ენერჯიას, მოაქვს სიმშვიდე და ემოციური ბალანსი.

- დაუთმეთ დრო საკუთარ თავს და თქვენს მეგობრებს, გართობა ბალანსირებული და ბედნიერი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანია.
- ღრასდროს შეწყვიტო სწავლა. გარდა გამომუშავებული კომპეტენციებისა, რაც მომავალში დაგეხმარებათ იყოთ რეალიზებული, ეს მომავალში დაგაზღვევთ დეპრესიიდან, ხოლო ხანდაზმულობაში ალცჰეიმერის დაავადებისგან. ყოველთვის შეგიძლიათ რაღაც ახლის სწავლა.
- იკითხეთ ბევრი, შექმენით წიგნის კლუბი, განიხილეთ სპორტსმენების ბიოგრაფიული წიგნები, რომლებიც ნებისყოფის გამომუშავებაზე, რეჟიმზე და მიზნის მიღწევის სირთულეზე, სირთულეების გადალახვაზე მოგითხრობთ.
- მხარი დაუჭირეთ თანატოლებს, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

მ. რატინი, პანდემიით გამოკვეთილი საჭიროებები – არიან თუ არა მოსწავლეები მედიაწიგნიერნი და ინფორმირებულნი, 2021

<https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-45>

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

21. რომელ რეგიონშია ბავშვთა მოკვდაობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი?
 - ა. ლათინური ამერიკა და აღმოსავლეთ აზია
 - ბ. ოკეანეთი და დასავლეთ აფრიკა
 - გ. სამხრეთი აზია და სუბ-საჰარის აფრიკა
 - დ. ცენტრალური აზია და ჩრდილო აფრიკა

22. რა იწვევს სიღარიბის დაავადებებს? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება
 - ა. მოხმარების მაღალი დონე
 - ბ. სამედიცინო სერვისების მიუწვდომლობა
 - გ. სანიტარული პირობების არქონა
 - დ. ჭარბი კალორიები

23. რა პრობლემების მოგვარებისკენ არ იყო მიმართული ათასწლეულის განვითარების მიზნები, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნების წინამორბედი იყო? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა
- ბ. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება
- გ. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება
- დ. თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა
- ე. მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა და ინოვაციების ხელშეწყობა

24. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის მთავარი ფაქტორი? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება
- ბ. მედიცინის განვითარება და ვაქცინაცია
- გ. მოსახლეობის ზრდა
- დ. ქვეყნების ინფრასტრუქტურული განვითარება

25. ნახაზზე მოცემული ფაქტორებიდან რომელია ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მიღწევაში ინდივიდის პასუხისმგებლობა?



- ა. კლინიკური ზრუნვა
- ბ. სოციო-ეკონომიკური ფაქტორი
- გ. ფიზიკური გარემო
- დ. ჯანსაღი ჩვევები

26. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ინფექციურ დაავადებებთან საბრძოლველი ყველაზე ეფექტური იარაღი?

- ა. ანტიბიოტიკები
- ბ. ვაქცინაცია
- გ. კლინიკური მკურნალობა
- დ. ქირურგია

27. რა მიზნით შეიქმნა კოვაქსის პლატფორმა?

- ა. დაავადებულ და გამოჯანმრთელებულ მოსახლეობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით
- ბ. ვაქცინების სამართლიანი განაწილების უზრუნველსაყოფად
- გ. კოვიდთან ბრძოლაში საუკეთესო პრაქტიკების გასაზიარებლად

დ. მოსახლეობის ფსიქო-ემოციური დახმარების მიზნით

28. რა გზით ვრცელდება აივ/შიდსი? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

ა. აირ-წვეთოვანი გზით

ბ. დაუცველი სქესობრივი კავშირით

გ. ინვაზიური არასტერილური მანიპულაციებით

დ. საერთო საყოფაცხოვრებო ნივთების გამოყენებით

ე. სისხლის გადასხმით

29. როგორ შეცვალა COVID -19 პანდემიამ ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მიზნის მიღწევის პროცესი მსოფლიოში? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

ა. დააჩქარა მიზნის მიღწევა

ბ. გაზარდა ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობა

გ. შეაწვავს მიზნის მიღწევა

დ. ჯანდაცვის კრიზისი გამოიწვია

30. რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანი მისდევდეს ჯანსაღი ცხოვრების წესს? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

ა. ადამიანის ჯანმრთელობის მიღწევის მოკლე და ეფექტური გზაა

ბ. გაზარდოს დანახარჯები ჯანდაცვაზე

გ. შეამციროს მეგობრებთან გატარებული დრო

დ. ჰქონდეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრება

მდგრადი განვითარების მიზანი 4:
ინკლუზიური და თანასწორი განათლების
უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის
შესაძლებლობის ხელშეწყობა ყველასათვის.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა ყველასათვის..... 42

რაში მდგომარეობს მიზნის არსი? 42

ქვემიზნები და ამოცანები მე-4 მიზნისთვის „ხარისხიანი განათლება“: 43

ფაქტები და მონაცემები 45

ძირითადი ტერმინების განმარტებები:..... 45

როგორია განათლების მიმართულებით პროგრესი?..... 47

რა გამოწვევები რჩება?..... 47

რისი გაკეთება შეგვიძლია? ინჩეონის დეკლარაცია 48

რისი გაკეთება შემოიძლია დასახმარებლად? 51

გამოყენებული ლიტერატურა:..... 52

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია) 52

რაში მდგომარეობს მიზნის არსი?

2030 წლისთვის გახადოს ხარისხიანი განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი და ხელი შეუწყოს უწყვეტი სწავლის პროცესს.

განათლება უნდა იყოს სოციალურად სამართლიანი, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი და გარემოსადმი დამზოგი და მასზე მზრუნველი. განათლება ზრდის სოციალურ - ეკონომიკურ მობილობას და არის სიღარიბის დაძლევის გასაღები. განათლება ხელს უწყობს უთანასწორობის შემცირებას და გენდერული თანასწორობის მიღწევას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტოლერანტობისა და უფრო მშვიდობიანი საზოგადოებების განვითარებაში და ზოგადად საზოგადოების და ქვეყნების პროგრესში.

განათლება საზოგადოებრივი სიკეთეა და ემსახურება ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ის ასევე, ადამიანის სოციალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, ეხმარება მას თვითრეალიზაციაში. განათლება ასწავლის დომინანტურ ღირებულებებს, რადგან ქვეყნებს

შორის სხვაობაა ამ ღირებულებებში, შესაბამისად განათლების სისტემებიც განსხვავდება ერთმანეთისგან.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული განათლების ხელმისაწვდომობისა და სკოლაში ჩარიცხვის მაჩვენებლების გაზრდის მიმართულებით ყველა დონეზე, განსაკუთრებით გოგონებისთვის. მიუხედავად ამისა, 2018 წელს დაახლოებით 258 მილიონი ბავშვი და ახალგაზრდა ჯერ კიდევ არ სწავლობდა - რაც გლობალური მოსახლეობის სასკოლო ასაკობრივ ჯგუფის თითქმის მეხუთედია.

როდესაც COVID-19 პანდემია მთელს მსოფლიოში გავრცელდა, ქვეყნებმა სკოლები დროებით დახურეს, რამაც გავლენა მოახდინა მოსწავლეთა 91 პროცენტზე. მხოლოდ 2020 წლის აპრილისთვის 1,6 მილიარდი მოსწავლე არ სწავლობდა, ან იყო სწავლების დისტანციურ ფორმატზე გადასული. ქვეყნების ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან და არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე სკოლები სხვადასხვა ხანგრძლივობით დაიხურა (3-დან 29 კვირამდე). სწავლების დისტანციურ ფორმატზე გადასვლა ყველამ ერთნაირად წარმატებით ვერ შეძლო, ასევე ყველა მოსწავლეს არ ჰქონდა სასწავლო პროცესში მონაწილეობის საშუალება, რამაც კიდევ უფრო გაზარდა უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ასეთ სხვაობას „ციფრული გაყოფა“ უწოდეს.

COVID-19 არ არის მხოლოდ ჯანდაცვის სტრესი, სკოლების დახურვას დამანგრეველი გავლენა აქვს ბავშვთა ცხოვრებაზე, განსაკუთრებით ღარიბების. მილიარდზე მეტი ბავშვი ფიზიკური, ემოციური თუ სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, სკოლების დახურვამ ეს მონაცემები კიდევ უფრო გააღრმავა, მოიმატა ადრეულმა ორსულებებმა და ქორწინებებმა.

დეტალურად ქვეყნების და თვეების მიხედვით მონაცემები კარგად აქვს ვიზუალიზებული UNESCO-ს შემდეგ ბმულზე <https://en.unesco.org/covid19/educationresponse>

ქვემოწინები და ამოცანები მე-4 მიზნისთვის „ხარისხიანი განათლება“:

- 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის სრულად უფასო, თანასწორი და ხარისხიანი დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების უზრუნველყოფა, რაც მათ შესაბამის და ქმედით სასწავლო შედეგებს მოუტანს.
- 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარების, ზრუნვისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისათვის.
- 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცისათვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ტექნიკური, პროფესიული და საშუალო და უმაღლესი განათლების, მათ შორის საუნივერსიტეტო განათლების, უზრუნველყოფა.
- 2030 წლისთვის იმ ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა, რომელთაც აქვთ დასაქმებისთვის, ღირსეული სამუშაოსთვის და მეწარმეობისთვის შესაფერისი უნარები, მათ შორის ტექნიკური და პროფესიული უნარები.

- 2030 წლისთვის განათლებაში უთანასწორობების აღმოფხვრა და მოწყვლადი ადამიანებისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, მკვიდრი მოსახლეობისა და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის განათლებისა და პროფესიული სწავლების ყველა დონეზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- 2030 წლისთვის ყველა ახალგაზრდის და ზრდასრული ადამიანების მნიშვნელოვანი რაოდენობის, როგორც ქალების, ისე მამაკაცების მიერ წერა-კითხვისა და არითმეტიკის ცოდნის მიღწევის უზრუნველყოფა.
- 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნას ყველა მოსწავლის მიერ მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად ცოდნისა და უნარების შეძენა, მათ შორის მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების მდგრადი წესის, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, მშვიდობისა და ძალადობისგან თავისუფალი კულტურის ხელშეწყობის, გლობალური მოქალაქეობის, ასევე კულტურული მრავალფეროვნების და მდგრად განვითარებაში კულტურის წვლილის აღიარებისაკენ მიმართული განათლების მეშვეობით.
- ბავშვებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ორიენტირებული და გენდერულად მგრძობიარე სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა და განახლება. ყველასათვის უსაფრთხო, არაძალადობრივი, ინკლუზიური და ეფექტიანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა.
- 2020 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში უმაღლესი განათლების მიღების, მათ შორის პროფესიული გადამზადებისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ტექნიკური, საინჟინრო და სამეცნიერო პროგრამების შესწავლის მიზნით არსებული სტიპენდიების რაოდენობა განვითარებად ქვეყნების წარმომადგენლებისათვის, კერძოდ კი, ყველაზე ნაკლებად განვითარებული, მცირე კუნძულოვანი განვითარებადი და აფრიკული ქვეყნებისათვის.
- 2030 წლისთვის კვლიეფიციური მასწავლებლების რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა, მათ შორის განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში და მცირე კუნძულოვან განვითარებად სახელმწიფოებში მასწავლებელთა ტრენინგის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით.

მეოთხე მიზანს 2 ეროვნული ამოცანა აქვს დამატებული

- 4 4.3 ბ განათლების (მათ შორის უმაღლესი განათლების და პროფესიული სწავლების) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა პატიმართათვის, მათი ინდივიდუალური რისკებისა და საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით
- 4.დ 2025 წლისთვის კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების როლისა და პოტენციალის შესახებ ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების ცოდნის გაზრდა, კულტურისა და ხელოვნების სფეროში განათლების ხელშეწყობა და მასზე ყველა ადამიანის წვდომის უზრუნველყოფა

ფაქტები და მონაცემები

- ✓ კოროვირუსით გამოწვეული კრიზისის დაწყებამდე გათვლებმა აჩვენა, რომ 2030 წელს 200 მილიონზე მეტი ბავშვი სკოლაში არ ივლის, ხოლო ახალგაზრდების მხოლოდ 60 პროცენტი დაამთავრებს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურს.
- ✓ კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის დაწყებამდე დაწყებითი და საშუალო სკოლის ბავშვებისა და მოზარდების წილი, რომლებიც სკოლის გარეთ იყვნენ შემცირდა 2000-2018 წლებში 26-დან 17 პროცენტამდე.
- ✓ ბავშვების ნახევარზე მეტი, ვინც სკოლებში არ ჩაირიცხა, ცხოვრობს სუბ-საჰარის აფრიკაში და ამავე რეგიონის ბავშვების 85 პროცენტზე მეტი ვერ სწავლობენ აუცილებელ მინიმუმსაც.
- ✓ 617 მილიონ ახალგაზრდას მსოფლიოში აკლია მათემატიკური წიგნიერების და წიგნიერების საბაზისო უნარები.
- ✓ მხოლოდ 2016 წელს დაახლოებით 750 მილიონი ზრდასრული, რომელთაგანაც ორი მესამედი ქალია, უსწავლელი, შესაბამისად წერა-კითხვის უცოდინარი დარჩა.
- ✓ წიგნიერების საბაზისო უნარების არმქონე მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს სამხრეთ აზიაში, ხოლო მეოთხედი - სუბ-საჰარის აფრიკაში.
- ✓ გლობალურად 2018 წელს 5,5 მილიონით მეტი გოგონა, ვიდრე ბიჭი არ დადის დაწყებით სკოლაში.
- ✓ ათ დაბალ და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, 19 პროცენტით ნაკლები შანსი ჰქონდათ წიგნიერების მინიმალური დონისთვის მიეღწიათ, ვიდრე მათ თანატოლებს შეზღუდვების გარეშე.
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები 2030 წლისთვისაც სრულად ვერ იქნება მეოთხე მიზნით მოცული და მათგან 200 მილიონი ისევ სკოლის გარეთ დარჩება.
- ✓ 2017 წელს 4 მილიონ ლტოლვილ ბავშვს არ ჰქონდა პირობები, რომ სკოლაში ევლო.
- ✓ მხოლოდ დაწყებითი საფეხურის სკოლების 65%-ს აქვს სკოლაში წყალმომარაგება, რომ მოსწავლეებმა მოახერხონ ხელების დაბანა, რაც კოვიდის პირობებში საბაზისო რეკომენდაციაა.
- ✓ კოვიდ პანდემიის გამო გაიზარდა უთანასწორობა განათლებაზე ხელმისაწვდომობაში, თუ განვითარებადი ქვეყნების მდიდარი ოჯახებიდან ბავშვების 79% ასრულებდა სკოლას, ეს მონაცემი ღარიბი ოჯახებისთვის მხოლოდ 34% იყო.
- ✓ მოშორებული (დისტანციური) სწავლება შემაფერხებელი აღმოჩნდა მრავალი ოჯახისთვის, გამოთვლებით 500 მილიონამდე ბავშვს და მოზარდს არ ქონდა წვდომა ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე, რის გამოც ვერ ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში.

ძირითადი ტერმინების განმარტებები:

ადრეული განათლება - ადრეული განათლება და განვითარება მოიცავს 0-დან 8 წლამდე ასაკის ბავშვის განათლებისა და განვითარების შესახებ მეცნიერულ ცოდნასა და პროფესიულ პრაქტიკას, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველაზე სენსიტიურ და კრიტიკულ პერიოდს

უკავშირდება. ეს არის ინტენსიური ზრდისა და განვითარების ეტაპი, სადაც ხარისხიანი ადრეული განათლებისა და განვითარების კონტექსტი, როგორც სოციალური თანასწორობის პირობა, განსაკუთრებით ღირებულია ერთის მხრივ ბავშვის აწმყოსა და მომავლის, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის.

დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლება - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების საფეხურებია. საფეხურების სახელწოდებები და წლები ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. დაწყებითი ქვედა საფეხურია და ძირითადად სწავლების პირველ 6 წელს მოიცავს, საბაზო, უმეტესად 3 ან 4 წელი გრძელდება, ჩვენთან 3 წელი და მოიცავს მე-7-9 კლასებს) და საშუალო საფეხური, რომელიც ძირითადად დამამთავრებელ 2-3 კლასს მოიცავს. ჩვენთან 3 წელი მე-10-12 კლასებს.

ინჟინის დეკლარაცია - განათლება 2030-ის სამოქმედო ჩარჩო, 2015 წლის 4 ნოემბერს პარიზში, იუნესკოს შტაბბინაში, 38-ე გენერალურ კონფერენციაზე დამტკიცებული დოკუმენტი. მოქმედების ჩარჩო ქვეყნებისთვის წარმოადგენს გზამკვლევს, თუ როგორ განახორციელონ 2030-ის პროგრამა. ის მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული მხარის მობილიზებას განათლებასთან დაკავშირებული ამბიციური მიზნების და ამოცანების შესასრულებლად და სთავაზობს პროგრამის განხორციელების, კოორდინირების, დაფინანსების და გადახედვის გზებს როგორც ადგილობრივ და ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე - იმისთვის, რომ უზრუნველყოფილიყოს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის.

იუნესკო (UNESCO) - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, — გაეროს სპეციალიზებული სააგენტო. მისი მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის ხელი შეუწყოს განათლებისა და კულტურის გავრცელებას, მეცნიერების განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას რასის, სქესის, ენისა და რელიგიის მიუხედავად.

საბაზისო უნარები - ზოგადად შეეხება წერა-კითხვასა და ანგარიშს; ლისაბონის საბჭოს მოწოდებით კი მათ დაემატა ახალი უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის, კერძოდ კი: საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები და მეწარმეობა.

ციფრული გაყოფა - პროცესი რომელიც ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობის გამო ზრდის უთანაბრობას მდიდრებსა და ღარიბებს შორის განათლებაში.

წიგნიერება - ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლებელს ხდის ენის ეფექტურ გამოყენებას სწავლისა და კომუნიკაციის მიზნით როგორც სასკოლო, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში. მოიცავს კითხვის, მოსმენის, ზეპირი მეტყველების და წერის უნარებს; აგრეთვე ენის სიმბოლოების ამოცნობა-გამოყენების უნარს, ისევე, როგორც ზეპირი, ვიზუალური, ნაბეჭდი, თუ ციფრული ტექსტების გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს.

როგორია განათლების მიმართულებით პროგრესი?

ხარისხიანი განათლება არის მდგრადი განვითარების აუცილებელი წინაპირობა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიურ განათლებაზე წვდომა ადგილობრივ მოსახლეობას მისცემს ყველა იმ მექანიზმს, რაც საჭიროა მსოფლიოს წინაშე არსებული უდიდესი გამოწვევების ინოვაციური გადაწყვეტისათვის.

დაწყებითი სკოლის დამთავრების მაჩვენებელმა 2018 წელს იყო 84%, რაც 2000 წლის მაჩვენებელს 14%-ით აღემატებოდა, მიმდინარე ტენდენციებით კი 2030 წლისთვის გლობალურად 89 პროცენტს მიაღწევს.

მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ყველა საფეხურის განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, ამასთანავე, გაიზარდა გოგონების სკოლაში ჩარიცხვის მაჩვენებელიც. საგრძნობლად გაუმჯობესდა წიგნიერების საბაზისო უნარ-ჩვევები, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი საყოველთაო განათლების მიზნის მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ 200-2015 წლების პროგრესი ათასწლეულის განვითარების მიზნების დიდი ძალისხმევის შედეგია, როცა გლობალური ძალისხმევის შედეგად განვითარებად ქვეყნებში ბიჭები და გოგონების დიდი ნაწილი სკოლებში წავიდა. თუმცა სკოლაში სიარული არ ნიშნავს მაღალ აკადემიურ მიღწევებს. განსაკუთრებით მოწყვლადები არიან მარგინალიზებული ჯგუფები, მიგრანტები, ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, რომელთა შორის გოგონები ჭარბობს. 52% ბავშვებისა ასრულებს დაწყებით საფეხურს დაგეგმილი აკადემიური შედეგით, 10% ახლოსა ამ მონაცემებთან, ხოლო 38% ვერ აღწევს შესაბამის წიგნიერების დონეს.

ხარისხიანი განათლების ნაკლებობის მიზეზია სკოლებში არსებული ცუდი პირობები, სათანადოდ მომზადებული მასწავლებლების ნაკლებობა. იმისათვის, რათა სიღარიბეში მცხოვრებმა ბავშვებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება, საჭიროა მასწავლებლების გადამზადება, რომ მათ შეძონ ახალი გამოწვევების საპასუხოდ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა.

2011-2019 წლებში 74 ქვეყანაში შეიკრიბა მონაცემები სამი და ოთხი წლის ასაკის ბავშვებზე. ათიდან შვიდი ბავშვი განვითარების სწორ გზაზე იყო წიგნიერების, ფიზიკური და სოციალურ-ემოციური განვითარების მიხედვით. 2018 წელს ზრდასრულთა წიგნიერების დონე (15 წლის და უფროსი ასაკი) იყო 86 პროცენტი, ხოლო ახალგაზრდების წიგნიერების დონე (15 -დან 24 წლამდე) - 92 პროცენტი.

რა გამოწვევები რჩება?

მიუხედავად წლების მიხედვით ჩარიცხვის მაჩვენებლების სტაბილური ზრდისა, არასაკმარისი აკადემიური მიღწევები, განათლების ხარისხი კვლავ პრობლემად რჩება.

2018 წელს, დაახლოებით 773 მილიონი ზრდასრული - მათგან ორი მესამედი ქალი - უსწავლელი დარჩა ვერ განივითარა წიგნიერების საბაზისო უნარები. COVID-19- ის გამო სკოლის დახურვის დიდი მასშტაბები შეაფერხებს პროგრესს განათლებაზე.

ყველაზე მეტად განათლების მიღებაში ბარიერები აქვთ სუბ-საჰარის აფრიკის მოსახლეობას, არასაკმარისი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით, რესურსებით, მასწავლებლების დეფიციტით. ამ რეგიონში სკოლების ნახევარზე ნაკლებს არ აქვთ სასმელი წყალი, ელექტროენერგია, კომპიუტერი და ინტერნეტი.

ქალები და გოგონები ერთ-ერთი დიდი ჯგუფია, რომლებსაც ეზღუდებათ განათლების მიღების უფლება. განვითარებადი ქვეყნების დაახლოებით მესამედმა ვერ მიაღწიეს გენდერულ პარიტეტს თუნდაც დაწყებით განათლებაში. განათლების ეს ნაკლოვანებები ასევე ახალგაზრდა ქალებს მომავალში შრომის ბაზარზე ხელმისაწვდომობას უზღუდავს.

ყურადსაღებია მიგრანტების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა და წვდომა განათლების სერვისებზე, ხშირია, რომ მათ ხშირად არასათანადო დონის მომსახურება მიეწოდებათ. ასევე ამ ჯგუფებში მაღალია სკოლის მიტოვების აჩვენებელიც, რაც ადრეულ ქორწინებებს, გაზრდილ კრიმინალს იწვევს, ასევე არასრული განათლება დაბალშემოსავლიანი სამსახურში დასაქმების შესაძლებლობას თუ იძლევა.

დაწყებით განათლებაზე პროგრესის მიუხედავად, პრობლემა რჩება განათლების მომდევნო, ზედა საფეხურებზე. აქ პროგრესი დასაჩქარებელია.

რისი გაკეთება შეგვიძლია? ინჩეონის დეკლარაცია

მთავრობებმა განათლება პრიორიტეტად უნდა აღიარონ და გადადგან ქმედითი ნაბიჯები უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, მასწავლებლების მოსამზადებლად.

ინჩეონის დეკლარაციის ხელმომწერები არიან ქვეყნების ლიდერები, სადაც არის ჩამოყალიბებული ხედვა, მათი დასაბუთებები და პრინციპები, თუ როგორ უნდა ტანსფორმირდეს განათლების სისტემა:

განათლებას ცენტრალური ადგილი უკავია მდგრადი განვითარების 2030-ის დღის წესრიგში და მდგრადი განვითარების მიზნების წარმატებით განხორციელების განუყოფელი შემადგენელია. აღიარებულია რა, განათლების მნიშვნელოვანი როლი, მდგრადი განვითარების 2030-ის დღის წესრიგი ცალკე მიზნად (მე-4 მიზანი) გამოყოფს განათლებას და ამასთან ერთად, მდგრადი განვითარების რამოდენიმე სხვა მიზანი მოიცავს განათლების სფეროს სამიზნეებს, განსაკუთრებით ის მიზნები, რომელებიც უკავშირდება ჯანმრთელობას, ეკონომიკურ ზრდას და დასაქმებას, მდგრად მოხმარებას, წარმოებას და და კლიმატის ცვლილებას.

განათლებას მართლაც შეუძლია დააჩქაროს პროგრესი მდგრადი განვითარების ყველა მიზნის მიღწევის გზაზე და აქედან გამომდინარე, თითოეული ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს. განახლებული განათლების დღის წესრიგი მთავრობების პასუხისმგებლობაა, რომელიც ასახულია ცენტრალურ და ფედერალურ სისტემებში. გარდა ამისა, განათლების მართვის და მიწოდების დეცენტრალიზებული პასუხისმგებლობა გავრცელებული პრაქტიკაა ბევრ ქვეყანაში, რომელთაც არ გააჩნიათ ფედერალური სისტემა.

მე-4 მიზანში ყოვლისმომცველი, ერთიანი, ამბიციური, სასურველი და უნივერსალურია და შთაგონებულია ისეთი განათლების ხედვით, რომელიც გარდაქმნის ადამიანების, თემების, საზოგადოებების ცხოვრებას და არავის ტოვებს ცვლილების მიღმა. დღის წესრიგი აღიარებს წინა მიღწევებს, ეფუძნება წინა პერიოდში მიღებულ გაკვეთილებს და ფოკუსირდება შეუსრულებელ ნაწილებზე. ამავდროულად, ეფექტურად პასუხობს განათლების სფეროს მიმდინარე და მომავალ გამოწვევებს გლობალურ და ეროვნულ დონეზე. იგი ეყრდნობა ადამიანის უფლებების და ღირსების პრინციპებს, სოციალურ სამართლიანობას, მშვიდობას, ინკლუზიას და დაცულობას და ასევე, კულტურულ, ლინგვისტურ და ეთნიკურ მრავალფეროვნებას და გაზიარებულ პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას.

განათლება 2030-თან დაკავშირებულ სიახლეს წარმოადგენს ფოკუსირება ხელმისაწვდომობაზე, ინკლუზიაზე, თანასწორობაზე, ხარისხზე და სწავლების შედეგებზე ყველა დონეზე სიცოცხლის მანძილზე სწავლების მიდგომის ფარგლებში. ყველას მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა და არავინ დარჩეს შესაძლებლობის მიღმა – გაზრდილი ძალისხმევით საჭიროებაზე, რომელიც განსაკუთრებით იქნება მიმართული იმაზე, რომ მოვიცვათ ისინი, ვინც მარგინალიზირებულნი არიან ან იმყოფებიან მოწყვლად სიტუაციაში. ყველა ადამიანს, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, რასისა, ფერისა, ეთნიკური კუთვნილებისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი მდგომარეობისა თუ დაბადების ადგილისა, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მიგრანტებს, აბორიგენებს, ბავშვებს და ახალგაზრდებს, განსაკუთრებით მოწყვლად სიტუაციაში მყოფთ ან სხვა სტატუსის მქონეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ინკლუზიურ, თანასწორ ხარისხიან განათლებაზე და სიცოცხლის მანძილზე სწავლების შესაძლებლობებზე. ფოკუსირება განათლების ხარისხზე, რომ განათლების ხელმისაწვდომობაზე კონცენტრაციის დროს საკმარისი ყურადღება არ მიექცეს იმას, სწავლობენ თუ არა მოსწავლეები და ეუფლებიან თუ არა შესაბამის უნარებს მას შემდეგ, რაც სკოლაში მოხვდებიან. „ჩვეულებრივი საქმიანობა“ ვერ მოიტანს პროგრესს, ვერ დაიძლევა ახალი სამიზნეები 2030 წლისათვის. ეს ნიშნავს, რომ უკიდურესად მნიშვნელოვანია შეიცვალოს მიმდინარე პრაქტიკა და უპრეცედენტო სისწრაფით იქნეს მოზილიზებული ძალისხმევა და რესურსები.

განათლება 2030-ის კიდევ ერთი ახალი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი უნივერსალურია და მთელ მსოფლიოს, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს თანაბრად ეკუთვნის. განვლილი წლებიდან მიღებული მთავარი გაკვეთილი არის ის, რომ განათლების გლობალური დღის წესრიგი უნდა მოქმედებდეს საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში, მტკიცედ იყოს დაკავშირებული ჰუმანიტარულ ვალდებულებასთან.

დღეს განათლება 2030 დანახულ უნდა იქნას განვითარების უფრო ფართო კონტექსტში. განათლების სისტემები უნდა შეესაბამებოდნენ და პასუხობდნენ სწრაფად ცვალებად დასაქმების ბაზარს, ტექნოლოგიურ წინსვლას, ურბანიზაციას, მიგრაციას, პოლიტიკურ არასტაბილურობას, გარემოს დეგრადაციას, სტიქიურ საფრთხეებს და კატასტროფებს, კონკურენციას ბუნებრივი რესურსებისთვის, დემოგრაფიულ გამოწვევებს, მზარდ უმუშევრობას გლობალური მასშტაბით, მუდმივ სიღატაკეს, გაზრდილ უთანსწორობას და

მომატებულ საფრთხეებს, რომელიც ემუქრება მშვიდობას და უსაფრთხოებას. 2030-თვის განათლების სისტემებმა საჭიროა, რომ შესაძლებლობა მისცენ დამატებით ასობით მილიონ ბავშვს და მოზარდს მიიღონ საბაზო განათლება; ასევე, უზრუნველყონ თანაბარი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა სრულ საშუალო და საშუალოს შემდგომ განათლებაზე ყველასათვის. ამავდროულად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მიწოდებულ იქნას ადრეული ბავშვობის მოვლის სერვისები და განათლება ბავშვების გრძელვადიანი განვითარების, სწავლის და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. განათლების სისტემების მიერ ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა ბავშვი, ახალგაზრდა და ზრდასრული სწავლობდეს და ეუფლებოდეს შესაბამის უნარებს. ბავშვებმა, ახალგაზრდებმა და ზრდასრულებმა განვითარონ მოქნილი უნარები და კომპეტენციები, რომელიც მათ სჭირდებათ უფრო დაცულ, მდგრად, ურთიერთდამოკიდებულ, ცოდნაზე დაფუძნებულ და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მსოფლიოში ცხოვრებისათვის და მუშაობისათვის.

განათლება 2030 უზრუნველყოფს, რომ ყველა ადამიანი მიიღოს ცოდნის მყარი საფუძველი, განვითაროს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, ერთობლივი უნარები და განვითაროს ცნობისმოყვარეობა, გამბედაობა და შეუპოვრობა. ყურადღების გამახვილება მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე განათლებასა და ადამიანის განვითარებას და ეკონომიკას, სოციალურ და ეკოლოგიურ მდგრადობას შორის. განათლება განიხილება როგორც განუყოფელი და გადამწყვეტი ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და გლობალური მოქალაქეობის გაძლიერებას, ტოლერანტობას და სამოქალაქო ჩართულობას და ასევე, მდგრად განვითარებას. განათლება ფასილიტაციას უწევს კულტურებს შორის დიალოგს და აწვითარებს პატივისცემას კულტურული, რელიგიური და ლინგვისტური მრავალფეროვნების მიმართ, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია სოციალური ერთსულოვნების და სამართლიანობის მისაღწევად. სარგებელი უზარმაზარია იმ ქვეყნებისთვის და საზოგადოებებისთვის, რომლებმაც აღიარეს ხარისხიანი განათლების მიწოდების საჭიროება.

განათლებას მთავარი როლი ენიჭება სიღარიბის აღმოფხვრაში: იგი ეხმარება ადამიანებს მიიღონ ღირსეული სამსახური, ზრდის მათ შემოსავლებს და იწვევს პროდუქტიულობის ზრდას, რაც ასაზრდოებს ეკონომიკურ განვითარებას. განათლება წარმოადგენს ყველაზე ძლიერ საშუალებას გენდერული თანასწორობის მისაღწევად, აძლევს რა გოგონებსა და ქალებს სრული პოლიტიკური და სოციალური მონაწილეობის შესაძლებლობას, და ანიჭებს მათ ეკონომიკურ ძალაუფლებას.

განათლება, ასევე, ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებაა ადამიანების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. იგი სიცოცხლეს უნარჩუნებს მილიონობით დედასა და ბავშვს, ხელს უწყობს ავადმყოფობის პრევენციას და შეჩერებას და არასაკმარისი კვების პრობლემის შემცირებისკენ მიმართული ძალისხმევის არსებით ელემენტს წარმოადგენს. გარდა ამისა, განათლება ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობას. ასევე, ის დაცვის საიმედო საშუალებაა ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის და ზრდასრულებისთვის, რომელთა ცხოვრება განადგურდა კრიზისის და კონფლიქტის გამო,

და აღჭურავს მათ ინსტრუმენტებით, რათა აღადგინონ საკუთარი ცხოვრება და თემები. განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები გვხვდება იქ, სადაც კონფლიქტი და საგანგებო მდგომარეობაა. ამიტომ სისტემები უნდა იყოს მეტად გამძლე და ოპერატიული კონფლიქტის, სოციალური არეულობის და ბუნებრივი საფრთხეების პირობებში, და უზრუნველყოფილ იქნას განათლების შენარჩუნება საგანგებო სიტუაციის, კონფლიქტის და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში. განათლებას ასევე ცენტრალური ადგილი უკავია კონფლიქტების და კრიზისების პრევენციაში, შერბილებაში და მშვიდობის ხელშეწყობაში.

ძრითადი პრინციპებია: განათლება ადამიანის ფუნდამენტური და შესაძლებლობების მიმცემი უფლებაა. ამ უფლების რეალიზებისთვის, ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ საყოველთაო თანაბარი ხელმისაწვდომობა ინკლუზიურ და თანასწორ ხარისხიან განათლებაზე და სწავლებაზე, რომელიც იქნება უფასო და სავალდებულო და არავის დატოვებს პროცესებს მიღმა. განათლების მიზანს უნდა წარმოადგენდეს პიროვნების სრული განვითარება და ხელს უწყობდეს ურთიერთგაგებას, ტოლერანტობას, მეგობრობას და მშვიდობას. განათლება საზოგადოებრივი სიკეთეა, რომელზედაც ვალდებულება ადებული აქვს სახელმწიფოს. განათლება საერთო საზოგადოებრივი ძალისხმევაა, რომელიც გულისხმობს საჯარო პოლიტიკის ფორმულირების და განხორციელების ინკლუზიურ პროცესს. სამოქალაქო საზოგადოებას, მასწავლებლებს და აღმზრდელებს, კერძო სექტორს, თემებს, ოჯახებს, ახალგაზრდებს და ბავშვებს – ყველას აქვს მნიშვნელოვანი როლი ხარისხიანი განათლების უფლების რეალიზებაში. გენდერული თანასწორობა განათლებაზე ყველას უფლების განუყოფელი ნაწილია. გენდერული თანასწორობის მიღწევა მოითხოვს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ გოგონებმა და ვაჟებმა, ქალებმა და კაცებმა არა მხოლოდ მიიღონ წვდომა და დაასრულონ საგანმანათლებლო ციკლი, არამედ აღჭურვილნი იყვნენ თანაბარი უფლებებით განათლების პროცესის მანძილზე.

რისი გაკეთება შემიძლია დასახმარებლად?

- ✓ გაეცანი გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოში არსებულ მდგომარეობას https://idfi.ge/ge/education_sdg_4
- ✓ მოხალისეობრივად ჩაერთე სასწავლო ცენტრების საქმიანობაში, რომლებიც ასწავლიან მოწყვლად ჯგუფებს; დაეხმარე მიგრანტებს და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ისწავლონ სახელმწიფო ენა. შენი დრო ფულზე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს.
- ✓ დაეხმარეთ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს ან ბაღის აღმზრდელებს მოხალისეობრივად, მოაწყვეთ კითხვის საათები, წაუკითხეთ თქვენი საყვარელი ზღაპრები თუ მოთხრობები.
- ✓ მოაწყვეთ საგანმანათლებლო ვიზიტები სკოლის გარეთ, ეწვიეთ მუზეუმებს, პლანეტარიუმებს, თემატურ ადგილებს.

- ✓ შეარჩიეთ და წაიკითხეთ წიგნი, ან ნახეთ ფილმი განათლების მნიშვნელობაზე, მაგალითად, ცნობილი მეცნიერების ბიოგრაფიები, მოუსმინეთ საინტერესო პრეზენტაციორებს TED Talk-ზე. მოაწყვეთ განხილვა კლასში.
- ✓ დაუმეგობრდით სხვა სკოლებს და გაცვალეთ წიგნები, მოაწყვეთ ერთობლივი დისკუსიები.
- ✓ ხშირად გაუზიარეთ გამოცდილება თანატოლებს და ისწავლეთ მათგან, ჩართეთ მარგინალიზებული ჯგუფები, რომ თქვენს გარემოცვაში კომფორტულად იგრძნონ თავი.
- ✓ დაესწარით ღია სემინარებს, ლექციებს, ეს ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ძალიან ადვილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

განათლება 2030: ინჩონის დეკლარაცია და სამოქმედო ჩარჩო ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლებისა და სიცოცხლის მანძილზე სწავლებისაკენ, 2014 წ.

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

1. ეწვიეთ UNESCO-ს ვებგვერდზე სკოლების დახურვის ინტერაქტიულ რუკას (Total duration of school closures) <https://en.unesco.org/covid19/educationresponse>, რომელზეც ფერებით აღნიშნულია დახურვის ხანგრძლივობა, რაც უფრო მცირე დროით იყო სკოლები დახურული, ასეთი ქვეყანა ბაცი ლურჯითაა, ხოლო უფრო ხანგრძლივი დახურვის შემთხვევები მუქ ლურჯადაა მოცემული. ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან მონიშნეთ ისინი, რომლებიც პანდემიის გამო 31 კვირაზე მეტხანს იყვნენ დახურულები
 - ა. ავსტრალია
 - ბ. ბრაზილია
 - გ. ესპანეთი
 - დ. კანადა
 - ე. ლიბია
 - ვ. ნორვეგია
 - ზ. საქართველო
2. რა შედეგები მოაქვს სკოლების ხანგრძლივ დახურვას მარგინალიზებული ჯგუფებისთვის?
 - ა. მასწავლებლები ციფრულ უნარებს იძენენ

- ბ. მოსწავლეები ციფრულ უნარებს იძენენ
- გ. ვითარდება ტექნოლოგიები
- დ. ღრმავდება ციფრული დაყოფა

3. რომელ რეგიონშია საბაზისო უნარების არმქონე მოსახლეობის ყველაზე მაღალი წილი?

- ა. აღმოსავლეთ აზია
- ბ. ოკეანეთი
- გ. სუბ-საჰარის აფრიკა
- დ. ცენტრალური აზია

4. განვითარებად ქვეყნებში რომელი ჯგუფი რჩება ხშირად განათლების მიღმა?

- ა. ბიჭების, რომლებიც ბავშვთა შრომაში არიან ჩაბმულები შემოსავლის მიღების მიზნით
- ბ. გოგონების, რომლებიც საოჯახო საქმეებში არიან ადრეული ასაკიდანვე ჩართულები
- გ. სპორტსმენების, რომლებიც ემზადებიან სპორტული თამაშებისთვის
- დ. მდიდრების შვილების, რომლებიც სახლში ღებულობენ განათლებას კერძო რეპეტიტორებთან

5. რა იგულისხმება ხარისხიან განათლებაში? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. ასწავლის წერა-კითხვას და ანგარიშს
- ბ. იყენებს ტექნოლოგიებს და ავითარებს ციფრულ კომპეტენციებს
- გ. პასუხობს სწრაფად ცვალებადი დასაქმების ბაზარს
- დ. პასუხობს გლობალურ გამოწვევებს
- ე. ხელმისაწვდომია უმრავლესობისთვის

6. მონიშნეთ ქვემოთ მოყვანილი სწორი დებულება

- ა. მე-4 მიზანი მიმართულია კორონავირუსის პანდემიის შედეგების აღმოფხვრისკენ განათლებაში
- ბ. მე-4 მიზანი უზრუნველყოფს განათლების ინკლუზიურობას და თანასწორობას ყველასათვის
- გ. მე-4 მიზანი ძირითადად მიმართულია ადრეულ და დაწყებით საფეხურებზე განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ
- დ. მე-4 მიზანი ძირითადად მიმართულია საბაზო და საშუალო საფეხურებზე განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ

7. რომელ გლობალურ საფრთხეებს უნდა პასუხობდეს განათლება? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. გაზრდილ უთანსწორობას
- ბ. გარემოს დეგრადაციას

- გ. დემოკრატიის კრიზისს
- დ. მიგრაციას
- ე. სტიქიურ საფრთხეებს და კატასტროფებს
- ვ. ტექნოლოგიურ წინსვლას და ინოვაციებს
- ზ. ყველა პასუხი სწორია

8. მდგრადი განვითარების მიზნებში განათლება მხოლოდ მე-4 მიზანშია წარმოდგენილი

- ა. მცდარია
- ბ. ჭეშმარიტია

9. ინჩონის დეკლარაცია წარმოადგენს

- ა. განათლების 5 წლიან სამოქმედო ჩარჩოს გაეროს წევრი ქვეყნებისთვის
- ბ. განათლების 15 წლიან სამოქმედო ჩარჩოს გაეროს წევრი ქვეყნებისთვის
- გ. განათლების 5 წლიან სამოქმედო ჩარჩოს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის
- დ. განათლების 15 წლიან სამოქმედო ჩარჩოს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის

10. ათასწლეულის განვითარების მიზნების შემდეგ რა გამოწვევები დარჩა განათლებაში? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. განათლების დაბალი აკადემიური ხარისხი განვითარებად ქვეყნებში
- ბ. გოგონათა არასაკმარისი ჩართულობა განვითარებად ქვეყნებში
- გ. მასწავლებლების დეფიციტი და დაბალი კვალიფიკაცია განვითარებულ ქვეყნებში
- დ. სკოლების ინფრასტრუქტურული პრობლემები განვითარებად ქვეყნებში
- ე. ყველა პასუხი სწორია

მდგრადი განვითარების მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას გაძლიერება.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას გაძლიერება. 55

რაში მდგომარეობს მიზნის არსი? 55

ქვემიზნები მიზნისთვის „გენდერული თანასწორობა“: 56

ფაქტები და მონაცემები: 57

გენდერული თანასწორობის არსი..... **Error! Bookmark not defined.**

ტერმინები..... 58

გენდერული უთანასწორობის მიზეზები 59

როგორ იზომება გენდერული თანასწორობა 62

როგორი პროგრესი გვაქვს მიღწეული?..... 64

გენდერთან დაკავშირებული რა გამოწვევები რჩება? 65

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ საკითხების მოსაგვარებლად?..... 65

მე რისი გაკეთება შემიძლია 65

გამოყენებული ლიტერატურა:..... 66

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია) 66

რაში მდგომარეობს მიზნის არსი?

ყველა ქალისა და გოგონას გაძლიერება, იმისთვის რომ მიიღწეს გენდერული თანასწორობა.

გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებაა. ქალებს უფლება აქვთ, იცხოვრონ ღირსეულად, სიღარიბისა და შიშის გარეშე. ქალთა გაძლიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარების მისაღწევად და სიღარიბის აღმოსაფხვრელად, აუცილებელი საფუძველია მშვიდობიანი, სამართლიანი, წარმატებული და მდგრადი მსოფლიოსთვის. ძლიერი ქალები ხელს უწყობენ ოჯახებისა და თემების კეთილდღეობას და პროდუქტიულობას და მომავალი თაობის სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესებას.

მაშინ, როდესაც ათასწლეულის განვითარების მიზნების ფარგლებში (გოგონებისთვის და ბიჭებისთვის დაწყებით განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა) მსოფლიომ მიაღწია დაწყებით საფეხურზე გოგონების ჩართვას და ამით გოგონათა გაძლიერებას, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ქალები ჯერ კიდევ არიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი.

სამწუხაროდ, დღეისათვის, ყოველწლიურად საშუალოდ 15-49 წლამდე ასაკის ქალების ყოველი მეხუთე აცხადებს მათი პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ან სექსუალური შევიწროვების შესახებ. ამასთან მსოფლიოს მასშტაბით 49 ქვეყანის ფარგლებში ჯერ კიდევ არ არის მიღებული კანონმდებლობა ქალების ოჯახური ძალადობისგან დასაცავად.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით პროგრესი სახეზეა, თუმცა ჯერ კიდევ აქვს ადგილი ნაადრევ ქორწინებებსა და ქალთა გენიტალიების დასახიჩრებას, რაც გასული ათწლეულის განმავლობაში შემცირებული იქნა 30%-ით, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამ ზიანისმომტანი პრაქტიკის სრულად აღმოსაფხვრელად.

ქალებისათვის განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ღირსეულ სამუშაოებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ასევე, მათი წარმომადგენლობა პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელს შეუწყობს მდგრად ეკონომიკას და დიდ სარგებელს მოუტანს საზოგადოებას და ზოგადად, კაცობრიობას. სამუშაო ადგილზე ქალთა თანასწორობისათვის ახალი სამართლებრივი ჩარჩოების დანერგვა და ქალთა მიმართ ძალადობრივი პრაქტიკის აღმოფხვრა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იმისათვის, რათა დასრულდეს ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული გენდერული დისკრიმინაცია.

ქართულ სინამდვილეში გენდერზე საუბარი არასწორი ინტერპრეტაციით მიმდინარეობს, სამწუხაროდ, მხოლოდ ქალთა პრობლემებზე მსჯელობას გულისხმობს. საქართველოში არსებული გენდერული დისბალანსი უბიძგებს საზოგადოებას, გენდერი ქალთა ინტერესებისთვის ბრძოლასთან გააიგივოს. ეს კი გვიჩვენებს, რომ რადიკალურ და არასწორ მიდგომასთან გვაქვს საქმე, ამიტომ აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სწორი პოლიტიკის გატარება ამ მიმართულებით

ქვემიზნები მიზნისთვის „გენდერული თანასწორობა“:

- ყველა ადგილას ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
- ყველა ქალისა და გოგონას მიერ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა.
- ყოველგვარი მავნე პრაქტიკის, როგორებიც არის ბავშვთა ქორწინება, ადრეულ ასაკში და იძულებით ქორწინება, ასევე ქალთა წინადაცვეთა აღმოფხვრა.

- აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობის აღიარება და დაფასება საოჯახო მეურნეობასა და ოჯახში საზიარო პასუხისმგებლობის დამკვიდრების მეშვეობით. ასევე საჯარო სერვისების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის მომსახურების უზრუნველყოფა.
- პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და თანასწორი შესაძლებლობების, ასევე გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ლიდერობის უზრუნველყოფა.
- სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის შეთანხმებული სამოქმედო პროგრამით და პეკინის სამოქმედო პლატფორმით, ასევე მათი გადასინჯვის მიზნით გამართული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტებით.
- რეფორმების გატარება იმ მიზნით, რომ ქალებს მიენიჭოთ მამაკაცების თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებზე, მიწისა და სხვა ფორმის ქონების, ფინანსური სერვისების, მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების ფლობაზე წვდომა და კონტროლი, ეროვნული კანონების შესაბამისად.
- მოწინავე ტექნოლოგიების, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით.
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის ჯანსაღი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავება და ყველა ქალსა და გოგონას შესაძლებლობების გაძლიერება.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ მსოფლიოს მასშტაბით 750 მილიონი ქალია დაქორწინებული 18 წლამდე ასაკში და სულ მცირე 200 მილიონი ქალი გამხდარა გენიტალიების დასახიჩრების მსხვერპლი მსოფლიოს 30 ქვეყანაში. 2000 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი საგრძნობლადაა შემცირებული გოგონების ნახევრიდან მესამედამდე 2017 წელს.
- ✓ მსოფლიოს 18 ქვეყანაში ქმარს სამართლებრივად აქვს უფლება მეუღლეს აუკრძალოს მუშაობა; მსოფლიოს 39 ქვეყანაში გოგონებს და ბიჭებს არ აქვთ თანაბარი მემკვიდრეობითი უფლებები, ხოლო მსოფლიოს 49 ქვეყანას ჯერ კიდევ არ აქვს სათანადო კანონმდებლობა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ქალების ოჯახური ძალადობისგან დაცვა.
- ✓ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ყოველი მეხუთე ქალი (რომელთა 19%-ს შეადგენს 15-49 წლამდე ასაკის ქალი) გამხდარა ფიზიკური ან/და სექსუალური შევიწროვების მსხვერპლი საკუთარი პარტნიორის მხრიდან. თუმცა, ჯერ კიდევ 49 ქვეყანას არ აქვს სათანადო კანონმდებლობა იმისათვის, რათა ქალები დაიცვას მსგავსი ძალადობისგან.

- ✓ მაშინ, როდესაც მსოფლიოს მასშტაბით ქალებმა მნიშვნელოვნად გაიკვალეს გზა პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი წარმომადგენლობა ეროვნულ პარლამენტში შეადგენს 23.7%-ს, რაც ჯერ კიდევ შორს არის პარიტეტულობისგან.
- ✓ ამ ეტაპზე მხოლოდ 46 ქვეყანაში უკავიათ ქალებს ეროვნული პარლამენტის 30%-ზე მეტი მანდატი.
- ✓ ქალების მხოლოდ 52%-მა მიიღო დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მათი ქორწინების, სქესობრივი კავშირის, კონტრაცეპტივების გამოყენების ან ჯანმრთელობაზე ზრუნვის შესახებ.
- ✓ მსოფლიოს მასშტაბით ქალების მხოლოდ 13% არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი.
- ✓ ჩრდილოეთ აფრიკაში ქალების წილი არასასოფლო-სამეურნეო სექტორში ანაზღაურებადი სამუშაოების მხოლოდ მეხუთედს შეადგენს. ქალების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც დასაქმებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გარდა სხვა ანაზღაურებად სფეროში 1990 წლიდან 2015 წლის პერიოდში გაიზარდა 35%-დან 41%-მდე.
- ✓ 100-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო ზომები და გამოყო ბიუჯეტი გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად.
- ✓ სამხრეთ აზიაში გოგონების ადრეული ქორწილების რაოდენობა 40%-ით შემცირდა
- ✓ მეტი ქალი იკავებს მენეჯერულ პოზიციებს. საშუალოდ პარლამენტში 25%-მდე ქალია, ადგილობრივ თვითმმართველობებში - 36%.

პანდემიის დროს

- ✓ მიუხედავად იმისა, რომ კოვიდთან საბრძოლველად წინა ხაზზე 70% სოციალური მუშაკების და მედპერსონალის სახით ქალები იყვნენ წარმოდგენილები, ისინი ნაკლებად მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიმღებ საბჭოებში, რაც მათ პრობლემების ასახვას უშლიდა ხელს.
- ✓ ქვეყნებში კარანტინს და ჩაკეტვას მოჰყვა ოჯახური ძალადობების (ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური) რაოდენობის გაზრდა სულ მცირე 30%-ით.
- ✓ ქალების დატვირთვა არაპროპორციულად გაიზარდა, მათ მოუწიათ არაანაზღაურებად საოჯახო საქმეებში მეტი საათის დახარჯვა.

ტერმინები

გენდერი - ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებია, რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ამდენად გენდერული როლები დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტზე და განიცდის სხვადასხვა ფაქტორების გავლენას რასის, ეთნიკურობის, კლასის, სექსუალური ორიენტაციის და ასაკის მიხედვით. გენდერული როლების შესწავლა ხდება და ფართოდ განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის. თანამედროვე კვლევებში ყველა ავტორი ეყრდნობა გენდერის, როგორც სოციალური სქესის

გაგებას. „გენდერი“ მიუთითებს მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე.

გენდერის და განვითარების ინდექსი წარმოადგენს ადამიანის განვითარების ინდექსს, რომელიც მხოლოდ ქალების მონაცემებზე დაყრდნობით არის გამოთვლილი. ის სამი თანაბრად შეწონილი კომპონენტისგანაა შედგენილი - განათლება, ჯანმრთელობა და შემოსავალი.

გენდერული გაძლიერების საზომი აჩვენებს, შეუძლიათ თუ არა ქალებს მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ასახავს 3 მნიშვნელოვან ასპექტს:

- ✓ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღების საშუალება;
- ✓ ეკონომიკაში ჩართულობა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალება;
- ✓ ეკონომიკური რესურსების ფლობა.

გენდერული უთანასწორობის ინდექსი აფასებს ქალების არახელსაყრელ პირობებს სამი მიმართულებით: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გაძლიერება და ჩართულობა შრომით ბაზარზე.

გენდერული სხვაობის ინდექსი (Gender Gap Index - GGI) ზომავს, არსებობს თუ არა განსხვავება ქალებისა და მამაკაცების მიერ დაკავებულ პოზიციებს შორის, გამოყოფილ კრიტერიუმთან მიმართებაში. გენდერული განსხვავების ინდექსის შემადგენელი კრიტერიუმებია:

- ✓ ეკონომიკაში მონაწილეობა და შესაძლებლობები;
- ✓ ხელმისაწვდომობა განათლებაზე;
- ✓ ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა;
- ✓ პოლიტიკური ჩართულობა;

გენდერული უთანასწორობის მიზეზები

ქალები და გოგონები წარმოადგენენ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს და შესაბამისად, მისი პოტენციალის ნახევარს. მაგრამ, დღეს გენდერული უთანასწორობა სოციალური პროგრესის სტაგნაციის გამომწვევი მიზეზია. ქალები კვლავაც ნაკლებად არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებებად ყველა დონეზე. მთელს მსოფლიოში ქალები და გოგონები არაპროპორციულად დიდი დოზით არიან ჩართულები აუნაზღურებელ საშინაო სამუშაოში.

გოგონების წინაშე არსებული უთანასწორობა შეიძლება დაიწყოს დაბადებიდან და გაგრძელდეს მთელი ცხოვრება. ზოგიერთ ქვეყანაში გოგონებს არ აქვთ უფლება მიიღონ სასურველი განათლება, ჯანდაცვა ან თუნდაც იკვებონ სრულფასოვნად, რაც იწვევს სიკვდილიანობის უფრო მაღალ მაჩვენებელს.

გენდერული უთანასწორობის უმთავრეს მიზეზებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

განათლებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომი - მთელს მსოფლიოში, ქალებს ჯერ კიდევ მამაკაცებზე ნაკლებად მიუწვდებიათ ხელი განათლებაზე. 15-24 წლამდე ახალგაზრდა ქალების ნახევარს არ მიუღია დაწყებითი განათლება. სწორედ ახალგაზრდა ქალების ჯგუფი შეადგენს იმ ადამიანების 58% -ს, რომლებსაც არ აქვთ წიგნიერების საბაზისო უნარები. როდესაც გოგონებს არ ქვთ ბიჭების დონის განათლება, ეს დიდ გავლენას ახდენს მათ მომავალზე, არ ხდის მათ კონკურენტუნარიანებს შრომის ბაზაზე და შესაბამისად ვერ ხდის მათ ეკონომიკურად დამოუკიდებლებს.

დასაქმებისას თანასწორობის ნაკლებობა - ქვეყნების მცირე რაოდენობა აძლევს ქალებს იგივე ლეგალურ სამუშაო უფლებებს, როგორც მამაკაცებს. სინამდვილეში, ეკონომიკის უმეტეს სექტორში ქალებს მხოლოდ 2/3 იმ უფლებების აქვთ, რაც მამაკაცებს ეძლევათ. იგივე ეხება ანაზღაურებასაც, ქალები მამაკაცებზე ნაკლებს გამოიმუშავენ, ხშირად ერთი და იგივე პოზიციაზეც. კვლევები აჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობისკენ გადადგმული ნაბიჯებიდან, ყურადღება დასაქმების ლეგალურ ასპექტებს უნდა მიექცეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ქალები სახლში ბევრად მეტ აუნაზღაურებელ სამუშაოს ასრულებენ, რაც მათთვის დამატებითი ტვირთია და არ აძლევს საშუალებას მეტად კონცენტრირდნენ კარიერაზე, პროფესიულ განვითარებაზე, თუ დასვენებაზე. აღსანიშნავია, რომ ფერადკანიან ქალებს კიდევ მეტი ბარიერი ხვდებათ სამუშაო ადგილზე.

სამართლებრივი დაცვის ნაკლებობა - მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, მილიარდზე მეტი ქალი სამართლებრივად ვერ იცავს თავს ოჯახში სექსუალური, ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობისგან. ბევრ ქვეყანაში ასევე არ არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალება სამუშაო ადგილზე, სკოლაში და საზოგადოებაში, როდესაც ქალები შევიწროვებულები არიან. სამართლებრივი დაცვის გარეშე, ქალებს ხშირად უწევთ გადაწყვეტილების მიღებისას კომპრომისზე წასვლა და ძალადობასთან შეგუება. ასევე ხშირია, როცა ქალებს არ აქვთ უფლება საკუთრებაზე, ოჯახი მას განიხილავს, რომ გათხოვების შემდეგ ოჯახს დატოვებს, საკუთრებას კი ვაჟიშვილებს უნაწილებს. ეს მანკიერი პრაქტიკა ქალს დაუცველს ტოვებს. ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზებას. ფერადკანიან ქალებს მეტი ბარიერი ხვდებათ სამართლებრივი დაცვისას.

საკუთარ სხეულზე და ცხოვრებაზე კონტროლის ნაკლებობა - ბევრი ქალი მოკლებულია არჩევანს, როდის გათხოვდეს, როდის გახდეს მშობელი. არ მიუწვდება ხელი ოჯახის დაგეგმვის სერვისზე ან ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე როგორც ფიზიკურად, ისე ეკონომიკურად, ასევე კულტურული/რელიგიური წინააღმდეგობის გამო. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ეს პრობლემა 200 მილიონზე მეტ ქალს ეხება. ასეთი ქალები ხშირად ფინანსურად დამოკიდებულნი ხდებიან სხვა პირზე ან სახელმწიფოზე, შედეგად, კარგავენ თავისუფლებას. გლობალური მასშტაბით, ორსულობის დაახლოებით 40% არ არის დაგეგმილი და მათი 50% აბორტით მთავრდება, 38% კი მშობიარეს ან ჩვილის სიკვდილით.

უხარისხო სამედიცინო მომსახურება - კონტრაცეფციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გარდა, ქალები ზოგადად იღებენ უფრო დაბალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას, ვიდრე მამაკაცი. ეს დაკავშირებულია გენდერული უთანასწორობის სხვა მიზეზებთან,

როგორცაა განათლების ნაკლებობა ეკონომიკური შესაძლებლობები, რაც ქალებს სიღარიბეში აგდებს და შესაბამისად, მიღებული სამედიცინო მომსახურებაც არაა მაღალი ხარისხის, ან საერთოდ მიუწვდომელია. შესაბამისად, ბევრი ქალი ცხოვრობს სხვადასხვა ავტოიმუნური დარღვევებითა და ქრონიკული ტკივილებით, რაც მის პროდუქტიულობას, შესაძლებლობებს აქვეითებს.

რელიგიური თავისუფლების ნაკლებობა - რელიგიისგან თავისუფლების შეზღუდვა ყველაზე მეტად ქალებზე აისახება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თანახმად, როდესაც ექსტრემისტული იდეოლოგიები (როგორცაა ISIS) საზოგადოებაში ვრცელდება, ეს ზღუდავს რელიგიის თავისუფლებას, გენდერული უთანასწორობა უარესდება. ჩატარებულ კვლევებში რელიგიური შეუწყნარებლობა დაკავშირებულია ეკონომიკაში ქალების მონაწილეობასთან. მათ ეკრძალებათ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, მათი ვალდებულებები ოჯახის მოვლით შემოიფარგლება. მეტი რელიგიური თავისუფლება ეკონომიკურ პროგრესზე პირდაპირ გავლენას ახდენს.

კულტურული საფუძვლები - არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რა გენდერულ როლს აკისრებს საზოგადოება თითოეული სქესის წარმომადგენლებს. ეს როლები შესაძლოა ზღუდავდეს ადამიანის ქცევას. ხშირად ტრადიციული კულტურაც ქალის როლს განიხილავს მხოლოდ ოჯახთან მიმართებაში. მათ ეკრძალებათ საზოგადოებრივ და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, მათი ვალდებულებები ოჯახის მოვლით შემოიფარგლება. ხშირად გოგონასა და ბიჭს ოჯახში სხვადასხვანაირად ზრდიან. პატრიარქალური კულტურისთვის დამახასიათებელია ვაჟიშვილის ყოლის სურვილი. ამის ახსნა მრავალი ფაქტორით შეიძლება, უპირველესად კი იმით, რომ განვითარებად ქვეყნებში არ არსებობს ან ძალიან სუსტადაა განვითარებული ხანდაზმულთა სოციალური დაზღვევის და საპენსიო სისტემა, ამდენად, მშობელს ურჩევნია ვაჟიშვილი, რომელიც ქორწინების შემდეგ მათ სახლში დარჩება და მშობლებს მოუვლის. ქალიშვილი კი თხოვდება და მშობლების სახლიდან მიდის, ის უფრო მეტად ახალშემენილ ოჯახზე ზრუნავს. მეტიც – ზოგიერთ საზოგადოებაში, როდესაც ამბობენ, რომ, მაგალითად, 4 შვილი ჰყავთ, ეს მათი ვაჟიშვილების რაოდენობას აღნიშნავს. გახშირდა შერჩევითი აბორტიც, რაც ქალიშვილის ყოლის არასასურველობიდან გამომდინარეობს. კულტურულ კონტექსტში გენდერული როლები ცვალებადია; იცვლება პასუხისმგებლობები, მოლოდინები, უფლებები.

პოლიტიკური წარმომადგენლობის ნაკლებობა - 2019 წელს მსოფლიოში საშუალოდ 24.3% ადგილი ეკავათ ქალებს პარლამენტში. ამავე წლის მონაცემებით მხოლოდ 11 სახელმწიფოს მეთაური იყო ქალი. წლების განმავლობაში ამ სფეროში პროგრესის მიუხედავად, ქალები მაინც ნაკლებად არიან წარმოდგენილნი მთავრობაში და პოლიტიკურ პროცესებში. ეს ნიშნავს, რომ გარკვეულ საკითხებს, რომლებიც ქალებისთვის არის მნიშვნელოვანი, ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს (დეკრეტული შევებულება და ბავშვზე ზრუნვა, დახმარებები, გენდერული თანასწორობის კანონები, კვოტირება) და ხშირად უგულვებელყოფილია.

საზოგადოებრივი აზროვნება - ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის აღმოფხვრას ჭირდება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, ტრადიციული ქალი/კაცის როლებს შესახებ ცნობიერების ამაღლება, გენდერული თანასწორობის აღიარება და ძალისხმევის ამ

მიმართულებით წარმართვა. ამას კი სასკოლო პროგრამებში, საკანონმდებლო დონეზე გენდერული მეინსტრიმინგი სჭირდება.

როგორ იზომება გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობის დადგენა აუცილებელია, რომ ვიცოდეთ უთანასწორობის მასშტაბები, შეგვეძლოს მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება. დღეისთვის არაერთი საზომი გამოიყენება, მათგან რამდენიმეზე შევჩერდეთ.

გენდერის და განვითარების ინდექსი წარმოადგენს ადამიანის განვითარების ინდექსს (Human Development Index, HDI), რომელიც ქალების და კაცების მონაცემების სეგრეგაციით გამოითვლება. შესაბამისად, გენდერის და განვითარების ინდექსის შემადგენელი კომპონენტები ემთხვევა ადამიანის განვითარების ინდექსის კომპონენტებს და განსხვავება ამ ორ ინდექსს შორის ასახავს გენდერულ უთანასწორობას. გენდერის და განვითარების ინდექსი, ისევე, როგორც ადამიანის განვითარების ინდექსი, სამი თანაბრად შეწონილი კომპონენტისგანაა შედგენილი:

ჯანმრთელობა იზომება ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობით;

განათლება - წერა-კითხვის დონით და მოსწავლეთა კომბინირებული ჩარიცხვის პროცენტული ოდენობით სწავლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურებზე,

შემოსავალი იზომება ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლით აშშ დოლარში, მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით.

ინდექსის სკალა 0-დან 1-მდე მერყეობს, სადაც 0.8-1 ასახავს ადამიანის მაღალი განვითარების დონეს, 0.5-0.79 - საშუალოს, ხოლო 5-ზე ნაკლები - დაბალს.

გენდერული გაძლიერების საზომი აჩვენებს, შეუძლიათ თუ არა ქალებს მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. გენდერული გაძლიერების საზომი ასახავს იმ უთანასწორობას, რომელიც არსებობს ქალებსა და მამაკაცებს შორის სამი მიმართულების მიხედვით:

პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღების საშუალება, რომელიც გამოითვლება ქალი და მამაკაცი პარლამენტარების პროცენტული შეფარდების მიხედვით;

ეკონომიკაში ჩართულობა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალება, რომელიც გამოითვლება ორი პარამეტრის - ქალი და მამაკაცი კანონმდებლების, მაღალი თანამდებობის პირების და მენეჯერების პროცენტული შეფარდებებისა და ტექნიკურ /კვალიფიცირებულ მუშახელს შორის ქალისა და მამაკაცის პროცენტული შეფარდებების მიხედვით.

ეკონომიკური რესურსების ფლობა, რომელიც გამოითვლება ქალების და მამაკაცების მიერ გამოიმუშავებული ანაზღაურების მიხედვით (შემოსავალი იზომება აშშ დოლარში მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით).

თითოეული კომპონენტისთვის გამოითვლება პროცენტი. საბოლოო გენდერული გაძლიერების საზომის მაჩვენებლები მიიღება ზემოაღნიშნული სამი კომპონენტის თანაბრად განაწილებული ეკვივალენტის პროცენტის საშუალოს გამოთვლით. მაჩვენებლები განაწილებულია 0-დან 1-მდე სკალაზე, სადაც მიღებული ქულა ასახავს სამივე კომპონენტის მიხედვით თანაბრად განაწილებული ეკვივალენტის პროცენტს, ანუ აღნიშნული კომპონენტების მიხედვით განსხვავებას ქალების და მამაკაცების მიერ დაკავებულ პოზიციებში. შესაბამისად, ქულა 1 არის იდეალური თანასწორობა, სადაც თანაბრად განაწილებული ეკვივალენტი ემთხვევა მიღებულ ქულას.

გენდერული უთანასწორობის ინდექსი აფასებს ქალების არახელსაყრელ პირობებს სამი მიმართულებით - რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გაძლიერება და ჩართულობა შრომით ბაზარზე. ინდექსი აჩვენებს, აღნიშნული მიმართულებების მიხედვით, ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული უთანასწორობით გამოწვეულ ადამიანების განვითარების დანაკარგს. მაჩვენებლები განაწილებულია 0-დან 1-მდე სკალაზე, სადაც 0 ქალებისა და მამაკაცებისთვის არსებულ თანაბარ პირობებზე მიუთითებს, ხოლო 1 აჩვენებს, რომ ქალები სამივე მიმართულების მიხედვით სრულიად არახელსაყრელ პირობებში ცხოვრობენ. ინდექსი გამოითვლება ორივე სქესის მონაცემების საშუალოს გამოთვლით. რაც უფრო დიდია განსხვავება ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლებს შორის, მით უფრო ნაკლებია ინდექსის საბოლოო ქულა. მიმართულებების გამოთვლისას გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

ჯანმრთელობა - დედების სიკვდილიანობის მაჩვენებელი, მოზარდთა შობადობის მაჩვენებლები;

გაძლიერება - პარლამენტში ორივე სქესის წარმომადგენელთა თანაფარდობა, მიღწევები განათლების მეორე და მესამე საფეხურზე;

შრომით ბაზარზე ჩართულობა.

გენდერული სხვაობის ინდექსი (Gender Gap Index - GGI) ზომავს, არსებობს თუ არა განსხვავება ქალებისა და მამაკაცების მიერ დაკავებულ პოზიციებს შორის, გამოყოფილ კრიტერიუმთან მიმართებაში. გენდერული სხვაობის ინდექსის მიზანია გამოავლინოს, თუ რამდენად ახლოს არის ქვეყანა გენდერულ თანასწორობასთან. ამ მიზნის მისაღწევად, თითოეული კრიტერიუმი მოიცავს რამდენიმე ინდიკატორს. ქულები და რეიტინგები, გამოთვლილია ყველა კრიტერიუმისა და ინდიკატორისთვის. ასევე, გენდერული სხვაობის ინდექსი გამოითვლება როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მონაცემებზე დაყრდნობით. ინდექსის შემადგენელი კრიტერიუმებია:

ეკონომიკაში მონაწილეობა და შესაძლებლობები - შემადგენელი ინდიკატორებია შრომით ბაზარზე ჩართულობის, შემოსავლის, ხელფასის ოდენობა ერთი და იმავე საშუაოსთვის, კანონმდებლების, ხელმძღვანელი პირების, მენეჯერების, და

პროფესიული/ტექნიკური მუშაკების შეფარდება ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლების მიხედვით;

ხელმისაწვდომობა განათლებაზე - შემადგენელი ინდიკატორებია წერა-კითხვის ცოდნის, განათლების პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე ჩარიცხვის შეფარდება ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლების მიხედვით;

ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა - შემადგენელი ინდიკატორებია სქესთა თანაფარდობა დაბადებისას, და ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობის ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლების შეფარდება;

პოლიტიკური ჩართულობა - შემადგენელი ინდიკატორებია ქალისა და მამაკაცის მაჩვენებლებს შორის შეფარდება პარლამენტარების და მინისტრების რაოდენობის მიხედვით, და ქალის, როგორც ქვეყნის პირველი პირის მმართველობის წლები.

უთანასწორობის გამოსათვლელად გამოიყენება შემადგენელი ინდიკატორების თანაფარდობა და ქვეყანას ამის მიხედვით ენიჭება ქულა. მაგალითად, თუ ქალი მინისტრების რაოდენობა შეადგენს 20%, მაშინ $20/80=0.25$ - ანუ, მაჩვენებლებს შორის შეფარდება აღნიშნავს თითოეული ინდიკატორის ქულას. შესაბამისად, ინდექსის კრიტერიუმებისა და ინდიკატორებისთვის 1 ქულა აღნიშნავს თანასწორობას (შეფარდებაა 50/50), ხოლო 0 ქულა - უთანასწორობას. 1 არის მაქსიმალური ქულა, რომელიც შეიძლება მიენიჭოს თითოეულ ინდიკატორს. ინდექსის გამოსათვლელად გამოიყენება უკანასკნელი 6 წლის მონაცემებიდან უახლესი და ხელმისაწვდომი მონაცემი.

როგორი პროგრესი გვაქვს მიღწეული?

პროგრესი ნელია, 2019 წელს ქალებმა დაიკავეს მენეჯერული თანამდებობების მხოლოდ 28 პროცენტი მსოფლიოში

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საერთაშორისო ვალდებულებებმა განაპირობა. გაუმჯობესება ზოგიერთ სფეროში გვხვდება:

- ✓ დაწყებითი განათლება, სადაც ბიჭები და გოგონები თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი;
- ✓ კანონმდებლობით ადრეულ ასაკში ქორწინებების შესაზღუდად გაიზარდა ქორწინების ლეგალური ასაკი;
- ✓ ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება შემცირდა ბოლო წლებში, თუმცა არალეგალურად მსგავსი პრაქტიკა კვლავ სახეზეა, ხშირია ამ პროცედურის ჩატარებისას ინფექციის შეტანა ან სისხლდენა, რის შედეგადაც გოგონები იღუპებიან;
- ✓ ქალების წარმომადგენლობა პოლიტიკურ ასპარეზზე უფრო მაღალია, ვიდრე ოდესმე, ბევრგან ეს კვოტირების შემოღების შედეგად გახდა შესაძლებელი.

გენდერთან დაკავშირებული რა გამოწვევები რჩება?

დაპირება სამართლიანი და თანასწორი მსოფლიოს შესახებ, სადაც ყველა ქალი და გოგო სარგებლობს სრული გენდერული თანასწორობით და სადაც მათი უფლებამოსილებისთვის ყველა სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ბარიერი მოხსნილია, შეუსრულებელი რჩება.

- ✓ ამ მიზნის შესრულება COVID-19 პანდემიამ კიდევ უფრო შორს გადასწია. მრავალ გოგოს და ქალს, მათ შესაძლებლობებს ისწავლონ და იმუშაონ ზიანი მიადგა.
- ✓ მსოფლიოში, 15-49 წლამდე ქალების 35%-ს განუცდია ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა. 15-19 წლის 3 გოგოდან 1 კვლავ გენიტალიების დასახიჩრების მანკიერი პრაქტიკის მსხვერპლია, რასაც ადგილი აქვს აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის 30 ქვეყანაში.
- ✓ ჯანდაცვის სერვისებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, შესაბამისად მეტი ინფექცია (მათ შორის აივ/შიდსი), მშობიარობის გართულებები, უნაყოფობა და სიკვდილი.
- ✓ გენდერული თანასწორობის განვითარება ქვეყნების პოტენციალის სრულად წარმოჩენისთვის და მათი განვითარებისთვის

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ საკითხების მოსაგვარებლად?

- ✓ საკანონმდებლო ბაზის, განათლების, ჯანდაცვის დოკუმენტების გენდერულ ჭრილში გადახედვა და მათი ცვლილება.
- ✓ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება,
- ✓ გოგონათა და ქალთა გაძლიერება
- ✓ სქესობრივი განათლება
- ✓ გოგონებთან და ქალებთან ერთად ბიჭების და მამაკაცების ცნობიერებაზე მუშაობა
- ✓ მიეცით ოჯახიდან მაგალითი, თუ როგორ აქვთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ცოლ-ქმარს თანაბარი უფლებები.
- ✓ წახალისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომ უზრუნველყონ სტიპენდიები გოგონებისთვის, რათა მოხდეს სწავლაზე თავის დანებების პრევენცია.
- ✓ თქვენი კომპეტენციების ფარგლებში დაეხმარეთ ქალებს თავიანთი კარიერის დაგეგმვასა და განვითარებაში, უფლებების დაცვაში და გაძლიერებაში.

მე რისი გაკეთება შემიძლია

- ✓ უნდა იცოდეთ ადამიანის უფლებები და დაიცვათ ისინი, მიუხედავად იმისა გოგო ხართ თუ ბიჭი.
- ✓ დაინტერესდით ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობით (მაგ., <https://idfi.ge/ge/study-career-in-civil-service-and-gender-equality>)

https://idfi.ge/ge/the_impact_of_new_coronavirus_pandemic_on_domestic_violence_and_violence_against_women), ნახეთ სადა არის თქვენი მოხალისეობრივი საჭიროება და ჩაერთეთ ღონისძიებებში.

- ✓ მოუსმინეთ ლექციებს, გაიარეთ ტრენინგი გენდერის თემაზე, მოაწყვეთ სკოლაში განხილვები, რომ ამაღლდეს საკითხზე ცნობიერება.
- ✓ გამოიყენეთ გენდერული კალკულატორი <https://widgets.weforum.org/gender-gap-calculator/index.html> , რომელიც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ არის შემუშავებული, ქვეყნის, სქესის დაბადების თარიღის შეყვანის შემდეგ კალკულატორი ითვლის თუ რამდენი წელი გვაშორებს რეალურ თანასწორობამდე ქალებსა და მამაკაცებს შორის. გამოთვალეთ საქართველოს მონაცემები, ასევე შეისწავლეთ პარლამენტის და მთავრობის წევრთა შორის რა წილია ქალებით დაკომპლექტებულ. გამართეთ დისკუსია.
- ✓ დაუმეგობრდით სხვა სკოლებს და გაცვალეთ წიგნები, მოაწყვეთ ერთობლივი დისკუსიები.

გამოყენებული ლიტერატურა:

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

<https://developmentgoals.wordpress.com/2013/04/23/gender/>

გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსების და რეიტინგების მიხედვით, CSS, 2012

<http://mastsavlebeli.ge/?p=994>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

1. გენდერის მიმართულებით რას ემსახურებოდა ათასწლეულის განვითარების მიზნები?
 - ა. აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობის აღიარება და დაფასება
 - ბ. გოგოებისთვის და ბიჭებისთვის დაწყებით განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას
 - გ. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრულ და ეფექტიან მონაწილეობას
 - დ. ქალების და გოგონების მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრას
2. ეწვიეთ Our World in Data-ს ვებგვერდზე ქალების მაღალ და საშუალო მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმების ინტერაქტიულ რუკას (2017 წ.)
<https://ourworldindata.org/grapher/proportion-of-women-in-senior-and-middle-management-positions> , რომელზეც ფერებით აღნიშნულია შესაბამისი პროცენტები, მუქი ლურჯით თანასწორი ქვეყნებია აღნიშნული, სადაც ქალები მენეჯერული პოზიციების 40-50%-ს ინაწილებენ, ხოლო ყვითლად აღნიშნულია 5%-ზე ნაკლები წილის მქონე ქვეყანა.

ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან მონიშნეთ ისინი, რომლებშიც ქალთა მონაწილეობა მენეჯერულ პოზიციებზე არის 20 %-ზე ნაკლები.

- ა. ბელგია
- ბ. ბოლივია
- გ. ეგვიპტე
- დ. თურქეთი
- ე. მექსიკა
- ვ. ნამიბია
- ზ. ტანზანია

3. ეწვიეთ Our World in Data-ს ვებგვერდზე გენდერული უთანასწორობის ინდექსის ინტერაქტიულ რუკას (2015 წ.) <https://ourworldindata.org/grapher/proportion-of-women-in-senior-and-middle-management-positions>, რომელზეც ფერები მუქდება ბაცი ყვითლიდან (0,1 ინდექსი, ქვენები, რომლებშიც გენდერული უთანასწორობის პრობლემა ნაკლებადაა) მუქ აგურისფერამდე (0,8-0,9 ინდექსი, ქვენები, რომლებშიც გენდერული უთანასწორობის პრობლემა მწვავეადაა), ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან მონიშნეთ ისინი, რომლებშიც უთანასწორობა 0,2 ინდექსს ქვემოთ არის.

- ა. ავსტრალია
- ბ. აშშ
- გ. ესპანეთი
- დ. იტალია
- ე. კოლუმბია
- ვ. საქართველო
- ზ. ჩინეთი

4. რომელ კრიტერიუმს არ ასახავს გენდერული სხვაობის ინდექსი?

- ა. არჩევნებში მონაწილეობა
- ბ. ეკონომიკაში მონაწილეობა და შესაძლებლობები;
- გ. პოლიტიკური ჩართულობა
- დ. ხელმისაწვდომობა განათლებაზე

5. რა ცვლილებები მოაქვს გენდერულ თანასწორობას ქვეყნებისთვის? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. ადამიანების მეტი დასაქმებით ეკონომიკური განვითარება
- ბ. მცირდება ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში
- გ. ვითარდება ტექნოლოგიები
- დ. საზოგადოება არის ბევრად სამართლიანი

6. რა არ იწვევს გენდერულ უთანასწორობას?

- ა. განათლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა
- ბ. რელიგიურობის ნაკლებობა
- გ. სამართლებრივი დაცვის ნაკლებობა
- დ. ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის ნაკლებობა

7. მონიშნეთ ქვემოთ მოყვანილი სწორი დებულება

- ა. პანდემიამ არ იმოქმედა გენდერული თანასწორობის მიღწევის ვადებზე
- ბ. პანდემიამ დაგვაახლოვა გენდერული თანასწორობის მიზნის მიღწევას
- გ. პანდემიამ დაგვაშორა გენდერული თანასწორობის მიზნის მიღწევას
- დ. პანდემიის გამო გენდერული თანასწორობის მიზანი ამოღებულია მდგადი განვითარების მიზნებიდან

8. მონიშნეთ ქვემოთ მოყვანილი სწორი დებულებები

- ა. მიზნის მისაღწევად გაზრდილია ქორწინების ლეგალური ასაკი
- ბ. ყველა ქალს მსოფლიოში აქვს მემკვიდრეობითი უფლება საკუთრებაზე
- გ. ქალების წარმომადგენლობა პარლამენტში თანაბარია მსოფლიოს ქვეყნების ნახევარში
- დ. ყოველწლიურად ქალების მეხუთედზე ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და სექსუალურად ძალადობენ

9. როგორ შეიძლება გენდერული უთანასწორობის შემცირება? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. გენდერულ თანასწორობაზე ბიჭების და კაცების ცნობიერების ამაღლება
- ბ. გოგონათა და ქალთა წახალისება განათლების მისაღებად
- გ. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობიდან მეტი ქალის დაცვა
- დ. სქესობრივი განათლება

10. რა იგულისხმება ქალების აუნაზღაურებელ შრომაში?

- ა. ქალების მიერ გაწეული ზეგანაკვეთური სამუშაო, რაც კონტრაქტში არ არის გაწერილი
- ბ. ქალების მიერ გაწეული სამუშაო, რომელსაც კოლეგის ჩანაცვლების მიზნით ასრულებს მისი არყოფნის დროს
- გ. ქალების მიერ გაწეული სამუშაო, რომლის შემოსავლიდან გადასახადები არ გადაიხდება
- დ. ქალების მიერ საოჯახო საქმეებში დახარჯული დრო

მდგრადი განვითარების მიზანი 6: წყლის რესურსების მდგრადი მართვისა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის საყოველთაო უზრუნველყოფა.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 6: წყლის რესურსების მდგრადი მართვისა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის საყოველთაო უზრუნველყოფა. 69

რაში მდგომარეობს მიზნის არსი? 69

ქვემიზნები მიზნისთვის „სუფთა წყალი და სანიტარია“: 70

ფაქტები და მონაცემები: 71

ტერმინები..... 72

წყალმომარაგების და სანიტარიის დეფიციტის მიზეზები..... 73

რა გამოწვევებია უსაფრთხო წყალზე წვდომისა და სანიტარული პირობების არარსებობის გამო? 74

წყლის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები..... 75

რისი გაკეთება შეგვიძლია? 78

მე რისი გაკეთება შემიძლია 79

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია) 80

რაში მდგომარეობს მიზნის არსი?

უზრუნველყოს წყლის უსაფრთხო წყაროებისა და სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობა ყველასთვის.

დედამიწის 70% წყლით არის დაფარული. ამ წყლის 97% ოკეანეებსა და ზღვებშია თავმოყრილი, მარილიანია, შესაბამისად, სასმელად უვარგისი; 3% მტკნარია, თუმცა აქედანაც მხოლოდ 0,3% მოდის მდინარეებსა და ტბებზე, დანარჩენი კი მყინვარებშია ლოკალიზებული. თუ დღეისთვის მოსახლეობის 40% განიცდის წყლის დეფიციტს, 2025 წლისთვის უკვე მისი 2/3 დადგება ამ პრობლემის წინაშე. ეს მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ წყალი ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია.

ყველასთვის ხელმისაწვდომი სუფთა წყალი არის ისეთი მსოფლიოს განუყოფელი ნაწილი, როგორშიც გვინდა, რომ ვიცხოვროთ და ამ მიზნის მისაღწევად ჩვენს პლანეტაზე საკმარისი

რაოდენობის სუფთა წყალია. მიუხედავად აღნიშნულისა, ცუდი ეკონომიკის ან ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი, მათ შორის, ბავშვები იღუპებიან წყლის ნაკლებობით გამოწვეული დაავადებებით, ანტისანიტარიისა და ჰიგიენური ნორმების დაუცველობით.

წყლის სიმცირე, წყლის დაბალი ხარისხი და სანიტარული ნორმების არასაკმარისად დაცვა მსოფლიოს მასშტაბით უარყოფითად მოქმედებს სურსათის უვნებლობაზე, საარსებო წყაროებსა და საგანმანათლებლო საშუალებებზე. ამჟამად 2 მილიარდ ადამიანზე მეტი ცხოვრობს მტკნარ წყალზე შემცირებული ხელმისაწვდომობის რისკის ქვეშ, ხოლო 2050 წლისთვის ოთხიდან ერთი ადამიანი იცხოვრებს მტკნარი წყლის დეფიციტით დაზარალებულ ქვეყანაში.

გვალვით ზარალდება მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნები, რაც აუარესებს შიმშილის მაჩვენებლებს. საბედნიეროდ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული სასმელი წყლით მომარაგებით და სანიტარულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროგრესის თანახმად, მსოფლიოს მოსახლეობის 90%-ზე მეტს აქვს წვდომა სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებზე.

სანიტარული მდგომარეობის და სასმელი წყლის გასაუმჯობესებლად საჭიროა, რომ განვითარებად ქვეყნებში, სუბ-საჰარის, ცენტრალური აზიის, სამხრეთ აზიის, აღმოსავლეთ აზიის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რამდენიმე რეგიონში ადგილობრივ დონეზე მოხდეს ინვესტიციების გაზრდა მტკნარი წყლის ეკოსისტემების და სანიტარული ობიექტების მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად.

წყლის, სანიტარული და ჰიგიენის ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებაა. წყალზე მოთხოვნილებამ გადააჭარბა მოსახლეობის ზრდას და მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი უკვე განიცდის წყლის მწვავე დეფიციტს წელიწადში მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში. წყალი აუცილებელია არა მხოლოდ ჯანმრთელობისთვის, არამედ სიღარიბის დაძლევის, სურსათის უვნებლობის, მშვიდობისა და ადამიანის უფლებების, ეკოსისტემების ფუნქციონირებისთვის. წყლის სიმცირეს ამწვავეს წყლის ხარისხის გაუარესება. ქვეყნები მზარდი გამოწვევების წინაშე დგანან, რომლებიც დაკავშირებულია წყლის დაბინძურებასთან, რის შედეგადაც ვიღებთ დეგრადირებულ ეკოსისტემებს. ამ პრობლემებს, რომლებიც ადამიანებმა გამოიწვიეს ცალკე აღებული ქვეყნები ვეღარ უმკლავდებიან და აუცილებელი ხდება ტრანსსასაზღვრო წყლების აუზებთან მიმართებაში თანამშრომლობა.

ქვეყნები მიზნისთვის „სუფთა წყალი და სანიტარია“:

- 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა.
- 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის ადეკვატურ და თანაბარ სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებზე წვდომის მიღწევა და ღია დეფეკაციის აღმოფხვრა, საგანგებო

ყურადღების მიპყრობით ქალებისა და გოგონების, ასევე მოწყვლად სიტუაციებში მყოფი ადამიანების საჭიროებებისათვის.

- 2030 წლისთვის წყლის ხარისხის გაუმჯობესება დაბინძურების შემცირებითა და საზიანო ქიმიური ნივთიერებების ჩაღვრის ელიმინაციის გზით; დაბინძურებული ჩამდინარე წყლების მოცულობის განახევრება და მყარი ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო ხელახალი გამოყენების მასშტაბების მნიშვნელოვნად ზრდა მსოფლიოს მასშტაბით.
- 2030 წლისთვის ყველა სექტორში მნიშვნელოვნად გაზრდილი წყლის გამოყენების ეფექტურობა და მტკნარი წყლის მდგარდი გამოყენება, წყლის დეფიციტის აღმოფხვრისა და აღნიშნული პრობლემის მქონე პირების რაოდენობის არსებითი შემცირება.
- 2030 წლისთვის წყალმომარაგების ინტეგრირებული მენეჯმენტის დანერგვა ყველა დონეზე, მათ შორის, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გზით.
- 2020 წლისთვის წყლის რესურსთან დაკავშირებული ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა, რომელთა შორის მთების, ტყეების, მდინარეებისა და ტბების ეკოსისტემები შედის.
- 2030 წლისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება; განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერა წყალთან და სანიტარიასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელების მიმართულებით, მათ შორის, წყლის მოპოვების, გამტკნარების, ჩამდინარე წყლების მართვის, გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების ტექნოლოგიების კუთხით.
- წყალმომარაგებისა და სანიტარიული მართვის გაუმჯობესების პროცესში ადგილობრივი თემების მონაწილეობის ხელშეწყობა და გაძლიერება.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ 2.2 მილიარდ ადამიანს მსოფლიოში ჯერ კიდევ არ აქვს წვდომა სუფთა სასმელ წყალზე, მათგან 785 მილიონისთვის ეს დეფიციტი მწვავეა.
- ✓ 80 ქვეყანა, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის 40% ცხოვრობს, წყლის დეფიციტს განიცდის.
- ✓ წყალზე მოთხოვნა ყოველ 20 წელიწადში ორმაგდება. სადაც წყლის დეფიციტი არ არის, წყლის დაბინძურება წარმოადგენს პრობლემას. მე-20 საუკუნეში წყალზე მოთხოვნა 6-ჯერ გაიზარდა, მოსახლეობის რაოდენობა კი – 2-ჯერ.
- ✓ ჯანდაცვის ოთხიდან ერთ დაწესებულებას არ აქვს წყალმომარაგება.
- ✓ 10-დან 3 ადამიანს არ გააჩნია წვდომა წყალმომარაგებაზე, ხოლო 2.4 მილიარდ ადამიანს არ აქვს საპირფარეო და აბაზანა. სულ მცირე 892 მილიონი ადამიანი საპირფარეოდ ღია სივრცეებს იყენებს.
- ✓ განვითარებად ქვეყნებში წყლის მოსატანად, სადაც წყალმომარაგება მიუწვდომელია, უმეტესად ქალები და გოგონები დადიან, რაც მათ განათლების მიღების შესაძლებლობას უზღუდავს. განათლების გარეშე დარჩენილ გოგონებს კი, დიდი ალბათობით, თავადაც არ ექნებათ უკეთესი შემოსავალი.

- ✓ 1990 წლიდან 2015 წლამდე, მსოფლიოს მოსახლეობის წილი, რომელიც იყენებს სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროს, 76 პროცენტიდან 90 პროცენტამდე გაიზარდა.
- ✓ წყლის დეფიციტი გავლენას ახდენს მსოფლიოს მოსახლეობის 40 პროცენტზე, რაც პროგნოზით კიდევ შეიძლება გაიზარდოს მოსახლეობის უკონტროლო მატების გამო ღარიბ რეგიონებში და კონფლიქტის თუ ბუნებრივი კატასტროფების ზონებში.
- ✓ ამჟამად 1,7 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს მდინარის აუზებში, სადაც წყლის მოხმარება აღემატება მის დებიტს.
- ✓ ქალაქების მოსახლეობა დიდი სისწრაფით იზრდება. ყოველწლიურად 6 მლნ კაცი ემატება ფაველებს (ჯურღმულებს) – ქალაქის ისეთ უბნებს, სადაც ელემენტარული სანიტარიული პირობები არ არის.
- ✓ ადამიანის საქმიანობის შედეგად ჩამდინარე წყლების 80 პროცენტზე მეტი ჩაედინება მდინარეებში ან ზღვაში ყოველგვარი გაფიტვის გარეშე
- ✓ ყოველდღიურად თითქმის 1000 ბავშვი იღუპება სანიტარიული პირობების უქონლობასთან და უწყობასთან დაკავშირებული დაავადებებისგან, რომელთა შორის დიარეაცაა. ამ დაავადებების თავიდან აცილება წყალმომარაგებით შესაძლებელია.
- ✓ ნებისმიერ დროს საავადმყოფოთა საწოლების ნახევარი უკავიათ ადამიანებს, რომლებსაც წყალთან დაკავშირებული დაავადებები აქვთ. განვითარებად ქვეყნებში დაავადებების 80% სწორედ წყლის, უფრო სწორად, მისი უქონლობის, ასევე – სანიტარიული პირობების უქონლობის ბრალია.
- ✓ მდინარეებიდან, ტბებიდან და წყალსაცავებიდან ამოღებული წყლის დაახლოებით 70 პროცენტი გამოიყენება სარწყავად.
- ✓ ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული სიკვდილიანობის 70%-ს იწვევს წყალდიდობები და სხვა წყალთან დაკავშირებული კატასტროფები.
- ✓ მობილური ტელეფონი უფრო მეტ ადამიანს აქვს, ვიდრე საპირფარეშო.

ტერმინები

სასმელი წყალი არის წყალი, რომელიც გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით, მათ შორის – სასმელად, საჭმლის მოსამზადებლად და პირადი ჰიგიენისთვის.

სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა გულისხმობს, რომ სასმელი წყალი, არანაკლებ 20 ლიტრისა ერთ სულ მოსახლეზე, ხელმისაწვდომია საცხოვრებლიდან არა უშორეს 1 კილომეტრისა.

ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სასმელი წყალი არის წყალი, რომელიც ფიზიკური, ქიმიური და ბაქტერიული მახასიათებლებით აკმაყოფილებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ან ეროვნულ სტანდარტებს.

წყლის ფიზიკური დეფიციტი (Physical water scarcity) ხელმისაწვდომი წყლის ფიზიკურ ნაკლებობას გულისხმობს.

წყლის ეკონომიკური დეფიციტი (Economic water scarcity) გულისხმობს მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობის ნაკლებობას, შეისყიდოს მოთხოვნილების შესაბამისი მოცულობის წყალი.

ვირტუალური წყალი (არაპირდაპირი მოხმარება) ეს არის წარმოების ადგილას გაანგარიშებული წყლის ის რაოდენობა, რომელიც დაიხარჯა ნებისმიერი სახის პროდუქტის წარმოებაზე, იქნება ეს საკვები, ტანსაცმელები თუ სხვა.

წყალმომარაგების და სანიტარიის დეფიციტის მიზეზები

წყლის დეფიციტის ზოგად მიზეზებს შორის არის:

წყლის ფიზიკური დეფიციტი, ბუნებრივი პირობების გამო, ქვეყნების დიდი ნაწილი არიდულ რეგიონებში მდებარეობს, სადაც მტკნარი წყლის მარაგები მცირეა;

წყლის ეკონომიკური დეფიციტი, როდესაც ქვეყანას არ აქვს საკმარისი რესურსები უზრუნველყოს წყალმომარაგება, ხშირად კორუფცია ამძაფრებს ამ პრობლემებს;

მაღალი ბუნებრივი მატება განვითარებად ქვეყნებში, სადაც წყალზე მოთხოვნილება აჭარბებს მის მიწოდებას;

წყლის დაბინძურება, როდესაც წყალი თვისებრივად გამოუსადეგარი ხდება ყოფაცხოვრებაში;

ომი, კონფლიქტები და მოსახლეობის მიგრაცია, როდესაც მოსახლეობას უწევს საკუთარი კარმიდამოს დატოვება და მას ეზღუდება წვდომა ელემენტარულ საარსებო წყაროებზე.

განვიხილოთ წამყვანი მიზეზები:

წყლის ფიზიკური და ეკონომიკური დეფიციტი

წყლის ფიზიკური დეფიციტი (Physical water scarcity) ხელმისაწვდომი წყლის ფიზიკურ ნაკლებობას გულისხმობს. ეს ის მდგომარეობაა, როცა რეგიონის/ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნა აღემატება რეგიონის/ქვეყნის შესაძლებლობას, მიაწოდოს მას საჭირო მოცულობის წყალი. არიდული რეგიონები სწორედ წყლის ფიზიკურ დეფიციტს განიცდიან. აქ ტემპერატურა და აორთქლება ნალექების რაოდენობას აღემატება. თუმცა ნალექების გავრცელების შესახებ ინფორმაცია არ არის საკმარისი სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად. ნალექი უმთავრესად სეზონურია, ამ სეზონებზე კი შესაძლოა წლიური ნალექის 90%-იც კი მოვიდეს, როგორც, მაგალითად, ინდოეთში. მუსონური წვიმები აქ უმთავრესად ივნისიდან სექტემბრამდე გრძელდება, ამიტომ ამ სეზონზე ხშირია ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენების საფრთხე, ხოლო წლის დანარჩენ დროს ნალექების ნაკლებობაა, რაც წყლის ხელმისაწვდომობას ზღუდავს.

ფიზიკური დეფიციტი ადამიანის ზემოქმედების შედეგად უფრო მწვავედება. მაგალითად, როდესაც მდინარეებს სოფლის მეურნეობაში ირიგაციისთვის იყენებენ, მდინარის ქვედა წელში წყლის ბალანსი იცვლება. იმავდროულად, იმატებს დაბინძურება სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სასუქებით, რაც საგრძნობლად ამწვავებს წყლის დეფიციტს. ამის ცნობილი მაგალითებია მდინარე კოლორადოს, სირდარიასა და ამურდარიას გამოყენება.

წყლის ეკონომიკური დეფიციტი (Economic water scarcity) გულისხმობს მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობის ნაკლებობას, შეისყიდოს მოთხოვნილების შესაბამისი მოცულობის წყალი. სწორედ ამგვარი დეფიციტი წარმოაჩენს ქვეყნებში და ქვეყნებს შორის უთანასწორობას. მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. სიღარიბეს ემატება პოლიტიკური და ეთნიკური მიზეზებიც.

წყლის ეკონომიკური დეფიციტი, მოსახლეობის სიღარიბესთან ერთად, ბუნებრივიმატებითაც არის განპირობებული, რაც წყალზე მოთხოვნას თავისთავად ზრდის. გარდა ამისა, იზრდება მოთხოვნა საკვებსა და ბიოსაწვავზე, ამის შედეგად კი ირიგაციისთვის სულ უფრო მეტი წყალი მოიხმარება.

გლობალური კლიმატცვლილება ზრდის სიმშრალეს არიდულ რეგიონებში, რაც კიდევ უფრო ამწვავებს წყლის დეფიციტს.

სტოკჰოლმის წყლის ინსტიტუტის მონაცემებით, ადამიანს საარსებოდ წელიწადში 1000 კუბურ მეტრზე ნაკლები სასმელი წყალი სჭირდება, თუმცა ეს რაოდენობაც კი უთანაბროდაა განაწილებული. იცვლება ბუნებრივი მოცემულობებიც. მაგალითად, ყველაზე წყალუხვი მდინარეები იანგი, განგი და ნილოსი იმდენად დიდი მასშტაბით გამოიყენება ყოფაცხოვრებაში, რომ მიწისქვეშა აუზებში წყლის დონემაც კი იკლო, რაც საფრთხეს უქმნის მათ ნაპირებზე გაშენებული ქალაქების წყალმომარაგებას. თანაც ეს რეგიონები მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვითა და ბუნებრივი (შობადობა) და მექანიკური (მოგრაიცია)მატებით გამოირჩევა.

წყლის დღიური მოხმარება შერჩეული ქვეყნების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე ძალიან განსხვავებულია. შეიძლება ითქვას, რომ იკვეთება ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები მეტისმეტად შორიშორს არიან ერთმანეთისგან. განვითარებულ ქვეყნებს შორისაც კი დიდი სხვაობაა, რომლის ფარგლებშიც წყალმოხმარებით გამოირჩევიან ავსტრალია და აშშ, აქ დღიური მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 500 ლიტრს სცდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ არც სხვა განვითარებულ ქვეყნებს აქვთ პრობლემები წყალმომარაგების მხრივ, თუმცა ის თითქმის ორჯერ ჩამოუვარდება აშშ-ისას, შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყნები წყალს უყაირათოდ მოიხმარენ. რაც შეეხება უკიდურესად ღარიბ ქვეყნებს, მათი წყალმოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ჩამოუვარდება აუცილებელ მინიმუმს, რაც დღიურ 20 ლიტრს შეადგენს.

წყლის სისუფთავე ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ელემენტია. იქ, სადაც წყალი დაბინძურებულია, მაღალია დაავადების რისკი. წყალთან დაკავშირებულ დაავადებებად არის მიჩნეული დიარეა, ქოლერა, ჰეპატიტი და სხვა. მილიონობით ადამიანი სწორედ ამ მიზეზების გამო იღუპება. ამ დაავადებებთან გამკლავება სწორი მკურნალობით შესაძლებელია, თუმცა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო ამ ქვეყნებში მისი სათანადო შესაძლებლობა არ არის.

რა გამოწვევებია უსაფრთხო წყალზე წვდომისა და სანიტარული პირობების არარსებობის გამო?

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში წყალი თითქოსდა საკმარისია, მასზე მოთხოვნა 2025 წლისთვის გაორმაგდება. და მაინც, თუ წყლის მიწოდება თანაბარი იქნება, ის ეყოფა მოსახლეობას ყოველგვარი საქმიანობისთვის.

წყალი ამოუწურავი და განახლებადი ბუნებრივი რესურსია, თუმცა არასწორი მოხმარება მას ხშირად გამოუსადეგარს ხდის. მოსახლეობის სხვადასხვა აქტივობა რეზერვუარების დაბინძურებას იწვევს და წყალი სასმელად უვარგისი ხდება. წყლის დეფიციტს შეუძლია გაზარდოს 700 მილიონით იძულებით ადგილნაცვალი პირების რაოდენობა 2030 წლისთვის, რაც დამატებითი კონფლიქტების წყარო შეიძლება გახდეს.

წყალმომარაგება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა ისეთი დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, როგორცაა კორონავირუსი და სხვა დაავადებები. წყალმომარაგება, სანიტარული პირობებზე ხელმისაწვდომობა ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებებშიც კი: 2016 წელს, მსოფლიოს ყოველ მეოთხე დაწესებულებას არ გააჩნდა ძირითადი წყალმომარაგება, ყოველ მეხუთეს არ ჰქონდა სანიტარული პირობები, ხოლო ხუთიდან ორს ელემენტარული ჰიგიენის საშუალებები, როგორცაა საპონი და წყალი ან დეზინფექციის სხვა საშუალებები. დღეს 4.2 მილიარდი ადამიანი კვლავ დგას ყოველდღიური გამოწვევების წინაშე, თუნდაც ყველაზე ძირითად სერვისებზე წვდომისათვის. წყლის მდგრადი მართვით, ჩვენ ასევე შეგვიძლია უკეთ გავაკონტროლოთ საკვების უსაფრთხო წარმოება და წვლილი შევიტანოთ საცხოვრებლად და სამუშაოდ ადამიანებისთვის ღირსეული პირობების შექმნაში. ამასთან, ჩვენ შეგვიძლია შევინარჩუნოთ ჩვენი წყლის ეკოსისტემები, მათი ბიომრავალფეროვნება და ვიმოქმედოთ კლიმატის ცვლილებაზე.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, წყალს დაზოგვა და ეფექტური მენეჯმენტი სჭირდება. წყლის მენეჯმენტი მოიცავს მის მიწოდებას როგორც ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისთვის, ისე შინამეურნეობებისთვის. იმავდროულად წყალი არის სატრანსპორტო არტერია, რომელიც ადამიანებისა და ტვირთის მოძრაობა-გადაადგილებას უწყობს ხელს.

წყლის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები

წყალთან დაკავშირებული პრობლემები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია წარსულში მასზე არსებული დაბალი სამომხმარებლო ფასით – ამის გამო მომხმარებელი ვერ აცნობიერებდა წყლის დაზოგვის აუცილებლობას. წყლის სიძვირე აიძულებს ინდივიდებსა და ორგანიზაციებს საჯარო თუ კერძო სტრუქტურებში, მეტად იზრუნონ მის დაზოგვაზე, ინვესტირება მოახდინონ წყლის მენეჯმენტის სისტემის გამართვაში. ამით წახალისდება წყლის მეორეული გამოყენება, შემცირდება მისი დანაკარგი.

პრობლემას წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისა და ღარიბი მოსახლეობის უუნარობაც, გადაიხადონ შესაბამისი ღირებულება, მაშინ როდესაც წყლის დეფიციტი მრავალი დაავადების და ხშირად სიკვდილიანობის მიზეზიც არის.

საყოფაცხოვრებო, საირიგაციო თუ ინდუსტრიული დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის ღირებულება მრავალი ქვეყნისთვის არის არაერთაზროვანი.

მაგალითად, საირიგაციო სისტემების უმეტესობა არაეფექტურია. წყლის მხოლოდ 10-50% გამოიყენება დანიშნულებისამებრ, დანარჩენი ღია წყალსადენებიდან ორთქლდება ან

ნიადაგში იჟონება. თანამედროვე დახურული და წვეთოვანი სარწყავი სისტემები კი ეფექტურობას 95%-ით ამაღლებს, თუმცა ეს არცთუ იოლი განსახორციელებელია მსხვილი ინვესტიციების გარეშე.

საირიგაციო მეთოდების ეფექტურობა მოცემულია ცხრილში:

მორწყვის ტიპი	ეფექტურობა
ზედაპირული – ამ მეთოდს მსოფლიო სარწყავი სისტემების 80%-ზე მეტი უკავია. მისი დამონტაჟება იაფია, არ მოითხოვს რთულ გათვლებს. საჭირო მუშახელი, რაც განვითარებად ქვეყნებში პრობლემას არ წარმოადგენს მისი სიაფის გამო. წყლის დანაკარგი დიდია, იწვევს ეროზიასა და ნიადაგის დამლაშებას.	20-60%
აირწვეთოვანი – გამოიყენება სარწყავი სისტემების მხოლოდ 10-15%-ში. მისი დამონტაჟება ძვირია, ასევე მოითხოვს მნიშვნელოვან ენერგოდანახარჯს.	60-80%
წვეთოვანი – სარწყავი სისტემების მხოლოდ 1%-ია ასე მოწყობილი. მაღალია მათი დამონტაჟების ღირებულება, მონიტორინგის სისტემა გართულებულია, მოითხოვს სპეციალურად მომზადებულ კადრებს.	75-95%

უკანასკნელ წლებში საწარმოო სისტემები მეტად არიან ორიენტირებულნი წყლის დაზოგვაზე, თუმცა აქაც გაცილებით მეტის გაკეთებაა შესაძლებელი. 1 კგ ალუმინის საწარმოებლად 1500 ლიტრი წყალია საჭირო. ბევრ წყალს მოითხოვს ქაღალდის წარმოებაც. მრავალი ქვეყანა ცდილობს, დაზოგოს წყალი და წახალისებს ამ მიმართულებით ახალ სამეცნიერო კვლევებს. მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ გერმანიასა და იაპონიას. იაპონიაში წყლის 75% ინდუსტრიაში რამდენჯერმე გამოიყენება. ამასთან მნიშვნელოვანი ხდება მიღებული პროდუქციის გადამუშავება და მრავალჯერადი გამოყენება.

დიდი დანახარჯი აქვს ქალაქის საკანალიზაციო ინფრასტრუქტურას, თუმცა უკვე აქაც მიმდინარეობს ახალი საპილოტო პროექტები (სტოკჰოლმი), რაც ახდენს სეპარაციას სისტემაში და წყლის გამოყენების მინიმუმაციას.

განვითარებული ქვეყნები იძულებული არიან, წყალმომხარების ახალ, ეფექტურ სისტემებზე გადავიდნენ. ეს ეხება ახალ ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებსაც, ვინაიდან მზარდ მოსახლეობას და, აქედან გამომდინარე – სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას მეტი და მეტი წყალი დასჭირდება.

წყლის დანახარჯი მხოლოდ პირდაპირი მოხმარებით არ იზომება. არსებობს ცნება „ვირტუალური წყალი“, რომლის შესახებაც უკვე უამრავი იწერება. ვირტუალური წყლის (არაპირდაპირი მოხმარება) მოხმარებას ადამიანები არ აკვირდებიან. ვირტუალური წყალი, ეს არის წყლის ის რაოდენობა, რომელიც დაიხარჯა ნებისმიერი სახის პროდუქტის წარმოებაზე, იქნება ეს საკვები, ტანსაცმელი თუ სხვა. ეს იმ წყლის ჯამური მოცულობაა, რომელიც გამოიყენება საკვების ან ნებისმიერი სხვა პროდუქციის საწარმოებლად. მაგალითად, 1 კგ ხორბლის მოსაყვანად 100 ლიტრი წყალია საჭირო. ხორბლის იმპორტი არიდულ ქვეყნებში ზოგავს ადგილობრივ დეფიციტურ წყალს.

როდესაც ყავას მივირთმევთ, ვფიქრობთ, რომ მის დასამზადებლად მხოლოდ ერთი ჭიქა წყალი იხარჯება, თუმცა რეალური გაანგარიშებით ერთ ფინჯან ყავას 208 ლიტრი წყალი სჭირდება. დაანგარიშების დროს უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ წყლის ის რაოდენობა, რომელსაც უკვე მზა ყავას ვასხამთ, არამედ ყავის მისაღებად დახარჯული წყლის


რაოდენობა (მისი მოყვანიდან მოხმარებამდე - მორწყვა, დამუშავება, შეფუთვა), ასევე ფინჯანის, მისი შეფუთვის, შაქრის დასამზადებლად დახარჯული წყლის რაოდენობა და სხვა. ვირტუალური წყალი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქვეყანაში წყლის მოხმარების რეალური რაოდენობის დასადგენად. ერთი ადამიანის, თემისა თუ მთელი ქვეყნის მიერ მოხმარებული პროდუქტების და სერვისების წარმოებისათვის გამოყენებული წყლის მთლიან მოცულობას წყლის ანაბეჭდი ეწოდება. ქვეყნის წყლის ანაბეჭდის გამომანგარიშებისას წყლის რესურსების საშიანო მოხმარებას აკლდება ექსპორტირებული ვირტუალური წყალი და ემატება იმპორტირებული ვირტუალური წყალი. საიდანაც წყლის რესურსების საშიანო მოხმარება გულისხმობს იმ წყლის მოცულობას ლიტრებში, რასაც ქვეყანა მოიხმარს პირდაპირი თუ ვირტუალური წყლის სახით. ექსპორტირებული ვირტუალური წყალი გულისხმობს ქვეყნიდან გასული პროდუქციის დასამზადებლად დახარჯული წყლის რაოდენობას ლიტრებში, იმპორტირებული ვირტუალური წყალი კი წყლის იმ რაოდენობას, რომელიც დაიხარჯა ქვეყანაში შემოსული პროდუქციის წარმოებაზე.

ქვეყნები, რომლებმაც იციან ეს, ზოგავენ წყლის საკუთარ რესურსებს იმ პროდუქციის იმპორტის ხარჯზე, რომელიც ბევრ ვირტუალურ წყალს მოიცავს. თუ სავაჭრო ბრუნვას ვირტუალურ წყალში გამოვსახავთ, ის 800 მლრდ მ3-ს გაუტოლდება, რაც 10 ნილოსის ეკვივალენტურია.

ვირტუალური წყლის სქემა წარმოდგენას შეგიქმნით ყველაზე „წყალტევად“ პროდუქციაზე:

ვირტუალური წყალი

1 კგ პროდუქტში მოხმარებული ვირტუალური წყალი ლიტრებში



©Castlreagh Associates

ვირტუალური წყლის გამო შექმნილი პრობლემა კენიაში

თუ კენიის ექსპორტის 65%-ს ყავა და ჩაი შეადგენს, ვირტუალური წყლის საერთო მოცულობის 45% ექსპორტირებული ყვავილების წილად მოდის. კენიაში წყლის დეფიციტი უფრო და უფრო მძაფრდება, მოსახლეობა, რომლის რაოდენობაც 50 მლნ-ია, 2050 წლისთვის გაორმაგდება. ეს კი ნიშნავს, რომ 2050 წლისთვის წყლის ხელმისაწვდომი რესურსი ერთ სულ მოსახლეზე გადათვლით 316 მ3-მდე შემცირდება, მაშინ როდესაც საშუალოდ კიდევ 1000 მ³-ია საჭირო მინიმალური საარსებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სარწყავი სისტემები

გაუმართავია და, ამდენად, ადგილობრივი მოსახლეობა წვიმის წყალზე მეტად არის დამოკიდებულნი, თუმცა ნალექის ოდენობა აქ არ აღემატება 630 მმ-ს, ზოგიერთ რეგიონში კი 200 მმ-ს.

ყოველივე ზემოთქმული წარმოაჩენს პრობლემის სიმძაფრეს ყვავილების ექსპორტთან დაკავშირებით. ნიადაგში ტბაა კენიაში, რომლის სანაპიროზეც პრობლემები წარმოიშვა. ერთი მხრივ, ეს არის პესტიციდებით დაბინძურების პრობლემა. წყალს ინტენსიურად იყენებენ ფერმერები. მეორე მხრივ, აქ გაშენებულია ყვავილების პლანტაციები, რომელთა პროდუქციაც საექსპორტოდ გააქვთ. კენიის გარემოს დამცველები, არასამთავრობოები და წყლის სპეციალისტები აქ მოქმედ კერძო კომპანიებს ადანაშაულებენ წყლის უყარათოდ ხარჯვაში და მის „მოპარვაში“ მდინარე ნგიროს ჩამონადენიდან, რომელიც ტბას უერთება და ასაზრდოებს მას. მდინარე ნგიროს სიდიდითა და ჩამონადენით მეორეა კენიაში, ის მომთაბარე ტომების მთავარი მასაზრდოებელია, თუმცა დიდია მისი საჭიროება ყვავილების მწარმოებელი ბიზნესისთვისაც. ყვავილები განკუთვნილია გაერთიანებული სამეფოს მაღაზიებისთვის.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მოხმარებული წყლის 25% ყვავილების 12 კომპანიის მიერ არის ამოღებული და აუარესებს 100 000 მცირე ფერმერის ყოფას, შეუძლებელს ხდის მათ არსებობას.

ყვავილების კომპანიებს ყვავილების ექსპორტით ქვეყნიდან გააქვთ კენიისთვის დეფიციტური წყალი. ყვავილები 90%-ით წყლისგან შედგება. ამით ერთ-ერთი ყველაზე მშრალი ქვეყნიდან, კენიიდან, ვირტუალური წყალი ერთ-ერთ ყველაზე ტენიან ქვეყანაში გადის. ყვავილების მწარმოებლებსა და ადგილობრივ ფერმერებს შორის უმწვავესი კონფლიქტი წარმოიშვა. წყლის გადასახადს კი წვრილი ფერმერები და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები ერთნაირად იხდიან.

წყალთან ერთად მომთაბარეებისთვის მისაწვდომ რესურსებს გამოაკლდა შედარებით ნაყოფიერი მიწაც.

რისი გაკეთება შეგვიძლია?

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ მთავრობებთან, რომ ინვესტიციები ჩაიდოს წყლის კვლევებში, მართვაში და მდგრად მომარაგებაში. გაზარდონ მოსახლეობის ცნობიერება წყლის გონივრულ მართვაზე და მის დაზოგვაზე.

წყლის ხელმისაწვდომობა ბევრგან ნაკლებად პროგნოზირებადი ხდება. კლიმატის ცვლილება იწვევს გახშირებულ და მწვავე მეტეოროლოგიურ მოვლენებს, როგორებიცაა თავსხმა წვიმები, ტროპიკული შტორმები, გვალვები. ეს საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობას, მათ მდგრად განვითარებას, დასახლებებს, ნარგავებს, და ბიომრავალფეროვნებას მთელს მსოფლიოში.

ყველას რომ ჰქონდეს წვდომა წყალსა და სანიტარულ მომსახურებაზე წვდომა, საჭიროა კლიმატის ცვლილების შემარბილებელი სტრატეგია მომდევნო წლების განმავლობაში. ეს დაიცავს ინფრასტრუქტურას, მილიონობით ადამიანს, ბიომრავალფეროვნებას, სოფლის მეურნეობას.

ნეგევის უდაბნოს ტრანსფორმაცია

ისრაელის ნახევარი ნეგევის უდაბნოს უკავია, რომელიც მეჩხერად არის დასახლებული. ის უდაბნოდაა მიჩნეული, რადგან წლის განმავლობაში აქ 200 მმ-ზე ნაკლები ნალექი მოდის. მისი მდინარეების კალაპოტი უმეტესად მშრალია. მიუხედავად ამისა, ეს უდაბნო უამრავ ტურისტს იზიდავს ისტორიული ღირსშესანიშნაობებითა და საინტერესო ლანდშაფტებით. ბოლო ხანს ლანდშაფტები კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა, რადგან დაიწყო მათი ოაზისებად გარდაქმნა. აქ დღეს ახარებენ ვაზს და ისეთ მცენარეებს, რომლებიც ბუნებრივად არც უდაბნოსთვის და არც ნახევარუდაბნოსთვის არ არის ტიპური.

ლანდშაფტების ტრანსფორმაცია მრავალი ფაქტორის ერთობლიობამ განაპირობა, მათ შორის – ნაყოფიერი ნიადაგების გადმოტანამ, წვიმების ხელოვნურად გამოწვევამ, ერთწლიანი მცენარეების მონაცვლეობამ, რათა არ მოხდეს ნიადაგიდან ერთი და იმავე მინერალების გამოლექვა, ასევე – წყლის დაზოგვამ ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია. მზის ელექტროსადგურებზე – ისინი კი ისრაელში 300 მზიანი დღის გამო ძალზე გავრცელებულია – ჰელიობატარეების წმენდა ხდება არა წყლით, არამედ მშრალად, რობოტების მეშვეობით (Ketura Sun).

წვეთოვანი ირიგაცია საშუალებას იძლევა, მცენარეებს ზედმეტი დანაკარგის გარეშე მიეწოდოს წყალი. ასევე პოპულარული ხდება ახალი მიღწევები, ისეთები, როგორცაა, მაგალითად, „ჭკვიანი“ ირიგაცია, რაც მცენარეებს საშუალებას აძლევს თავად გადაწყვიტონ, როდის დალევენ წყალს. უსადენო სენსორები ეწვეიან მცენარეთა მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში ავტომატურად იწყებენ მათ მორწყვას. წყლის ოდენობა მცენარის სახეობას შეესაბამება. ეს ხელს უშლის წყლის ჭარბ ხარჯვას. წყალზე დაზოგილ თანხებს კი ფერმების გაფართოებაში აბანდებენ, რაც უდაბნოს ეტაპობრივად გარდაქმნის ნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო ადგილად.

უკვე თვალუწვდენელ ტერიტორიაზე მოჰყავთ ვაზი, ატამი, ორქიდეები. ეს ერთგვარი ცოცხალი ლაბორატორიაა, რომელიც მოწმობს, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს და რომ სწორი დაგეგმვისა და მენეჯმენტის პირობებში შეუძლებელი არაფერია.

სწორედ თემის საფუძვლიანი შესწავლა იძლევა საშუალებას, დავფიქრდეთ კაცობრიობის ამ მძაფრ პრობლემებზე. უარყოფითი მაგალითები ააშკარავებს წყლისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას და ნათელყოფს მომავალში პრობლემების გამძაფრებას; იმავდროულად, დადებითი მაგალითები მოწმობს, რომ შესაძლებელია წყალზე ზრუნვა და მომავლის უსაფრთხოების გაზრდა. წყლის მდგრადი მოხმარება, მისდამი გონივრული დამოკიდებულება მომავალ თაობებს საშუალებას მისცემს, წყლის საკმაო რესურსი ჰქონდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზრდება წყლით გამოწვეული კონფლიქტების რიცხვი, მრავალი ადამიანი დაიტანჯება წყლით ან მისი დეფიციტით გამოწვეული დაავადებებით.

მე რისი გაკეთება შემიძლია

- ✓ მოიძიეთ სხვადასხვა ქვეყნიდან წყლის მენეჯმენტის შესახებ წარმატებული და წარუმატებელი მაგალითები.
- ✓ წაიკითხეთ წიგნი წყალზე, მოუსმინეთ ლექციებს, გაიარეთ ტრენინგი წყლის დაზოგვის თემაზე, მოაწყვეთ სკოლაში განხილვები, რომ ამაღლდეს ცნობიერება.

- ✓ ნახეთ რა მდგომარეობაა ქვეყანაში წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, როგორია მათი ხარისხი.
- ✓ გამოთვალეთ წყლის ნაკვალევი ონლაინ კალკულატორის მეშვეობით (<https://www.watercalculator.org/> ; <https://waterfootprint.org/en/resources/interactive-tools/personal-water-footprint-calculator/>) და შეიმუშავეთ გეგმა თანაკლასელებთან ერთად თუ როგორ დაზოგოთ წყლის რესურსები.
- ✓ ნახეთ სახლში და სკოლაში, რომ წყალი არ ჟონავდეს, ონკანები იყოს შეკეთებული. ერთმა გაუმართავმა ონკანმა შეიძლება დახარჯოს 11000 ლიტრზე მეტი წყალი წელიწადში.
- ✓ შეისწავლეთ რა კეთდება ნიადაგის დაბინძურებისგან დასაცავად, წახალისეთ ის მეურნეობებ და იყიდეთ მათი პროდუქცია, რომლებიც ქიმიკატებს და სასუქებს გონივრულად იყენებენ, იცავენ ნიადაგს და შესაბამისად წყალს.
- ✓ გაეცანით ვირტუალური წყლის კონცეფციას და შეამცირეთ უხილავი წყლის მოხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

<http://mastsavlebeli.ge/?p=1197>

<http://mastsavlebeli.ge/?p=1206>


<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

1. დააკვირდით „წყლის დეფიციტის“ ამსახველ რუკას და ჩამოთვლილთაგან მონიშნეთ ყველა ის რეგიონი, რომელშიც წყლის ეკონომიკური დეფიციტი გვხვდება
 - ა. ავსტრალია და ოკეანეთი
 - ბ. ლათინური ამერიკა და აღმოსავლეთ აზია
 - გ. სამხრეთი აზია და სუბ-საჰარის აფრიკა
 - დ. ცენტრალური აზია და ჩრდილო აფრიკა



2. დააკვირდით „წყლის დეფიციტის“ ამსახველ რუკას და ჩამოთვლილთაგან მონიშნეთ ყველა ის ქვეყანა, რომელსაც ახლო მომავალში წყლის დეფიციტის საფრთხე ელოდება. მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი
 - ა. ესპანეთი
 - ბ. თურქეთი
 - გ. ინდონეზია
 - დ. მადაგასკარი
 - ე. ნამიბია
 - ვ. პერუ
 - ზ. საუდის არაბეთი
 - თ. სუდანი

3. რა კავშირია წყლის დეფიციტსა და გენდერს შორის? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი
 - ა. გოგონები დედებს ეხმარებიან წყლის მოტანაში, რაც მათ განათლებას აშორებს
 - ბ. საავადმყოფოებში ყველაზე ხშირად წყალთან დაკავშირებული დაავადებებით ქალები ხვდებიან
 - გ. ქალებს ბევრად ფიზიკურად უფრო მძიმე სამუშაოს კეთება უწევს თუ წყალმომარაგება არ არის
 - დ. წყლის დეფიციტი სამართლებრივ დავებში ქალთა მონაწილეობას ზრდის

4. რომელია ეკოლოგიური ფაქტორები, რაც წყლის თვისებრივ დეფიციტს იწვევს? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი
 - ა. მაღალი ბუნებრივი მატება
 - ბ. ომი და კონფლიქტები
 - გ. სოფლის მეურნეობაში სასუქების, პესტიციდების გამოყენება
 - დ. ჩამდინარე წყლების ელიმინაცია

5. რას გულისხმობს წყლის ეკონომიკური დეფიციტი?
- ა. წყალი ეკონომიკაში ჭარბი მოხმარების გამო დეფიციტურია ფერმერებისთვის
 - ბ. წყალი ეკონომიკაში ჭარბი მოხმარების გამო დეფიციტურია შინამეურნეობებისთვის
 - გ. წყალი ეკონომიკის ბევრი დარგისთვის მიუწვდომელია
 - დ. წყალზე მოთხოვნილება აღემატება მიწოდებას ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობის გამო
6. შეარჩიეთ სწორი დებულება
- ა. სასმელი წყალი ხელმისაწვდომია, თუ მასთან მისასვლელი დრო 15 წუთს არ აღემატება
 - ბ. სასმელი წყალი ხელმისაწვდომია, თუ ონკანში გრაფიკით მიეწოდება სულ მცირე დღე-ღამეში 4 სთ-ით.
 - გ. სასმელი წყალი ხელმისაწვდომია, თუ საცხოვრებლიდან 1 კმ-ზე ნაკლებ მანძილზეა და ერთ სულს 20 ლ-ით უზრუნველყოფს
 - დ. სასმელი წყალი ხელმისაწვდომია, თუ შინამეურნეობაში 24 საათიანი მიწოდებაა უზრუნველყოფილი
7. წყლის მართვის სტრატეგიაში განიხილება სამომხმარებლო ფასის მატება
- ა. მცდარია
 - ბ. ჭეშმარიტია
8. რომელი საირიგაციო სისტემა გამოირჩევა ეფექტურობით?
- ა. აირწვეთოვანი
 - ბ. ზედაპირული
 - გ. სვეტოვანი
 - დ. წვეთოვანი
9. ვირტუალური წყალი თუ შევა პროდუქციის ღირებულებაში, ქვემოთ ჩამოთვლილიდან ყველაზე ძვირი ეღირება ... მონიშნე სწორი პასუხი
- ა. პური
 - ბ. ფილა შოკოლადი
 - გ. ჭიქა რძე
 - დ. ხორცი
10. რა მიზეზით გააპროტესტეს ფერმერებმა და არასამთავროებმა ყვავილების ექსპორტი ნიაგაშას სანაპიროდან?
- ა. ვირტუალური წყლის ექსპორტმა შექმნა წყლის დეფიციტი
 - ბ. ფერმერების ოჯახები ტბას სარეკრეაციოდ ვეღარ იყენებდნენ
 - გ. ფერმერებს გაუძვირდათ და შეუმცირდათ საირიგაციოდ წყალი
 - დ. ყვავილების მოყვანამ სასუქებით დააზინძურა ტბის წყალი
 - ე. ყველა პასუხი სწორია

მდგრადი განვითარების მიზანი 7:
ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და
თანამედროვე ენერჯის საყოველთაო
ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 83

რაში მდგომარეობს მიზნის არსი? 83

ქვემიზნები მიზნისთვის „ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯია“:..... 84

ფაქტები და მონაცემები 85

ტერმინები..... 86

განახლებადი ენერჯის წყაროები..... 86

რატომ არის მიზნის აღსრულება მნიშვნელოვანი?..... 89

საქართველოს განახლებადი ენერჯის პოტენციალი..... 90

რა შედეგები მოჰყვება ენერჯიაზე წვდომის ნაკლებობას?..... 92

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ საკითხების მოსაგვარებლად?..... 92

მე რისი გაკეთება შემიძლია 93

გამოყენებული ლიტერატურა:..... 94

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია) 95

რაში მდგომარეობს მიზნის არსი?

ყველას ჰქონდეს წვდომა ელექტროენერჯიაზე, რომელიც არის საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერჯის წყაროებიდან მიიღება.

ენერგეტიკული რესურსები შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ - განახლებადი და არაგანახლებადი. პირველს მიეკუთვნება წყალი, მზე, ქარი, ხოლო მეორეს - ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი. გამოყენების მიხედვით არსებობს ე.წ. ტრადიციული და არატრადიციული (ალტერნატიული) ენერგეტიკა. ტრადიციულს მიეკუთვნება: ჰიდრო, თბო და ატომური ენერგეტიკა, არატრადიციულს - ჰელიო (მზის), ეოლო (ქარის), გეოთერმული წყლების, ბიომასის ენერგეტიკა.

ენერჯის ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომლის წინაშეც დღეს მსოფლიო დგას. ენერჯიაზე წვდომა, ენერჯოგენერაცია ხომ ყველა სფეროსთვის მნიშვნელოვანია, იქნება ეს სამუშაო ადგილები, უსაფრთხოება, კლიმატის ცვლილება, საკვების წარმოება თუ ადამიანის კეთილდღეობა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. აღნიშნული მიზნის მიღწევისკენ სწრაფვა სულ უფრო მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მდგრადი განვითარების სხვა მიზნებთან. ენერჯიაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობაზე, ენერჯოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის გაზრდაზე ფოკუსირებით ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რათა საზოგადოება გახდეს უფრო ინკლუზიური ისეთი საკითხების მიმართ, როგორც კლიმატის ცვლილებები.

ამჟამად დაახლოებით 3 მილიარდ ადამიანს საკვების მოსამზადებლად უსაფრთხო ენერჯის წყაროზე არ აქვთ წვდომა და იმყოფებიან შენობების შიდა ჰაერის დაბინძურების საფრთხის ქვეშ. გარდა აღნიშნულისა, 1 მილიარდამდე ადამიანი არსებობს ელექტროენერჯის გარეშე და მათი 50% მხოლოდ სუბ-საჰარის აფრიკის ტერიტორიაზე სახლობს, რაც ამძაფრებს მსოფლიო უთანასწორობის პრობლემას. გასული ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული განახლებადი ენერჯის წყაროების წყლის, მზისა და ქარის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, შემცირებული იქნა ენერჯის დანახარჯი ენერჯოეფექტურობის ხარჯზე. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ხსენებული გამოწვევის გადასაჭრელად ჯერ კიდევ ბევრი ძალისხმევაა საჭირო. მნიშვნელოვანია სუფთა საწვავსა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამასთანავე, მეტი პროგრესი არის საჭირო განახლებადი ენერჯის გავრცელების და მისი გამოყენების თვალსაზრისით შენობებში, ტრანსპორტსა თუ ინდუსტრიაში.

ქვემიზნები მიზნისთვის „ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯია“:

- 2030 წლისთვის ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერჯომომსახურებაზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა.
- 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა ენერჯიებს შორის განახლებადი ენერჯის წილი.
- 2030 წლისთვის ენერჯოეფექტურობის გაუმჯობესების გლობალური მაჩვენებლის გაორმაგება.
- 2030 წლისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება სუფთა ენერჯის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კვლევისა და ტექნოლოგიების სფეროში, მათ შორის განახლებადი ენერჯიების, ენერჯოეფექტურობის და სუფთა წიაღისეული საწვავის ტექნოლოგიის სფეროში, და ინვესტიციების ხელშეწყობა ენერჯეტიკულ ინფრასტრუქტურასა და სუფთა ენერჯის ტექნოლოგიებში.
- 2030 წლისათვის ინფრასტრუქტურის გაფართოება და ტექნოლოგიის განახლება თანამედროვე და მდგრადი ენერჯომომსახურების მისაწოდებლად ყველა

განვითარებადი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის, მცირე კუნძულოვანი განვითარებადი სახელმწიფოებისთვის და ჩაკეტილი განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნიათ, მათი შესაბამისი პროგრამების მხარდაჭერის საფუძველზე.

ფაქტები და მონაცემები

- ✓ მსოფლიოს მოსახლეობის 13 პროცენტს ჯერ კიდევ არ აქვს ელექტროენერგიაზე წვდომა. დასაჩქარებელია ძალისხმევა, რომ 789 მილიონ ადამიანს ჰქონდეს ელექტროენერგია.
- ✓ საკვების მომზადებისას და გათბობისას 3 მილიარდი ადამიანი კვლავაც დამოკიდებულია შეშის, ნახშირის, ან ცხოველურ ნაკელზე. ხოლო განვითარებადი ქვეყნებში ყოველი 4-დან ერთი სახლი არაა ელექტრიფიცირებული.
- ✓ ენერგოგენერაცია არის კლიმატის ცვლილების მთავარი კონტრიბუტორი, რომლის წილიც მთლიან გლობალურ ემისიებში შეადგენს სათბური აირების დაახლოებით 60 პროცენტს.
- ✓ გლობალურად იზრდება ალტერნატიული ენერჯის წყაროების წილი, ამას ხელი კიოტოს პროტოკოლმა და პარიზის ხელშეკრულებამ შეუწყო.
- ✓ სუფთა ენერჯის ბაზარი მხოლოდ ბოლო 10 წლის მანძილზე 55 მილიარდიდან 126 მილიარდამდე გაიზარდა და ზრდა ისევ გრძელდება. იზრდება შრომის ბაზარი მწვანე სექტორში.
- ✓ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისთვის ნავარაუდევია 12 ტრილიონის დახარჯვა, რაც შექმნის ახალ 380 მილიონ მწვანე სამუშაოს.
- ✓ საყოფაცხოვრებო საწვავის გამოყენებისგან შენობებში ჰაერის შიდა დაბინძურებამ 2012 წელს 4,3 მილიონი სიკვდილი გამოიწვია, მათგან 10 -დან 6 ქალები და გოგონები იყვნენ, რადგან ისინი მეტ დროს ატარებენ სახლში ოჯახურ საქმიანობაში.
- ✓ 2016 წელს განახლებადი წყაროების წილი გაიზარდა ყველაზე სწრაფად და მიაღწია თითქმის 17.5 პროცენტს ჰიდროენერგეტიკის, ქარის და მზის ენერჯის ათვისების სწრაფი ზრდის გამო. დასაჩქარებელია განახლებადი ენერჯის გამოყენება, რომ შეიცვალოს ბალანსი ტრადიციულ საწვავთან მიმართებაში
- ✓ ენერგოეფექტურობის განმტკიცების მაჩვენებელი დაგეგმილი 3%-ის ნაცვლად მხოლოდ 1,7 პროცენტია.
- ✓ იზრდება განვითარებადი ქვეყნების ენერჯო სექტორის განახლებად რესურსებში პირდაპირი ინვესტიციები. 2017 წელს ინვესტიციებმა 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

ტერმინები

ენერგია არის სიდიდე, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ნებისმიერ ნაწილაკს, სხეულს ან სხეულების ერთობლიობას და წარმოადგენს მოძრაობის და ურთიერთქმედების რაოდენობრივ ზომას. ენერგიის სხვადასხვა ფორმა მოიცავს კინეტიკურ ენერიას, პოტენციურ ენერიას, სითბურ ენერგიას, გრავიტაციულ ენერგიას, დრეკადობის ენერგიას და სხვა.

ენერგეტიკული რესურსები შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ - **განახლებადი და არაგანახლებადი**.

განახლებადი რესურსებია წყალი, მზე, ქარი, ხოლო არაგანახლებადი - ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი.

გამოყენების მიხედვით არსებობს ე.წ. **ტრადიციული და არატრადიციული (ალტერნატიული) ენერგეტიკა**. ტრადიციულს მიეკუთვნება: ჰიდრო, თბო და ატომური ენერგეტიკა, არატრადიციულს - ჰელიო (მზის), ეოლო (ქარის), გეოთერმული წყლების, ბიომასის ენერგეტიკა.

ენერგოეფექტურობა - ენერგოეფექტურობა არის ენერგიის, როგორც რესურსის ოპტიმალური გამოყენება და მისი მაქსიმალურად შეზღუდვა სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო პროცესებში ისე, რომ ამით მიღებული სარგებელი არ შეიცვალოს. ენერგოეფექტურობის გაზრდა, რომელსაც ორი ძირითადი მიდგომა აქვს - ენერგოდაზოგვა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები ენერგიის მოხმარების შემცირების პირველადი წყაროებია.

განახლებადი ენერგიის წყაროები

მეცნიერები დიდ ხანს ფიქრობდნენ მზის, ტალღების და ქარის ენერგიის გამოყენებაზე, განათების, გათბობის, გაგრილების, ტრანსპორტირებისა თუ სხვა მიზნებისთვის. საინტერესოა ამ მიმართულებით თანამედროვე მსოფლიოში მიღწერული შედეგები და ტენდენციები. განვიხილოთ განახლებადი ენერგიის თითოეული წყარო და მათი გამოყენების მხრივ მიღწეული პროგრესი დედამიწაზე.

ბიომასა - კაცობრიობამ პირველად სწორდ ბიომასის ენერგიის გამოყენება დაიწყო. გასათბობად, საკვების მოსამზადებლად თუ ცხოველების შესამინებლად დანთებული კოცონი ბიომასის ენერგიის პრაქტიკული გამოყენებაა. ბიომასას განეკუთვნება ყველა ის ენერგია, რომელიც ბიოლოგიური ორგანიზმების, მცენარეებისა და ცხოველებისაგან მიიღება. ბიოენერგიის სახეობებიც მრავალფეროვანია და მოიცავს მყარ ბიოსაწვავსა თუ თხევად ბიოსაწვავს.

ბიოგაზი უჟანგბადო გარემოში სხვადასხვა ორგანული ნივთიერების დაშლით წარმოიქმნება, ეს ორგანული ნივთიერებები კი ხშირ შემთხვევაში ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენებია, ან დაჭაობებული ტერიტორიები. აღნიშნულ ადგილებში ორგანული

ნივთიერებების დაშლით გამოიყოფა ბუნებრივი აირი მეთანი და ნაშირორჟანგი, რომელიც ჩვეულებრივ გაზს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ჩვ.წ.ად. მე-2 ათასწლეულში თანამედროვე გერმანიის ტერიტორიაზე მდინარე ელბას აუზის დაჭაობებულ მიწაზე მცხოვრებმა მომთაბარე ტომებმა მოიფიქრეს ჭაობის ზედაპირიდან ამომავალი აალებადი გაზის გამოყენება. ისინი ფარავდნენ ჭაობის ზედაპირს ტყავით, ტყავისავე მილებით მიყავდათ დაგროვილი გაზი თავიანთ საცხოვრისამდე და იყენებდნენ მას საჭმლის მოსამზადებლად.

ბიოგაზის მისაღებად შეიძლება გამოვიყენოთ მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ასევე ცხოველური ნარჩენები, ჩამდინარე წყლები და ა.შ. ბიოგაზი სპეციალურ მოწყობილობებში, ბიორეაქტორებში გადამუშავების შედეგად მიიღება და გამოიყენება ელექტროენერჯის მისაღებად, გათბობის სისტემებში და ტრანსპორტის საწვავად.

ბიომასა უკვე უზრუნველყოფს მსოფლიოს პირველადი ენერჯის მოხმარების 14%-ს. აღსანიშნავია, რომ ბიომასის ენერჯია განსაკუთრებით გავრცელებულია განვითარებად ქვეყნებში. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის, ბიოგაზის წარმოებისა და გამოყენების მხრივ დანიას უჭირავს წამყვანი ადგილი, სადაც ქვეყნის მთლიან ენერჯო ბალანსში ბიოგაზს 18% უკავია.

ჰიდრო ენერჯია - 2000-2500 წლის წინ ბერძნები და რომაელები წყლის ენერჯიას (ჰიდროენერჯია) დოლაბების ასამოდრავებლად და მარცვლეულის დასაფქვავად იყენებდნენ. ინდუსტრიულ რევოლუციამდე წყალი იყო სხვადასხვა დანადგარის ამოდრავების უმთავრესი წყარო.

დაახლოებით 100 წლის წინ კი წყლისგან ელექტროენერჯის წარმოება დაიწყო. პირველად წყლისგან ელექტროენერჯია 1878 წელს ინგლისში, ნორსამბერლენდში, უილიამ არმსტრონგის მიერ შექმნილი ჰიდროელექტროსადგურის საშუალებით მიიღეს, რომელიც გამოიყენებოდა ხელოვნების მუზეუმში ერთი ნათურის გასანათებლად. 1881 წელს ნიაგარას ჩანჩქერზე აიგო ჰიდროელექტროსადგური, მას შემდეგ კი დასაბამი მიეცა ჰიდროელექტროსადგურების მასობრივ მშენებლობას.

ჰიდროენერჯის მიღების მექანიზმი შემდეგ პრინციპს ემყარება: წყალი ამოდრავებს ტურბინებს, რომელიც მექანიკურ ენერჯიას ელექტროენერჯიად გარდაქმნის. დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები იყენებენ წყალსაცავებს, სადაც დიდი რაოდენობით წყალია დაგროვებული. ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნოლოგია მარტივი და ცნობილია, თუმცა ტექნოლოგიური გამოწვევები არ არის ჰიდროენერჯიასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემა.

ზღვის მიქცევა-მოქცევის ენერჯია - წყლის ენერჯიის გამოყენების მაგალითია, ზღვისა და ოკეანის მოქცევის და ტალღების ენერჯიისგან ელექტროენერჯის მიღება. ტალღების მოქცევის ენერჯიაც ენერჯიის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა და აქტიურად გამოიყენებოდა საფრანგეთში, ინგლისსა თუ ესპანეთში მერვე საუკუნის მიწურულიდან ნაოსნობასა და

გემების გადაადგილებაში. ბოლო პერიოდში კი მისი საშუალებით ელექტროენერჯის წარმოება დაიწყო.

ტალღების მოქცევისაგან ელექტროენერჯის მიღება იმავე პრინციპს ემყარება რაც წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურების შემთხვევაში გვაქვს. ზღვისა და ოკეანის მიქცევისა და მოქცევის ენერჯია ამოდრავებს ტურბინებს, გენერატორებს და მიიღება ელექტროენერჯია, თუმცა ამ შემთხვევაში ტექნოლოგია შედარებით მრავალფეროვანი და ძვირია. აღსანიშნავია, რომ ზღვის ტალღების ენერჯია არ არის დამოკიდებული ამინდზე.

ტალღების მოქცევით ენერჯის წარმოების კარგი პოტენციალი აქვთ საფრანგეთს, ინგლისს, კანადას და რუსეთს, რადგანაც ენერჯის მიღების აღნიშნული საშუალება ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა.

მზის ენერჯია - ყოველ საათში დედამიწაზე იმდენი მზის ენერჯია აღწევს რაც ერთი წლის მანძილზე მთელი მსოფლიოს ენერჯეტიკული მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. კაცობრიობის მიერ გამოყენებული წიაღისეული რესურსების წვით მიღებული ენერჯია იგივეა რაც მზის 30 დღიანი ნათების შედეგად მიღებული ენერჯია.

მზის ენერჯის კომერციული მიზნებით გამოყენება 1447 წელს ლეონარდო და ვინჩიმ იწინასწარმეტყველა. 1515 წელს მან 4 მეტრი სიგრძის პარაბოლური სარკის კონსტრუქციის აგება დაიწყო რომელიც წყალს გააცხელებდა. ტექნოლოგიები იხვეწებოდა და 1921 წელს ფოტოელექტრონული ეფექტის თეორიული შესწავლისათვის ალბერტ აინშტაინს ნობელის პრემია მიენიჭა.

არსებობს მზის ენერჯის გამოყენების პასიური და აქტიური მეთოდები. პასიური გამოყენება სპეციალური ტექნოლოგიების არსებობის აუცილებლობას არ გულისხმობს. მაგ., საცხოვრებელი სახლის სამხრეთისკენ მიმართული ფანჯრები, სითბოს შენარჩუნებისათვის.

მზის ენერჯის ათვისება დამოკიდებულია ტექნოლოგიურ განვითარებაზე და ქვეყნების ადგილმდებარეობაზე. ყველაზე ძლიერი ნათება ეკვატორზეა, მისგან მოშორებით კი შედარებით მცირდება.

მზის ენერჯია წარმატებით გამოიყენება ელექტროენერჯის მისაღებად, გათბობის სისტემების მოსაწყობად და ტრანსპორტირებისთვისაც კი.

ქარის ენერჯის გამოყენების ადრეული ფორმები ნაოსნობას უკავშირდება. მეზღვაურები ქარის ენერჯიას სწრაფი გადაადგილებისთვის იყენებდნენ. ქარის ენერჯია გამოიყენებოდა წყლის ამოსატუმბადაც. კუნძულ კრეტაზე, ასობით დანადგარის საშუალებით ამოჰქონდათ წყალი მდინარეებიდან, რასაც შემდგომ მარცვლეულის სარწყავად და სასმელად იყენებდნენ. ქარის ენერჯის გამოყენების შემდგომი სტადია ქარის წისქვილები იყო. ჩვ.წ.აღ.500-900 წლისთვის სპარსეთში ქარის ენერჯის გამოყენება წისქვილების ამუშავებისთვის დაიწყო.

მე-19 საუკუნის მიწურულიდან კი ქარის ენერჯისგან ელექტროენერჯის წარმოება დაიწყო. პირველი სადგური 1888 წელს ოჰაიოში, აშშ-ში გაიხსნა. ელექტროენერჯის წარმოებას

ჩვეულებრივ 14 კმ/სთ სიჩქარის ქარის ენერჯია სჭირდებოდა. ერთი ტურბინა კი 300 სახლის ელექტრომომარაგებისთვის იყო საკმარისი.

ქარის ენერჯიისგან ელექტროენერჯიის წარმოება ევროპაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც წიაღისეულ საწვავზე ფასების მკვეთრი მატება მოხდა. 1970-იან წლებში იგივე მდგომარეობა იყო ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ცნობილი „არაბული ნავთობის კრიზისის“ პირობებში ქარის ენერჯია იყო ელექტროენერჯიის მიღების მნიშვნელოვანი წყარო.

გეოთერმული ენერჯია - ძველ რომში საზოგადოებრივი თავშეყრის ერთ ერთი მნიშვნელოვანი ადგილი აბანოები იყო. როდესაც სენატორი დაბადების დღეს იხდიდა და დაწინაურების სურვილით შეპყრობილს, სახელმწიფო მოხელეების გულის მოგება სურდა, მათ აბანოში ეპატიჟებოდა. აბანოები დედამიწიდან მომდინარე ცხელი წყაროების ადგილებში შენდებოდა. ასეთი ადგილი რომში მრავლად იყო.

აბანოში სიარულის ტრადიცია ცნობილია საქართველოშიც, ცხელი გოგირდის წყლით მოხარშული ხობის შესახებაც გვსმენია ყველას. ეს ცხელი წყლები გეოთერმული ენერჯიის გამოვლინებაა.

გეოთერმული ენერჯია დედამიწის გულში არსებული ენერჯიაა. დედამიწის გული გავარვარებული მასაა, მისი სიმზურველე მზის სიმზურვალესაც კი აჭარბებს, ეს სიმზურვალე და ენერჯია დედამიწის ზედაპირზეც ამოიფრქვევა ხოლმე ვულკანებისა და გეიზერების სახით.

ამ ენერჯიის გამოყენება აბანოების მოწყობის გარდა სხვა დანიშნულებითაც გახდა შესაძლებელი. მსოფლიოში ენერჯიის 10% გეოთერმული ენერჯიისგან მიიღება, გეოთერმული ენერჯია ჩვეულებრივ გამოიყენება გათბობისა და ელექტროენერჯიის მიღებისათვის. განსაკუთრებული მაღალი გამოყენება აქვს ისლანდიას.

რატომ არის მიზნის აღსრულება მნიშვნელოვანი?

კარგად ჩამოყალიბებული ენერგეტიკული სისტემა ყველა სექტორის განვითარების მხარდამჭერია: ბიზნესი, მედიცინა, განათლება და კვლევები, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები, ტურიზმი, მრეწველობა, ტრანსპორტი და სხვა. განვითარებად ქვეყნებში ელექტრიფიკაცია დაჩქარდა, ენერგოეფექტურობა უმჯობესდება და განახლებად ენერჯიაზე წვდომა სულ უფრო მზარდი და შთამბეჭდავი ხდება. მიუხედავად ამისა, მეტი მიზანმიმართული მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სუფთა და უსაფრთხო ტექნოლოგიების ხემისაწვდომობა შინამეურნეობებში, რადგან საკვების დასამზადებლად 2.8 მილიარდი ადამიანი ჯერ კიდევ იყენებს შეშას და ცხოველურ ნაკელს.

მრავალი ათწლეულის განმავლობაში წიაღისეული საწვავი, როგორცაა ქვანახშირი, ნავთობი ან გაზი იყო ელექტროენერჯიის წარმოების მთავარი წყარო, მაგრამ მათმა მოხმარებამ წარმოქმნა დიდი რაოდენობით სათბური აირები, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია

ტემპერატურულ რეჟიმზე და გამოიწვია კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილების უარყოფით შედეგებს უკვე თვალნათლივ ვხედავთ ახალ ამბებში თუ ჩვენს ირგვლივ (წყალდიდობები და წყალმოვარდნები, ექსტრემალური ტემპერატურები, გვალვები, ხანძრები). აღნიშნული შედეგები უარყოფიდან აისახება ადამიანების კეთილდღეობაზე და გარემოზე. მისი მასშტაბები არ არის შემოსაზღვრული, არამედ გლობალურია. უფრო მეტიც, ელექტროენერჯის გლობალური მოხმარება სწრაფად იზრდება, რადგან იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, ასევე ხელმისაწვდომობა ენერჯიაზე და ერთი მოსახლის მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე ტექნოლოგიური სიახლეებიდან და ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე. სტაბილური ელექტროენერჯის გარეშე, ქვეყნები ვერ შეძლებენ თავიანთი ეკონომიკის გაძლიერებას.

გლობალური კლიმატის ცვლილების პირობებში ენერჯეტიკის სექტორს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. მზის, ქარისა და წყლის ენერჯის გამოყენების ზრდა სათბურის აირების ემისიის შემცირების და წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებული ეკონომიკის სუფთა წყაროებზე გადართვის საშუალებას იძლევა. ევროკავშირის მიზნები - ჩაანაცვლოს ტრადიციული ენერჯია განახლებადებით, ყოველ ჯერზე უფრო და უფრო ამბიციური ხდება. გლობალური მწვანე შეთანხმება, რომელიც ევროკავშირის ეკონომიკური ხედვის საფუძველი უნდა იყოს, დამატებით სტიმულს იძლევა ამისთვის.

საქართველოს განახლებადი ენერჯის პოტენციალი

ექსპერტული შეფასებით, საქართველოს გააჩნია შემდეგი ენერჯორესურსები: საქართველოს პოტენციური ჰიდრორესურსები შეადგენს 135.8 მლრდ. კვტ.სთ/წელიწადში, ტექნიკური პოტენციალი 81 მლრდ. კვტ.სთ/წელიწადში, ეკონომიკურად ხელსაყრელი კი - 32 მლრდ. კვტ.სთ/წელიწადში. საქართველოს ტერიტორიაზე ყოველწლიურად იღებს მზის რადიაცია, რომელიც 108 მგვტ სიმძლავრის ექვივალენტურია. ქარის ენერჯის ტექნიკური პოტენციალი შეადგენს 4.5 მლრდ. კვტ.სთ/წელიწადში; გეოთერმული წყლების პროგნოზირებული მარაგი (წყლის ტემპერატურა 90_1100C) შეადგენს 250.0 მლნ. მ3-ს. ბიომასის გადამუშავებით შეიძლება მივიღოთ 510 მგვტ სიმძლავრე. ასეთი ენერჯეტიკული რესურსების პირობებში საქართველოსათვის პრიორიტეტულია ჰიდროენერჯეტიკის, მათ შორის, მცირე ჰიდროენერჯეტიკის განვითარება

ჰიდროენერჯეტიკა - საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს შორის პირველობა წყალსა და წყალთან დაკავშირებულ რესურსებს ეკუთვნის. საქართველოს ჰიდროენერჯეტიკული პოტენციალი (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები) მისი ფართის გათვალისწინებით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. საქართველოს ტერიტორიაზე დათვლილია 26 060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან, შეადგენს 96,5 კმ3-ს. მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერჯეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 ათასი მეგავატის ექვივალენტურია, ხოლო საშუალო წლიური ენერჯია 50 მლრდ კვტ.სათის ექვივალენტური.

საქართველოს მდინარეების სპეციფიურობიდან გამომდინარე, რომელთაც ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული სეზონურობა, ამ რესურსების გადანაწილება წლიურ, ან მრავალწლიურ ასპექტში შესაძლებელია მხოლოდ მარეგულირებელი წყალსაცავებიანი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით. თუმცა ეკოლოგიური თვალსაზრისით ასეთების მშენებლობა გართულებულია, ამიტომ ძირითადი აქცენტი კეთდება მცირე წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე.

მზის ენერგორესურსები - დედამიწაზე მზე ენერჯის ამოუწურავი წყაროა. დღესდღეობით ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების მზარდი ტემპები ამ ენერჯიების უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალებას იძლევა ვიდრე ეს წინა წლებში იყო შესაძლებელი. მზის ენერჯოდანადგარების საშუალებით შესაძლებელია მზის ენერჯის თბურ ან ელექტრო ენერჯად გარდაქმნა, შესაბამისად, ასხვავებენ მზის თერმულ დანადგარებს და მზის ფოტოელემენტებს (მზის პანელებს). ამ დანადგარებიდან მიღებული თბური და ელექტროენერჯის გამოყენება შესაძლებელია როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე ენერჯეტიკული მიზნებისათვის. დანადგარის ეფექტურობა დამოკიდებულია მზის გამოსხივებაზე (მუშა ზედაპირზე დაცემული სხივების დახრის კუთხესა და რაოდენობაზე) და დანადგარის მარჯი ქმედების კოეფიციენტზე (მქკ)

საქართველოს ტერიტორიაზე ხელსაყრელი და ეკონომიკურად გამართლებულია მზის ენერჯის გამოყენება, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მზის გამოსხივება არის მაღალი. უმეტეს ტერიტორიაზე წელიწადში 250-280 მზიანი დღე, ანუ დაახლოებით 6000-6780 მზიანი საათია. წლის მანძილზე მზის ენერჯია, პირდაპირი გამოსხივება მზის სხივების მიმართ პერპენდიკულარულ 1 კვ.მ ზედაპირზე 1,300-2,500 კვტ.სთ ფარგლებშია, რაც აღემატება ევროპის საშუალო ანალოგს – წელიწადში 1,000 კვტ.სთ/მ²-ს. მაქსიმალური რადიაციაა მაღალმთიან ზონაში, დიდი კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში.

ქარის ენერგორესურსები - ქარის ენერჯია არის მზის ენერჯის შედეგი, წარმოიქმნება დედამიწის ზედაპირის არათანაბარი გაცხელების შედეგად. ყოველ საათს დედამიწა იღებს 100 000 000 000 000 კვტ/სთ მზის ენერჯიას. მზის ენერჯის 1-2% გარდაიქმნება ქარის ენერჯად. ეს მაჩვენებელი 50-100-ჯერ აღემატება ენერჯის იმ რაოდენობას, რომელიც გარდაქმნილია დედამიწის ყველა მცენარის მიერ ბიომასაში.

საქართველოს გააჩნია ქარის ენერჯის მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის მეშვეობით ელექტროენერჯის საშუალო წლიური გამომუშავება საორიენტაციოდ 4 მლრდ. კვტ.სთ-ით, ხოლო დადგმული სიმძლავრე 1500 მგვტ-ით არის შეფასებული. ქარის ენერჯეტიკული ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით საქართველოს ტერიტორია დარაიონებულია მაღალ, საშუალო და დაბალ სიჩქარიან ზონებად, სადაც ქარის სიჩქარე წელიწადში 2,5 მ/წმ-დან 9,0 მ/წმ-მდე მერყეობს, სამუშაო დროის ხანგრძლივობა წელიწადში 4000-5000 სთ შეადგენს. შერჩეულია ქარის ელექტროსადგურების განთავსების საუკეთესო ადგილები, რომლებიც საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს.

რა შედეგები მოჰყვება ენერჯიაზე წვდომის ნაკლებობას?

ადამიანებს უწევთ ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც გარემოს ვნებს და თავის ჯანმრთელობასაც.

თუკი შინამეურნეობას არ აქვს ენერჯიაზე წვდომა, ქალებს და გოგონებს ბევრად მძიმე ფიზიკური საქმიანობის გაწევა და მეტი დროის გატარება უწევთ საკვების დასამზადებლად, რაც ტრადიციულად მათ ფუნქციებში შედის. შესაბამისად, გოგონები არიან ჩამოშორებული სკოლას, რადგან დედას ეხმარება ოჯახურ საქმეებში.

ელექტროენერჯიის გარეშე კლინიკები ვერ ინახავენ ბავშვებისთვის ვაქცინებს, თუ სხვა პრეპარატებს, რომელსაც შენახვის პირობების დასაცავად მაცივარი ჭირდებათ. ასევე ვერ ამუშავებენ სამედიცინო ტექნიკას.

ბევრი სკოლის მოსწავლე ვერ ასრულებს საშინაო დავალებას ღამით, ასევე სკოლები ვერ ასწავლიან ტექნოლოგიების გამოყენებას. ხალხი ვერ აწარმოებს კონკურენტუნარიან ბიზნესს.

თუ 2030 წლისთვის ჩვენ ვერ მივაღწევთ ჩვენს მიზანს, მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის მესამედი - ძირითადად ქალები და ბავშვები - მათ ჯანმრთელობას კვლავ შეექმნება საფრთხე შენობებსში ჰაერის მავნე დაბინძურებისგან.

ენერჯიაზე წვდომის ნაკლებობაზე ძალისხმევა შეაფერხა COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. რადგან მოხდა პრიორიტეტების გადატანა ჯანდაცვაზე, ასევე საერთაშორისო პროექტები აღმოჩნდა ჩაშლის წინაშე, რადგან შეჩერდა მიმოსვლა. თუმცა პანდემიისთვისაც ენერგეტიკული მომსახურება აღმოჩნდა გადამწყვეტი, დაავადების სამართავად ენერჯია აუცილებელია, ასევე ვაქცინების ადმინისტრირებისთვის ცივი ჯაჭვია შესაარჩუნებელი, რაც სპეციალურ სამაცივრე დანადგარებს გულისხმობს, ასევე საჭიროა ინფორმაციის მართვა კომუნიკაციებისა და IT სერვისების ჩართვისთვის, რომლებიც აკავშირებს ადამიანებს მიუხედავად სოციალური დისტანციისა.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ საკითხების მოსაგვარებლად?

ქვეყნებს შეუძლიათ დააჩქარონ გადასვლა ხელმისაწვდომ, საიმედო და მდგრად ენერგეტიკულ სისტემაზე განახლებადი ენერჯიის რესურსებში ინვესტიციის ჩადებით, ენერგოეფექტური პრაქტიკის პრიორიტეტის მინიჭებით და სუფთა ენერჯიის ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის მიღებით. ბიზნესს შეუძლია შეინარჩუნოს და დაიცვას ეკოსისტემა და მიიღოს ვალდებულება განახორციელოს ელექტროენერჯიის საჭიროებების 100% განახლებადი წყაროებიდან. დამსაქმებლებს შეუძლიათ შეამცირონ შიდა მოთხოვნა ტრანსპორტზე სატელეკომუნიკაციო პრიორიტეტების მინიჭებით და ნაკლებად ენერჯიულად ინტენსიური რეჟიმების სტიმულირება, როგორცაა მატარებლით მგზავრობა ავტო და საჰაერო მოგზაურობაზე შეზღუდვები. ინვესტირებს შეუძლიათ მეტი ინვესტიცია განახორციელონ მდგრად ენერგეტიკულ მომსახურებაში, რაც სწრაფად შემოიტანს ახალ ტექნოლოგიებს.

მნიშვნელოვანია **ენერგოეფექტურობის** გაზრდა, რომელსაც ორი ძირითადი მიდგომა აქვს - ენერგოდაზოგვა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები ენერჯის მოხმარების შემცირების პირველადი წყაროებია.

ენერგოდაზოგვა ნაკლები ენერჯისა და ენერგეტიკული მომსახურების გამოყენებას ნიშნავს, რომელიც ძირითადად ადამიანურ ფაქტორთან არის დაკავშირებული და ენერგომოხმარების ჩვევებს ასახავს. მარტივად, ეს შეიძლება ნიშნავდეს სინათლის ან გათბობის გამორთვას იქ სადაც საჭიროებას არ წარმოადგენს.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიები მაღალეფექტური მოწყობილობებია, რომლებიც იგივე მომსახურების/პროდუქტის საწარმოებლად ნაკლებ ენერჯიას მოიხმარს. ეს შეიძლება იყოს ფლუორესცენციული ნათურა, რომელიც ჩვეულებრივ ვარვარა ნათურასთან შედარებით იგივე ნათების პირობებში, 5-ჯერ ნაკლებ ენერჯიას მოიხმარს და 10-ჯერ მეტ ხანს ძლებს.

აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის ცნობით დაახლოებით 90 მილიარდი კვტ.სთ ენერჯის დაზოგვა არის შესაძლებელი მხოლოდ შენობებში, წლიურად, ხოლო სხვადასხვა სექტორებში, ენერგოეფექტურ ღონისძიებებში 520 მილიარდი დოლარის ინვესტიციის შემთხვევაში, 1.2 ტრილიონი დოლარის ღირებულების ენერჯის დანაზოგის გაკეთება იქნება შესაძლებელი

საქართველოში საცხოვრებელი სახლის გათბობას 2-3-ჯერ მეტი ენერჯია სჭირდება, ვიდრე ასეთივე კლიმატურ პირობებში მდგარი სახლის გათბობას დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში.

ევროკავშირის 2010 წელს მიღებული სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიზანს ენერგომოხმარების 20%-ით შემცირება წარმოადგენს. ამით თითოეული ოჯახის ფინანსური დანაზოგი წლიურად 1000 ევრო იქნება, გაიზრდება ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა, შეიქმნება დაახლოებით 2 მილიონი სამუშაო ადგილი და 740 მილიონი ტონით შემცირდება ნახშირორჟანგის გაფრქვევა.

მე რისი გაკეთება შემიძლია

- ✓ მოიძიეთ ენერჯის შესახებ მეტი ინფორმაცია, მაგალითად, „ენერჯის დაზოგვის საშუალებები და მათი გამოყენების შესაძლებლობები ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის წყაროები, ორჰუსის ცენტრი“, შეისწავლეთ რჩევები და მითითებები ენერგოეფექტურობის შესახებ. ნახეთ სახლში თუ სკოლაში რა შეგიძლიათ გააკეთოთ ამ მიმართულებით.
- ✓ თქვენ შეგიძლიათ დაზოგოთ ელექტროენერჯია ელექტრო მოწყობილობების გამოყენებისას, მაგალითად მათი სრული გამორთვით, როდესაც არ იყენებთ, შვებულების დროს მაცივრის გამორთვით, ან კოპიუტერის და ტელევიზორის გამორთვით, როცა მათ არ იყენებთ. მნიშვნელოვანია ჩამრთველი არ იყოს დატოვებული დენის ქსელში.

- ✓ გამორთეთ შუქები იმ ოთახებში, რომლებშიც არ გამოიყენებთ. მცდარია შეხედულება, რომ შუქის ჩაქრობა ანთებისას ენერგია მეტი მიდის, ვიდრე ნათუის დატოვებისას. სინამდვილეში, როდესაც შუქს გამორთავთ, ნათურის ტიპის მიუხედავად, თუნდაც რამდენიმე წუთით, ეს ზოგავს ენერგიას.
- ✓ მოუსმინეთ ლექციებს, გაიარეთ ტრენინგი ენერგიაზე და ენერგოეფექტურობაზე, მოიძიეთ საუკეთესო მაგალითები სხვადასხვა ქვეყნიდან, მოაწყვეთ სკოლაში განხილვები, რომ ამაღლდეს ცნობიერება. შეისწავლეთ ალტერნატიული ენერგიის შესაძლებლობები, დაუჭირეთ მხარი, ჩაერთეთ ან თავად დაგეგმეთ ენერგოდაზოგვის სასწავლო პროექტები.
- ✓ გამოთვალეთ ნახშირორჟანგის ემისია ონლაინ კალკულატორის მეშვეობით (<https://www.carbonfootprint.com/calculator.aspx>) და შეიმუშავეთ გეგმა თანაკლასელებთან ერთად თუ როგორ დაზოგოთ ენერგია, ან გააკეთოთ ნახშირბადის კომპენსირება, რაც გულისხმობს სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებას.
- ✓ ჩაუწიეთ თერმოსტატს და დაათბუნეთ შენობა ფანჯრების იზოლაციით, სახლში ხალიჩებით, რომ შეინარჩუნოთ სითბო. გამოიყენეთ ენერგოეფექტური ნათურები და ჩაანაცვლეთ თქვენი საყოფაცხოვრებო ტექნიკა ეკოლოგიურად გაუმჯობესებული მოდელებით, რომლებიც ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ.
- ✓ საჭმლის მზადებისას დააფაროთ ქვაბს ან ტაფას თავსახური, რაც მოხმარებულ ენერგიას 75 %-ით შეამცირებს. შეავსეთ ჩაიდანის იმ წყლის ოდენობით, რაც იმ მომენტისთვის გჭირდებათ.
- ✓ შეგიძლიათ ისარგებლოთ ველოსიპედით, ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ან იაროთ ფეხით, როცა კი ეს შესაძლებლობა გექნებათ, რათა შეამციროთ ნახშირბადის გამონაბოლქვი.

გამოყენებული ლიტერატურა:

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროები, ორჰუსის ცენტრი

ენერგიის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა, მსოფლიო გამოცდილება, BP საქართველო, 2013 ენერგიის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა მსოფლიო გამოცდილება

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

11. ეწვიეთ Our World in Data-ს ვებგვერდზე ენერჯის მოხმარების ინტერაქტიულ რუკას ერთ სულ მოსახლეზე (2019 წ.) <https://ourworldindata.org/grapher/per-capita-energy-use> , რომელზეც ფერები მუქდება ბაცი ნარინჯისფერიდან (1000 კილოვატ საათი მოხმარებული ენერჯია) მუქ ნარინჯისფრამდე (75 ათას კილოვატ საათი მოხმარებული ენერჯია), ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან მონიშნეთ ისინი, რომლებშიც მოხმარება 75 კილოვატ საათს აღემატება.

- ა. ავსტრალია
- ბ. აშშ
- გ. გერმანია
- დ. იტალია
- ე. საუდის არაბეთი
- ვ. საქართველო
- ზ. ჩინეთი

12. ეწვიეთ Our World in Data-ს ვებგვერდზე ენერჯის მოხმარების ინტერაქტიულ რუკას ერთ სულ მოსახლეზე (2019 წ.) <https://ourworldindata.org/grapher/per-capita-energy-use> , რა იწვევს მაღალ მოხმარებას? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი

- ა. გარემოსდაცვითი პოლიტიკის ხარვეზები
- ბ. ეკონომიკური განვითარების დაბალი მაჩვენებლები
- გ. საწვავი რესურსების დიდი მარაგი
- დ. ტექნოლოგიებზე წვდომა

13. ეწვიეთ Our World in Data-ს ვებგვერდზე ენერჯის მოხმარების ინტერაქტიულ რუკას ერთ სულ მოსახლეზე (2019 წ.) <https://ourworldindata.org/grapher/per-capita-energy-use> , მონიშნეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი დებულება

- ა. აზიაში ქვეყნების უმრავლესობაში ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ენერჯია 5 ათას კილოვატ საათზე ნაკლებია
- ბ. რუკის მიხედვით ვერ დგინდება ენერჯის ტრადიციულ თუ განახლებად წყაროებს მოიხმარენ ქვეყნები
- გ. სამხრეთის ქვეყნებში მოსახლეობა უფრო ჭარბად მოიხმარს ელექტროენერჯიას
- დ. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ენერჯის მოხმარება 50 ათას კილოვატ საათს აღემატება

14. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება არატრადიციული ენერჯეტიკის სახეობას?

- ა. ბიომასის ენერჯეტიკა
- ბ. გეოთერმული ენერჯეტიკა
- გ. ჰელიო (მზის) ენერჯეტიკა
- დ. ჰიდროენერჯეტიკა
- ე. ყველა მათგანი მიეკუთვნება არატრადიციულ ენერჯეტიკის სახეობებს

15. რომელი დებულება ენერგოეფექტურობაზე არის მცდარი?
- ა. ენერგოეფექტურობა გულისხმობს ენერჯის მოხმარების შეზღუდვას სამრეწველო პროცესებში
 - ბ. ენერგოეფექტურობა გულისხმობს ენერჯის მოხმარების შეზღუდვას საყოფაცხოვრები პროცესებში
 - გ. ენერგოეფექტურობა გულისხმობს ენერჯის ოპტიმალურ გამოყენებას
 - დ. ენერგოეფექტურობა გულისხმობს მოსახლეობისთვის ენერჯიაზე წვდომის შეზღუდვას
 - ე. ყველა დებულება სწორია
16. ჭეშმარიტია თუ მცდარი დებულება - ქალები და გოგონები მეტ დროს ატარებენ შინამეურნეობაში, რაც ენერჯის არ ქონის შემთხვევაში მეტ დაბინძურებას და ჯანმრთელობისთვის რისკს გულისხმობს
- ა. მცდარია
 - ბ. ჭეშმარიტია
17. ჭაობიდან გაზის სახით ბიომასა საწვავად პირველად სად გამოიყენეს?
- ა. ავსტრიაში
 - ბ. გერმანიის ტერიტორიაზე
 - გ. იაპონიაში
 - დ. რუსეთის ტერიტორიაზე
 - ე. ასეთი რამ შეუძლებელი იყო
18. რა პრობლემებს აგვარებს განახლებადი რესურსების გამოყენების მასშტაბების გაზრდა.
- ა. იცავს ატმოსფერულ ჰაერს დაბინძურებისგან
 - ბ. იცავს ნიადაგს დაბინძურებისგან
 - გ. იცავს ზედაპირულ წყლებს დაბინძურებისგან
 - დ. ყველა ზემოთ თქმული დებულება სწორია
19. რომელი განახლებადი რესურსის გამოყენება არის ყველაზე მეტად პერსპექტიული საქართველოსთვის
- ა. გეოთერმული რესურსების სასათბურე და საყოფაცხოვრებო გამოყენებით
 - ბ. ქარის რესურსების ზღვის შეღებზე
 - გ. წყალსაცავებიანი ან მცირე ჰიდროელექტროსადგურები
 - დ. საშუალო და დიდი ჰიდროელექტროსადგურები
 - ე. ყველა მათგანი პერსპექტიულია
20. ენერჯო კრიზისი და მისი დეფიციტი საზოგადოების აქმიანობის რომელ სფეროებს შეუქმნის რისკს
- ა. ბიზნესი
 - ბ. განათლება
 - გ. ჯანდაცვა
 - დ. ყველა პასუხი სწორია

მდგრადი განვითარების მიზანი 8:
 სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი
 ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული
 და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული
 სამუშაო ყველასათვის.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 8: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის. 97

რაში მდგომარეობს მიზნის არსი? 98

ქვემიზნები მიზნისთვის „ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“: 98

ფაქტები და მონაცემები: 100

ტერმინები..... 101

რატომ არის მიზნის აღსრულება მნიშვნელოვანი?..... 101

რას ნიშნავს "ღირსეული სამუშაო"?..... 103

არაფორმალური დასაქმება, როგორც სახელმწიფოს პრობლემა 103

რამდენი ადამიანია უმუშევარი? 106

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ საკითხების მოსაგვარებლად?..... 106

მე რისი გაკეთება შემიძლია 107

გამოყენებული ლიტერატურა..... 107

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია) 108

რაში მდგომარეობს მიზნის არსი?

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ადგილი ჰქონდეს ინკლუზიურ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თითოეულ ადამიანს ჰქონდეს საშუალება დასაქმების და ღირსეული პირობები სამუშაოდ.

დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევრისთვის საარსებო წყაროს წარმოადგენს დღეში 2 აშშ დოლარის ექვივალენტი. გლობალური უმუშევრობის მაჩვენებელი 5.7%-ია და მოსახლეობის ნაწილისათვის სამუშაოს ქონა ჯერ კიდევ არ არის სიღარიბისგან თავის დაღწევის გარანტია. არსებული ნელი და არათანაბარი პროგრესი მოითხოვს იმ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გადაფასებას, რომელიც სიღარიბის აღმოფხვრისკენ არის მიმართული.

ღრისეული სამუშაოს ნაკლებობა, არასაკმარისი ინვესტიციები და არასაკმარისი მოხმარება წინ უძღვის დემოკრატიული საზოგადოების იმ ფუძემდებლური ძირითადი პრინციპის მოშლას, რომელიც გულისხმობს, რომ პროგრესი ყველას უნდა შეეხოს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს (მთლიანი შიდა პროდუქტი) საშუალო ზრდა ყოველწლიურად ფიქსირდება, ჯერ კიდევ არსებობენ განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც 2030 წლისთვის დაგეგმილ 7%-იანი ზრდის მაჩვენებელს ვერ მიაღწევენ. შრომის ნაყოფიერების შემცირებასთან ერთად იზრდება უმუშევრობის მაჩვენებელი და ამასთანავე, ხელფასების შემცირების გამო უარესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. უმუშევრობის პრობლემები კიდევ უფრო გაამძაფრა კორონავირუსმა.

მდგრადი ეკონომიკური ზრდა მოითხოვს, საზოგადოებამ შექმნას ისეთი პირობები, რომ ხალხს ჰქონდეს ღირსეული სამუშაო, რომელიც იქნება ეკონომიკის მასტიმულირებელი და ამასთანავე, ზიანს არ მიაყენებს გარემოს. სამუშაო ადგილების შექმნა საჭიროა ყველა ასაკის ადამიანისათვის. ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა მოხდეს შემოსავლების სათანადოდ მართვა, აქტივების დაგროვება და პროდუქტიული ინვესტიციების განხორციელება.

ქვემიზნები მიზნისთვის „ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“:

- ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება ეროვნული გარემოებების შესაბამისად, განსაკუთრებით, მთლიანი შიდა პროდუქტის სულ მცირე 7 პროცენტის წლიური ზრდა ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.
- ეკონომიკური პროდუქტიულობის უფრო მაღალი დონეების მიღწევა დივერსიფიკაციების, ტექნოლოგიების განახლებისა და ინოვაციების მეშვეობით, მათ შორის მაღალი დამატებითი ღირებულებისა და იმ სექტორებზე ფოკუსირებით, რომლებიც მოითხოვს ინტენსიურ შრომას.
- განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის წახალისება, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოო საქმიანობას, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას, მეწარმეობას,

კრეატიულობას და ინოვაციას, და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ჩამოყალიბებისა და ზრდის წახალისებას, მათ შორის ფინანსურ მომსახურებაზე მათი წვდომის უზრუნველყოფის მეშვეობით.

- 2030 წლამდე გლობალური რესურსების გამოყენებისა და წარმოების ეფექტიანობის მუდმივი ზრდა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ეკოლოგიური დეგრადაციის შემცირების პარალელურად, მდგრადი მოხმარებისა და წარმოების პროგრამების 10 წლიანი გეგმის შესაბამისად.
- 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცისათვის, მათ შორის ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, სრული და პროდუქტიული დასაქმების და ღირსეული სამუშაოს, ასევე თანასწორი ღირებულების სამუშაოსთვის თანასწორი ანაზღაურების მიღწევა.
- 2020 წლისთვის იმ ახალგაზრდების პროპორციული ოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ ან არ გადიან პროფესიულ მომზადებას.
- დაუყოვნებელი და ქმედითი ზომების განხორციელება იძულებითი შრომის, მონობის თანამედროვე ფორმებისა და ადამიანებით ტრეფიკინგის აღმოფხვრისა და ბავშვთა შრომის ყველაზე უარესი ფორმების, მათ შორის ჯარისკაცი ბავშვების დაქირავებისა და გამოყენების აკრძალვისა და აღკვეთის მიზნით, ხოლო 2025 წლისთვის ბავშვთა შრომის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
- შრომითი უფლებების დაცვა და უსაფრთხო და დაცული შრომითი გარემოს შექმნა ყველა მომუშავე პირისთვის, მათ შორის მიგრანტი მუშაკებისთვის, განსაკუთრებით კი მიგრანტი ქალებისა და არასაიმედოდ დასაქმებულებისათვის.
- 2030 წლისთვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება მდგრადი ტურიზმის მხარდასაჭერად – რომლის შედეგად იქმნება სამუშაო ადგილები და ხდება ადგილობრივი კულტურისა და პროდუქტების პოპულარიზაცია.
- ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტების უნარის გაძლიერება, იმისათვის რომ ხელი შეუწყოს და გააფართოვდეს საბანკო, სადაზღვევო და ფინანსურ მომსახურებებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა.
- განვითარებადი ქვეყნების ვაჭრობისათვის არსებული დახმარებების ზრდა, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებისათვის, მათ შორის, ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების ინტეგრირებული ჩარჩო დოკუმენტის გამოყენებით.
- 2020 წლისთვის ახალგაზრდების დასაქმების გლობალური სტრატეგიის შემუშავება და ამოქმედება და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „გლობალური დასაქმების პაქტის“ განხორციელება.

მერვე მიზანს 2 ეროვნული ამოცანა აქვს დამატებული:

- 8.გ - 2030 წლისთვის კულტურის რესურსების წვლილის გაზრდა საზოგადოების კეთილდღეობის მისაღწევად, კულტურის ეკონომიკის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის ახლებური გააზრებისა და მისი ხელახალი გამოყენების გზით.

- 8.დ - სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის გაზრდა და ცხოვრების ჯანსაღი/აქტიური წესის წახალისება.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ 2017 წელს მსოფლიოსში უმუშევრობის დონე 5.6 პროცენტი იყო, 2000 წელთან შედარებით იკლო 6.4 პროცენტიდან.
- ✓ 2016 წელს გლობალურად მომუშავეების 61 პროცენტი იყო არაფორმალურად დასაქმებული. სოფლის მეურნეობაში ეს მაჩვენებელი 51 პროცენტია.
- ✓ 45 ქვეყნიდან 40-ში მამაკაცები ქალებზე 12.5 პროცენტით მეტ ანაზღაურებას იღებენ. ქვეყნების ნაწილში მონაცემები არ არის, რაც გვაფიქრებინებს, რომ მდგომარეობა აქაც დისკრიმინაციულია ქალებთან მიართებაში.
- ✓ გენდერულ ჭრილში ხელფასების სხვაობა გლობალურად 23 პროცენტს შეადგენს და გადამწყვეტი მოქმედების გარეშე, კიდევ 68 წელი დასჭირდება ანაზღაურების გათანაბრების მიღწევას. ქალთა დასაქმების მაჩვენებელი 63 პროცენტია, მამაკაცების კი - 94.
- ✓ მიუხედავად შრომის ბაზარზე ქალთა მზარდი ჩართულობისა და ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მეტად წარმოჩენისა, ქალები მამაკაცებთან შედარებით 2,6 -ჯერ მეტ აუნაზღაურებელ საშინაო საქმეს ეწევიან.
- ✓ 2019 წელს ახალგაზრდების 22% არ იყო დასაქმებული და არც ფორმალურ განათლებაში ყოფილა ჩართული.
- ✓ ეკონომიკური ზრდის ტემპი შენელებული იყო კოვიდ პანდემიამდე და 2010-2018 წლებში მშპ-ს 2%-ს ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა, ეს ზრდა კიდევ უფრო შენედა და 2019 წელს 1,5% შეადგინა.
- ✓ პანდემიამ ყველაზე დიდი ეკონომიკური რეცესია გამოიწვია, რასაც ადგილი არ ჰქონია დიდი დეპრესიიდან მოყოლებული. მშპ ერთ სულ მოსახლეზე გათვლით 2020 წელს უკვე 4,2%-ით შემცირდა.
- ✓ 1,6 მილიარმა არაფორმალურად დასაქმებულმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო, რამაც ისინი სახლ-კარის დაკარგვის რისკის ქვეშ დააყენა.
- ✓ ტურიზმის ინდუსტრია, რომელიც პანდემიამდე ყველაზე მზარდი იყო, არათანაზომადი გამოწვევების წინაშე დადგა სხვა სექტორებთან შედარებით. მოსახლეობის მობილობის შემცირებით და ქვეყნების კოვიდ რეგულაციების გამო საერთაშორისო ტურისტების რიცხვი 1 მილიარდით შემცირდა, ეს კი 74% პროცენტიანი კლება იყო.
- ✓ სამუშაო ადგილების დაკარგვა კიდევ გრძელდება, ვიდრე ეკონომიკა აღდგენას არ დაიწყებს.

ტერმინები

არაფორმალური ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობებსა და მათგან მიღებულ შემოსავალს, რომელიც გვერდს უვლის სამთავრობო რეგულაციებს, გადასახადებს და ზედამხედველობას

არაფორმალური დასაქმება გულისხმობს შრომითი ურთიერთობის სახეობებს, რომლებიც გვერდს უვლის ლეგალურ ჩარჩოს და შესაბამისად, ვერ ხდება პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე, დაუცველს ტოვებს დასაქმებულებს დამსაქმებლის წინაშე.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) გულისხმობს მოცემული ქვეყნის საზღვრებში ერთი წლის განმავლობაში წარმოებული საბოლოო

პროდუქციის (მომსახურების, სამუშაოს) ერთობლიობას, გამოხატულს მიმდინარე საბაზრო ფასით. თუ ამ მონაცემს გავყოფთ მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე, გავიგებთ, რამდენი მოდის საშუალოდ ერთი ადამიანის წილად.

ეკონომიკური ზრდა — მაკროეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, რომელსაც იყენებენ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პოზიტიური ცვლილებების გამოსახატავად. ეკონომიკურ ზრდაში იგულისხმება ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდა, ქვეყნის დოვლათის (მთლიანი შიდა პროდუქტის – მშპ) მოცულობისა და საწარმოო პოტენციალის გადიდება. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლად გამოიყენება რეალური მშპ-ის ზრდის წლიური ტემპი.

ეკონომიკური განვითარება - არის საზოგადოების განვითარების სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებით.

ტრეფიკინგი - არის არაფორმალური დასაქმების არალეგალური, დამნაშავეობითი ფორმა. ტრეფიკინგის მსხვერპლად ითვლება ადამიანი, რომელიც იქნა დაქირავებული, ტრანსპორტირებული, გადაცემული, დამალული, ან მიღებული ქვეყნის შიგნით, ან ქვეყნის საზღვრებს გარეთ, მუქარის, იძულების, მოტყუების, დაშინების, ან სხვა უკანონო საშუალებებით, მისი ექსპლუატაციის მიზნით.

რატომ არის მიზნის აღსრულება მნიშვნელოვანი?

მდგრადმა და ინკლუზიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს წინსვლა, შექმნას ღირსეული სამუშაო ადგილები ყველასთვის და გააუმჯობესოს ცხოვრების დონე. COVID-19 პანდემიამდე უამრავი პრობლემა იყო შემოსავლების და დასაქმების კუთხით, უკვე 2020 წელს ყოველ მეხუთე ქვეყანაში, სადაც მილიარდობით ადამიანი ცხოვრობს სიდარბეში, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი შემცირდა. პანდემიასთან დაკავშირებული ეკონომიკური და ფინანსური შოკები, როგორცაა მრეწველობის შეფერხება, ფინანსური ბაზრის არასტაბილურობა და მზარდი დაუცველობა - აფერხებს ისედაც ნელ ეკონომიკურ ზრდას და აძლიერებს სხვა ფაქტორებისგან გამოწვეულ რისკებს.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ქვეყნის კეთილდღეობის საყოველთაოდ აღიარებული საზომია. ვინაიდან, როდესაც ვმსჯელობთ ქვეყნის ეკონომიკა რა მდგომარეობაშია, ჩვენ ვინტერესდებით მთლიანი შემოსავლით, რომელსაც ეკონომიკა ჯამურად გამოიმუშავებს. მისი ყველასთვის, მათ შორის, ფართო საზოგადოებისთვის გასაგებ ფორმატში გამოსახვა აღნიშნული კი მთლიანი შიდა პროდუქტის ამოცანაა. მშპ ასახავს, როგორც ეკონომიკის მთლიან შემოსავალს, ასევე საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ მთლიან ხარჯებს. მაშასადამე, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობა ეკონომიკაში მონაწილე საშუალო პირის შემოსავალსა და ხარჯებს გვიჩვენებს. ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის განსხვავებაც, მათ მთლიან შიდა პროდუქტზეა დამოკიდებული. მაშასადამე, რაც უფრო მაღალია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, მით უფრო მაღალია მისი წევრების შემოსავალი და მოხმარება, ამიტომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობა შეიძლება საშუალო ინდივიდის კეთილდღეობის საზომად ჩაითვალოს. მაგრამ ზოგად მშპ-ს შეუძლია შეცდომაში შეგვიყვანოს. მაგალითად, ჩინეთის მშპ ბევრად აღემატება განვითარებული ქვეყნებისას, მაგრამ როდესაც ერთ სულ მოსახლეზე ვანგარიშობთ, იკვეთება ამ უკანასკნელთა საგრძნობი უპირატესობა.

მშპ-ს აქვს ნაკლოვანებები:

- ✓ ისინი გვიჩვენებენ საერთო დოვლათს, მაგრამ არაფერს გვეუბნებიან იმის თაობაზე, როგორ არის განაწილებული იგი, როგორია უთანასწორობა ქვეყნის ფარგლებში. მაგალითად, გაერთიანებული საემიროების მშპ ერთ სულ მოსახლეზე 49 ათასი დოლარია, რაც საგრძნობლად აღმატება ახალი ზელანდიის მაჩვენებელს, თუმცა ვიცით, რომ საემიროებში უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს, ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალიან დიდია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ განვითარების ინდიკატორის ასეთი მაღალი მაჩვენებელი ნიღბავს ქვეყნის შიგნით არსებულ მრავალ ნაკლოვანებას.
- ✓ მშპ-ში მხოლოდ ფორმალურად/ოფიციალურად განხორციელებული ტრანზაქციები აისახება, თუმცა მრავალ ქვეყანაში არცთუ მცირეა არაანაზღაურებადი თუ ხელიდან-ხელში, ანდა ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი.
- ✓ ყველა ქვეყნის სტატისტიკა სანდო არ არის – ხშირად ის მთავრობის სურვილებსა და მოლოდინებს უფრო ასახავს. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია არადემოკრატიულ ქვეყნებში. მაგალითად, ჩინეთის სოფლის მეურნეობაში ყოველწლიურ გეგმებში მეურნეობებმა მუდმივი ზრდა უნდა აჩვენონ, რაც მონაცემების შელამაზება-შენიღბვით გამოიხატება. დაბრკოლებას ქმნის არა მხოლოდ მონაცემების დამალვა, არამედ მათი შეგროვების სირთულე და სიმკვირეც. აკურატულობა და სანდოობა ყოველთვის მაღალი არ არის. ასევე განსხვავებულია მასალის შეგროვების მეთოდოლოგია, რაც მათ შესაძარებლად გამოუსადეგარს ხდის.
- ✓ ხშირად მშპ აშშ დოლარებში გამოითვლება, თუმცა დოლარის გაცვლითი კურსი თუ მსყიდველობითუნარიანობა ყველა ქვეყნისთვის ერთნაირი არ არის. მაგალითად, ერთი ლიტრი ბენზინი ან ერთი პური ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ ფასობს. ამიტომ უფრო მეტი სიზუსტისთვის ხშირად მსყიდველობითუნარიანობას, PPP-საც (Purchasing Power Parity) ითვლიან – ეს მონაცემი გულისხმობს, რამდენი პროდუქტისა და მომსახურების შეძენა შეიძლება სხვადასხვა ადგილას ერთი და იმავე ერთეული ფულით. მაგალითად, 100 დოლარად შვედეთში თუ მხოლოდ რამდენიმე დღის საკმარის სურსათს შეიძენ, უგანდაში ამ თანხით ერთი თვე შეძლებ ცხოვრებას.

- ✓ დაბოლოს, მშპ არავითარ წარმოდგენას არ გვიქმნის იმის თაობაზე, რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა, როგორია მათი კეთილდღეობა.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვები გასათვალისწინებელია, როდესაც ვლაპარაკობთ ქვეყნების განვითარებაზე. ეკონომიკური განვითარება შეიძლება ქვეყანაში არ მიმდინარეობდეს მიუხედავად ეკონომიკის ზრდისა, რაც მშპ-ს ზრდაშია ასახული, რადგან ეკონომიკური ზრდა იყოს მიმართული მხოლოდ გარკვეული სოციალური ჯგუფებისკენ, არ აისახებოდეს ქალებზე, გოგონებზე, უმცირესობებზე.

რას ნიშნავს "ღირსეული სამუშაო"?

ღირსეული შრომა ნიშნავს ყველას შესაძლებლობას ნაყოფიერ მუშაობის პირობებში უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი შემოსავლით, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ოჯახისთვის სოციალური დაცვით, ეძლეოდეს სოციალური ინტეგრაციის და პიროვნული განვითარების უკეთესი პერსპექტივები. ღირსეული სამუშაო შესაძლებლობების მუდმივი ნაკლებობა, არასაკმარისი ინვესტიციები და არასაკმარისი მოხმარება არყვეს დემოკრატიული საზოგადოებების სოციალური საფუძველს, რომ ყველას ჰქონდეს პროგრესის გაზიარების საშუალება.

არაფორმალური დასაქმება, როგორც სახელმწიფოს პრობლემა

პრობლემას წარმადგენს არაფორმალური დასაქმება არაფორმალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, არაფორმალურ სექტორთან ერთად. თუ არაფორმალური სექტორი აერთიანებს ეკონომიკურად აქტიურ საწარმოებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებიც არ არიან ოფიციალურად რეგისტრირებული, ხოლო არაფორმალური დასაქმება გულისხმობს შრომითი ურთიერთობის სახეობებს, რომლებიც გვერდს უვლის ლეგალურ ჩარჩოს და შესაბამისად, ვერ ხდება პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე. არაფორმალურ დასაქმებაში მოიაზრება როგორც არაფორმალურ სექტორში დასაქმება, ასევე ნებისმიერი ტიპის *შრომითი ურთიერთობა*, რომელიც გულისხმობს :

- არაფორმალურ თანამდებობაზე დასაქმება (ფორმალურთუ არაფორმალურ სექტორში), ან დაქირავებას შინამეურნეობის მიერ;
- შრომითი ურთიერთობა არ განისაზღვრება ეროვნული შრომითი კანონმდებლობით;
- არ ხდება საშემოსავლო გადასახადის გადახდა;
- არ არსებობს სოციალური დაცვის სისტემები და შრომითი უფლებები;
- დამსაქმებლის მხრიდან არ ხდება გათავისუფლების შესახებ წინასწარი გაფრხილება, კომპენსაცია სამსახურიდან გათავისუფლების დროს, ანაზღაურებადი შვებულება, ასევე ავადმყოფობის მიზეზით სამუშაოზე არ გამოცხადების უფლების უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია, რომ არაფორმალური დასაქმება სცდება არაფორმალურ სექტორს და გვხვდება ფორმალურ სექტორშიც - ოფიციალურად რეგისტრირებულ საწარმოებსა თუ კომპანიებში, რომლებიც აღიარებენ სახელმწიფოს წინაშე კანონით ნაკისრ ვალდებულებებს და შედიან არაფორმალურ ურთიერთობაში დასაქმების პრაქტიკის ლეგალური სტანდარტების გვერდის ავლით. ასეთ შემთხვევაში შრომითი ურთიერთობისათვის კანონით დადგენილი მინიმალური პირობებიც არ აღსრულებდა, იქნება ეს უსაფრთხოების, სოციალური დაცვისა თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შრომითი უფლებები, ასევე მინიმალური ანაზღაურებისა და შრომითი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხები.

არაფორმალური დასაქმება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დასაქმებულისთვის, რომლებიც ყოველგვარი უსაფრთხოებისა თუ სოციალური გარანტიების მიღმა რჩებიან. ასევე ეს სახელმწიფოს პრობლემაა, რადგან მიუთითებს გადასახადებისათვის თავის არიდებაზე, რაც გულისხმობს საბიუჯეტო დანაკარგს. იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია არაფორმალური სამუშაო ადგილების რაოდენობა, სახელმწიფო კარგავს მნიშვნელოვან შემოსავლებს გადასახადების სახით და ძირითადად, დაბალშემოსავლიან ქვეყნებად რჩება. გარდა ამისა, არაფორმალური სექტორის მაღალი წილი გულისხმობს, რომ სახელმწიფო ვერ ახორციელებს ეფექტურად საკუთარ ეკონომიკურ თუ სოციალურ პოლიტიკას. არაფორმალური დასაქმება, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკების მთელი რიგი მიმართულებები, უკავშირდება დაქირავებით დასაქმებულთა ოფიციალურ აღრიცხვის, საგადასახადო პოლიტიკის, მიკრო და მაკრო გათვლების არასრულყოფილებას. რაც ართულებს დაგეგმვას, ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური რეფორმების განხორციელებას, ეფექტური საპენსიო თუ სოციალური დაცვის სისტემების ჩამოყალიბებას და სხვა.

რაც უფრო ნაკლებია ფორმალური დასაქმების წილი მთლიან ეკონომიკაში, მით უფრო ნაკლებია სახელმწიფო პოლიტიკების დაფარვის მასშტაბი მთლიან მოსახლეობაზე და მით მეტი მიზნობრივი პროგრამის შექმნის საჭიროება დგება სპეციფიური სოციალური ჯგუფებისთვის, რომელთათვისაც ერთიანი პოლიტიკისაგან განსხვავებული, სპეციფიური ღონისძიებების გატარების საჭიროება ჩნდება.

არაფორმალური დასაქმება უმეტესწილად პრობლემატურია განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც შესაძლოა ახერხებენ ეკონომიკურ ზრდას, თუმცა არ გააჩნიათ ძლიერი და ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკები: ვერ ქმნიან სამუშაო ადგილებს ფორმალურ სექტორში ან ფორმალური სექტორის იმ დარგებში, რომლებიც ნაკლებად მოწყვლადია არაფორმალური დასაქმებისათვის, არ გააჩნიათ საკმარისი რეგულაციები და/ან არსებული რეგულაციების აღსრულების მექანიზმები, რაც ახალისებს კერძო სექტორის უპასუხისმგებლობას, ლეგალური სტანდარტებისა და სახელმწიფო ნორმატივებისათვის გვერდის ავლის სხვადასხვა პრაქტიკას.

არაფორმალური დასაქმება საქართველოში მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. ეს მონაცემები მოიაზრებს თვითდასაქმებულებს, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში მომუშავეებს; ხოლო ფორმალურ სექტორში დამალული სამუშაო ძალის რაოდენობის შესახებ რაიმე ტიპის მონაცემი ან შესაბამისი კვლევები, ჩვენთან, სამწუხაროდ, არ არსებობს.

სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის მიგრაციის უწყვეტმა ტენდენციამ გამოიწვია, მაქსიმალურმა დერეგულაციამ, სახელმწიფოს ეკონომიკის სტრუქტურაში ჩაურევლობამ განავითარა და გაზარდა არაპროდუქტიული სექტორები, რომლებიც მუდმივად ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს ძირითადად დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში და ასაქმებენ ყველაზე მეტ ადამიანს, თუმცა ეს სამუშაო ადგილები არ ამცირებს *უმუშევრობის დონეს* და თვითდასაქმებულთა რაოდენობას, რადგან ძირითადად მოიცავს არასტაბილურ, მოკლევადიან, ხშირად არაფორმალურ და დაბანალაზღაურებად სამუშაო ადგილებს და ხასიათდება შრომითი კანონმდებლობის უხეში დარღვევებით.

ტრეფიკინგი არის არაფორმალური დასაქმების არალეგალური, დამნაშავეობითი ფორმა, რომელიც კანონით ისჯება. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის მონობის თანამედროვე ფორმა, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა. ეს არის სიდიდით მეორე დანაშაულებრივი ინდუსტრია მსოფლიოში. ის ეფუძნება ექსპლოატაციის მიზნით ადამიანთა გადაბირებას, გადაყვანას, გადაცემას, მუქარის და ძალის გამოყენებით ან იძულების სხვა საშუალებებით (მოტაცება, თაღლითობა), ან სხვისი უმწეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, კონტროლის განხორციელებას სხვა ადამიანზე, სქესობრივ ექსპლოატაციას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას და ორგანოთა ვაჭრობას.

ხსენებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის, მისი პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და ეფექტური გამოძიების მიზნით მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების დაცვა და ცნობიერების ამაღლება ტრეფიკინგის თემაზე. ნუ ჩაიგდებთ თავს საფრთხეში. დაიცავით უსაფრთხოების ზომები და გამოიჩინეთ განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა არ გახდეთ ტრეფიკინგის მსხვერპლი. თუ საზღვარგარეთ წასვლას გეგმავთ, საჭიროა რჩევების გათვალისწინება (რჩევები შსს ვებ გვერდზე არის გამოქვეყნებული).

- ✓ **ბრმად ნუ ენდობით** დაპირებებს უცხოეთში სწავლასთან, მუშაობასთან და დასვენებასთან დაკავშირებით. ნუ ენდობით პირებს, რომელიც გპირდებიან ვიზით უზრუნველყოფას საკონსულოში თქვენი პირადად გამოცხადების გარეშე.
- ✓ **გახსოვდეთ**, რომ უცხოეთში არალეგალური გზით გამგზავრება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და სერიოზულ რისკთან არის დაკავშირებული. ნუ გადასცემთ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს სხვას, თუნდაც ვისაც ენდობით. ტრეფიკიორები ცდილობენ ადამიანის ნდობის მოპოვებას, ვიდრე გეგმას განხორციელებენ.
- ✓ წინასწარ გადაამოწმეთ დამსაქმებლის მიერ შემოთავაზებული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია. მოითხოვეთ თქვენი დამსაქმებლის ან სასწავლებლის საკონტაქტო მონაცემები. თუ თქვენ გაქვთ საზღვარგარეთ სამუშაო მიზნით გამგზავრება/ყოფნა, გახსოვდეთ, რომ თქვენი კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვას მხოლოდ შრომითი კონტრაქტის საფუძველზე შეძლებთ.
- ✓ **არ დათანხმდეთ** შრომით ურთიერთობაში შესვლის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე.
- ✓ **გახსოვდეთ**, დანიშნულების სახელმწიფოში ჩასვლისთანავე დაუყონებლივ აცნობებთ ქვეყნის საელჩოს ან საკონსულო დაწესებულებას თქვენი ადგილსამყოფელის შესახებ და დადექით საკონსულო აღრიცხვაზე.

- ✓ თუ თქვენ ტრეფიკინგის მსხვერპლი ხართ და საჭიროებთ დახმარებას მიმართეთ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებებს, რომელიც დაიცავს თქვენს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სიცოცხლეს, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში და უზრუნველყოფს თქვენს უსაფრთხო დაბრუნებას სამშობლოში.
- ✓ თუ თქვენ იმყოფებით ქვეყანაში, სადაც არ არის საელჩო ან საკონსულო დაწესებულება, თქვენ უნდა მიმართოთ ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს ან ადგილსამყოფელ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს.

რამდენი ადამიანია უმუშევარი?

სავარაუდოდ, პანდემია დამანგრეველ გავლენას მოახდენს გლობალურ უმუშევრობაზე. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შეფასებით, მსოფლიოში საშუალოდ სამუშაო საათები შეიძლება შემცირდეს 14 პროცენტით, რაც დაახლოებით 400 მილიონ სრულ განაკვეთზე (48-საათიანი სამუშაო კვირა) მომუშავე ადამიანების დასაქმებას უქმნის საფრთხეს. პანდემიისას გლობალური უმუშევრობის საბოლოო ზრდა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეინარჩუნებენ არსებულ სამუშაოებს მიღებული პოლიტიკური ზომებით და სამუშაოებზე მოთხოვნის აღდგენის ეტაპს დაიწყებენ სწრაფად და შეუფერხებლად.

სულ მცირე ყოველი მეექვსე ახალგაზრდა დარჩა უმუშევარი COVID19 პანდემიის დაწყების დღიდან, ხოლო ვინც დარჩა დასაქმებული, მათი სამუშაო საათები შემცირდა 23 პროცენტით. ტურიზმი არის ერთ-ერთი ეკონომიკური სექტორი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა COVID19-ის პანდემიის პირობებში, რადგან ქვეყნებმა ინფექციის გავრცელების შესაჩერებლად ჩაკეტეს საზღვრები, აკრძალეს ან გაართულეს საზღვრების გადაკვეთა, დააწესეს მკაცრი რეგულაციები. 2020 წელს საერთაშორისო მოგზაურობის ჩამოსვლა 2019 წელთან შედარებით შეიძლება შემცირდა 70%-ზე მეტად. ამით დაზარალდა უშუალოდ ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული ადამიანები (სასტუმროები, გიდები, ტურისტული ორგანიზაციები), ასევე ისინი, ვინც ტურიზმისთვის სხვადასხვა მომსახურებას ქმნიდნენ - საკვები, გართობა, სუვენირები და სხვა.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ საკითხების მოსაგვარებლად?

ახალგაზრდებისათვის ღირსეულ სამუშაოს შესაქმნელად საჭიროა ხარისხიანი განათლებისა და ტრენინგების უზრუნველყოფა, ინვერსტირება, რომ შეისწავლონ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები. მათთვის სოციალური დაცვისა და ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხელშეკრულების ტიპის მიუხედავად. ზრუნვა როგორც ფორმალურ სექტორში დასაქმებულებზე, ასევე არაფორმალურში, მათი უფლებების გათანაბრება, რომ ყველა ახალგაზრდას შეეძლოს ნაყოფიერი დასაქმების მიღწევა სქესის, ერის, ან სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის მიუხედავად.

მთავრობებს შეუძლიათ იმუშაონ დინამიური, მდგრადი, ინოვაციური და ადამიანზე ორიენტირებული ეკონომიკის შესაქმნელად, ახალგაზრდების დასაქმებისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ადექვატური ზომების განხორციელება, მათ შორის ჯანმრთელობის დაზღვევა, ფუნდამენტურია დასაქმებულთა უსაფრთხოების დასაცავად. მხოლოდ ამ გზით შესაძლებელი გახდება ღირსეული სამუშაო ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.

მე რისი გაკეთება შემიძლია

- ✓ მონაწილეობა მიიღეთ სკოლიდან საწარმოებში და სხვა ორგანიზაციებში ვიზიტებში, რომ ნახოთ როგორ გამოიყურება ჯანსაღი სამუშაო გარემო.
- ✓ მოაწყვეთ შრომის კოდექსის განხილვა, მოიწვიეთ ამ სფეროდან სპეციალისტები, გაერკვიეთ დასაქმებული ადამიანების უფლებებში და შრომის პირობების უსაფრთხოებაში;
- ✓ შეისწავლეთ დასაქმების საიტები და გამოქვეყნებული ვაკანსიებში მოთხოვნები, რასაც დამსაქმებლები უყენებენ სამუშაოს მაძიებლებს, ნახეთ ის კომპეტენციები, რომლებიც მოთხოვნილია და დაგეგმეთ ღონისძიებები, პროექტები, რომლებიც ამ კომპეტენციების დაუფლებას შეუწყობს ხელს;
- ✓ გაეცანით მიგრაციის საერთაშორისო ცენტრის და შსს-ს ინფორმაციას ტრეფიკინგზე, მის მასშტაბებზე, რისკჯგუფებზე და მოაწყვეთ ცნობიერების ამაღლების კამპანია, დისკუსია, რადგან იუხედავად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა, ადამიანები მაინც ხდებიან თანამედროვე მონობის მსხვერპლნი. შეისწავლეთ და მხარი დაუჭირეთ საერთაშორისო კამპანიებს თანამედროვე მონობის, იძულებითი შრომის, ადამიანებით ვაჭრობისა და იძულებითი ქორწინებების დასასრულებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

შრომის პირობები და უსაფრთხოება საქართველოს სამშენებლო სექტორში ფორმალური და არაფორმალური დასაქმების პირობებში, კვლევის ანგარიში, 2018 წ.

მ.რატინი, განვითარების ამსახველი ინდიკატორები, 2015 წ.

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

- 1. რას არ გულისხმობს არაფორმალური დასაქმება?**
 - ა. დასაქმებას არაფორმალურ თანამდებობაზე
 - ბ. დასაქმებას არაფორმალურ სექტორში
 - გ. დასაქმებისას საშემოსავლო გადასახადის გადახდას
 - დ. შრომითი უფლებების დაუცველობას
- 2. რა ნაკლოვანებები აქვს მთლიანი შიდა პროდუქტით ქვეყნის განვითარებაზე დასკვნების გაკეთებას? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება**
 - ა. არ ითვალისწინებს დოლარის მსყიდველობითუნარიანობაში სხვაობას
 - ბ. ითვალისწინებს მოსახლეობის კმაყოფილებას და კეთილდღეობას
 - გ. მშპ ასახავს მხოლოდ ოფიციალურად განხორციელებულ ტრანზაქციებს, აუნაზღაურებელ შრომა არ აისახება
 - დ. ქვეყნის სტატისტიკა არ არის სანდო და ხშირად მონაცემები შელამაზებულად აისახება
- 3. რა პრობლემებს უქმნის ქვეყანას არაფორმალური ეკონომიკის მაღალი წილი? მნიშვნელოვანი დებულება**
 - ა. დასაქმებულების სოციალური გარანტიები სახელმწიფოს ძვირი უჯდება
 - ბ. პერსპექტივაში ქვეყანა რჩება დაბალშემოსავლიანად
 - გ. სახელმწიფო არასრულფასოვნად გეგმავს სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას
 - დ. სახელმწიფო კარგავს შემოსავალს
- 4. რა ეწოდება არალეგალურ, მოტყუებით დასაქმებას ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით?**
 - ა. არასრულ განაკვეთზე მუშაობა
 - ბ. არაფორმალური დასაქმება
 - გ. მოვალეობის შემსრულებლად მუშაობა
 - დ. ტრეფიკინგი
- 5. ეკონომიკის რომელი სფერო დააზიანა ყველაზე მეტად COVID19 პანდემიამ**
 - ა. გადამამუშავებელი მრეწველობა
 - ბ. მომპოვებითი მრეწველობა
 - გ. ტრანსპორტი
 - დ. ტურიზმი
- 6. როგორ შეიძლება ადამიანი ტრეფიკინგის მსხვერპლი აღმოჩნდეს? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება**
 - ა. ეჭვის შეტანის შემთხვევაში, თუნდაც დაუსაბუთების, სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვით
 - ბ. საბუთების უცხო პირისთვის გადაცემით როცა მას ენდობით
 - გ. სამუშაოზე თანხმობის მიცემით პოტენციურ დამსაქმებელზე ინფორმაციის გადაუმოწმებლად


დ. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გარეშე სამუშაოს დაწყების შემთხვევაში

7. ვისთვის არის საჭირო შრომის კოდექსის და დასაქმებულის უფლებების ცოდნა? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება
 - ა. დამსაქმებლისთვის
 - ბ. დასაქმებულისთვის
 - გ. სამუშაოს მაძიებლისთვის
 - დ. სკოლის მოსწავლისთვის
 - ე. ყველა დებულება სწორია

8. მონიშნეთ ყველა სწორი დებულება
 - ა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობა მატულობს
 - ბ. ქალები მამაკაცებთან შედარებით 2,6-ჯერ მეტ აუნაზღაურებელ საშინაო საქმეს აკეთებენ
 - გ. ქალი ქვეყნის ლიდერები (პრეზიდენტი, პრემიერი) ქვეყნების მესამედს ჰყავს
 - დ. შრომის ბაზარზე სულ უფრო იზრდება ქალთა მონაწილეობა

9. მოცემული გრაფიკი „მომუშავეთა საათობრივი დატვირთვა“ გვიჩვენებს, რომ სამუშაო საათები განუხრელად მცირდება ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომი პერიოდიდან დღემდე. რამ გამოიწვია მცირე მატება მეოცე საუკუნის 40-50 წლებში
 - ა. ადამიანთა უფლებების დეკლარაციის მიღებამ
 - ბ. მეორე მსოფლიო ომის გამო სამუშაო ძალაზე მალაღმა მოთხოვნამ
 - გ. საპენსიო რეფორმების გამო მომუშავეთა დატვირთვამ
 - დ. სიცოცხლის ხანგრძლივობის მატებამ

10. მოცემული გრაფიკი „მომუშავეთა საათობრივი დატვირთვა“ გვიჩვენებს, რომ 2017 წელს მომუშავეთა უფლებები უკეთ დაცული იყო შემდეგ ქვეყნებში
 - ა. ავსტრალია, აშშ
 - ბ. ბრიტანეთი, ბრაზილია
 - გ. ისლანდია, შვედეთი
 - დ. რუსეთი, ნიგერია



Source: Huberman & Minns (2007) and PWT 9.1 (2019) OurWorldInData.org/working-hours • CC BY
 Note: We plot the data from Huberman & Minns (2007) and extend coverage using an updated vintage of PWT, which uses the same underlying source. Comparisons between countries are limited due to differences in measurement.

მდგრადი განვითარების მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა..... 110

რაში მდგომარეობს მიზნის არსი..... 110

ქვემიზნები მიზნისთვის „მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა“:..... 111

ფაქტები და მონაცემები: 112

როგორია პროგრესი მიზნის მართულებით?..... 113

ტერმინები..... 114

რატომ არის მიზნის „მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა“ აღსრულება მნიშვნელოვანი? 115

მატომ უნდა ვიყო დაინტერესებული სხვა ადამიანების პრობლემებით? 115

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ საკითხის მოსაგვარებლად?..... 117

მე რისი გაკეთება შემიძლია 118

გამოყენებული ლიტერატურა..... 119

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია) 119

რაში მდგომარეობს მიზნის არსი

შექმნა მდგრადი ინფრასტრუქტურა, შეუწყო ხელი მდგრად და ინკლუზიურ ინდუსტრიალიზაციის პროცესსა და ინოვაციებს

არავინ დავობს, რომ ყველაზე დიდი ჩამორჩენა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაზე და სწავლაში დაბალშემოსავლიან ოჯახებს აქვთ. ამდენად ტექნოლოგიების წინსვლამ პირველ რიგში ეკონომიკური განსხვავებები და უთანასწორობა გაამძაფრა. ეს სხვაობები შეიმჩნევა ქვეყნებს შორის და ქვეყნებს შიგნითაც. მაგალითად, სოფელსა და ქალაქებს შორის, ქალებსა და მამაკაცებს შორის, ეთნიკურ უმრავლესობასა და უმცირესობებს შორის. ასევე შეფერხების მიზეზი შეიძლება იყოს გეოგრაფიული ფაქტორიც, მცირე კუნძულოვან ქვეყნებში, მაღალმთიან რეგიონებში რთულდებოდეს ინტერნეტიზაცია. ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნების დემოკრატია. ინფორმაციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, სწორედ პროცესების არადემოკრატიულად წარმართვას უწყობს ხელს. რიგ ავტორიტარულ ქვეყნებს

შეზღუდული აქვთ ინტერნეტზე წვდომა მოსახლეობისთვის. ამ ქვეყნებიდან გამოირჩევა ჩრდილოეთ კორეა, თურქმენეთი, ირანი, მიანმა, ჩინეთი. სადაც არ გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული სხვადასხვა საიტებზე.

ასევე პრობლემაა ისტ კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა ტექნოლოგიებთან და ინფორმაციასთან სამუშაოდ. ყველამ ვიცით, რა არის გლობალიზაციის დადებითი მხარე. ინფორმაციის მოპოვება დღეს უკვე აღარ წარმოადგენს რაღაც შრომატევადს, შეუძლებელს, მიუღწეველს. თუ ორიოდ ათწლეულის წინ რაიმე თემის დასამუშავებლად საჭირო იყო ბიბლიოთეკაში დიდხანს ჯდომა და უამრავი პუბლიკაციის გამოწერა, ლოდინი და შემდეგ – დამუშავება, დღეს აკრეფ კომპიუტერის შესაბამის ველში საკვანძო სიტყვებს და საძიებო სისტემა თვალის დახამხამებაში გიპოვის სამეცნიერო თუ პოპულარულ ენაზე დაწერილ ინფორმაციას. ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა არამხოლოდ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მკვიდრთათვის – ტექნოლოგიების გაიაფების წყალობით ამ სიკეთეებით სხვა, ეკონომიკურად ნაკლებგანვითარებული ქვეყნებიც სარგებლობენ. თანამედროვე მსოფლიოში ჟურნალები და გაზეთები უკვე ვებზეა განთავსებული, რაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ზრდის. ჩვენ შინიდან გაუსვლელად ვეცნობით მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს. თუმცა ინფორმაციაზე წვდომა ყოველთვის არ იძლევა სათანადო შედეგს. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ 4,6 მილიარდი აქტიური ინტერნეტ მომხმარებელიდან, 4,3 მილიარდი ინტერნეტს მობილური ტელეფონის მეშვეობით უკავშირდება. რაც გარკვეულად ზღუდავს ადამიანების შესაძლებლობებს ინფორმაციაზე წვდომით სრულფასოვნად ისარგებლონ, დაამუშავონ და შექმნან რაღაც ახალი და ღირებული.

ქვეყნები მიზნისთვის „მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა“:

- მაღალი ხარისხის, საიმედო, მდგრადი და სტაბილური და ყველასათვის ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის, მათ შორის რეგიონული და ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომ ხელი შეეწყოს ეკონომიკურ განვითარებასა და ადამიანთა კეთილდღეობას.
- ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა და 2030 წლისთვის დასაქმებასა და მთლიან შიდა პროდუქტში მრეწველობის წილის მნიშვნელოვანი ზრდა ეროვნული გარემოებების გათვალისწინებით და მისი წილის გაორმაგება ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.
- მცირე ზომის ინდუსტრიულ და სხვა მეწარმეობისათვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ფინანსურ მომსახურებებზე, მათ შორის ხელმისაწვდომ კრედიტზე, წვდომის გაზრდა, და მათი ინტეგრირება საწარმოო ჯაჭვებსა და ბაზრებში.
- 2030 წლისთვის ინფრასტრუქტურისა და ინდუსტრიების განახლება მათი მდგრადობისა და ეფექტურობის გაუმჯობესების, ასევე სუფთა და ეკოლოგიურად ჯანსაღი ტექნოლოგიების და სამრეწველო პროცესების დამკვიდრების მიზნით;

აღნიშნულ პროცესში უნდა ჩაერთოს ყველა ქვეყანა მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

- სამეცნიერო კვლევების გაძლიერება, სამრეწველო სექტორის ტექნოლოგიური შესაძლებლობების განახლება ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის 2030 წლისთვის ინოვაციების წახალისება და ყოველ 1 მილიონ ადამიანზე კვლევებისა და განვითარების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის, აგრეთვე საჯარო და კერძო კვლევებისა და განვითარების დანახარჯების მნიშვნელოვნად გაზრდა.
- განვითარებად ქვეყნებში მდგრადი და სტაბილური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა ფინანსური, ტექნოლოგიური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით.
- ადგილობრივი ტექნოლოგიების განვითარების, კვლევისა და ინოვაციების ხელშეწყობა განვითარებად ქვეყნებში, ხელშემწყობი პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფის ჩათვლით, მათ შორის სამრეწველო დივერსიფიცირების და ფართო მოხმარების საქონლისთვის ღირებულების დამატების მეშვეობით.
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომის მნიშვნელოვნად გაზრდა და 2020 წლისთვის ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ინტერნეტზე საყოველთაო და ხელმისაწვდომი წვდომისათვის ზომების მიღება.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ 2018 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 96 პროცენტს მობილური ტელეფონებით სარგებლობა შეეძლო, რადგან ცხოვრობდა ადგილებში, რომლებიც დაფარული იყო ფიჭური სიგნალით, ხოლო 90 პროცენტი ადგილებში, სადაც ინტერნეტის დაფარვა მესამე თაობის (3G) ან უფრო მაღალი ხარისხის ქსელის საშუალებით იყო შესაძლებელი.
- ✓ გლობალური მოსახლეობის 66,8%-ს აქვს მობილური ტელეფონი, რაც 5,27 მილიარდ ადამიანს შეადგენს, მათგან 48%-ს ჰქვიათ ტელეფონები აქვს, რაც 3,8 მილიარდი ადამიანია.
- ✓ აღსანიშნავია, რომ მონაცემები სწრაფად ცვალებადია. 2017 წელს მობილურები მოსახლეობა მხოლოდ 53%-ს ჰქონდა. 2023 წლისთვის კი ვარაუდობენ რომ მობილურის მომხმარებელთა რაოდენობა 7,3 მილიარდამდე გაიზრდება.
- ✓ განვითარებულ ქვეყნებში 73,4% მოსახლეობისა აქვს ჰქვიათ მობილურები, ხოლო განვითარებადში - 25%-ს.
- ✓ 2021 წელს მსოფლიოში 4,6 მილიარდი აქტიური ინტერნეტ მომხმარებელი იყო, რაც მოსახლეობის 60%-ს შეადგენს. მომხმარებლების 92% (4,3 მილიარდი) ინტერნეტს მობილური ტელეფონის მეშვეობით უკავშირდება.
- ✓ მშპ -ში წარმოების წილის ზრდა ძირითადად აზიის ქვეყნებზე მოდის.

- ✓ განვითარებად ქვეყნებს აქვთ უზარმაზარი პოტენციალი სოფლის აგროინდუსტრიის განვითარებით საკვებისა და სასამეღებო წარმოება გაზარდონ, ასევე ქსოვილებისა და ტანსაცმლის წარმოება გააფართოვონ, რაც პერსპექტიულია დასაქმებისთვის.
- ✓ 2019 წელს განახლებადი ენერჯის სიმძლავრეების მატება (დიდი ჰიდროენერგოსადგურების გამოკლებით) იყო ყველაზე მაღალი კაცობრიობის ისტორიაში, ვიდრე ოდესმე - 184 გიგავატი, ეს მოიცავდა 118 გიგავატ ახალ მზის პანელებს და 61 გიგავატ ქარის ტურბინებს. 2018 წელს ახალ სიმძლავრეებმა 160 გიგავატი შეადგინა.
- ✓ 2019 წელს ქარის ენერჯის გამოყენებაში ინვესტირებამ 6 პროცენტით იმატა და შეადგინა 138,2 მილიარდ აშშ დოლარი. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქარის ენერჯიაში ინვესტიციებმა გადააჭარბა მზის ენერჯიაში ჩადებულ ინვესტიციებს.
- ✓ განვითარებადი ქვეყნები განაგრძობდნენ წინსვლას. განახლებად ენერჯიაში ინვესტირებული თანხებით განვითარებულ ეკონომიკებს აღემატებიან. 2019 წელს განვითარებადმა ქვეყნებმა 152,2 მილიარდი დოლარი დააბანდეს განახლებად ენერჯიებში, ხოლო განვითარებულმა ქვეყნებმა - 130 მილიარდ აშშ დოლარი.
- ✓ ინდუსტრიას კოვიდთან დაკავშირებით დიდი ზიანი მიაღდა, განსაკუთრებული კლება ტრანსპორტის ინდუსტრიამ განიცადა. ეს კლება დაკავშირებული იო მოსახლეობის გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებით, რამაც საჭაერო გადაყვანები 51%-ით შეამცირა.
- ✓ საჭირო გახდა სახელმწიფო მხარდაჭერა წვრილი და საშუალო საწარმოებისთვის, განვითარებად ქვეყნებში მხოლოდ მათ 35%-ს მიუწვდებოდა ხელი საკრედიტო ხაზებზე.
- ✓ ინვესტიციები კვლევებში გაორმაგებულია 2010 წელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ პანდემიასთან ერთად კვლევების მოცულობამ იმატა სამედიცინო სფეროში.

როგორია პროგრესი მიზნის მართულებით?

COVID-19 პანდემიის დაწყებამდე, გლობალური წარმოება, რომელიც განიხილებოდა ეკონომიკური ზრდის მამოძრავებლად, სტაბილურად იკლებდა. კლების მიზეზი ტარიფების ცვლილებები და სავაჭრო დამაბულობა იყო. პანდემიამ გამოიწვია წარმოების შემდგომი, უფრო საგრძნობი შემცირება, რამაც კიდევ უფრო სერიოზული ზიანი მიაყენა გლობალურ ეკონომიკას. გარდა ამისა, აეროპორტების ინდუსტრიაში, რომელიც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელია, არსებობის ისტორიაში ყველაზე მკვეთრი ვარდნა აღინიშნა. 2020 წლის პირველ ხუთ თვეში, მსოფლიოს ქვეყნებში მკაცრი ჩაკეტვების გამო ავიაკომპანიის მგზავრთა ნაკადი 51 პროცენტით შემცირება. ძირითადი ინფრასტრუქტურა, როგორცაა გზები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სანიტარული სისტემა, ელექტროენერჯია და წყალი ბევრ განვითარებად ქვეყანაში სუსტად არის განვითარებული.

ინვესტიციები გლობალურად კვლევასა და განვითარებაში გაიზარდა და მიაღწია შდამბეჭდავ პროგრესს. ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ინფრასტრუქტურის დაფინანსება იზრდება. პროგრესი იქნა მიღწეული მობილური კავშირებით მსოფლიოს

დაფარვას, ასევე ინტერნეტიზაციას, რაც ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევა, რომ ადამიანს ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ციფრული სწავლების პირობებში სპეციალური ტერმინით „ციფრული გაყოფა“ აღინიშნა. სწორედ ეს გახდა ახალი გამოწვევა, რომელსაც ყველა ქვეყანამ თვალი უნდა გაუსწოროს. ციფრული გაყოფა აღმოჩნდა უთანასწორობის გამაღრმავებელი. ადრეც აღინიშნებოდა ტექნოლოგიებზე თუ ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვა სხვადასხვა ქვეყანაში, რეგიონში, მაგრამ პანდემიის დროს ციფრული გაყოფამ ბევრი პრობლემა გაამწვავა. სკოლების დახურვამ განვითარებად ქვეყნებში ონლაინ სწავლების მიღმა 68% ბავშვების დატოვა, შეზღუდული წვდომის გამო ტექნოლოგიებზე თუ ინტერნეტზე, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში 20%.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური მასშტაბით მოსწავლეთა 47% აღმოჩნდა სასწავლო პროცესების მიღმა ციფრული სწავლების პირობებში. რეგიონული განაწილების სურათი ციფრული გაყოფის მასშტაბებს მწვავედ წარმოაჩენს. ასე მაგალითად, თუ განვითარებულ ქვეყნებში და კერძოდ, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში მოსწავლეთა 14%-ს არ აქვს ინტერნეტზე წვდომა, ეს მაჩვენებელი არაბულ ქვეყნებში 34%-ზე აღის, აზიასა და ოკეანეთში უკვე 49%-ია, ხოლო ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში 80%-ს შეადგენს. ნათელია, რომ ქვეყნის ეკონომიკა პირდაპირ კავშირშია განათლების ხელმისაწვდომობასთან.

ტერმინები

ინოვაცია - ახალი, ეფექტიანი პროდუქტის (მომსახურეობის) მიღების, მათი წარმოების წესის და შემდგომში შიგა და საგარეო ბაზარზე რეალიზაციის პროცესის შედეგია. იგი არის შემოქმედებითი პროცესის დამასრულებელი ეტაპი მისი პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით. თუ შემოქმედება გულისხმობს სიახლის შექმნას, ინოვაციის შინაარსში იგულისხმება შექმნილი სიახლის პრაქტიკაში გამოყენება. ამდენად, როგორც სამეცნიერო-საწარმოო ციკლის საბოლოო შედეგი, იგი განიხილება ინოვაციური პროცესებიდან მოუწყვეტლივ.

მეცნიერება — ადამიანის საქმიანობის სფერო, რომლის მიზანია გარემომცველი სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნის მიღება, დამუშავება და სისტემატიზაცია. მეცნიერული ცოდნის დაგროვება ხდება ბუნების, საზოგადოების ან სხვა ობიექტის სამეცნიერო მეთოდის საშუალებით შესწავლის შედეგად

ციფრული გაყოფა - მოსახლეობის გაყოფა ინფორმაციაზე და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომაში სხვაობის მიხედვით.

ინდუსტრიული/ სამრეწველო რევოლუცია - ეხება მასობრივ ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებს, რომლებიც განვითარებას ემსახურებოდა.

ხელოვნური ინტელექტი - მიეკუთვნება ადამიანის ინტელექტის ავტომატიზებულ სიმულაციას, რომლებიც დაპროგრამებულია ადამიანების მსგავსად იფიქრონ და მიბადონ მათ ქმედებებს. ტერმინი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ ტექნოლოგიაზე,

რომელიც აჩვენებს ადამიანის გონებასთან დაკავშირებულ თვისებებს, როგორცაა სწავლა და პრობლემის გადაჭრა უმოკლესი ალგორითმით.

რატომ არის მიზნის „მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა“ აღსრულება მნიშვნელოვანი?

ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში – ტრანსპორტს, ირიგაციას, ენერჯიას, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარებისა და ძლიერი საზოგადოების შექმნისათვის. უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ შემოსავლების ზრდა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და საგანმანათლებლო მიღწევების გაუმჯობესება საჭიროებს ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებს.

წარმოება არის ეკონომიკური განვითარების და სამუშაო ადგილების შექმნის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. ამჟამად ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე წარმოების დამატებითი ღირებულება შეადგენს მხოლოდ 100 აშშ დოლარს, მაშინ, როდესაც ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში ეს მაჩვენებელი 4500 აშშ დოლარია. კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია წარმოების პროცესში ნახშირორჟანგის დიდი ოდენობით გამოყოფა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში შემცირებული იქნა ნახშირორჟანგის გამოყოფის მაჩვენებელი, თუმცა არა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ტექნოლოგიური პროგრესის მთავარი საფუძველია გარემოსდაცვითი მდგომარეობის გასამჯობესება, რაც გულისხმობს ენერგოეფექტურობის გაზრდას. ტექნოლოგიების და ინოვაციების გარეშე არ მოხდება ინდუსტრიალიზაცია, ხოლო ინდუსტრიალიზაციის გარეშე არ მოხდება განვითარება. ტექნოლოგიური პროგრესი არის წინსვლის საფუძველი. საჭიროა ინვესტიციების გაზრდა მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებში, რომლებიც გამოყენებული იქნებიან პროდუქციის წარმოებაში და ფოკუსირებული იქნებიან მობილურ ფიჭურ სერვისებზე,

ეკონომიკური ზრდა, სოციალური განვითარება და კლიმატის ცვლილების შესანელებლად მოქმედება დიდწილად არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებზე, მდგრადი ინდუსტრიული განვითარებასა და ტექნოლოგიურ პროგრესზე. სწრაფად ცვალებადი გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტის და მზარდი უთანასწორობის ფონზე, მდგრადი ზრდა უნდა მოიცავდეს ინდუსტრიალიზაციას, რომელიც ყველა ადამიანისთვის შესაძლებლობებზე წვდომას გაზრდის და მხარდაჭერილი იქნება ინოვაციებითა და გამძლე ინფრასტრუქტურით.

რატომ უნდა ვიყო დაინტერესებული სხვა ადამიანების პრობლემებით?

ინდუსტრიული/სამრეწველო რევილუცია ეხება მასობრივ ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებს, რომლებიც განვითარებას ემსახურებოდა.

ჩვენ ვდგავართ ტექნოლოგიური რევოლუციის ზღვარზე, რომელიც ძირეულად შეცვლის ჩვენს ცხოვრებას, მუშაობას და ურთიერთობას. თავისი მასშტაბით და მოცულობით ტრანსფორმაცია იქნება განუზომლად სწრაფი და მასშტაბური.

პირველმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ გამოიყენა წყალი და ორთქლი ენერჯის წარმოების მექანიზაციისათვის. ის მეთვრამეტე საუკუნის 30-იან წლებში იღებს სათავეს. ამ პერიოდში დაწინაურდა ბრიტანეთი და მოგვიანებით მას სხვა განვითარებული ქვეყნები მიჰყვნენ. ქვეყნებში აგრარული მეურნეობის ნელ-ნელა ჩანაცვლება დაიწყო ინდუსტრიით. ამან შეცვალა ადამიანების ცხოვრების წესი და საქმიანობა. მეორე ინდუსტრიულმა რევოლუციამ გამოიყენა ელექტროენერჯია მასობრივი წარმოების შესაქმნელად. ის მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში იღებს სათავეს. ელექტრიფიკაციას მოჰყვა ახალი შესაძლებლობების, სამუშაო ადგილების გაჩენა ქალაქად და დაიწყო სოფლიდან ქალაქებში მიგრაციული პროცესები. წარმოების მექანიზაციამ შესაძლებლობა შექმნა წარმოება მასობრივი გაეხადა და პროდუქციის ღირებულებაც შეემცირებინა. ეს იყო სწრაფი განვითარების ბიძგი. მესამე რევოლუციამ გამოიყენა ელექტრონიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოების ავტომატიზაციისათვის. ფაქტობრივად მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარება, მათი გამოყენებითი მნიშვნელობის ზრდა. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია ემყარება მესამე, ციფრულ რევოლუციას, რომელიც მოხდა გასული საუკუნის შუა წლებიდან. მას ახასიათებს ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, მათი შეღწევა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში და მათი მოხმარების მასობრიობა. რაც გლობალიზაციის დასაბამიც გახდა უკვე მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან. მონაცემთა ანალიზი, ხელოვნური ინტელექტი, მართვის პროცესების და წარმოების ავტომატიზაცია/გაციფრულება, კვლევები ეს არასრული ჩამონათვალია ამ პერიოდის მთავარი მიღწევების.

მიმდინარე გარღვევების სიჩქარეს არ აქვს ისტორიული პრეცედენტი. წინა ინდუსტრიულ რევოლუციებთან შედარებით, მეოთხე რევოლუცია უმოკლეს პერიოდში შეიჭრა ყველა ქვეყანაში, საქმიანობის ყველა სფეროში, ცვლილებები გამოიწვია არა მხოლოდ წარმოებაში, არამედ მმართველობაში და შინამეურნეობებშიც.

ხელოვნური ინტელექტი უკვე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, თვითმავალი მანქანებიდან და თვითმფრინავებიდან დაწყებული ვირტუალური ასისტენტებითა და პროგრამული უზრუნველყოფით. ბოლო წლებში მიღწეულია შთამბეჭდავი პროგრესი უზარმაზარი მონაცემების ხელმისაწვდომობით, რაც გამოიყენება ჩვენი კულტურული სოციალური, ეკონომიკური ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ახალი გამოგონებები ინჟინერიის, ტექნოლოგიების განვითარების, რესურსების დაზოგვის, ახალი რესურსების ათვისების, გენური ინჟინერიის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. რაც აუმჯობესებს ჩვენს გარემოს.

ტექნოლოგიამ შესაძლებელი გახადა ახალი პროდუქტები და მომსახურება, ბევრად უფრო სწრაფად და კომფორტულად მივიღოთ, რაც გაზრდის ჩვენი პირადი ცხოვრების ეფექტურობას. აღარ არის საჭირო ბილეთების საყიდლად წასვლა და რიგების დაკავება, არ დასაჯავშნად რთული ქმედებების განხორციელება. ყოფით დონეზე ადამიანებს გაუადვილა

საქმიანობა, მომსახურების მიღება, რამაც ასევე გამოათავისუფლა მათი დრო სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეების საკეთებლად, თუ გასართობად და დასასვენებლად.

მომავალში, ტექნოლოგიური ინოვაციები მრავალ ახალ შესაძლებლობას მოგვცემს, ის რაც გვეგონა ფანტასტიკის სფერო, დღეს ხდება ხელმისაწვდომი ჩვეულებრივი ადამიანისთვის ინტერნეტის და სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით. გამარტივდა ლოჯისტიკა, მომსახურების და პროდუქტების მიწოდების ჯაჭვი, რაც ამავდროულად გახდა უფრო იაფი და უსაფრთხო. ყოველივე ეს გახსნის ახალ ბაზრებს და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ამავდროულად, როგორც ეკონომისტები აღნიშნავენ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო მეტი უთანასწორობა. ამიტომ მნიშვნელოვანი ხდება არსებობდეს ამ ინოვაციებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

ინკლუზიურ და მდგრად ინდუსტრიალიზაციას, ინოვაციასა და ინფრასტრუქტურასთან ერთად, შეუძლია კიდევ უფრო დინამიური გახადოს განვითარების პროცესი, მეტად კონკურენტუნარიანი გახადოს ეკონომიკური ძალები, რაც ნიშნავს, რომ დასაქმება იქნება ბევრად უფრო პროდუქტიული და შემოსავლიანი. მეტი წვდომა ინფრასტრუქტურულ, ტექნოლოგიურ მიღწევებზე საკვანძო ქვეყნების განვითარებისთვის. ხელი შეეწყობა ტექნოლოგიების დანერგვას, საერთაშორისო ვაჭრობას და რესურსების ეფექტურ გამოყენებას. ასევე ადამიანებს აძლევს განვითარების და პიროვნული ზრდის საშუალებას, რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს უთანასწორობას და მსოფლიოს უფრო სამართლიანს გახდის. ინდუსტრიების ზრდა ბევრისთვის გაუმჯობესებს ცხოვრების დონეს. თუ ინდუსტრიები მდგრადი განვითარების პრინციპებით განვითარდებიან, ეს მიდგომა დადებით გავლენას მოახდენს გარემოზე.

უმოქმედობას შეიძლება მოჰყვეს არაერთი სხვა მიზნის მიუღწევლობა. სიღარიბის დასრულება უფრო რთული იქნება, თუ გავითვალისწინებთ ინდუსტრიის, როგორც მთავარი მამოძრავებელი ძალის როლს გლობალური განვითარების პროცესში. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ტექნოლოგიური ინოვაციის ხელშეწყობა გაზრდის უხარისხო ჯანდაცვას, განათლებას. ტექნოლოგიები სამეცნიერო მიღწევების ფონზე ბევრად დამზოგი იქნება გარემოსადმი და მეტ გავრცელებასაც ჰპოვებს.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ საკითხის მოსაგვარებლად?

ინდუსტრიულ განვითარებას აქვს გლობალური დოვლათის გაზრდისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პოტენციალი. ტექნოლოგიების დახმარებით ახალი პროდუქტები შეიქმნა, რომლებმაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება უფრო კომფორტული გახადა. ავია-ბილეთის დაჯავშნა, პროდუქტის ყიდვა, გადასახადის გადახდა, მუსიკის მოსმენა, ფილმის ნახვა, თამაში — ამ ყველაფრის გაკეთება ახლა სახლიდან გაუსვლელად შეგვიძლია. ამ მიმართულებით განვითარება ბევრ სიახლეს გვპირდება.

ეკონომიკური ფაქტორების გარდა, სოციალური უთანასწორობა მთავარი საკითხია, რაც ტექნოლოგიების განვითარებას შეიძლება მოჰყვეს. იმისთვის რომ ადამიანებმა

გაზარდილი მოთხოვნის გამო ტექნოლოგიურად კომპეტენციის მუშახელზე, არ დაკარგონ შემოსავლები, მნიშვნელოვანი ხდება ადამიანები აღიჭურვონ ახალი თანამედროვე ცხოვრებისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევებით. ეს საშუალებას მისცემს სწრაფად ცვალებად სამყაროში ადვილად ადაპტირდეს და ტექნოლოგიური წინსვლით მეტი სარგებელი მიიღოს.

2030 წლისთვის ახალგაზრდების ნახევარზე მეტს არ ექნება ცვალებადი შრომის ბაზრისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, საუბარია 1,6 მილიარდიდან 800 მილიონ ბავშვზე. ამიტომ განათლების და ტრენინგების სისტემა უნდა იძლეოდეს 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას, რაც ინფორმაციის ანალიზსა და მართვას, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, პრობლემის გადაჭრას, კომუნიკაციასა და თანამშრომლობას გულისხმობს.

სტანდარტების დამკვიდრება და რეგულირების ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს კომპანიის პროექტებისა და ინიციატივების მდგრად მართვას. არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საჯარო სექტორთან თანამშრომლობა განვითარებადი ქვეყნების მდგრადი ზრდის ხელშეწყობის მიზნით. იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ აისახება ინდუსტრიის მდგრადი განვითარება თქვენს ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე და გამოიყენეთ სოციალური მედია პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რათა მათ მდგრადი განვითარების მიზნებს მიანიჭონ პრიორიტეტი.

მე რისი გაკეთება შემიძლია

- ✓ მოუსმინეთ ლექციებს, გაიარეთ ტრენინგი, რომ განვიითაროთ ისტ-ის (ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) კომპეტენციები. გაეცანთ ახალ აპლიკაციებს და მათ შესაძლებლობებს ისწავლეთ ინფორმაციის, მონაცემების დამუშავება, რომ ციფრული წიგნიერება განვიითაროთ.
- ✓ შეისწავლეთ ინდუსტრიული რევოლუციები, მათი გამოწვევები და სიმძნელები, რა შიშები ჰქონდათ ადამიანებს და რა სიკეთეები მოიტანა საზოგადოებისთვის. მოაწყვეთ სკოლაში განხილვები მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციაზე, განიხილეთ მითები და შიშები ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან დაკავშირებით, ასევე ახალი სიჩქარის ინტერნეტგაყვანილობებზე, რომ ამაღლდეს ცნობიერება.
- ✓ არ გადაადგდით ძველი ელექტრონული მოწყობილობები. მოაწყვეთ საქველმოქმედო აქცია, სადაც შეკრებთ გამოყენებულ ტექნიკას და მობილურებს, რომ დაეხმაროთ მათ, ვისაც არ აქვს ინფორმაცია ტექნოლოგიების არქონის გამო.
- ✓ ღია იყავით ახალი მიღწევების ტექნოლოგიებისადმი, ეცადეთ ჩანაცვლოთ არსებული უფრო ახალი დამზოგი ალტერნატივებით. მოიფიქრეთ, თუ როგორ შეგიძლიათ გარდაქმნათ თქვენი გარემო უკეთესობისკენ, შეიძლება თუ არა სახურავის, ეზოს გამწვანება. როგორ შეიძლება ჰკვიანმა ტექნოლოგიებმა შეცვალოს სახლი ან სკოლა, დაზოგვაში შეგიწყობთ ხელი. შუქის გათბობის, თერმოსტატის, ტემპერატურის და სხვა სისტემების დისტანციურად რეგულირება.

- ✓ მოიძიეთ ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ კვლევით პროექტებს, შესთავაზეთ დახმარება, თქვენი დრო მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა. ამავედროულად, განივითარებთ კვლევით უნარებს, რაც მომავალში აუცილებლად გამოგადგებათ.
- ✓ სკოლაში დაგეგმეთ კვლევითი პროექტები.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://www.bankmycell.com/blog/how-many-phones-are-in-the-world>

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

<https://www.weforum.org/agenda/2021/01/covid-digital-divide-learning-education/>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

1. ცხრილში მოცემულია ინფორმაცია აშშ-ში მობილური ტელეფონების განაწილების შესახებ. უპასუხეთ კითხვას რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფებია არის უპირატეს მდგომარეობაში მობილურის ფლობასთან დაკავშირებით.
 - ა. გარეუბანი, 30-49 წლის, კაცი, ესპანურენოვანი
 - ბ. ქალაქი, 18-29 წლის, სკოლადამთავრებული, კაცი
 - გ. ქალაქი, 18-29 წლის, ქალი, ფერადკანიანი
 - დ. 18-29 წლის, ქალაქი, თეთრკანიანი, უნივერსიტეტდამთავრებული

	მობილური ყველა	ქვიანი მობილური	სხვა მოდელი
სულ	95%	77%	17%
კაცი	95%	80%	16%
ქალი	94%	75%	19%
18-29 წლის	100%	94%	6%
30-49 წლის	98%	89%	9%
50-64 წლის	94%	73%	21%
65+	85%	46%	40%
ქალაქი	96%	83%	13%
გარეუბანი	94%	76%	16%
სოფელი	91%	65%	26%
თეთრკანიანი	94%	77%	17%
ფერადკანიანი	98%	75%	23%
ესპანური	97%	77%	20%
სკოლა დამთავრებული	90%	57%	33%
უნივერსიტეტდამთავრებული	97%	91%	6%

2. ეწვიეთ Our World in Data-ს ვებგვერდზე ინტერაქტიულ რუკას, რომელზეც ასახულია ინტერნეტის მომხმარებელთა წილი ქვეყნების მიხედვით, (2017წ.) <https://ourworldindata.org/grapher/share-of-individuals-using-the-internet> რომელზეც ფერები მუქდება ბაცი ყვითლიდან მუქ ლურჯამდე. რა იწვევს ინტერნეტის შეზღუდულ მოხმარებას?
- ა. მოსახლეობის დაბალი მობილობა
 - ბ. მოსახლეობის ისტ უნარების დეფიციტი
 - გ. ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დაბალი მაჩვენებელი
 - დ. ქვეყნებში მიმდინარე კონფლიქტები
3. ეწვიეთ Our World in Data-ს ვებგვერდზე ინტერაქტიულ რუკას, რომელზეც ასახულია ინტერნეტის მომხმარებელთა წილი ქვეყნების მიხედვით, (2017წ.) <https://ourworldindata.org/grapher/share-of-individuals-using-the-internet> რომელზეც ფერები მუქდება ბაცი ყვითლიდან მუქ ლურჯამდე. მონიშნეთ ქვეყნები, რომლებიც ლიდერობენ ინტერნეტის მოხმარების 90%-ზე მაღალი წილით
- ა. აშშ
 - ბ. ირლანდია
 - გ. ისლანდია
 - დ. სამხრეთ კორეა
 - ე. ქუვეიტი
 - ვ. ჩრდილო კორეა
4. ჭეშმარიტია თუ მცდარი დებულება: განვითარებად ქვეყნებში მეტი ინვესტიცია იდება განახლება ენერჯიაში ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.
- ა. მცარია
 - ბ. ჭეშმარიტია
5. პანდემიის შედეგად რომელმა ეკონომიკის სფერომ განიცადა ყველაზე დიდი ვარდნა
- ა. მშენებლობა
 - ბ. სოფლის მეურნეობა
 - გ. ტექნოლოგიები
 - დ. ტრანსპორტი
6. შემოხაზეთ სწორი პასუხი, რომელშიც თანმიმდევრულადაა მოცემული პირველიდან მეოთხემდე ინდუსტრიული რევოლუციების მახასიათებლის მიხედვით
- ა. ავტომატიზაცია, მექანიზაცია, გაციფრულება, ელექტრიფიკაცია
 - ბ. ელექტრიფიკაცია, ავტომატიზაცია, მექანიზაცია, გაციფრულება
 - გ. მექანიზაცია, ავტომატიზაცია, ელექტრიფიკაცია, გაციფრულება
 - დ. მექანიზაცია, ელექტრიფიკაცია, ავტომატიზაცია, გაციფრულება

7. რა ტერმინით აღინიშნება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში ინფორმაციაზე და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომის პროცესში სხვაობა
- ა. დიჯიტალიზაცია
 - ბ. სოციალური უთანასწორობა
 - გ. ციფრული გაყოფა
 - დ. ციფრული სხვაობა
8. რა სიკეთე მოაქვს ხელოვნური ინტელექტის განვითარებას?
- ა. ადამიანს უზოგავს დროს და გაციფრულებით უმარტივებს მომსახურებებზე წვდომას
 - ბ. ადამიანებს საშუალებას აძლევს დაუკავშირდნენ ერთმანეთს
 - გ. ადამიანებს საშუალებას აძლევს მიიღონ სტატისტიკური ინფორმაცია
 - დ. აწესრიგებს ინფრასტრუქტურას
9. ინოვაციების ეპოქა და ტექნოლოგიური განვითარება ადამიანებისგან 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებს მოითხოვს. მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი
- ა. ინფორმაციის ანალიზისა და მართვას
 - ბ. კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას
 - გ. კომუნიკაციას და თანამშრომლობას
 - დ. პრობლემის გადაჭრის უნარს
 - ე. ყველა პასუხი სწორია
10. ყველაზე მეტად რომელი კომპეტენციის ნაკლებობა აფერხებს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის სიკეთეების გამოყენების შესაძლებლობას
- ა. დემოკრატიული კომპეტენციები
 - ბ. ისტ-ის კომპეტენციები
 - გ. ლინგვისტური კომპეტენციები
 - დ. სამეწარმეო კომპეტენციები

მდგრადი განვითარების მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 10: უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის.....	122
რაში მდგომარეობს მიზნის არსი.....	122
ქვემიზნები მიზნისთვის „უთანასწორობის შემცირება“:.....	124
ფაქტები და მონაცემები:	125
ტერმინები.....	126
რატომ არის მიზნის „უთანასწორობის შემცირება“ აღსრულება მნიშვნელოვანი?.....	127
რაში გამოიხატება უთანასწორობა?	127
როგორ გავზომოთ უთანასწორობა?	128
შემოსავლების უთანაბრობის გავლენა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.....	129
როგორ გავუმკლავდეთ დისკრიმინაციას?.....	132
რისი გაკეთება შეგვიძლია?	132
რისი გაკეთება შემიძლია?	133
გამოყენებული ლიტერატურა:.....	133
ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)	134

რაში მდგომარეობს მიზნის არსი

შემციროს უთანასწორობა როგორც ქვეყნის ფარგლებში არსებული, ისე - ქვეყნებს შორის

საერთაშორისო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ადამიანების სიღარიბისგან დასახსნელად. ეკონომიკურად ყველაზე სუსტი სახელმწიფოები – ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, შიდა კონტინენტური მდებარეობის, ისე როგორც მცირე

კუნძულოვანი ქვეყნები გზას იკვალავენ სიღარიბის შემცირებისკენ. ამასთან, უთანასწორობა შენარჩუნებულია და დიდი განსხვავებები რჩება ჯანდაცვის და განათლების სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რაც საბაზისო მოთხოვნაა და მისი არქონა, ან სისუსტე შემდგომ სხვა ყველა დანარჩენი უთანასწორობის განმაპირობებელია.

იზრდება კონსენსუსი, რომ ეკონომიკური ზრდა საკმარისი არაა სიღარიბის შემცირებისთვის, თუ იგი არაინკლუზიურია და არ მოიცავს მდგრადი განვითარების შემდეგ სამ განზომილებას: ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს. საბედნიეროდ, შემოსავლების უთანასწორობა შემცირდა როგორც ქვეყნებს შორის, ისე ქვეყნის შიგნით. ამჟამინდელი მონაცემებით, 94 ქვეყნიდან 60 ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე მთლიანი ეროვნული საშუალო. ამასთანავე, მიღწეული იქნა პროგრესი განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტის ხელშესაწყობად.

იმისათვის, რათა შემცირდეს უთანასწორობა, პოლიტიკა უნდა იყოს უნივერსალური, რომლებითაც ყურადღება მიექცევა ღარიბი და მარგინალიზებული მოსახლეობის საჭიროებებს. იმისათვის, რათა გაიზარდოს განვითარებადი ქვეყნების წილი საერთაშორისო სავალუტო ფონდში საჭიროა, ყურადღება მიექცეს დაუბეგრავი საქონლის მიმოქცევის ზრდას და განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტის გაძლიერების მხარდაჭერას. ამასთან, ტექნოლოგიების განვითარებას შეუძლია, შეამციროს მიგრანტი დასაქმებულებისათვის ფულის გადარიცხვის ღირებულება.

შემოსავლების უთანასწორობამ ეკონომისტთა ყურადღება გასული საუკუნის 60-იან წლებში მიიპყრო და მას შემდეგ ის აქტუალურობას არ კარგავს. შემოსავლების უთანასწორობას მიყვავართ სიღარიბის დონის ზრდასთან, რაც თავისი არსით უკვე ცუდის მომასწავებელია. სიღარიბის გაღრმავება იღებს კომპლექსურ ხასიათს და მოიცავს საზოგადოების თითქმის ყველა სფეროს.

შემოსავლების უთანაბრობის კომპლექსურობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისი ზრდა გავლენას ახდენს განათლების დონეზე, ჯამრთელობის დონეზე, კრიმინალზე და ქვეყნის განვითარებაზე. მოგეხსენებათ დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახი ნაკლებად ორიენტირებულია განათლებაზე, რაც მომავალში დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის ადამიანურ კაპიტალს.

მსგავსად შეგვიძლია ვიმსჯელოთ უთანასწორობაზე და ჯანდაცვაზე - დაბალი შემოსავლების გამო ადამიანები ნაკლებად ორიენტირებულნი არიან დაიცვან ჰიგიენური ნორმები და გაუფრთხილდნენ ჯამრთელობას, ეს კი თავის მხრივ სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზია, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის და შემდგომ მსოფლიო ჯანდაცვას.

კრიმინალის დონე ქვეყანაში - დიდწილად გამოწვეულია შემოსავლების უთანასწორობის ზრდით. კვლევებმა აჩვენა, რომ როდესაც სიღარიბის დონე მაღალია და ქვეყნის მოსახლეობის 10% ფლობს იგივეს, ან ბევრად მეტს, რასაც დარჩენილი მოსახლეობის 90%, კრიმინალის დონე ასეთ ქვეყანაში განუზომლად მაღალია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია შემოსავლების უთანაბრობის შესამცირებლად მიზანმიმართული პოლიტიკის წარმოება, რაც ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის იქნება მნიშვნელოვანი.

ქვემოწინები მიზნისთვის „უთანასწორობის შემცირება“:

- 2030 წლისთვის მოსახლეობის ქვედა 40%-ის შემოსავლის ზრდის თანდათანობით მიღწევა და შენარჩუნება საშუალო ეროვნულ განაკვეთზე მაღალი განაკვეთით.
- 2030 წლისთვის ყველა ადამიანის გაძლიერება და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობის ხელშეწყობა, მიუხედავად ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან ეკონომიკური თუ სხვა სტატუსისა.
- თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და შედეგების მხრივ უთანასწორობის შემცირება, მათ შორის დისკრიმინაციული კანონების, პოლიტიკისა და პრაქტიკის აღმოფხვრით და ამ თვალსაზრისით სათანადო კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ქმედების ხელშეწყობით
- პოლიტიკის, განსაკუთრებით კი ფისკალური, სახელფასო და სოციალური დაცვის პოლიტიკის შემოღება და თანდათანობით მეტი თანასწორობის მიღწევა.
- გლობალური ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების რეგულირებისა და მონიტორინგის გაუმჯობესება და ამ რეგულაციების დანერგვის გაძლიერება.
- გლობალური საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განვითარებადი ქვეყნების ჩართულობის ზრდის უზრუნველყოფა, უფრო ეფექტური, სანდო, ანგარიშვალდებული და ლეგიტიმური ინსტიტუტების ფორმირების მიზნით.
- ადამიანების მოწესრიგებული, უსაფრთხო, რეგულარული და პასუხისმგებლობით აღსავსე მიგრაციის და მობილობის ხელშეწყობა, მათ შორის დაგეგმილი და კარგად მართული მიგრაციის პოლიტიკის განხორციელების მეშვეობით.
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებების შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნებისადმი, მეტწილად კი ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისადმი, განსაკუთრებული და განსხვავებული მოპყრობის პრინციპის დამკვიდრება
- განვითარების სფეროში ოფიციალური დახმარების და ფინანსური ნაკადების, მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, წახალისება ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ, კერძოდ, სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის, აფრიკის სახელმწიფოებისთვის, მცირე კუნძულოვანი განვითარებადი ქვეყნებისთვის და ზღვაში გასასვლელის არმქონე, შიდაკონტინენტური მდენარეობის მქონე ქვეყნებისთვის, მათი ეროვნული გეგმების და პროგრამების მიხედვით.
- 2030 წლისთვის მიგრანტთა გადარიცხვების ტრანზაქციის ხარჯების 3 პროცენტზე ნაკლებამდე შემცირება და 5 პროცენტზე მაღალი ხარჯების მქონე გადარიცხვების კორიდორების აღმოფხვრა.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ მონაცემები განვითარებადი ქვეყნებიდან აჩვენებს, რომ მოსახლეობის უღარიბესი 20 პროცენტის ბავშვები ხუთ წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ჯერ კიდევ სამჯერ უფრო ხშირად იღუპებიან, ვიდრე ბავშვები, რომლებიც უმდიდრეს კვინტილს მიეკუთვნებიან.
- ✓ აღსანიშნავია, რომ გლობალურ დონეზე სოციალური დაცვის სისტემები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალოზე ხუთჯერ უფრო ხშირად აღენიშნებათ მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა.
- ✓ დედათა სიკვდილიანობის შემცირების მიუხედავად, უმეტეს განვითარებად ქვეყნებში, სოფლად მცხოვრები ქალები მაინც სამჯერ უფრო ხშირად იღუპებიან მშობიარობისას, ვიდრე ურბანულ ცენტრებში მცხოვრები ქალები.
- ✓ ოჯახებს შორის სხვაობებს შემთხვევების 30 %-ში შემოსავლების უთანასწორობა განაპირობებს, მათ შორის ქალებსა და მამაკაცებს შორის. ასევე ქალები მამაკაცებზე ხშირად ცხოვრობენ შინამეურნეობებში საშუალო შემოსავალით 50%-ზე დაბლა.
- ✓ ერთ მილიარდ შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირთა 80% განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს.
- ✓ ათიდან ერთი ბავშვს აქვს სხვადასხვა სიმძიმის შეზღუდული შესაძლებლობები.
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხოლოდ 28 პროცენტს აქვს წვდომა სოციალურ დახმარებაზე გლობალურად და მხოლოდ 1 პროცენტს - დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში.
- ✓ 2010-2017 წლებში პანდემიამდე 84 ქვეყნიდან 38-ში შემოსავლებზე უთანასწორობის მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა და იკლო ჯინის ინდექსმა
- ✓ გლობალურმა ეკონომიკურმა რეცესიამ შეამცირა განვითარებული ქვეყნების დახმარებები, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი. თუ 2017 წელს 420 მილიარდი იყო დახმარების მოცულობა, უკვე 2018 წელს 271 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა.
- ✓ პანდემიამ ყველაზე მძიმე გავლენა იქონია მოწყვლად ჯგუფებზე - ხანდაზმულებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ბავშვებზე, ქალებზე, მიგრანტებზე, ლტოლვილებსა და იძულებით ადგილნაცვალ პირებზე.
- ✓ ქვეყნების 54% აქვს მიგრანტების დახმარებაზე ორიენტირებული სპეციალური პოლიტიკა შემუშავებული
- ✓ ყოველი 10-დან 2 აცხადებს რომ საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი დისკრიმინაცია სულ მცირე ერთი მიმართულებით, რასაც აწესებს საერთაშორისო სამართალი, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
- ✓ 1960 წელს მსოფლიო მოსახლეობის ყველაზე მდიდართა 20%-ს ჰქონდა 30-ჯერ მეტი შემოსავალი ვიდრე სხვა ფენებს.
- ✓ უმდიდრეს 1% აქვს ორჯერ მეტი სიმდიდრე, ვიდრე 6,9 მილიარდ ადამიანს მსოფლიოში.
- ✓ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტს 5,5\$-ზე ნაკლები შემოსავალი აქვს დღეში.

- ✓ მდიდრების შემოსავლის ყოველი დოლარი მხოლოდ 4 ცენტით იბეგრება, ისინი ირიდებენ გადასახადების 30% -ს.
- ✓ პანდემიამდე ყოველდღიურად 258 მილიონი ბავშვი ვერ მიდიოდა სკოლაში სიღარიბის გამო, 100 ბიჭზე 121 გოგო მოდის.
- ✓ ყოველ დღე 10000 ადამიანი ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის არქონის გამო იღუპება, ხოლო 100 მლნ. ყოველწლიურად ჯანდაცვის ხარჯების გამო უკიდურეს სიღარიბეში ვარდება.
- ✓ ქალები მსოფლიოს სიმდიდრის 50%-ით ნაკლებს ფლობენ, ხოლო ქალთა აუნაზღაურებელი შრომა 10 ტრილიონ აშშ დოლარად არის შეფასებული.

ტერმინები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - საერთაშორისო აქტი, მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. დეკლარაციაში გამოცხადებულია პიროვნების ძირითადი უფლებები.

ჯინის ინდექსი მსოფლიო ბანკის მიერ შემოსავლების უთანაბრობის დონის საზომია. ის 0-სა და 1-ს შორის მერყეობს. კოეფიციენტი 0 აღნიშნავს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, 1 კი მაქსიმალურ მნიშვნელობას ასახავს. თუ ჯინის კოეფიციენტს 100-ზე გავამრავლებთ მივიღებთ ჯინის ინდექსს

მინიმალური სასურსათო კალათა არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას. საქართველოსთვის სასურსათო კალათა რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტით <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/55534?publication=0>

საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. საარსებო მინიმუმი მხოლოდ და მხოლოდ სურსათის ღირებულების გამომხატველი მაჩვენებელია. მასში არ შედის კომუნალური ტარიფების, ტრანსპორტის ღირებულება და სხვა მრავალი ხარჯი, რომელთა გაღებაც ყველა ადამიანს უწევს. დღეს არსებული სისტემა მხოლოდ და მხოლოდ საკვების ღირებულებას ეფუძნება. მის გასაანგარიშებლად მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება იყოფა 0.7-ზე (საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 30%-ით). მიღებული რიცხვი წარმოადგენს მოცემულ თვეში საარსებო მინიმუმის ღირებულებას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.

რატომ არის მიზნის „უთანასწორობის შემცირება“ აღსრულება მნიშვნელოვანი?

შემოსავლის, სქესის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, რასის, სოციალური, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიისა და შესაძლებლობების საფუძველზე არსებული უთანასწორობა კვლავაც არსებობს მთელ მსოფლიოში. უთანასწორობა საფრთხეს უქმნის გრძელვადიან სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, აფერხებს სიღარიბის შემცირებას და ანადგურებს ადამიანების ღირსებისა და თვითშეფასების გრძობას. უთანასწორობამ, თავის მხრივ, შეიძლება გაზარდოს კრიმინალი, რადგან ადამიანებს არ აქვთ შესაძლებლობა იყენენ რეალიზებული და საკუთარ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას დანაშაულით აკომპენსირებან; დაავადებების ზრდა პირდაპირ უკავშირდება ჯანდაცვის მომსახურებაზე წვდომის ნაკლებობას, სიღარიბესთან დაკავშირებული საბაზისო პირობების უქონლობას და არასაკმარისი კვების გამო იზრდება დაავადებები, რაც ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას არ აძლევს საშუალებას გაიუმჯობესონ ცხოვრების დონე. ხშირად რესურსებზე ნაკლებობა იწვევს გარემოს მდგომარეობის უგულვებლყოფას, ჭარბ და არასწორ მოხმარებას, რაც გარემოს დეგრადაციის საფუძველია.

ჩვენ ვერ მივალწევთ მდგრად განვითარებას და გავხდით პლანეტა ყველასთვის უკეთეს ადგილად საარსებოდ, თუ ადამიანებს არ ექნებათ რეალიზაციის, მათი მიზნების და მისწრაფებების მიღწევის, ცხოვრების დონის გაუმჯობესების საშუალება. მიუხედავად პოზიტიური ნიშნებისა, უთანასწორობა იზრდება მსოფლიოს მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტისთვის, რაც ამძაფრებს მარგინალიზაციის რისკებს და აფერხებს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. გარდა ამისა, COVID-19 ყველაზე მეტად დაუცველ ადამიანების ცხოვრებაზე ახდენს უარყოფით, დამანგრეველ ზემოქმედებას, ეს ჯგუფები ხშირად განიცდიან გაზრდილ დისკრიმინაციას.

რაში გამოიხატება უთანასწორობა?

ქალები და ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ ჯანდაცვაზე წვდომა, ილუპებიან ყოველდღიურად ისეთი დაავადებებისგან, როგორცაა წითელა და ტუბერკულოზი, ქალები კი მშობიარობისას ვერ იღებენ სათანადო სამედიცინო დახმარებას, რაც მაღალ სიკვდილიანობას განაპირობებს. ხანდაზმული ადამიანები, მიგრანტები და ლტოლვილები ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი, იქნება ეს სამუშაოს დაწყებისას, განათლების ან ჯანდაცვის მომსახურების მიღებისას. აღნიშნული საკითხი, არ ეხება რომელიმე ერთ ან ორ ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოშია გამოკვეთილი. ბევრი ქვეყანა ახდენს რეაგირებას და ცდილობს უთანასწორობის აღმოფხვრას, თუმცა განვითარებად ქვეყნებში სხვა რიგი მნიშვნელოვანი პრობლემის გამო, აღნიშნულ საკითხებს სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ყოველი 10-დან 2 აცხადებს რომ საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი დისკრიმინაცია სულ მცირე ერთი მიმართულების დარღვევით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან, რომელიც 1949 წელს მიიღო გაერომ, რომელიც სამწუხაროდ სრულად

დღემდე არ არის რეალიზებული. ადამიანის ფუნდამენტური უფლებებიდან გამოყოფილია სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და თავშესაფრის, დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით სახელმწიფოს მართვა გამგეობაში მონაწილეობის, შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების, დასვენების, განათლების, კულტურული ცხოვრებისა თუ მეცნიერულ პროგრესში მონაწილეობის და ა. შ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას სრულად შეგიძლიათ გაეცნოთ მითითებულ ბმულზე:
<http://myrights.gov.ge/uploads/file-manager/Conventions/UDHRgeo.pdf>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთაგან 10-დან სამს პირადად განუცდია დისკრიმინაცია. დისკრიმინაციის უფრო მაღალი მაჩვენებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებში, ასევე რელიგიურ, ეთნიკურ და სქესობრივი ნიშნით უმცირესობების ჯგუფებში, რაც მიუთითებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების მიღების გადაუდებელ აუცილებლობაზე, რადგან ამ საკითხს თან სდევს სხვა დანარჩენი ბევრი პრობლემა.

როგორ გავზომოთ უთანასწორობა?

ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა ყოველთვის იყო და დღემდე რჩება პრობლემად, რომელიც საერთოა ყველა ქვეყნისთვის და ამგვარად, ის ატარებს გლობალურ ხასიათს.

ქვეყნებს შემუშავებული აქვთ საარსებო მინიმუმი, რომელსაც განსხვავებული მეთოდოლოგია უდევს საფუძვლად, მის საფუძველზე დგინდება სოციალური დახმარებების პაკეტის მოცულობები.

მინიმალური სასურსათო კალათა არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმატიული კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიანობისათვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინიმალურ ოდენობას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად. თავდაპირველად ხდება მინიმალური სასურსათო კალათის მთელი შემადგენლობის ღირებულების დათვლა საქართველოს 5 ქალაქის ფასების საფუძველზე: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი და თელავი. თითოეულ ქალაქში სასურსათო კალათის თითოეული პროდუქტისათვის ხდება საშუალო ფასის დადგენა. შემდეგ თითოეული პროდუქტის საშუალო ფასი გამოიანგარიშება ქვეყნის დონეზე. შემდეგ ეტაპზე დგინდება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება, რაც წარმოადგენს მინიმალური სასურსათო კალათის შუალედურ თვიურ ღირებულებას.

უთანასწორობის გაზომვის მრავალი გზა და მეთოდოლოგია არსებობს, რომლებიც უთანასწორობას სხვადასხვა კუთხით ზომავენ. შემოსავლების უთანასწორობის გაზომვის ხერხებიდან კი ყველაზე აპრობირებული და ხშირად გამოიყენება: ჯინის, ტეილის და ატკინსონის ინდექსები.

ჯინის ინდექსი - უთანასწორობის გაზომვის ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული მეთოდია, რომელსაც მიმართავენ ეკონომისტები. ჯინის კოეფიციენტი ასახავს დოვლათის განაწილების უთანაბრობას ქვეყანაში. იტალიელმა სტატისტიკოსმა და დემოგრაფმა კორადო ჯინიმ შემიტანა ის ხმარებაში 1912 წელს. საზოგადოდ, ჯინის კოეფიციენტი არის მაკროეკონომიკური და სტატისტიკური, რომელიც გვიჩვენებს რაიმე გამოსაკვლევი თვისების მიმართ საზოგადოების ფენებად დაშლის ხარისხს და წარმოადგენს ამ თვისების ფაქტიური განაწილების შეფარდებას აბსოლუტურად თანაბარ განაწილებასთან.

ჯინის კოეფიციენტი გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. იგი იანგარიშება 0-დან 1-დე ინტერვალში. კოეფიციენტის მნიშვნელობა 0 ნიშნავს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, ხოლო 1 უთანაბრობა მაქსიმალურია. თუ ჯინის კოეფიციენტს 100-ზე გავამრავლებთ მივიღებთ ჯინის ინდექსს

მაგალითად, თუ ქვეყანაში, თეორიულად, ცხოვრობს 1.000 ადამიანი და ყველას ერთნაირი შემოსავალი აქვს, ჯინის კოეფიციენტი იქნება ნული, ხოლო როცა შემოსავალი მხოლოდ ერთს აქვს, კოეფიციენტი ერთი, ანუ 100 %-ია.

შემოსავლების უთანაბრობის გავლენა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე

კრიმინალის განმსაზღვრელ ფაქტორებში დიდ როლს თამაშობს შემოსავლების უთანაბრობა. უთანასწორო შემოსავლებს ასევე შეუძლია გაზარდოს კრიმინალის დონე. ეს არის შედეგი იმედგაცრუების, როდესაც დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანი, ადარებს თავის ყოფით ცხოვრებას მაღალი შემოსავლის მქონეებისას. რაც უფრო მაღალია შემოსავლების უთანასწორობა, მით უფრო მაღალია არაკეთილსინდისიერ პირთა უსამართლობის განცდა და შესაბამისად მიდრეკილნი არიან კრიმინალური საქმიანობებისკენ. კვლევებზე დაყრდნობით დანაშაულებრივი ქმედებები იყო ძლიერ კავშირში შემოსავლების უთანაბრობის დონესთან.

პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა განათლებასა და შემოსავლების უთანაბრობას შორის. 1980-დან 1990 წლამდე პერიოდში მსოფლიოს 105 ქვეყნიდან 73 ქვეყანაში ადგილი ქონდა სოციალური უთანასწორობის ზრდას გამოხატულს ჯინის ინდექსით. რადგან სამუშაო ადგილებზე ტექნოლოგიური უნარების საჭიროება გამოჩნდა, ასევე საერთაშორისო კავშირები გლობალიზაციის მასშტაბების ზრდასთან ერთად გახშირდა, შესაბამისად, გაიზარდა მაღალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნა. თუმცა მიწოდების ზრდას ადგილი არ ჰქონია რადგან განათლების სექტორში სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი თანხა დაიხარჯა ღარიბი მოსახლეობისათვის საჭირო განათლების მიწოდებისთვის. აღნიშნულმა

პროცესმა განაპირობა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ხელფასის ზრდა, მაშინ როდესაც დაბალკვალიფიციურისთვის იგი შემცირდა.

გარი ბექერის (Becker. 1964) ადამიანური კაპიტალის თეორია გვიჩვენებს, რომ მოთხოვნილება სწავლაზე ზრდის უნარებსა და შესაძლებლობებს, რომელიც ორიენტირებულია ინდივიდის პროდუქტიულობის ზრდაზე. განათლების მაღალი დონე ინდივიდის პროდუქტიულობას ზრდის და ხელფასის მაღალი განაკვეთის საწინდარია. უფრო მეტად განვითარებული საზოგადოება, უფრო მაღალი განვითარების და კეთილდღეობის დონე უჭირავს. დღესდღეისობით განათლებასა და შემოსავლების კარგად ჩამოყალიბებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ეკონომიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს. განათლება წარმოჩენილია, როგორც გასაღები მზარდი ზრდის. ასევე კვლევები ორიენტირებულია მიკროეკონომიკურ მიღწევებზე და ოჯახის შემოსავლის როლზე ბავშვთა განათლებაზე. ცალსახად იკვეთება პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება, შესაბამისად მაღალი შემოსავლების პირობებში, ბავშვი უკეთ სწავლობს.

საერთაშორისო კვლევის PISA-ს ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის შეფასება ეფუძნება შემდეგი ცვლადების ერთობლიობას: მოსწავლის მშობლების განათლების დონე, დასაქმება, ოჯახში პირველადი საჭიროების ნივთების არსებობა და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. თუ მოსწავლე სოციოეკონომიკური ინდექსის განაწილების ქვედა მეოთხედშია, ის ფასდება როგორც დაბალი სოციოეკონომიკური ჯგუფის წარმომადგენელი.

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შესწავლა სოფელს და ქალაქს, ასევე, საჯარო და კერძო სკოლებს შორის არსებული განსხვავების საფუძველზე შეიძლება. TIMSS-ის კვლევაში მოსწავლეების შედეგებზე დაყრდნობით, ქალაქის კერძო სკოლებში მოსწავლეებს სხვებზე გაცილებით უფრო მაღალი შედეგები აქვთ.

დისკუსია იმის შესახებ, ახდენს თუ არა შემოსავლების უთანასწორობა ზეგავლენას ადამიანთა ბედნიერებაზე, პერსპექტივის განცდაზე აკადემიურ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო. ამ პრობლემის ასახსნელად ავტორების მოჰყავთ საავტომობილო საცობის შემთხვევა ორზოლიან ესტაკადაზე, რომელსაც დაარქვეს „გვირაბის ეფექტი (Hirschman; Rothschild. 1973)“ - „წარმოიდგინეთ რომ ორზოლიან გვირაბში მარცხენა მხარეს დგახართ და ორივე ზოლზე გაუვალი საცობია. არცერთი მიმართულებით არ იძვრიან მანქანები და თავს გრძნობთ მოწყენილად. ამ დროს მარჯვენა მხარე იწყებს მოძრაობას, რა დროსაც შინაგანი განწყობა მნიშვნელოვნად მაღლდება, რადგანაც იცით რომ საცობი მოიხსნა და მალე თქვენც შეძლებთ მოძრაობის გაგრძელებას. თუმცა იმედეები გიცურდებათ რადგანც მარცხენა მხარე კვლავ არ იძვრის და ვერ ახერხებთ სხვა მხარეში გადასვლას, ამ დროს ადამიანი ბრაზდება“. ეს ანალოგი ნათლად აღწერს შემოსავლების უთანასწორობისა და შესაძლებლობის დანახვის ურთიერთკავშირის გარკვეულ ასპექტებს. პირველ რიგში კი უთანასწორობა შესაძლებელია ჩავთვალოთ როგორც ინფორმაცია მომავალი პერსპექტივების შესახებ. ეს გულისხმობს იმას რომ როდესაც ინდივიდი ხედავს, რომ მის გარშემო სხვა ადამიანები მოძრაობენ, ისიც ელოდება თვითონ როდის დაიწყებს მოძრაობას. რაც მიუთითებს იმაზე რომ შემოსავლების უთანასწორობას შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური

ეფექტი ინდივიდის კეთილდღეობაზე. მეორე მხრივ ეს დადებითი ეფექტი შესაძლოა რომ გადაიზარდოს უარყოფითში თუკი ინდივიდის მოლოდინები არ გამართლდება.

კვლევები ასევე ტარდება ჯანმრთელობის სტატუსისა და შემოსავლებს შორის შესაბამისობის დასადგენად. შემოსავლის შედარებით დაბალი დონე ზრდის ინდივიდის ქრონიკულ სტრესს და შესაბამისად აუარესებს ჯანმრთელობას, რაც გამოწვეულია იმ გრძნობის გამწვავებით რომ ადამიანი კარგავს მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსებს და შესაბამის სარგებლიანობას. „საზოგადოებრივი ეფექტი (societal effect)“ აღწერს თუ რატომ შეიძლება იქონიოს უთანასწორობამ გავლენა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამ თეორიიდან გამომდინარეობს რომ გაზრდილი შემოსავლების უთანასწორობის გამო იმატებს ძალადობების და კონფლიქტების რაოდენობა. მაღალი ძალადობის და კრიმინალის დონის პირობებში კი როგორც წესი იზრდება არა მარტო ადამიანთა მკვლელობის რაოდენობა, არამედ საზოგადოების სტრესის დონეც, რომელიც იწვევს მათი ჯანმრთელობის გაუარესებას.

ეკონომიკურ უთანასწორობას შეუძლია შეამციროს ღარიბი მოქალაქეების პოლიტიკური აქტივობა. ამ ჰიპოთეზის საფუძველია იდეა იმის შესახებ რომ სიმდიდრე და ძალაუფლება ერთმანეთის განმაპირობებლები არიან. მდიდარი ინდივიდებს მეტი ძალაუფლება აქვთ პოლიტიკურ სცენაზე ვიდრე ღარიბებს, შესაბამისად დღის წესრიგში იშვიათად ხვდება იმ საკითხების პოლიტიკური განხილვა და მოგვარება რაც უფრო მეტად ადარდებს მოსახლეობის ღარიბ ფენებს. მეცნიერთა შეფასებით, ბევრ ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობის მოსაზრებების გათვალისწინება არ ხდება პოლიტიკის საერთო დიზაინის შერჩევისას, რაც გულისხმობს იმას რომ ამ ჯგუფებისათვის არჩევნებში ხმის მიცემით მიღებული სარგებლიანობები შედარებით მცირეა ვიდრე მდიდარი მოსახლეობის. სამთავრობო პოლიტიკა უფრო მეტად მორგებული და სისტემატიურად გადახრილი იქნება პრივილეგირებული მოქალაქეებისაკენ - ისინი მიიღებენ უფრო მეტ შემოსავალს, მეტ სიმდიდრეს და უკეთეს განათლებას განსხვავებით არაპრივილეგირებული მოქალაქეებისაგან, რაც კიდევ უფრო მეტად გამწვავებს უთანასწორობის პრობლემას.

კონფლიქტის თეორიის მიხედვით შემოსავლების უთანასწორობის ზრდამ პირიქით უნდა გაზარდოს პოლიტიკური აქტივობა. რადგან შემოსავლების უთანასწორობის ზრდისას იზრდება საზოგადოებრივი მღელვარება, განსაკუთრებით დაბალ შემოსავლიან ფენებში და ისინი პოლიტიკოსებისაგან მოითხოვენ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მათი პრობლემების მოსაგვარებლად. მოსახლეობის მცირე შემოსავლიანი ჯგუფები აქტიურად ცდილობენ გააპროტესტონ თავიანთი მდგომარეობა და ხელისუფლებისაგან მოითხოვონ სათანადო რეაგირება.

ქალის მონაწილეობა სამუშაო ძალაში მნიშვნელოვნად ზრდის ოჯახის საშუალო შემოსავლების დონეს. თუმცა პრობლემას წარმოადგენს იმისი შეფასება თუ რა სახის გავლენა აქვს ამ უკანასკნელს საზოგადოების საერთო შემოსავლების უთანასწორობის ცვლილებაზე, მაგალითად, როდესაც დიასახლისი იწყებს მუშაობას და ოჯახში შემოსავლის დამატებითი წყარო ჩნდება, ამან შესაძლოა ოჯახის სხვა წევრების აქტიურობა შეამციროს დამატებითი შემოსავლების მოპოვების კუთხით. თუმცა მარტოხელა მომუშავე დედების გამოსვლამ სამუშაო ბაზარზე გამოიწვია შემოსავლების უთანასწორობას შემცირება.

როგორ გავუმკლავდეთ დისკრიმინაციას?

უმდიდრეს ქვეყნებს ასევე ახასიათებთ უთანასწორობა, ყავთ მოსახლეობის ჯგუფები, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ. უთანასწორობა თავს იჩენს დასახლების ტიპის მიხედვით, სოფლებში შეიძლება ნაკლები ცხოვრებისთვის საჭირო მომსახურებაზე და ინფრასტრუქტურაზე იყოს წვდომა, ასევე შეეხება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს, რომელთა ინტეგრაციისთვის არასაკმარისი შეიძლება კეთდებოდეს, მათ აქვთ ენობრივი თუ კულტურული ბარიერები ურთიერთობისას, შესაბამისად ისინი ვერ იღებენ სახელმწიფოსგან ყველა სიკეთეს, რაც მოსახლეობის კეთილდღეობისკენ არის მიმართული. ასევე ჯერაც გვხვდება გენდერის, სქესის, კანის ფერის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით უთანასწორობა. თუმცა დემოკრატიული ქვეყნები ებრძვიან რასიზმს, ჰომოფობიასა და ტრანსფობიას და რელიგიურ შეუწყნარებლობას. გლობალური უთანასწორობა გავლენას ახდენს თითოეულ ჩვენთაგანზე, არ აქვს მნიშვნელობა ვინ ვართ და საიდან ვართ.

კონსტიტუციის თანახმად, დაუშვებელია დისკრიმინაცია რომელიმე ნიშნის გამო:

- სქესი;
- წარმოშობა;
- რასა;
- კანის ფერი;
- ეთნიკური კუთვნილება;
- ენა;
- რელიგია;
- პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები;
- სოციალური კუთვნილება;
- ქონებრივი ან სხვა მდგომარეობა;
- საცხოვრებელი ადგილი ან რაიმე სხვა გარემოება.

რისი გაკეთება შეგვიძლია?

თეორიულად შეგვიძლია თანასწორობის მიღწევა. ამისთვის ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული ცხოვრება ყველასთვის. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს უნივერსალური, ყველა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დაუცველი და მარგინალიზებული თემების საჭიროებებს.

უთანასწორობის შემცირება მოითხოვს ტრანსფორმაციულ ცვლილებებს. მეტი ძალისხმევაა საჭირო უკიდურესი სიღარიბის და შიმშილის აღმოსაფხვრელად და მეტი ინვესტიციაა ჩასადები ჯანდაცვაში, განათლებაში, სოციალურ დაცვაში და ღირსეულ სამუშაოებში, განსაკუთრებით ახალგაზრდების, მიგრანტებისა და ლტოლვილებისთვის და სხვა

დაუცველი თემებისთვის. ქვეყნების შიგნით მნიშვნელოვანია ინკლუზიური სოციალური და ეკონომიკური ზრდის გაძლიერება და ხელშეწყობა.

ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ თანაბარი შესაძლებლობები და შევამციროთ შემოსავლების უთანასწორობა, თუ აღმოვფხვრით დისკრიმინაციული კანონები, პოლიტიკასა და პრაქტიკაში. ქვეყნებს შორის ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ განვითარებადი ქვეყნები უკეთესად იყვნენ წარმოდგენილნი გლობალურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა გადაწყვეტილებები იყოს უფრო ეფექტური, ინკლუზიური და ანგარიშვალდებულებები მთავრობებისთვის იყოს გაზრდილი.

მთავრობებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ უსაფრთხო, რეგულარულ და საპასუხისმგებლო ტრანსფორმაციას, მათ შორის დაგეგმილი და კარგად მართული პოლიტიკით, იმ მილიონობით ადამიანისთვის, ვინც დატოვა სახლები უკეთესი ცხოვრების საძიებლად ომის, დისკრიმინაციის, სიღარიბის, შესაძლებლობების ნაკლებობის და სხვა მიზეზთა გამო.

რისი გაკეთება შემიძლება?

- ✓ დაუმეგობრდეთ თანატოლებს, რომლებიც სხვა კულტურის, ეთნოსის წარმომადგენლები არიან
- ✓ პატივი სცეთ თითოეულ ადამიანს, რომელიც ისე არ იქცევა, როგორც თქვენ ხართ ჩვეული. დაგეგმეთ თვეში ერთხელ მაინც მათთან შეხვედრა. მოუსმინეთ, ელაპარაკეთ მათ, რომ უკეთ გაუგოთ.
- ✓ მოგზაურობისას გაიგე მეტი სხვა კულტურებზე, ან შეისწავლე თქვენთვის საინტერესო ქვეყნის კულტურა.
- ✓ წაიკითხეთ წიგნები განსხვავებულ კულტურაზე, სხვა ქვეყნებზე.
- ✓ სტერეოტიპების შესაჩერებლად მოაწყვეთ სკოლაში სხვადასხვა კულტურის დღეები.
- ✓ მოაწყვეთ საქველმოქმედო აქციები (წიგნები, სათამაშოები, გამოცვლილი ელექტრომოწყობილობები) იმათ დასახმარებლად, ვინც მარგინალიზებულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

170 daily actions to transform our world, 2019

შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
უთანასწორობის შემცირების მაკროეკონომიკური პოლიტიკა, თენგიზ კუპატაძე, სამაგისტრო ნაშრომი

<https://www.oxfam.org/en/5-shocking-facts-about-extreme-global-inequality-and-how-even-it>
<https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI?end=2019&start=1967&view=map&year=2018>
https://wid.world/share/#0/countriesmap/sptinc_p90p100_z/all/last/eu/k/p/yearly/s/false/24.322/80/curve/false/country
<https://www.un.org/sustainabledevelopment/>
<https://sdg.gov.ge/goals-all>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

- რომელი ჯგუფებისთვის არის მეტი სიკეთის მომტანი სოციალური დაცვის კარგად განვითარებული სისტემები?
 - დაბალი შემოსავლების მქონე
 - მაღალი შემოსავლების მქონე
 - საშუალო შემოსავლების მქონე
 - საჭირო არ არის სოციალური დაცვის სისტემების არსებობა
- როგორ შეცვალა პანდემიამ ქვეყნებში უთანასწორობა?
 - არ შეცვალა, რადგან ყველა ერთნაირად დააზარალა
 - გააფართოვა, რადგან მდიდრები მეტად გაამდიდრა
 - გააფართოვა, რადგან მცირეშემოსავლიანებ მეტად დააზარალა
 - შეამცირა, რადგან მდიდრები გააღარიბა
- ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით რომელი არ არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება?
 - განათლება
 - დასვენება
 - თავისუფლება
 - პირადი ხელშეუხებლობა
 - ყველა პასუხი სწორია
- წარმოვიდგინოთ ქვეყანა, რომელშიც ყველას აქვს თანაბარი ქონება და შემოსავალი და არავინ არის უპირატეს მდგომარეობაში, რამდენი იქნება ჯინის კოეფიციენტი?
 - ვერ გაიზომება, რადგან მათ შორის არ არის სხვაობა
 - იქნება 0-ის ტოლი, რადგან ნულოვანი უთანასწორობაა
 - იქნება 1-ის ტოლი, რადგან უთანასწორობა მაქსიმალურად არიდებულია
 - პასუხებში არცერთია სწორი
- ჭეშმარიტია თუ მცდარი დებულება: საარსებო მინიმუმი საკვების კალორიების, კომუნალური ხარჯების და სანიტარული საშუალებების მინიმალური რაოდენობით განისაზღვრება, რაც ჭირდება ზრდასრულ ადამიანს ერთ თვეში არსებობისთვის.
 - მცდარია
 - ჭეშმარიტია
- რომელ ფაქტორთან აქვს კავშირი უთანასწორობას? მოხაზეთ ყველა სწორი დებულება
 - არჩევნებზე აქტიურობასთან
 - განათლების მიღების შეფერხებასთან
 - კრიმინალთან
 - ჯანდაცვის მიღების შეფერხებასთან
 - ყველა პასუხი სწორია
- რითი იხსნება უთანასწორობის დადებითი გავლენა პერსპექტივის განცდაზე?
 - ბედვაგონის ეფექტი
 - გვირაბის ეფექტი

გ. დიდეროტის ეფექტი

დ. სნობის ეფექტი

8. რა დამოკიდებულებაა სხვადასხვა სოციალურ პრობლემას შორის? შემოხაზეთ ყველა სწორი დებულება

ა. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლები არიან

ბ. ისინი ერთმანეთს ამძაფრებენ

გ. ისინი ურთიერთგანმაპირობებლები არიან

დ. ისინი ურთიერთდამოკიდებულები არიან

9. რუკა ასახავს ქვეყნების შემოსავლებს შორის უთანასწორობას გამობატულს პროცენტებში (2019 წ.), რომელზეც ფერები მუქდება ყვითლიდან (ნაკლები უთანასწორობა) მუქ წარინჯისფრამდე (მეტი უთანასწორობა), ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან მონიშნეთ ისინი, რომლებშიც უთანასწორობა დიდია.

ა. არგენტინა

ბ. ბრაზილია

გ. ინდოეთი

დ. მექსიკა

ე. მონღოლეთი

ვ. საუდის არაბეთი

ზ. ჩინეთი

10. რუკა ასახავს ქვეყნების შემოსავლებს შორის უთანასწორობას გამობატულს პროცენტებში (2019 წ.), რომელზეც ფერები მუქდება ყვითლიდან (ნაკლები უთანასწორობა) მუქ წარინჯისფრამდე (მეტი უთანასწორობა). რა ფაქტორებმა განაპირობა ნაკლები უთანასწორობა ყვითლად მონიშნულ ქვეყნებში? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი


ა. ბუნებრივი რესურსების სიჭარბე

ბ. დემოკრატიის მაღალი ხარისხი

გ. ეკონომიკური განვითარების მაღალი მაჩვენებლები

დ. სოციალური დაცვის სისტემები

ე. ქალების მეტი ჩართულობა სამუშაო ძალად



მდგრადი განვითარების მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო, მოქნილი და მდგრადი განვითარება.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო, მოქნილი და მდგრადი განვითარება. 136

 მიზნის არსი..... 136

 ქვემიზნები მიზნისთვის „ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება“:..... 137

 ფაქტები და მონაცემები: 138

 ტერმინები..... 139

 რომელია ქალაქების წინაშე მდგომი ყველაზე მწვავე გამოწვევები?..... 140

 რა მოხდება, თუ ქალაქებში პრობლემები არ მოგვარდება? 142

 ეკომეგობრული და მდგრადი ქალაქის 10 მახასიათებელი..... 142

 ძვირია თუ არა მდგრადი პრაქტიკის დანერგვა?..... 146

 როგორ იზომება ქალაქების მდგრადობა? 147

 როგორია საუკეთესო პრაქტიკა? 147

 რა შემთხვევათა გავაკეთო ამ მიზნის მისაღწევად? 148

 გამოყენებული ლიტერატურა:..... 148

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია) 149

მიზნის არსი

სასოფლო თუ საქალაქო დასახლებების განვითარება ხდებოდეს უსაფრთხოების ნორმების, ინკლუზიურობის და მოქნილობის და მდგრადობის კომპონენტების გათვალისწინებით

ქალაქები არის იდეების, კომერცის, კულტურის, მეცნიერების და სოციალური განვითარების საკვანძო ადგილი. ქალაქებმა ხალხს სოციალური და ეკონომიკური წინსვლის საშუალება მისცეს. 2030 წლისთვის ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 5 მილიარდი იქნება. იმისათვის, რათა გადაჭრილი იქნას ურბანიზაციასთან დაკავშირებული

საკითხები მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ეფექტური ურბანული დაგეგმარება და მენეჯმენტი.

ბუნებრივი რესურსების გადამეტებულად გამოყენების გარეშე ქალაქებში სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკური განვითარების გაგრძელება მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ქალაქებთან დაკავშირებული გავრცელებული პრობლემებია: სიმჭიდროვე, გადატვირთულობა, ძირითადი სერვისების უზრუნველყოფისათვის საჭირო რესურსების არარსებობა, ადეკვატური საცხოვრებლის დეფიციტი, მოძველებული ინფრასტრუქტურა და ჰაერის დაბინძურების გაზრდილი მაჩვენებლები.

სწრაფად მზარდი ურბანული გამოწვევები როგორცაა, მაგალითად, ქალაქებში არსებული მყარი ნარჩენების უსაფრთხო მენეჯმენტი, შესაძლოა, დაძლეულ იქნას იმგვარად, რომ რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, დაბინძურების შემცირების და სიღარიბის დაძლევის პარალელურად ქალაქებს საშუალება მიეცეთ გაიზარდონ და მეტად განვითარდნენ. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი არის მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ზრდა. საჭიროა არსებობდეს მომავალი, რომელშიც ქალაქები შეძლებენ ყველა უზრუნველყონ ძირითადი სერვისებით, ენერჯით, საცხოვრებელი ადგილით, ტრანსპორტით და ა.შ.

COVID19– ის შემთხვევების საშუალოდ 90% ქალაქებზე მოდის, რადგან ეს ტერიტორიები ყველაზე მჭიდროდ არის დასახლებული, მათ შორის ყველაზე მძიმე დარტყმა მიიღეს ღარიბი უბნების მილიარდამდე მაცხოვრებლებმა, რადგან აქ რისკი ყველაზე მაღალი იყო სიმჭიდროვისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების არ არსებობის გამო. აღსანიშნავია, რომ სწრაფმა ურბანიზაციამ განაპირობა ის, რომ 4 მილიარდი ადამიანისთვის, რაც მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტია, მსოფლიოს ქალაქებში ჰაერის დაბინძურება გაუარესდა, არაადეკვატური ინფრასტრუქტურის და სოციალური მომსახურების გამო, ფაველები მძიმე საარსებო პირობებით იყო გამორჩეული. COVID-19– ის შეკავების წარმატებული მაგალითებიც მრავლად იყო, რამაც აჩვენა, რომ შესაძლებელია ამ ახალი გამოწვევის საპასუხოდ ქალაქების მედეგობა და ადაპტირების ნორმები დაკორექტირდეს.

ქვემოწინები მიზნისთვის „ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება“:

- 2030 წლისთვის ადეკვატური, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საბინაო და საბაზისო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ძველი სახლების განახლება.
- 2030 წლისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომი მდგრადი სატრანსპორტო სისტემების უზრუნველყოფა; საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაფართოების მეშვეობით; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საზოგადოების მოწყვლად კატეგორიას, ქალებს, ბავშვებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და ხანდაზმულ პირებს.

- 2030 წლისთვის, ინკლუზიური, მდგრადი ურბანიზაციისა და ინტეგრირებული დასახლების დაგეგმვისა და მენეჯმენტის გაუმჯობესება, მოქალაქეების ჩართულობით, ყველა ქვეყნის მიერ.
- გაძლიერდეს ძალისხმევა მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით.
- 2030 წლისთვის საგრძნობლად შემცირებული სიკვდილიანობის, დაზიანებისა და ეკონომიკური დანაკარგის მაჩვენებელი მსოფლიოს მშპ-სთან შედარებით, რაც გამოწვეულია ბუნებრივი კატასტროფების, მათ შორის წყალთან დაკავშირებული კატასტროფების შედეგად; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ და მოწყვალ ჯგუფებში მყოფ მოსახლეობას.
- 2030 წლისთვის დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე.
- 2030 წლისთვის უსაფრთხო და ინკლუზიური მწვანე და საჯარო ფართების უნივერსალური ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვებისთვის, ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის.
- ეროვნული და რეგიონული განვითარების დაგეგმვის მეშვეობით ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი კავშირების გაძლიერება ურბანულ და არაურბანულ ტერიტორიებს შორის.
- 2020 წლისთვის მნიშვნელოვნად გაზრდილი ქალაქებისა და დასახლებების რაოდენობა, სადაც დანერგილია და ხორციელდება ინტეგრირებული პოლიტიკები და ღონისძიებები ინკლუზიურობის, რესურსების ეფექტურად გამოყენების, ბუნებრივი კატასტროფებისადმი მედეგობის, კლიმატის ცვლილების ეფექტების შერბილებისა და მისადმი ადაპტირების მიმართულებით. აღნიშნული უნდა განხორციელდეს სენდაის 2015-2030 წლების კატასტროფების რისკის შემცირების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად.
- ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებისადმი მხარდაჭერა, მათ შორის ფინანსური და ტექნიკური დახმარება, მდგრადი და სტაბილური შენობების მშენებლობასა და აღნიშნულ პროცესში ადგილობრივი მასალების გამოყენებაში.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ კაცობრიობის ნახევარი - 3,5 მილიარდი ადამიანი - დღეს ქალაქებში ცხოვრობს და 2030 წლისთვის 5 მილიარდამდე გაიზრდება. მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ურბანული გაფართოების 95% განვითარებად ქვეყნებში მოხდება, რადგან განვითარებულ ქვეყნებში ურბანიზაციის ტემპი უკვე დავარდა, აქ 70-80%-ს აღწევს ქალაქის მაცხოვრებელთა წილი. 2050 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის 70% იცხოვრებს ურბანულ დასახლებებში.
- ✓ ურბანიზაციის სწრაფი ტემპის გამო განვითარებად ქვეყნებში, გარეუბნები, სადაც ახლად ჩამოსულები სახლდებიან არის არასათანადოდ განვითარებული, არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების და სანიტარიის ელემენტარულ ნორმებს. ასეთ უბნებს

ფაველები/ბიდონვილები/ჯურღმულები და 828 მილიონი ადამიანის საცხოვრებელს წარმოადგენს. მათი უმეტესობა გვხვდება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

- ✓ მსოფლიოს ქალაქებს უჭირავთ დედამიწის ხმელეთის მხოლოდ 3%, მაგრამ ენერჯის მოხმარების 60-80% და ნახშირბადის გამონაბოლქვის 75%.
- ✓ სწრაფი ურბანიზაცია რესურსებზე ზეწოლას ახდენს, განსაკუთრებით, მტკნარი წყლის მარაგზე. წყალმომარაგება და სანიტარული გამართვა, ინფრასტრუქტურის მოწყობა ძვირია, თუმცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ქალაქებში სრულადაა ტრანსფორმირებული ბუნებრივი გარემო, მწვანე სივრცეები ქალაქების პრიორიტეტი უნდა გახდეს, რასაც საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე დიდი გავლენა აქვს.
- ✓ წლიურად 4,2 მლნ ბავშვთა სიკვდილიანობა სწორედ ჰაერის დაბინძურებით იყო განპირობებული.
- ✓ ქალაქში მცხოვრები 10-დან 9 ადამიანი ცხოვრობს ატმოსფერული ჰაერის ისეთი დაბინძურების პირობებში, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტებს არ აკმაყოფილებს.
- ✓ ქალაქები მოიხმარენ ენერჯის 60-80 პროცენტს და გამოიმუშავენ სათბურის აირების ადამიანის მიერ გამოწვეული ემისიების 70 პროცენტს, რაც გლობალური კლიმატის ცვლილების მთავარი საფრთხეა.
- ✓ ქალაქის მაცხოვრებლების მხოლოდ ნახევარს აქვს წვდომა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე სახლიდან 500-1000 მეტრის მანძილზე, ხოლო მწვანე სივრცეებზე წვდომა 400 მეტრის დისტანციაზე მოსახლეობის მხოლოდ 47%-ს აქვს.

ტერმინები

მდგრადი ქალაქის კონცეფცია, ასევე „ინკლუზიურ ქალაქს“ გულისხმობს, როდესაც ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ყველა საქალაქო რესურსით, მიიღოს მონაწილეობა ქალაქის დაგეგმარებასა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. წინ გამოდის „მწვანე ქალაქის“ და „ჭკვიანი ქალაქის“ იდეები, რაც ენერგორესურსების დაზოგვაზე, გამწვანებული და ბუნებრივად/ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნაზე, მოსახლეობის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, მათ შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშეწყობაზე არის ორიენტირებული.

მწვანე ქალაქების ინდექსი (Green City Index) – ქალაქების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების უნიკალური სისტემა, რომელიც 2009 წელს კომპანია „სიმენსმა“ („Siemens“) და დამოუკიდებელმა კვლევითმა და საკონსულტაციო ფირმა „The Economist Intelligence Unit (EIU)“-მა შეიმუშავა ქალაქების შესწავლის მიზნით 30 ინდიკატორზე დაყრდნობით.

ურბანიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რთული შერწყმა, რაც გამოწვეულია ქალაქების მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ურბანიზაციის

პროცესისათვის დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა უპირატესად მიგრაციის ხარჯზე, ამიტომაც მის ერთ-ერთ ძრითად მახასიათებლად ითვლება სტატისტიკური ზომა ქვეყნის მოსახლეობის წილისა, რომელიც ცხოვრობს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში. მისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქად, რეგლამენტირებული ცხოვრების წესი, ფორმალური კავშირ-ურთიერთობებით, შრომის რთული საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე საქონლის წარმოების, მოხმარებისა და მომსახურების ინტენსიური ზრდით, ცხოვრების ქალაქური წესის სტანდარტების დაჩქარებული გადატანით სოფლად.

რომელია ქალაქების წინაშე მდგომი ყველაზე მწვავე გამოწვევები?

უთანასწორობა ქალაქებსა და სოფლებს შორის ერთ-ერთი მწვავე გამოწვევაა. ქალაქები უკეთესი ინფრასტრუქტურით, განათლებაზე, ჯანდაცვაზე, გასართობაზე, საბანკო, კულტურულ და რეკრეაციულ მომსახურებაზე მეტი წვდომით გამოირჩევა. ასევე აქ საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ადამიანების მობილობა უკეთაა განვითარებული, რაც ამ საკუკუნის მნიშვნელოვანი კომპონენტია. უთანასწორობა ასევე შეინიშნება ქალაქებს შიგნითაც, ქალაქის ცენტრალურ, ისტორიულ და ბიზნეს უბნებში მიწის, უძრავი ქონების ღირებულება ბევრად მაღალია, შესაბამისად აქ მეტი შესაძლებლობებია, უსაფრთხოება და მრავალფეროვანი მომსახურება. ამ ადგილებში ჭარბობს მწვანე სივრცეები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სატრანსპორტო ქსელი უკეთესადაა განვითარებული, უკეთესი შენობები და სკოლებია. ამის საპირისპირო მდგომარეობაა დანარჩენ უბნებში. აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყნებში ქალაქების ცენტრალურ ნაწილთან სიახლოვეს გვხვდება მაღალი კლასის სახლები, ე.წ. მდიდრული უბნები, მაშინ როცა განვითარებულ ქვეყნებში მდიდრების დასახლებები ქალაქის გარეუბანშია, სადაც უკეთესი ბუნებრივი პირობებია და ქალაქის ბიზნესცენტრთან (CBD) ადვილი წვდომა.

ურბანული ტერიტორიის სხვადასხვა მიზნებისთვის გამოყენება:

- დასვენება და რეკრეაცია - შეიძლება მოიცავდეს ღია ტერიტორიას, მაგ. პარკებს ან სპორტულ ცენტრებს
- საცხოვრებელი - სახლები და აპარტამენტები
- ტრანსპორტი - საგზაო და სარკინიგზო ქსელები, სადგურები და აეროპორტები
- ბიზნესი და კომერცია - ოფისები, მაღაზიები და ბანკები
- მრეწველობა - ქარხნები, საწყობები და მცირე საწარმოო ცენტრები

CBD ქალაქის ცენტრში მდებარეობს. მისი მახასიათებლებია:

- მაღალი / მრავალსართულიანი შენობები
- ძვირადღირებული მიწის ღირებულება
- მაღაზიები ან სპეციალური მაღაზიები, მაგალითად, საიუველირო ნაწარმისთვის
- სავაჭრო ცენტრები და საფეხმავლო უბნები კულტურული / ისტორიული შენობები, მუზეუმები
- ოფისები, ფინანსები, ბანკები, ადმინისტრაცია, მერია (ბიზნესის სექტორი)
- ავტობუსის და რკინიგზის სადგურები (სატრანსპორტო ცენტრები)
- მრავალსართულიანი ავტოსადგომები

ქალაქი მეტ ენერჯიას მოიხმარს, რადგან აქ განსხვავებულია ცხოვრების რიტმი, დიდ ქალაქებში დღისით და ღამით მუშაობს ყველა გასართობი დაწესებულება. ქალაქის სიმჭიდროვე მაღალია, რაც მცირე ფართზე მეტი ენერჯიის მოხმარებას განაპირობებს. მეტია საოჯახო ელექტრომოწყობილობების სიხშირეც. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ქალაქში ტემპერატურა მის გარეუბნებთან შედარებით მაღალია, რაც მის გაგრილების აუცილებლობას აჩენს. ასევე საზოგადოებრივი და კერძო ავტოტრანსპორტი არის ენერჯიის დიდი მომხმარებელი. ქალაქების მიერ დაკავებულია დედამიწის ზედაპირის მხოლოდ 3 %-ია, თუმცა ნახშირორქანგი, რომელიც აქ ატმოსფეროში გაიტყორცნება, საერთო მოცულობის 70%-ზე მეტს შეადგენს. გაუმართავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი განვითარებადი ქვეყნების მოსაგვარებელი ამოცანაა, რაც გამონაბოლქვის გარდა, ქალაქების ქუჩების მანქანებით გადატვირთვის საკითხიცაა. ბევრი ქალაქი ასევე უფრო დაუცველია კლიმატის ცვლილების წინაშე.

სტიქიური უბედურებები ქალაქის მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველია ადამიანების მაღალი კონცენტრაციის გამო. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალაქები ყოველთვის მყარად არ არის განაშენებული. აქ გვხვდება ფაველები/ბიდონვილები, რომელთა წარმოშობა უკავშირდება ცრუ ურბანიზაციას, ანუ დაუგეგმავ, სწრაფ ზრდას, როდესაც ინფრასტრუქტურა ვერ ეწევა განვითარებას. სწორედ ეს ნაჩქარევად შეკოწიწებული სახელდახელო ქოხები მიწისძვრის თუ წყალდობის შემთხვევაში ყველაზე მეტად ზარალდება. თუ შევადარებთ ერთიდაიგივე სიმძლავრის მიწისძვრის შედეგებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში, გამოჩნდება, რომ მსხვერპლსა და ნგრევის მასშტაბებში სხვაობა დიდია. ასე მაგალითად, ჰაიტის 2010 წლის მიწისძვრამ 210 ათასზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო იგივე სიმძლავრის მიწისძვრამ იაპონიაში (სენდაი, 2011 წელი), 20 ათასი. რაც ინფრასტრუქტურის გამართვასა და შენობების სეისმომდეგობაში სხვაობას უკავშირდება.

ქალაქებს მწვანე სივრცეების ნაკლებობით დიდი პრობლემა ექმნებათ, ხშირად ისინი განაშენიანებას, ინფრასტრუქტურას და მშენებლობას ეწირებიან. ეს უარყოფითად აისახება ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ატმოსფერულ ჰაერზე. ადამიანი ქალაქში ბუნებას შორდება, რაც სტრესს ზრდის. მწვანე სივრცეებს აქვს სამეზობლო, უბნის, ქალაქის და ქვეყნის მნიშვნელობა. უკანასკნელი მნიშვნელოვანი თემატური პარკებია, როგორებიცაა მაგალითად დისნეილენდი, ან ზოოპარკები.

ქალაქები კრიმინალის კერაცაა. კრიმინალები, ქურდები, მძარცველები ეტანებიან ხალხმრავალ ქალაქებს, რადგან პატარა დასახლებებში ყველაფერი ხელის გულზეა, ადამიანები ერთმანეთს იცნობენ და არაფერი გამოეპარებათ მხედველობიდან. ქალაქებში კი ცხოვრების რიტმი მაღალია, ადამიანები ერთმანეთს ნაკლებად იცნობენ. ასევე მეტია ბანკები, ადამიანს მეტი ფული აქვს. ასევე თუ ქალაქის ინფრასტრუქტურა მოუწყობელია, ნაკლებია ქუჩის განათებები, მეტია უმუშევრობა და ეკონომიკური სხვაობები, კრიმინალის დონე იზრდება.

მსოფლიო ყოველწლიურად მეტ ნარჩენს აწარმოებს, რაც უფრო მეტია ადამიანების კონცენტრაცია, მით მეტია ნარჩენების მოცულობა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით მხოლოდ

2016 წელს ქალაქებში ადამიანმა აწარმოა 2 მილიარდი ტონა მყარი ნარჩენი, რაც ერთ ადამიანზე გასაშუალოებულად დღიური 0,74 კილო მყარი ნარჩენია. ურბანიზაციის მასშტაბების სწრაფი ზრდით ნარჩენების მოცულობა 2050 წლისთვის 70%-ით გაიზრდება, რაც 3,4 მილიარდ ტონას შეადგენს, თუ შესაბამისი ღონისძიებები არ გატარდა. ნარჩენები აბინძურებს ნაგავსაყრელზე ნიადაგს, გრუნტის წყლებს, ატმოსფეროში გამოიტყორცნება ორგანული ნარჩენების ლპობის შედეგად მეთანი, რაც ასევე სათბურის აირია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალური კლიმატის ცვლილების დაჩქარებაში.

რა მოხდება, თუ ქალაქებში პრობლემები არ მოგვარდება?

თუკი დასახლებების მდგრადი განვითარება რეალური არ გახდება, ეს პრობლემები უარყოფით ასახვას ჰპოვებს ყველა მოქალაქეზე. უთანასწორობამ შეიძლება გამოიწვიოს არეულობა და დაუცველობა, დაბინძურება ზიანს აყენებს ყველას ჯანმრთელობას და აისახება მომუშავეების პროდუქტიულობაზე და, შესაბამისად, ეკონომიკაზე, ხოლო სტიქიურ უბედურებებს შეუძლია შეცვალოს ყველას ცხოვრების წესი.

ცუდად დაგეგმილი ურბანიზაციისგან მიღებული ზარალი მაღალია ქვეყნებისთვის, აისახება ყველაფერზე, განსაკუთრების ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. საცობები, გადატვირთული მოძრაობა, გაზრდილი დროითი დანახარჯები სამსახურსა და სახლს შორის უკარგავს ადამიანს პროდუქტიულობას. მდგრად განვითარებაზე აქცენტის გაკეთებით ჩვენ ვირჩევთ ავაშენოთ ქალაქები, სადაც ყველა მოქალაქე ცხოვრობს ღირსეული ცხოვრებით, ცხოვრების ხარისხი მაღალია, შევქმნით საერთო კეთილდღეობასა და სოციალურ სტაბილურობას გარემოსთვის ნაკლები ზიანის მიყენებით. ყველა ქალაქი მოწოდებულია 2020 წლისთვის გადახედოს ურბანულ დაგეგმარების პოლიტიკას, რათა მასში ჩააშენოს პანდემიის აცილების რისკებიც.

ეკომეგობრული და მდგრადი ქალაქის 10 მახასიათებელი

1. საზოგადოებრივი ტრანსპორტი

ქალაქები, რომლებიც მდგრადობაზე არიან ორიენტირებულნი, უნდა განავითარონ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რადგან დღეს ავტომობილები პასუხისმგებელი არიან ნახშიროჟანგის დაბინძურების 75%-ზე. საზოგადოებრივი მდგრადი ტრანსპორტი ალტერნატიულ ენერგეტიკულ რესურსებზე უნდა მუშაობდეს. ხარჯთეფექტური და ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტი მანქანების საჭიროებას ამცირებს, რაც იწვევს მავნე გამონახოლქვის შემცირებას.

ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილებისთვის გამოყოფილი უნდა იყოს ზოლები, რაც გამონახოლქვს ამცირებს. ტრანსპორტირების მომავალი არის მწვანე საზოგადოებრივი ტრანზიტის მოგვარება ახალი ტექნოლოგიით

პიტერ კალთორპი მომავლის ქალაქებზე „ავტომობილზე ორიენტირებული ურბანული გარემოს პრობლემა ისაა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გადაადგილების ერთადერთი საშუალება

მანქანაა, გაგიკვირდებათ და ხალხი მას დიდი დატვირთვით გამოიყენებს. დიდი დატვირთვა იქნება კლიმატისთვის, დიდი დატვირთვა იქნება ხალხის ჯიბისთვის, დიდი დატვირთვა იქნება დასახლებული პუნქტისთვის – საცობების თვალსაზრისით, და ბევრ დროსაც წართმევს ხალხს. ის ნებისმიერი საზომით, უარყოფითია; ფეხით არსიარული რეცეპტია ჭარბი წონისთვის. ჰაერის დაბინძურება კი სასუნთქი გზების დაავადებებს განაპირობებს“.

2. ფეხსავალი და ველოსიპედ სავალი სამეზობლოები

ნახშირბადის ემისიის შესამცირებლად ერთ-ერთი საუკეთესო გზაა, რომ მოქალაქეებმა საერთოდ უარი თქვან ავტოტრანსპორტზე. ფეხით გასეირნება და ველოსიპედები შესანიშნავი ალტერნატივაა. წახალისებისთვის მნიშვნელოვანია მინიციპალურმა მთავრობამ ინვესტიციები საფეხმავლო და ველოსიპედის ბილიკებში ჩადოს, დაიცვას ფეხით მოსიარულები და ველოსიპედისტები კანონის ძალით. ქალაქის მესვეურებმა წახალისონ ავტოტრანსპორტიდან საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ან ველოსიპედებზე გადაჯდომა საკუთარი მაგალითით.

კოპენჰაგენში, სადაც ველოსიპედები მანქანებს ხუთჯერ აღემატება და მოსახლეობის 42% სამუშაოდ ველოსიპედით მოძრაობს. ველოსიპედის ეს კულტურა ქალაქის მენეჯმენტის გზით იქნა მიღწეული: ველოსიპედის მაგისტრალები ქალაქის მასშტაბით შეიქმნა, მთელი რიგი ბილიკები და ხიდები, რომლებიც სპეციალურად ველოსიპედისტებისთვის აშენდა.

სასეირნო და ველოსიპედისთვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა მოიცავს:

- საფეხმავლო ხიდებს
- ველოსიპედის ბილიკების ქსელებს
- დაკავშირებულ ურბანულ ქსელებს

3. სატრანსპორტო საშუალების დამუხტვის/დატენვის სადგურები

ელექტრო მანქანას ნულოვანი გამონაბოლქვი აქვს. იმ ქალაქებისთვის, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ნახშირბად ნეიტრალური გახდება, ელექტროენერჯის ან სხვა ალტერნატივების დამუხტვის სადგურები უნდა გახდეს ქალაქისთვის ჩვეულებრივი ინფრასტრუქტურა.

ქალაქებს შეუძლიათ დააკისრონ ამ სადგურის მშენებლობა კერძო სექტორის ინვესტორებს, დეველოპერებს, რომლებიც ურბანულ პროექტებში მონაწილეობენ. უნდა შემუშავდეს ქსელი და გაითვალისწინოს სიხშირე, რომ დაადგინონ დატენვის სადგურის ადგილები. მოსახლეობისთვის შეიძლება გამოიწვიოს ქონების ღირებულების გაზრდა, თუკი მსგავსი ინფრასტრუქტურა იქნება სახლებთან, პარკინგებზე, სუპერმარკეტებთან და სხვა საჯარო სივრცეებში.

კიდევ ერთი ეკოლოგიური მანქანა წყალბადის ენერჯიაზე მუშაობს. წყალბადის და ჟანგბადის ენერჯით ამ მანქანებს შეუძლიათ ელექტრომანქანაზე ორჯერ მეტხანს შეუვსებლად მუშაობა.

4. მზის და განახლებადი ენერჯის წყაროები

სუფთა ენერჯიაზე გადასვლა აუცილებელია, რომ ქალაქები გახდეს მდგრადი. მზის პანელებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ჰაერის ხარისხი ქალაქში და ასევე განახლებადი ენერჯიით უზრუნველყონ მოქალაქეები და მუნიციპალური ობიექტები. მზის ენერჯია ასევე ქმნის კარგად ანაზღაურებად სამუშაო ადგილებს და ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას.

2018 წელს აშშ-მა დაამატა 110,000 სუფთა ენერჯის ახალი სამუშაო ადგილი, რაც საწვავის მოპოვებისგან მიღებულ სამუშაო ადგილებზე სამჯერ მეტია.

ქალაქის მიერ გაცემული მწვანე სუბსიდიები საშუალებას აძლევს მაცხოვრებლებს, რომლებსაც არასაკმარისი ფინანსების გამო, არ შეუძლიათ მზის ენერჯის გამოყენება და ესაჭიროებთ თანადაფინანსება. ის ასევე საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს შენობების სახურავებზე დამონტაჟებით განახლებად ენერჯიაზე გადავიდნენ, შეამცირონ გამონაბოლქვი და ელექტროენერჯის ხარჯები. უამრავი ქალაქი 2030 წლისთვის გეგმავს, რომ სამთავრობო შენობების 100% სუფთა ენერჯიით მარაგდებოდეს.

5. მწვანე შენობები

მსოფლიოში სათბურის აირების ემისიების 30% შენობებზე მოდის. მწვანე შენობები გამოსავალია, რომლითაც CO₂-ის ემისია 32%-ით მცირდება. მათ ნაკლები მოვლა სჭირდებათ და აქვთ მცირე წყლისა და ელექტროენერჯის გადასახადები. ამ ხარჯების შეღავათებმა, დამატებით საგადასახადო წახალისებებმა, საშუალება მისცა მწვანე შენობების მშენებლობა ფართოდ გავრცელებულიყო.

იმისათვის, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურა მართლაც გამწვანდეს, ეს უნდა დაიწყოს მუნიციპალიტეტის ყველა შენობით. არსებობს სპეციალური სერტიფიკატებიც რომელიც გადაეცემა შენობებს, რომლებიც ზოგავენ ენერჯიას, წყალს, CO₂-ის ემისიებს ამცირებენ.

შენობების გამწვანებას ხელს უწყობს:

- გათბობისა და გაგრილების ჭკვიანი სისტემები
- ბუნებრივი სამშენებლო მასალები
- გაძლიერებული ვენტილაცია და იზოლაცია
- მზის პანელები
- მწვანე სახურავები

6. საკვების წარმოება

მსოფლიო კვლევითი ინსტიტუტის შეფასებით, 2050 წლისთვის მსოფლიოს 50% -ით მეტი საკვების წარმოება დასჭირდება, ხოლო სათბური აირების გამონაბოლქვი 2/3-ით უნდა შემცირდეს. ეს გამოწვევა მოითხოვს ქალაქებიდან, რომ უფრო მეტი ადამიანი გამოკვებოს უფრო ეკოლოგიური საშუალებებით. ურბანული მეურნეობა ერთ-ერთი საშუალებაა ქალაქებში, რომ შეამცირონ ნახშირბადის ემისიები, რომლებიც დაკავშირებულია საკვების წარმოებასთან. საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ხელს

შეუწყობს მოსახლეობის განათლებას კვების შესახებ და ხელს შეუწყობს მათი მხრიდან უფრო ჯანმრთელი, მდგრადი არჩევანის გაკეთებას. კონსერვაცია კიდევ ერთი სფეროა, რომელშიც მთავრობებს შეუძლიათ ინვესტიციის ჩადება, მაგრამ მას დღეს სოფლის მეურნეობის სუბსიდირების მხოლოდ 5% ხმარდება.

7. ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი რესურსები

მდგრადი ქალაქები ასევე ეხმარება მოსახლეობას მიაღწიონ მდგრადობას საკუთარ ცხოვრებაში, რესურსებზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის შენობები, ეკონომიკური განვითარების ცენტრები, ტექნოლოგიური ცენტრები, მუზეუმები და ა.შ. ეს არის რესურსცენტრების მაგალითები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოების ჯანმრთელობისა და ეკონომიკის სტიმულირება.

საზოგადოებრივ რესურსებში ასევე შედის რეკრეაციული საშუალებები და პროგრამები, რომელშიც თემის წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ. ზოგიერთ ამ ობიექტს, როგორცაა მუზეუმები და კულტურული ცენტრები, შეუძლია მოახდინოს ურბანული სივრცის ჰუმანიზაცია და დაეხმაროს ქალაქს საკუთარი იდენტობის განსაზღვრაში. მაგ., კენედის ცენტრი ვაშინგტონში, სადაც შესვლა უფასოა და ყოველ საღამოს განსხვავებული პროგრამაა, რომელზეც დასწრება თავისუფალია. პროგრამაში ჩართვა პრესტიჟულია, ორკესტრები, სასწავლებლები, ჯგუფები, კლუბები, მასში სიამოვნებით მონაწილეობენ. ეს მათთვის თავის წარმოჩენის საშუალებაა. აქვე სიმფსონიანის მუზეუმები უფასოა ყველა მსურველისთვის. მსოფლიოს გარშემო სხვადასხვა მუზეუმებს აქვთ კვირაში ან თვეში ერთი დღე, როდესაც ყველა მსურველს უსასყიდლოთ შეუძლიათ შესვლა.

კულტურული კეთილმოწყობისა და ღონისძიებებისთვის საზოგადოებრივი სახსრების გამოყოფა შესანიშნავი გზაა მრავალფეროვნებისა და ქალაქის დონეზე ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

8. წყლის კონსერვაცია

ურბანული წყლის მართვა ასევე მდგრადი ქალაქების მახასიათებელია. მსოფლიოს ურბანული ცენტრების 90% -ზე მეტი მდებარეობს სანაპირო ზოლებთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს საფრთხეს უქმნის ამ ქალაქებს ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილების საფრთხეებისგან, ეს ძველი დროიდან მოყოლებული იყო სატრანსპორტო არტერია და წყლის მარაგზე უკეთესი წვდომის შესაძლებლობა.

ქვემოთ მოცემულია წყლის კონსერვაციისა და დაზოგვის რამდენიმე პრაქტიკა, რომელიც ქალაქებმა შეიძლება გამოიყენონ:

- წვიმის წყლის შეგროვება
- მწვანე ინფრასტრუქტურა
- წყლის დამზოგი ტექნოლოგიები
- მწვანე ინფრასტრუქტურა წყლის ბუნებრივ ციკლს იყენებს წყლის გამწმენდი ნაგებობის ადგილას სუფთა წყლის წყაროების შესაქმნელად. მაგალითად,

ქარბტენიანი ტერიტორიების აღდგენამ და ხეების დარგვამ შეიძლება წყალდიდობის პრევენციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურაზე ხარჯები შეამციროს.

9. საზოგადოებრივი მწვანე სივრცეები

ურბანული მწვანე სივრცეები მდგრადი ქალაქების მაღალი პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან ეს ადგილები ერთდროულად აგვარებს რიგ გამოწვევებს. ქალაქებს შეუძლიათ მიაღწიონ გამონაბოლქვის კონტროლს, საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და ბიომრავალფეროვნებას, რაც ზრდის უძრავი ქონების ღირებულებას. პარკები, სკვერები, მწვანე ბილიკები, ქუჩების გამწვანებები და გაზონები და დაცული ტერიტორიები, საზოგადოებრივი მწვანე სივრცეების მაგალითებია. სათემო ბაღების და ურბანული მეურნეობების მშენებლობას ასევე შეუძლია გადაჭრას საკვების გამოწვევები. მოსახლეობისთვის უფასო ან ხელმისაწვდომი მეზღვეობის ადგილების გარდა, საკვები ლანდშაფტის კეთილმოწყობა შეიძლება შეიქმნას იმისთვის, რომ ურბანული მცენარეები ორ მიზანს ემსახურობდეს: დეკორატიულს და ფუნქციურს.

10. ნარჩენების მართვა

იმის ნაცვლად, რომ ნარჩენები გადაიყაროს ნაგავსაყრელზე, საჭიროა წარმოების პროცესი იყოს ციკლური და უკვე წარმოებისას გათვალისწინებული იყოს შესაფუთი მასალის, თუ უშუალოდ ნივთის საბოლოო უტილიზაცია, ან გადამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქების უმრავლესობამ მიიღო გადამუშავების პროგრამები, უფრო აგრესიულმა პოლიტიკამ ურბანულ ცენტრებში უზარმაზარი მიღწევები ნახეს ბოლო 20-30 წლის განმავლობაში. სან-ფრანცისკოში გადამუშავება და კომპოსტირა დაეხმარა ქალაქს 77% -ზე მეტი ნარჩენების გადამუშავებაში.

ენერჯის გამომუშავება ბიონარჩენებიდან, პარკებში ფოთლების, ტოტების, საკვების ნარჩენებისგან შესანიშნავი გამოსავალია, რომ მიიღონ ელექტროენერჯია. მისი გადამუშავება შეუძლებელია ტრადიციული მეთოდების გამოყენებით. ამ პროცესში ხდება ნაგავსაყრელზე დამწვარი ბიომასის გადაქცევა ენერჯიად.

უქალაქო ღონისძიებები, ტექნოლოგიების ჩართვა ოფისებში, საქმის წარმოებაში, სასწავლო პროცესში ასევე ამცირებს ნარჩენების პრობლემებს. ეს ოფისებს ნაკლებიც უჯდებათ, კორესპონდენციაც სწრაფად ტრიალებს და გარემოსთვისაც სასარგებლოა.

ასევე ყურადღება ექცევა პლასტმასის, ლითონის, შუმის გადამუშავებას, რასაც სეპარაცია და რეციკლირება უზრუნველყოფს.

ძვირია თუ არა მდგრადი პრაქტიკის დანერგვა?

ღირებულება მინიმალურია იმ სარგებელთან შედარებით, რომლის მიღებაც შეიძლება დასახლებებში მდგრადი პრაქტიკის დანერგვით. მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციონალური ქსელის შექმნას საკმაოდ დიდი ფასი აქვს, საჭიროა გზების გაყვანა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტრანსპორტის შესყიდვა, თუმცა სარგებელი უზარმაზარია ეკონომიკური აქტივობის ადამიანის მობილობის გაზრდით, ცხოვრების

ხარისხის, გარემოს პირობების გაუმჯობესებით, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება.

როგორ იზომება ქალაქების მდგრადობა?

2009 წლის თებერვლიდან აგვისტოს ჩათვლით, კომპანია „სიმენსმა“ („Siemens“) და დამოუკიდებელმა კვლევითმა და საკონსულტაციო ფირმა „The Economist Intelligence Unit (EIU)“-მა შეისწავლა 30 ევროპული ქალაქი (უმეტესად დედაქალაქები). შერჩეული 30 ინდიკატორიდან 16 წარმოადგენს რაოდენობრივ მაჩვენებელს და ზომავს ქალაქში არსებულ ეკოლოგიურ სიტუაციას. ასეთი ინდიკატორების მაგალითებია: CO2-ისემისია, ენერჯის მოხმარება, ნარჩენების რაოდენობა და ჰაერის დაბინძურება. დარჩენილი 14 ინდიკატორი წარმოადგენს ხარისხობრივ მაჩვენებელს, მაგალითად, – იღებს თუ არა ქალაქი ვალდებულებას გამოიყენოს უფრო მეტი განახლებადი ენერჯია, გააუმჯობესოს შენობების ენერგოეფექტურობა, შეამციროს ნარჩენების წარმოება, მოახდინოს მათი გადამუშავება და ა.შ.

მწვანე ქალაქების ინდექსი (Green City Index) – ქალაქების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების უნიკალური სისტემა, რომელმაც გამოავლინა თითოეული ქალაქის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი კი ის იყო, რომ ქალაქებს მიეცათ ერთმანეთის ცოდნისა და მიღწევების გაზიარების საშუალება. ასე, მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ვენაში ყველაზე უკეთესი გამწვანებაა, დანიის ქალაქები ყველაზე უფრო ინტენსიურად იყენებენ ქარის ენერჯიას, ლუბლიანაში ნარჩენების გადამუშავების საუკეთესო სისტემაა, პარიზში შესაძლებელია ველოსიპედებით უფასოდ სარგებლობა, სტამბულში დანერგულია ნაგავსაყრელებიდან მეთანის მიღების პროცესი, ტალინში კი ავტობუსები ალჭურვილი არიან სპეცილური სისტემით, რომელიც შუქნიშნების მუშაობას მწვანე ტალღის პრინციპით უზრუნველყოფს.

როგორია საუკეთესო პრაქტიკა?

2025 წელს კოპენჰაგენი მთლიანად ნახშირბადისგან თავისუფალი უნდა გახდეს, ანუ საერთოდ არ უნდა გამოყოფდეს ნახშირორქანგს და სათბურის ეფექტის მქონე სხვა იმ გაზებს, რომლებიც კლიმატის ცვლილების წამახალისებლად მიიჩნევა. კოპენჰაგენმა ჯერ კიდევ 1960 წელს დაიწყო თავის ურბანულ ცენტრში მანქანების შემცირება. იგი ყოველწლიურად 2-3%-ით ზრდის ფეხით მოსიარულეთა გზებს. ავტოპარკინგი ჩაანაცვლა 18 სკვერმა, რომელთა საერთო ფართობი 100 000 მ2. კომპაქტურობისკენ მიდრეკილი პოლიტიკის მეშვეობით ბევრი საჯარო დაწესებულება ქალაქის ცენტრშია და იქ მისვლა მხოლოდ ფეხით შეიძლება. ქალაქებში საფეხმავლო გზების გაფართოებამ ცენტრებში მნიშვნელოვანი მოგება ნახა ეკონომიკური და საცხოვრისის ვარგისიანობის კუთხით. ასეთი დაწესებულებები და სივრცეები იზიდავს ხალხს, მაგ: რესტორნები, კაფეები, მაღაზიები და ა.შ. ყველა ქალაქს თავისი ისტორია აქვს, რაც მათ უნიკალურობას სძენს და კარგია ფეხით სასიარულოდ. ამ ყველაფერს ხელს უწყობს საინტერესო საზოგადოებრივი ღონისძიებები. კოპენჰაგენი ადამიანზე მაქსიმალურადაა მორგებული. მოძრაობის წესებიც ისეა შექმნილი, რომ პირველი პრიორიტეტი ფეხით მოსიარულეს აქვს, შემდეგი - ველოსიპედით მოსიარულეს, ბოლო კი – მანქანით მოსიარულეს.

ველოსიპედი კოპენჰაგენში გადაადგილების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მუნიციპალიტეტის სტატისტიკით, კოპენჰაგენელების 38–40% სამსახურში ან უნივერსიტეტში ველოსიპედით დადის. ქალაქის მუნიციპალიტეტის მიზანია, რომ ეს მაჩვენებელი 60 პროცენტს ასცდეს, რაც თავისუფლად მიღწევადი მიზანია.

რა შემთხვევაში გავაკეთო ამ მიზნის მისაღწევად?


- ✓ დაინტერესდით თქვენი ქალაქის მმართველობითა და მენეჯმენტით.
- ✓ ადვოკატირება გაუწიეთ მდგრად ცვლილებებს ქალაქში.
- ✓ გაეცანით წარმატებულ გამოცდილებებს, თუ როგორ გარდაიქმნა ქალაქი მდგრად საცხოვრებელ სივრცეთ. შეიმუშავეთ ხედვა თქვენი სახლის, სკოლის, ქუჩისა და სამეზობლოსთვის რა ცვლილებებია განსახორციელებელი. დაუსვით საკუთარ თავს კითხვები არის თუ არა საკმარისი სამუშაო ადგილები? წყლით, საკვებით საიდან მარაგდება ქალაქი, არის თუ არა ეკოლოგიურად სუფთა? სად მიაქვთ და მუშავდება თუ არა ნარჩენები? უსაფრთხოა თუ არა სკოლაში სიარული? შეგიძლია თუ არა ღამით უსაფრთხოდ სიარული? რა მანძილზეა უახლოესი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება? არის თუ არა სპორტული სივრცეები? როგორია ჰაერის ხარისხი? როგორია თქვენი საერთო საზოგადოებრივი სივრცეები? ყველასთვის თანაბრადაა თუ არა ეს სივრცეები ხელმისაწვდომი? მოუხდებთ თუ არა ტურისტებს აქ დროის გატარება და რამდენი ხნით.
- ✓ შეისწავლეთ თქვენი დასახლების ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, ეწვიეთ მათ, მოამზადეთ ელექტრონული ბუკლეტები, დაწერეთ ბლოგი, ჩაერთეთ მათ დაცვაში.
- ✓ დაიწყეთ მცირედით, შეცვალეთ უკეთესობისკენ თქვენი გარემო. მაგალითად მიანიჭეთ უპირატესობა ფეხით და ველოსიპედით გადაადგილებას.

გამოყენებული ლიტერატურა:


მომავლის ქალაქი, National Geographic საქართველო, 2019
სეხნიაშვილი, მ. მწვანე ქალაქები, როგორც ურბანიზაციის უარყოფით შედეგებზე პასუხი, 2019 ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“
<https://ge.boell.org/ka/2014/10/03/kopenhagenidan-tbilisamde>
<https://www.un.org/sustainabledevelopment/>
<https://sdg.gov.ge/goals-all>
170 daily actions to transform our world, 2019
Bitesize, Settlement hierarchies

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

- სქემაზე მოცემულია დასახლებების იერარქია, უპასუხეთ კითხვას ჭეშმარიტია თუ მცდარი დებულება: რაც უფრო მცირე ზომის არის დასახლება მით უფრო ხშირია მათი ქსელი



- სქემაზე მოცემულია ჰოიტის განვითარებული ქვეყნების ქალაქის მოდელი. სქემის მიხედვით მონიშნეთ სწორი დებულება



- ინდუსტრიული ზონა ყველა მოცემულ სხვა ზონას კვეთს
- მაღალი კლასის სახლები ქალაქის ცენტრში მდებარეობს
- საშუალო და მაღალი კლასის სახლები ქალაქის გარეუბანში მდებარეობს
- საშუალო კლასის საცხოვრებლები ცენტრალურ ბიზნეს უბანს ესაზღვრება

- მსოფლიო მოსახლეობის რა პროცენტი ცხოვრობს ქალაქებში?

- 50-60%
- 51-60%
- 61-70%
- 71-80%

- მონიშნეთ სწორი დებულება

- პროცესები ქაოტურია, ზოგჯერ ქალაქის მოსახლეობა იზრდება, ზოგჯერ - სოფლის
- სოფლის მოსახლეობა იზრდება ქალაქების მდიდარი მოსახლეობის ხარჯზე, ისინი სუფთა გარემოში ცხოვრებას ამჯობინებენ
- ქალაქის მოსახლეობა სწრაფად იზრდება განვითარებად ქვეყნებში, რადგან დიდია ქალაქების მიზიდულობის ძალა და მეტია სამუშაო ადგილები

დ. ქალაქის მოსახლეობა სწრაფად იზრდება განვითარებულ ქვეყნებში, რადგან მაღალია სოფელ-ქალაქს შორის სხვაობა და ქალაქი უფრო მიმზიდველია

5. რას ნიშნავს ურბანიზაცია?

- ა. როდესაც ხალხის გადასახლება იძულებითია
- ბ. როდესაც ხალხი გადადის საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში
- გ. როდესაც ხალხი გადადის საცხოვრებლად ქალაქიდან ქალაქში
- დ. როდესაც ხალხი გადადის საცხოვრებლად ქვეყნიდან ქვეყანაში

6. რა მახასიათებლები გამოარჩევს მდგრად ქალაქს? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

- ა. ნარჩენების მართვა
- ბ. საზოგადოებრივი სივრცეები
- გ. პერსონალური ავტოტრანსპორტი
- დ. წყლის კონსერვაცია
- ე. ყველა პასუხი სწორია

7. რა იყო კოპენჰაგენის მდგრად ქალაქად ქცევის პირველი ნაბიჯი?

- ა. ველოსიპედის პარკის გამართვა
- ბ. მანქანებისგან ქალაქის ცენტრის განტვირთვა
- გ. მყარი ნარჩენების გადამუშავების ამუშავება
- დ. ტურისტული პოტენციალის გაზრდა

8. მონიშნეთ სწორი დებულება

- ა. ქალაქებში გზების გაფართოვებით შეიძლება ნახშირორჟანგის მნიშვნელოვნად შემცირება
- ბ. ქალაქებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების შეიძლება ნახშირორჟანგის მნიშვნელოვნად შემცირება
- გ. ურბანიზაციის დონის შემცირებით შეიძლება ნახშირორჟანგის შემცირება
- დ. ყველა პასუხი სწორია

9. მონიშნეთ ქალაქისთვის დამახასიათებელი ყველა მწვავე პრობლემა

- ა. გამონახობის მაღალი მოცულობა
- ბ. კრიმინალის მართვა
- გ. მწვანე სივრცეების დეფიციტი
- დ. ნარჩენების მართვა
- ე. ყველა პასუხი სწორია

10. რა მიზნით არ გამოიყენება ურბანული ტერიტორია?

- ა. აგრობიზნესისთვის
- ბ. დასვენებისა და რეკრეაციისთვის
- გ. საცხოვრებლად
- დ. ტრანსპორტირებისთვის

მდგრადი განვითარების მიზანი 12: მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველყოფა.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 12: მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველყოფა.

.....	151
რაში მდგომარეობს მიზნის არსი.....	151
ქვემიზნები მიზნისთვის „წარმოება და მოხმარება“:.....	152
ფაქტები და მონაცემები:	153
ტერმინები.....	155
რა უნდა შეიცვალოს?.....	156
როგორ ითვნიან ეკოლოგიურ ნაკვალევს?	157
როგორ შეუძლია ბიზნესს ამ პრობლემის მოგვარება?	158
რა შეიძლება გაკეთდეს პრობლემის მოსაგვარებლად?.....	161
რა შეიძლება გავაკეთო პრობლემის მოსაგვარებლად?	162
გამოყენებული ლიტერატურა:.....	164
ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)	164

რაში მდგომარეობს მიზნის არსი

უზრუნველყოს მოხმარებისა და წარმოების, როგორც გლობალური ეკონომიკის წამყვანი ძალის გამანადგურებელი ეფექტების შემცირება გარემოზე

მდგრადი მოხმარება და წარმოება არის რესურსების რაციონალური გამოყენებისთვის, ენერგოეფექტურობისთვის, მდგრადი ინფრასტრუქტურისთვის, ძირითად სერვისებზე ხელმისაწვდომობისთვის, ღირსეული სამუშაო ადგილებისათვის და უბრალოდ, ყველასთვის უკეთესი ცხოვრების ხელშეწყობის წინაპირობა. მისი განხორციელება ხელს უწყობს განვითარების საერთო გეგმების მიღწევას, სამომავლო ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და

სოციალური ხარჯების შემცირებას, ეკონომიკური კონკურენციის გაძლიერებას და სიღარიბის შემცირებას.

ამჟამად, იზრდება ბუნებრივი რესურსების მოხმარება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ აზიაში. თუმცა ამავდროულად ქვეყნები აგრძელებენ პრობლემების მოგვარებას ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურებასთან დაკავშირებით.

მდგრადი მოხმარება და წარმოება მიზნად ისახავს “ნაკლებით მეტის და უკეთესად კეთებას“, ცხოვრების დონის ამაღლება შეიძლება მიღწეულ იქნას რესურსების გამოყენების, დეგრადაციის და დაბინძურების შემცირების ფონზე. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს მიწოდების მთელ ჯაჭვს წარმოებლიდან საბოლოო მომხმარებამდე.

გასული საუკუნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს თან ახლდა გარემოს დეგრადაცია, რამაც საფრთხე შეუქმნა იმ ბუნებრივ სისტემებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ჩვენი განვითარება და გადარჩენა. სწორედ მაღალი მოხმარების გამო ბუნებრივი რესურსები არარაციონალურად გამოიყენებოდა, უგულვებელყოფილი იყო გარემოსდაცვითი სტანდარტები. მეტი მოხმარება გაიგივებულიყო ქვეყნების სიმდიერესთან და პროგრესთან. დღეს გარემოსდაცვითი ცნობიერება ხდება ჩვენი ცხოვრების ნაწილი, აისახება ქვეყნებს პოლიტიკაში, იჭრება განათლებაში, წარმოებაში, სახელმწიფო შესყიდვებში, რამაც უნდა შეამციროს რესურსდამოკიდებულება და დაზოგოს ბუნებრივი რესურსები.

COVID-19-ის პირობებში სახელმწიფოების მიერ განსაზღვრული გეგმები დასაკორექტირებელი გახდა. შესამუშავებელი გახდა აღდგენის გეგმები, რომლებმაც უნდა შეცვალონ მიმდინარე ტენდენციები და ჩვენი მოხმარებისა და წარმოების პრაქტიკა უფრო მდგრად კურსზე გადაიყვანოს. წარმატებული გადასვლა ნიშნავს რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესებას, ეკონომიკური საქმიანობის მთელი სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებას (ეკონომიკის ამგვარ მოდელს უწოდებს ციკლური ეკონომიკა) და მრავალმხრივ გარემოსდაცვით შეთანხმებებში აქტიურ ჩართვას.

ქვემიზნები მიზნისთვის „წარმოება და მოხმარება“:

- ყველა ქვეყნის ჩართულობით, განვითარებული ქვეყნების ხელმძღვანელობითა და განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობების გათვალისწინებით, მდგრადი მოხმარებისა და წარმოების 10 წლიანი გეგმის დანერგვა.
- 2030 წლისთვის ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისა და ეფექტური გამოყენების მიღწევა.
- 2030 წლისთვის, განახევრდეს ერთ სულ მოსახლეზე კვების დანაკარგი, როგორც საცალო ასევე, სამომხმარებლო დონეზე; შემცირდეს წარმოების, მოსავლის შემდგომი და მიწოდების პროცესში საკვების დანაკარგების მოცულობა.
- 2020 წლისთვის მიღწეულ იქნეს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი გარემოსთვის არასაზიანო ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების მართვის პროცესი; მნიშვნელოვნად შემცირდეს მათი ჰაერში, წყალსა და ნიადაგში გავრცელება,

რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ადამიანთა ჯანმრთელობასა და გარემოზე მათი ნეგატიური ზეგავლენა.

- 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად შემცირდეს ნარჩენების მოცულობა, მათი წარმოქმნის პრევენციის, გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების მეშვეობით.
- მსხვილი და ტრანსნაციონალური კომპანიების წახალისება, რომ დაამკვიდრონ მდგრადობაზე ორიენტირებული პრაქტიკა და მდგრადობის შესახებ ინფორმაციის გაზიარება ანგარიშგების ეტაპზე.
- მდგრადობაზე ორიენტირებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეწყობა ეროვნული პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესაბამისად.
- 2030 წლისთვის, ნებისმიერ ადგილას მყოფი ადამიანებისთვის შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების და ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების წესის შესახებ.
- განვითარებადი ქვეყნების მხარდასაჭერა, რომ გააძლიერონ თავიანთი სამეცნიერო და ტექნოლოგიური შესაძლებლობები მდგრადობაზე ორიენტირებული მოხმარებისა და წარმოების პრაქტიკების დანერგვის მიზნით.
- მდგრადი განვითარების ეფექტის მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა ტურიზმზე გავლენის შესაფასებლად, რაც ქმნის სამუშაო ადგილებს და ზრდის ცნობადობას ადგილობრივი კულტურისა და პროდუქტების მიმართულებით.
- წიაღისეულის ისეთი არაეფექტური სუბსიდიების შემცირება, რაც ხელს უწყობს დანაკარგთან მოხმარებას ეროვნული გარემოებების გათვალისწინებით; ასევე, საგადასახადო სისტემის რესტრუქტურირება და ისეთი სუბსიდიების გაუქმება, რასაც ზიანი მოაქვს გარემოსთვის. აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს განვითარებადი ქვეყნების კონკრეტული საჭიროებები და უზრუნველყოფილი იქნეს მათ განვითარებაზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმაცია, ღარიბი და დაზარალებული თემების დაცვის მიზნით.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ უახლესი პროგნოზების თანახმად, 2030 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა შეიძლება გაიზარდოს დაახლოებით 8.5 მილიარდამდე, უკვე 2050 წლისთვის კი 9.7 მილიარდს მიაღწიოს. მათთვის საჭირო ბუნებრივი რესურსების უზრუნველსაყოფად სამი პლანეტის ექვივალენტი გახდება აუცილებელი თუკი ცხოვრების თანამედროვე წესი შენარჩუნდება.
- ✓ მდგრადობის პრინციპების დაცვა აღარ არის შეუსრულებელი მისია, მსოფლიოს 250 უმსხვილესი კომპანიის 93 პროცენტმა თავის პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები უკვე შეიტანა და გარემოზე ზრუნვა გახდა სავალდებულო, თუმცა მასშტაბები ჯერ კიდევ დასაჩქარებელია პოზიტიური შედეგების მისაღებად.
- ✓ 2017-2019 წლებში ევროკავშირის ქვეყნების ანგარიშებში გამოიკვეთა, რომ მათ 1 პოლიტიკის დოკუმენტი მაინც ჰქონდა გატარებული, რაც მოხმარებისა და წარმოების ცვლილების განმაპირობებელი უნდა გამხდარიყო.

წყალი

- ✓ მსოფლიოში არსებული წყლის რესურსების 3%-ზე ნაკლებია მტკნარი სახით, აქედან 2,5% ანტარქტიდაზე, არქტიკასა და მთის მყინვარებზეა წარმოდგენილი. კაცობრიობას რჩება 0.5% სასმელად და საყოფაცხოვრებო საქმიანობის წყლით უზრუნველსაყოფად.
- ✓ ადამიანის მიერ წყლის რესურსების მდინარეების, მიწისქვეშა წყლების და ტბების დაბინძურება უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ბუნებას აქვს მისი გაწმენდის უნარი. თან უნდა გვახსოვდეს, რომ წყალზე მოთხოვნა მიწოდებაზე ბევრად უფრო მაღალია, 1 მილიარდზე მეტ ადამიანს კვლავ არ აქვს წვდომა სუფთა წყალზე.
- ✓ წყლის ჭარბი მოხმარება ხელს უწყობს წყლის გლობალურ კრიზისს, რაც სხვა თანმდევი პრობლემების გამომწვევია (ჯანმრთელობის პრობლემები). 2 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს იმ ქვეყნებში, სადაც წყლის მაღალი დეფიციტია.
- ✓ წყალი ბუნებაში თავისუფლადაა ხელმისაწვდომი, მაგრამ ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროა მისი მიწოდების უზრუნველსაყოფად, ძვირია.
- ✓ 1980 -იანი წლებიდან, ყოველწლიურად წყლის მოხმარება მსოფლიოში დაახლოებით 1%-ით იზრდება.
- ✓ სოფლის მეურნეობა (მათ შორის ირიგაცია, მეცხოველეობა და აკვაკულტურა) არის ყველაზე დიდი წყლის მოხმარებელი, რომელიც წლიურად წყლის მოხმარების 69 პროცენტს შეადგენს მსოფლიოში. მრეწველობა (ელექტროენერჯის წარმოების ჩათვლით) მოიხმარს წყლის რესურსების 19 პროცენტს, ხოლო შინამეურნეობები - 12 პროცენტს.
- ✓ 1995–2015 წლებში, წყალდიდობებმა შეადგინა ყველა აღრიცხული სტიქიური უბედურების 43 პროცენტი, დაზარალდა 2.3 მილიარდი ადამიანი, დაიღუპა 157,000-ზე მეტი. მიყენებულმა ზარალმა 662 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.
- ✓ ათიდან სამს (2.1 მილიარდ ადამიანს, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 29%-ს შეადგენს) არ აქვს მართული სასმელ წყალზე წვდომა, ხოლო 844 მილიონ ადამიანს საერთოდ წყალი არ აქვს.

ენერჯია

- ✓ თუ მთელ მსოფლიოში უკლებლივ ყველა გადაერთვება ენერგოეფექტურ ნათურებზე, მსოფლიო ყოველწლიურად დაზოგავს 120 მილიარდ აშშ დოლარს. თუმცა ვარვარიან ნათურებზე აკრძალვა ევროკავშირშია. სხვა ქვეყნებისთვის ისინი კვლავ იწარმოება.
- ✓ ტექნოლოგიური მიღწევების მიუხედავად, რამაც ხელი შეუწყო ენერგოეფექტურობის მასშტაბების გაზრდას, OECD- ის ქვეყნებში ენერჯის მოხმარების ზრდა ჯერ კიდევ ნავარაუდევია 35 პროცენტით, თუმცა პარიზის ხელშეკრულების ფარგლებში უნდა მოხდეს მისი ზრდის ტემპის შემცირება. კომერციული და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის ენერგოგენერაცია

ტრანსპორტის შემდეგ არის მეორე ყველაზე სწრაფად მზარდი ენერჯის მოხმარების სფერო.

- ✓ 2002 წელს OECD ქვეყნებში ავტომობილების მარაგი შეადგენდა 550 მილიონ ავტომობილს (აქედან 75 პროცენტი პირადი სარგებლობის მანქანა იყო). 2020 წლისთვის ავტომობილის მფლობელობის რაოდენობა 32 პროცენტით გაზრდა. ამავდროულად, იზრდება მანქანების გარბენი (გავლილი კილომეტრები) 40 პროცენტით, ხოლო საჰაერო მგზავრობა ამავე პერიოდისთვის სამჯერ არის გაზრდილი. კოვიდ პანდემიამ საჰაერო მგავრობაზე შეამცირა 51 პროცენტით.
- ✓ შინამეურნეობები მოიხმარენ გლობალური ენერჯის 29 პროცენტს და შესაბამისად წარმოქმნილი ემისიების 21 პროცენტს გამოიმუშავებენ.
- ✓ განახლებადი ენერჯის წილმა ენერჯის მოხმარებაში მიაღწია 20%-ს გადააჭარბა, რაც ქვეყნების ენერჯოპოლიტიკიდან გამომდინარე მუდმივად იზრდება.
- ✓ ელექტრიფიკაციის გლობალურმა მაჩვენებელმა 2017 წელს მიაღწია 89 პროცენტს (რაც 2010 წლის მონაცემთან შედარებით 6%-ით გაიზარდა), თუმცა კვლავ დაახლოებით 840 მილიონ ადამიანს წვდომა არ აქვს ელექტროენერჯიაზე.
- ✓ 2010 წლიდან 2017 წლამდე, ყოფაცხოვრებაში, საჭმლის დასამზადებლად გამოყენებული სუფთა საშუალებების გამოყენება ყოველწლიურად საშუალოდ 0.5 პროცენტით იზრდება, ხდება შეშის და ცხოველური ნაკელის ჩანაცვლება ბუნებრივი აირით ან ელექტროენერჯით.
- ✓ იზრდება ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობა, შესაბამისად, ელექტრონული ნარჩენების მოცულობა 38 %-ით გაიზარდა. საერთო ნარჩენებიდან მხოლოდ 20 % გადამუშავდება.

საკვები

- ✓ ყოველწლიურად წარმოებული 1.3 მილიარდ ტონა საკვები (წარმოებულის მესამედი, ღირებულებით 1 ტრილიონ აშშ დოლარი) იყრება ცუდი ტრანსპორტირებისა და მოსავლის შენახვის მანკიერი პრაქტიკის გამო.
- ✓ 2019 წელს 5 წლამდე ასაკის 38 მილიონი ბავშვი იყო ჭარბწონიანი.
- ✓ მიწის დეგრადაცია, ნიადაგის ნაყოფიერების დაქვეითება, წყლის არამდგრადი გამოყენება, ჭარბი თევზაობა და ზღვის გარემოს დეგრადაცია ეს ყველაფერი ამცირებს საკვების მიწოდებას.
- ✓ კვების სექტორი ენერჯის მთლიანი მოხმარების 30 პროცენტს და სათბური აირების გაფრქვევის 22 პროცენტს შეადგენს.

ტერმინები

კონსუმერიზმი იდეოლოგიაა, რომელიც ადამიანებს სულ უფრო მეტი საქონლის, პროდუქციისა თუ სერვისის შეძენისა და მოხმარებისკენ უბიძგებს. ეს არის ერთგვარი ინდუსტრიული საზოგადოების წესრიგი, რომელშიც უამრავი პროდუქციის/სერვისის ყიდვა-გაყიდვა ხდება.

მდგრადი ეკონომიკა ეხება პრაქტიკას, რომელიც მხარს უჭერს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას საზოგადოების სოციალურ, ეკოლოგიურ და კულტურულ ასპექტებზე უარყოფითი გავლენის გარეშე.

მწვანე ეკონომიკა ეკონომიკაში მწვანე ფილოსოფიის პრინციპების დანერგვას გულისხმობს, რომელიც წარმოების პროცესების გარემოსდაცვითი რისკების შემცირებით, ეკოლოგიური დეფიციტის აღმოფხვრით, რესურსების დაზოგვით უზრუნველყოფს ადამიანის გაუმჯობესებულ კეთილდღეობასა და სოციალურ თანასწორობას.

ციკლური ეკონომიკა იყენებს განახლებად რესურსებს, მათ შემცირებას, რეციკლირებას და მეორად გამოყენებას უწყობს ხელს, აუმჯობესებს წარმოების პროცესებს, ითვალისწინებს გამოყენებული პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს, ამცირებს ხარჯებს და გარემოზე დაწოლას.

ეკოლოგიური ნაკვალევი - ეს არის ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) და გლობალური ნაკვალევის ქსელის მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომელიც გამოითვლება ბიოლოგიურად პროდუქტიული მიწის და წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანების რესურსზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებად და ამ რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული ნარჩენებისა და დაბინძურების შთანთქმისა და გარდაქმნისთვის.

ქვეყნის და დედამიწის ეკოლოგიური დავალიანების დღეს (Earth Overshoot Day) გლობალური ნაკვალევის ქსელის კონცეფციაა და ყოველწლიურად ზომავს მას. უჩვენებს, როდის დგება ის დღე, როცა დედამიწას, ან ქვეყანას ამოწურული აქვს ერთი წლის რესურსები და იწყებს რესურსების გამოყენებას, რომლებსაც თვითაღდგენის უნარი აღარ აქვთ. მისი გამოთვლა ეფუძნება თუ რამდენ რესურსს მოიხმარს ქვეყანა/დედამიწა, რამდენ ემისიას და ნარჩენებს წარმოქმნის და ასევე როგორია მისი ბიოპროდუქტიულობა

გლობალური მწვანე შეთანხმების Global Green New Deal (GGND) კონცეფცია, რომელიც ორიენტირებულია სამ ფართო ამოცანაზე: 1. შეიტანოს წვლილი მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის, სამუშაო ადგილების შექმნისა და დაუცველი ჯგუფების სოციალური დაცვის საკითხებში; 2. ხელი შეუწყოს ინკლუზიურ და მდგრად ზრდას, უკიდურესი სიღარიბის დაძლევის; 3. შეამციროს ნახშირბადზე დამოკიდებულება და ეკოსისტემის დეგრადაცია

რა უნდა შეიცვალოს?

მსოფლიოში საზოგადოებრივი დოვლათის გადანაწილება უთანაბროა. მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა მოიხმარს საჭიროზე ნაკლებს. შესაძლებელია შეიქმნას ისეთი მსოფლიო, რომელშიც თითოეულ ინდივიდს გააჩნია აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. შესაძლებელია მოხმარების ისეთი მოდელების დანერგვა, რომ ბუნებრივი რესურსები შემდგომ თაობების შევუნარჩუნოთ. საჭიროა ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება და ტოქსიკური ნარჩენების უკეთესი განკარგვა. დახმარება უნდა გაეწიოს მოხმარების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს რაციონალურ მოდელებზე გადასვლაში.

არსებობს მოხმარების მრავალი ასპექტი, რომელსაც მარტივი ცვლილებებით შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს მთლიანად საზოგადოებაზე. საკვების დაკარგვის, წარმოების ხარჯების შემცირებამ, ნარჩენების მართვამ, კვების სისტემების ეფექტურობის გაზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს გარემოს მდგრადობას. ამჟამად, მოსავლის აღების შემდეგ 13.8% საკვები ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამამუშავების დროს იკარგება, რაც წელიწადში 400 მილიარდი დოლარი დანაკარგია. ამით მწარმოებელი არა მხოლოდ შემოსავალს კარგავს, არამედ აბინძურებს გარემოს. საკვების ღპობით მეტი სათბური აირი გაიფრქვევა ატმოსფეროში. ასევე მსგავსი დანაკარგები დიდ სხვაობას და უსამართლობას წარმოშობს, რადგან შიმშილით და არასრულფასოვანი კვებით იტანჯება მილიარდამდე ადამიანი.

ჩვენ ასევე ვაბინძურებთ წყალს უფრო სწრაფად, ვიდრე ბუნებას შეუძლია მისი გაწმენდა. ეს პრობლემაა, რადგან ისედაც წყლის მცირე ნაწილია ადამიანისთვის გამოსაყენებლად ვარგისი. შემდგომში წყლის რესურსების გაწმენდა ბევრად უფრო დიდ დროსთან და ფინანსურ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული.

როგორ ითვიან ეკოლოგიურ ნაკვალევს?

ადამიანების რესურსებით უზრუნველყოფა და ასევე, რესურსების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისა და დამაბინძურებლების გარემოში მოხვედრა, გარემოზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს. ეკოლოგიური ნაკვალევი - ეს არის ბიოლოგიურად პროდუქტიული მიწის და წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანების რესურსზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებად და ამ რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული ნარჩენებისა და დაბინძურების შთანთქმისა და გარდაქმნისთვის. ის ერთ სულ მოსახლეზე გათვლით იანგარიშება. თუკი ქვეყნის ან მსოფლიოს მოხმარება, ან ეკოლოგიური ნაკვალევი აღემატება გარემოს ბიოლოგიურ შესაძლებლობას, განახლოს რესურსი და შეითვისოს ნარჩენები და დაბინძურება, ითვლება, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ეკოლოგიურ დეფიციტს. ჯერ კიდევ 2003 წელს გლობალურმა ეკოლოგიურმა ნაკვალევმა დედამიწის ბიოლოგიურ შესაძლებლობას 25 პროცენტით გადააჭარბა. ეს მაჩვენებელი დაახლოებით 88 პროცენტს უახლოვდებოდა მსოფლიოს ყველაზე მაღალშემოსავლიან ქვეყნებში.

გლობალური ნაკვალევის ქსელი ყოველწლიურად ზომავს თითოეული ქვეყნის და **დედამიწის ეკოლოგიური დავალიანების დღეს**. 2020 წელს ეს დღე 29 ივლისს დადგა. ამ თარიღმა ბოლო 20 წლის განმავლობაში 2 თვით ადრე გადამიწია, რაც ნიშნავს, რომ უკვე 2 თვით ადრე დგება ის დღე, როცა დედამიწას ამოწურული აქვს ერთი წლის რესურსები და იწყებს რესურსების გამოყენებას, რომლებსაც თვითადდგენის უნარი აღარ აქვთ.

ამ მონაცემით კაცობრიობას საარსებოდ 1 დედამიწა აღარ ყოფნის და მას 1,75 სჭირდება. სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებულ დროს უდგება ეს დღე იმის მიხედვით თუ რამდენ რესურსს მოიხმარს, რამდენ ემისიას და ნარჩენებს წარმოქმნის და ასევე როგორია მისი ბიოპროდუქტიულობა (<https://www.overshootday.org/>). მაგალითისთვის, აშშ საკუთარი რესურსები 14 მარტისთვის უკვე ამოწურული აქვს, ავსტრალიას - 22 მარტისთვის, ყატარს - 9

თებერლისთვის, საქართველოს - 25 სექტემბერს, ინდონეზიას კი 18 დეკემბერს, ანუ მისი ნაკვალევი ქვეყნებს შორის საუკეთესოა.

წლებანდელმა 2021-მა წელმა განსხვავებული ტენდენცია აჩვენა, პანდემიამ შეზღუდა მოსახლეობის მობილობა, დრამატულად შემცირდა საერთაშორისო გადაზიდვები, საზღვრების გადაკვეთა, საერთაშორისო ტურიზმი და ბიზნეს მოგზაურობები და შიდა გადაადგილებები, რამაც ნახშირორჟანგის ნაკვალევი წინა წელთან შედარებით 14,5%-ით შეამცირა. სწორედ ამან გამოიწვია, რომ ეკოლოგიური დავალიანების დღემ ივლისიდან 22 აგვისტოში გადმოინაცვლა.

ეს იქნებოდა გასახარი, მსგავსი გაუმჯობესება რომ არ ყოფილიყო გამოწვეული პანდემიის დროებითი შეზღუდვებით და ყოფილიყო მოსახლეობის და ქვეყნების გარემოსადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების, ქცევის ცვლილების შედეგი.

გლობალური ნაკვალევის ქსელის შეფასებით, თუკი განახლებადი რესურსების გამოყენების ექსპონენციალური ზრდა კვლავ გაგრძელდება, 2050 წლისათვის, კაცობრიობას დაჭირდება 2-3-ჯერ მეტი რესურსი, ვიდრე პლანეტას შეუძლია მისცეს მას.

როგორ შეუძლია ბიზნესს ამ პრობლემის მოგვარება?

დღევანდელი „ჩვეულებრივი ბიზნესის“ (business as usual) მოდელი არის სტანდარტულ ოპერაციულ ფუნქციებზე დაფუძნებული, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების ნახვა და არ ითვალისწინებს გარემოს, როგორც საზრუნავს. მოდელი უნდა შეიცვალოს მწვანე ეკონომიკით ან ციკლური ეკონომიკით. მიუხედავად იმისა, რომ „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის ზოგადი განმარტება გულისხმობს, ეკონომიკაში მწვანე ფილოსოფიისა პრინციპების დანერგვას, რომელიც წარმოების პროცესების გარემოსდაცვითი რისკების შემცირებით, ეკოლოგიური დეფიციტის აღმოფხვრით, რესურსების დაზოგვით უზრუნველყოფს ადამიანის გაუმჯობესებულ კეთილდღეობასა და სოციალურ თანასწორობას.

მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, სადაც იგი ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორი არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესია, არამედ საზოგადოებაა, რომელიც თავად მართავს მას. აღსანიშნავია, რომ მწვანე ეკონომიკა არ გულისხმობს ზედმეტ ჩარევას ხელისუფლების მხრიდან და არ მოდის წინააღმდეგობაში საბაზრო ეკონომიკის ლოგიკასთან/პრინციპებთან. რეალურად მწვანე ეკონომიკა უფრო მეტადაა «ბაზარზე ორიენტირებული», ვიდრე არსებული მოდელები. სინამდვილეში გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების უგულებელყოფას, მიყვარათ არასწორ გადაწყვეტილებებამდე, ბაზრის მოთამაშეების მიერ არასწორად გადანაწილებულ რესურსებამდე, და საბოლოოდ ისეთ კრიზისებამდე, როგორებიც იყო 1978 წელს, 1996 და 2008 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი. ფართო კონტექსტში,

არსებითი განსხვავება ჩვეულებრივ ეკონომიკასა და მწვანე ეკონომიკას შორის მდგომარეობს უკანასკნელის გრძელვადიან ეფექტებსა და მათ შედეგად გააძლიერებულ მდგრადობაში.

2008 წლის უკანასკნელმა ფინანსურმა კრიზისმა საგრძნობლად შეასუსტა ბევრი ქვეყნის ეკონომიკა, რომ განვითარება უნდა იყოს უფრო მდგრადი. 2009 წელს გაეროს მიერ გამოცხადდა ახალი გლობალური მწვანე შეთანხმების კონცეფცია, რომელიც ორიენტირებულია სამ ფართო ამოცანაზე:

- შეიტანოს წვლილი მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის, სამუშაო ადგილების შექმნისა და დაუცველი ჯგუფების სოციალური დაცვის საკითხებში;
- ხელი შეუწყოს ინკლუზიურ და მდგრად ზრდას, უკიდურესი სიღარიბის დაძლევის;
- შეამციროს ნახშირბადზე დამოკიდებულება და ეკოსისტემის დეგრადაცია, რაც მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის მთავარ რისკებს წარმოადგენს.

მრავალი სპეციალისტის აზრით, მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს:

1. განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია);
2. მწვანე შენობები (ენერჯის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები);
4. წყლის მართვა (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
5. ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
6. მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

ახალი გლობალური შეთანხმება, რეკომენდაციას უწევს მთავრობებს მოახდინონ ეკონომიკის ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისკენ, გამოიყენონ პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტრუმენტები, რასაც უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს:

- განახლებად ენერჯიაზე გადასვლას;
- მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდას;
- მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერას;
- გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის (ნაგავსაყრელები, სასმელი წყალი და ა.შ) გაუმჯობესებას.

ბიზნესის ინტერესშია ახალი გადაწყვეტილებების პოვნა, რაც მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მოდელების დანერგვის შესაძლებლობას იძლევა. პროდუქტებისა და მომსახურების გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების უკეთ გააზრებაა საჭირო. ეს გულისხმობს წარმოებაში გამოყენებული ყველა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ცოდნას, რადგან მწარმოებელს სრულად ჰქონდეს გააზრებული, თუ მისი პროდუქცია, როგორ გადამუშავდება ექსპლოატაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, ამავდროულად, უნდა

ითვალისწინებდეს შესაფაუთი მასალის სასიცოცხლო ციკლსაც, მრავალჯერადად მოახერხებს თუ არა მის გამოყენებას, ან რამდენად მოახერხებს მის გადამუშავებას, თუ ნაგავსაყრელზე აღმოჩნდება, რამდენი ხანი დასჭირდება მის დაშლას.

მაგალითად, სწრაფი მოდის ინდუსტრია სათბურის აირების გამოყოფის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, რაც დედამიწაზე ტემპერატურის მომატების და კლიმატის ცვლილების ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ითვლება. სწრაფი მოდა ტანსაცმლის იაფად და სწრაფად წარმოებას გულისხმობს, რაც სწრაფად ფუჭდება, ადამიანის ჯანმრთელობისთვის და გარემოსთვის საშიში საღებავით იღებება. მომხმარებელი სწრაფადვე იცვლის ასეთ ტანსაცმელს. გადაყრილი ტანსაცმელი ჯერ ნაგავსაყრელზე ხვდება, მოგვიანებით კი მიკრობოჭკოვანი ფრაგმენტები ზღვაში ჩაირეცხება, სადაც ისინი ჯერ თევზის, ხოლო შემდეგ ადამიანის საკვებ ჯაჭვში ხვდება. აუდიტის ანგარიშის თანახმად, 2019 წელს ბრიტანეთში 235 მილიონი ტანსაცმელი გადაიყარა; 700,000 ბოჭკო შეუერთდა გამდინარე წყალს ტანსაცმლის რეცხვის შედეგად; 1,2 მილიარდი ტონა ნახშირორქანგი გამოიყო მოდის ინდუსტრიის მუშაობის შედეგად; ასევე მოდის ინდუსტრიას წყლის დიდი მოცულობა ჭირდება, მხოლოდ ერთი ჯინსის შარვლის საწარმოებლად საჭიროა 3,781 ლიტრი წყალი.

საჭიროა წარმოების სრულ ციკლში სუსტი რგოლის გამოკვეთა და მისი გამოსწორება. ყველა წარმოებას აქვს სისტემის მთლიანობაში გაუმჯობესების პოტენციალი. გარემოს დამზოგი გადაწყვეტილებებს აქვს არა მხოლოდ გარემოზე პოზიტიური ეფექტი, არამედ სოციალურ ცხოვრებაზეც და არის ასევე ინოვაციური იდეების განვითარების ძალიან დიდი ასპარეზი. ინოვაციურმა და დიზაინერულმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც დამზოგი ტექნოლოგიების შექმნას და გამოყენებას უკავშირდება ახალი შესაძლებლობები შეიძლება გააჩინოს. შეიძლება ხელი შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, რომ უფრო მდგრადი ცხოვრების წესით ვიცხოვროთ, შევამციროთ გარემოზე უარყოფითი გავლენა და გაიზარდოს მოსახლეობის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისთვის ნავარაუდევია 12 ტრილიონის დახარჯვა, რაც შექმნის ახალ 380 მილიონ მწვანე სამუშაოს, როგორებიცაა:

- ✓ მდგრადი განვითარების კონსულტანტი
- ✓ მწვანე ინჟინერია
- ✓ გარემოსდაცვითი სამართალი
- ✓ ურბანული ფერმერობა
- ✓ სუფთა ენერჯეტიკა
- ✓ გადამუშავება და ნარჩენების მართვა
- ✓ კონსერვაციის სპეციალისტი
- ✓ მწვანე ურბანისტიკა
- ✓ მდგრადი არქიტექტურა
- ✓ მწვანე ლანდშაფტური დიზაინერი
- ✓ მდგრადი სოფლის მეურნეობა და კვების ტექნოლოგიები
- ✓ მეტყვეობა და ეკოტურიზმი

რა შეიძლება გაკეთდეს პრობლემის მოსაგვარებლად?

მოსახლეობის ზრდის გამო, 2021 წელს მოსახლეობის რაოდენობა დედამიწაზე 7.8 მილიარდს შეადგენდა. ეს მოსახლეობა მოიხმარს დიდი რაოდენობით საკვებს, წყალს, ნედლეულსა და ენერჯიას და ამ პროცესში წარმოქმნის დიდი რაოდენობით ნარჩენებსა და დამაბინძურებლებს. თუ შობადობა არ დაიკლებს, 2050 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობამ შესაძლოა 9.3 მილიარდს და საუკუნის დასასრულს 10 მილიარდსაც კი მიაღწიოს. არავინ იცის ზუსტად, რამდენი ადამიანის „გამოკვება“ შეუძლია დედამიწას, ისე, რომ არ დეგრადირდეს დედამიწის უნარი, უზრუნველყოს ადამიანთა და სხვა ცოცხალ ორგანიზმთა სიცოცხლისუნარიანობა და ეკონომიკის ფუნქციონირება. თუმცა, უკვე არსებობს რამოდენიმე გამაფრთხილებელი ნიშანი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ და რესურსების მოხმარებამ, შესაძლოა, ამ საუკუნის დასასრულს, კაცობრიობისთვის ცნობილი სხვადასხვა ტიპის მცენარეებისა თუ ცხოველების მესამედის და ნახევრის გარდაუვალი გადაშენება გამოიწვიოს.

კულტურამ - საზოგადოების ცოდნამ, რწმენამ, ტექნოლოგიებმა და პრაქტიკამ, ასევე კულტურულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანა გავლენა იქონიეს დედამიწაზე. 12 ათასი წლის წინ ადამიანები იყვნენ მონადირე-შემგროვებლები, ისინი მოიპოვებდნენ საკვებს ნადირობით ან მცენარეების შეგროვებით, პატარა ჯგუფებად ცხოვრობდნენ და გადაადგილდებოდნენ, რათა სიცოცხლე გადაერჩინათ. მას შემდეგ სამი მნიშვნელოვანი კულტურული ცვლილება მოხდა. პირველი სასოფლო-სამეურნეო რევოლუცია 10.000 -12.000 წლის წინ დაიწყო, როდესაც ადამიანმა საკვების, ტანსაცმლისა და სხვადასხვა სახის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ისწავლა მცენარეების მოყვანა და ცხოველების მოშენება. მეორე სამრეწველო-სამედიცინო რევოლუცია იყო, რომელიც 275 წლის წინ დაიწყო, როდესაც ადამიანებმა პროდუქციის ფართომასშტაბიანი წარმოებისთვის მანქანები გამოიგონეს. ამ ეტაპზევე ისწავლეს წიაღისეული საწვავიდან (ნავთობი და ქვანახშირი) ენერჯიის მიღება და დიდი რაოდენობით საკვები პროდუქტების ეფექტური წარმოება. ბოლო, საინფორმაციო-გლობალიზაციის რევოლუცია 50 წლის წინ დაიწყო, ამ დროს დაიწყო კაცობრიობამ ტექნოლოგიების განვითარება ინფორმაციასა და რესურსებზე სწრაფი წვდომის უზრუნველსაყოფად. თითოეულმა ზემოთ ხსენებულმა კულტურულმა ცვლილებამ კაცობრიობას მისცა უფრო მეტი ენერჯია და ახალი ტექნოლოგიები იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ ადამიანთა ძირითადი მოთხოვნები და მზარდი სურვილები. კულტურულმა ცვლილებებმა აგრეთვე ხელი შეუწყო მოსახლეობის ზრდას. და ბოლოს, ყოველ კულტურულ ცვლილებას მოჰყვა რესურსების უფრო მეტი გამოყენება, გარემოს მეტი დაბინძურება და დეგრადაცია, ვინაიდან გაიზარდა კაცობრიობის ეკოლოგიური ნაკვალევი და ადამიანი პლანეტაზე დომინანტურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. დღეს უკვე გვჭირდება მდგრადი განვითარების რევოლუცია. ასეთი რევოლუციისას კაცობრიობამ უნდა შეამციროს თავისი ეკოლოგიური ნაკვალევი და მისდოს მდგრადი ცხოვრების წესს.

კონსუმერიზმმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ზრდა და მალე ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს განუყოფელ ნაწილად იქცა, გარდაქმნა როგორც პოლიტიკა, ისე ეკონომიკა და კულტურა. კონსუმერიზმი იდეოლოგიაა, რომელიც ადამიანებს სულ უფრო მეტი საქონლის, პროდუქციისა თუ სერვისის შეძენისა და მოხმარებისკენ უბიძგებს. ეს არის

ერთგვარი ინდუსტრიული საზოგადოების წესრიგი, რომელშიც უამრავი პროდუქციის/სერვისის ყიდვა-გაყიდვა ხდება.

კონსუმერიზმის ზეგავლენა ადამიანებზე ძალიან დიდია. ხშირად დიდი რაოდენობის საქონლისა და სერვისის გასაყიდად კომპანიები წარმატებით იყენებენ საზოგადოებაში არსებულ გენდერულ და კლასობრივ სტრუქტურებს. ამის ნათელი მაგალითია სულ უფრო პოპულარული მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს მომხმარებლისთვის სულ უფრო მეტი გენდერულად სპეციფიკური პროდუქციის შეთავაზებას (დაწყებული ჰიგიენური საშუალებებით ან საბავშვო წიგნებითა და სათამაშოებით და დამთავრებული ისეთი მოულოდნელი პროდუქციით, როგორცაა სალექი რეზინები ქალებისა და მამაკაცებისათვის). ქალები დღეს გარშემოტყმული არიან რეკლამებით, რომლებსაც აქვთ იმის ძალა, რომ ისინი კონკრეტული ქცევისა თუ გარეგნობის მიმდევარი გახადონ, რაც მათ კონკრეტული გენდერული როლების მორგებას ავალდებულებს. ქალებისთვის სილამაზის კონკრეტული სტანდარტების დაწესება, სურვილის გაღვივებას რეკლამების მეშვეობით, ხელს უწყობს პარფიუმერული საქონლის, პლასტიკური ქირურგიის სერვისისა თუ სხვა სახის პროდუქციის გაყიდვების ზრდას. შესაბამისად, კონსუმერისტული ბაზარი ყოველთვის ცდილობდა საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებისა და დამოკიდებულებების გამოყენებას, რათა მეტი პროდუქციის წარმოება და გასაღება ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

გაზრდილი მოხმარება გარემოს განადგურებას დიდ პრობლემას უქმნის. არავინ დავობს იმაზე, რომ ადამიანს ესაჭიროება სხვადასხვა საბაზისო პროდუქცია, მაგრამ მარკეტინგული ხრიკების გავლენით ადამიანები ყიდულობენ არასაჭირო პროდუქციასაც, ხარჯავენ თანხებს, რითიც რესურსების არაგონივრულ გამოყენებას უწყობენ ხელს. ეს უკვე აღარ არის მხოლოდ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ფაქტობრივად მარკეტოლოგები მიგვითითებენ რა და რამდენი უნდა მოვიხმაროთ. ამას ხელს უწყობს ქუჩაში სარეკლამო ბილბორდები, ტელევიზია, ინფორმაციის ნაკადი, რაც ადვილად გვაქცევს გავლენების ქვეშ - ვმუშაობთ, იმიტომ რომ სასურველი ნივთი შევიძინოთ, განვაახლოთ უახლესი მოდელებით ელექტრომომწყობილობები, მოდის უკანასკნელი სიახლეებს არ ჩამოვრჩეთ.

რეკლამებიც ჩვენს ამ მიდრეკილებას ასაზრდოვებენ, იყენებენ ბედნიერი წყვილის, ოჯახის, ბავშვის, ცნობადი სახეების გამოსახულებებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ის ნივთია, რომელიც დამეხმარება გავხდე უკეთესი/უფრო ლამაზი/მოდური/სასურველი/ბედნიერი. ამისთვის დასაძლევად, კარგად უნდა გვესმოდეს, თუ რეალურად რა არის ბედნიერება და როგორ შეიძლება მისი მიღწევა.

ამდენად ადამიანის ჩამოყალიბება ინფორმირებულ მომხმარებლად დაეხმარება გარემოს და საზოგადოებას გახდეს უფრო მდგრადი.

რა შემთხვევაშია გავაკეთო პრობლემის მოსაგვარებლად?

- ✓ დახმარების ორი ძირითადი გზა არსებობს: 1. ნარჩენების შემცირება და 2. ინფორმირებული შესყიდვების გაკეთება, რაც გააზრებულ მყიდველად ჩამოყალიბებას გულისხმობს.

- ✓ ნებისმიერი პროდუქციის ყიდვისას შეძლებისდაგვარად მდგრადი ვარიანტი აირჩიოთ. მაგალითად დააკვირდეთ პროდუქციის შეფუთვას. შეამცირეთ პლასტმასის მოხმარება, რაც ოკეანეების ერთ-ერთი მთავარი დამაბინძურებელია. არჩევანი გააკეთოთ იმ პროდუქციაზე, რომელიც ნაკლებ შესაფუთ საშუალებებშია შეფუთული და ერთჯერადი გამოყენების პლასტიკატში არაა მოთავსებული. სათამაშოების შერჩევასაც ასევე შეძლება ადვილადმლადი, იაფიანი პლასტიკატის სათამაშოებზე უარის თქმა და ისეთის არჩევა რმელიც სწრაფად არ გაფუჭდება და შემდეგ სხვა ბავშვსაც გადაეცემა სათამაშოდ. მოხდება მისი მრავალჯერადი გამოყენება.
- ✓ ასევე საჭიროა დარწმუნდეთ, რომ არ გადაყარით საკვებს რომელსაც იყიდით. შეიძინეთ ან თავად შეკერეთ ძველი ტანსაცმლიდან მრავალჯერადი გამოყენების ჩანთები საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის და ყოველთვის ატარეთ თან. დაახარისხეთ და გადაამუშავეთ ყველაფერი, რაც თქვენს ირგვლივ მუშავდება. ეს თქვენს ყოველდღიურობაში შესაძლებელს გახდის შემოიტანოთ მდგრადობის ელემენტები.
- ✓ რადგან ტექსტილის ინდუსტრია დღეს სოფლის მეურნეობის შემდეგ მეორე ადგილზეა სუფთა წყლის დაბინძურებით საჭიროა ამ 2 მიმართულებით მოხმარების ჩვევების ცვლილება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შექმნისას თუკი ადგილობრივად წარმოებულზე გააკეთებთ აქცენტს, ამით შეამცირებთ სატრანსპორტო ხარჯებს, ენერგოდანახარჯს (ხშირად საკვები პროდუქციის ტრანსპორტირებისას სამაცივრე დანადგარები გაოიყენება), გამონაბოლქვს. ასევე გადაზიდვით და შენახვით განპირობებულ პროდუქციის დანაკარგსაც. ასევე ადგილობრივი ფერმერების წახალისება მოხდება, რაც ასევე ქვეყნის კეთილდღეობის ხელშემწყობია. რაც შეეხება ტანსაცმელს, უნდა იყიდოთ აუცილებელი მოხმარების ტანსაცმელი, იმ მწარმოებლისგან, რომელიც ზრუნავს გარემოზე, აქვს მწვანე პოლიტიკა, არ იყენებს მავნე საღებავებსა და ბავშვთა შრომას წარმოებისას. ასევე ძველი ტანსაცმლის დონაციით შეგძლიათ წვლილი შეიტანოთ მიუსაფართა დახმარებაში.
- ✓ ეწვიეთ მსოფლიო ველური ბუნების ფონდის მიერ შექმნილ ელექტრონული კალკულატორის საიტს <https://footprint.wwf.org.uk/#/> და კითხვარის შევსებით გამოთვალეთ თქვენი ნაკვალევი. თითოეული კითხვა მოიცავს, თუ რა ქმედებებით შეგიძლიათ გაუფრთხილდეთ ბუნებას. შეადგინეთ სკოლაში გეგა და იმოქმედეთ მის შესაბამისად.
- ✓ მოაწყვეთ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია და განათავსეთ ბანერები ბუნების მოფრთხილების აუცილებლობაზე, შემდგომი დაბინძურებისგან დასაცავად.
- ✓ დაზოგეთ ელექტროენერგია და წყლის მოხმარება. შეამცირეთ, უკეთეს შემთხვევაში, უარი თქვით ჩამოსასხმელი წყლის მოხმარებაზე, თუ ონკანის წყაი გამოყენებისთვის უსაფრხოა.
- ✓ იყიდეთ ადგილობრივი წარმოების, ან იმპორტირებული „სამართლიანი ვაჭრობის“ სერტიფიკატის პროდუქცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

<http://www.dictionary.css.ge/content/consumerism>

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

<https://sdg.gov.ge/goals-all>

170 daily actions to transform our world, 2019

მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, მწვანე ალტერნატივა, 2013

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

- 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, რატომ გადმოიწია აგვისტოდან ივლისამდე დედამიწის დავალიანების დღემ?**
 - მდგრადი განვითარების მიზნის ვადამდელი წარმატებაა
 - პანდემიამ შეზღუდა ატმოსფერულ ჰაერში ნახშირორჟანგის გატყორცნა
 - ქვეყნები მაცრ მონიტორინგს ატარებენ ეკოლოგიური გადაცდენების აღმოსაფხვრელად
 - ქვეყნებმა მკაცრი ეკოლოგიური პოლიტიკის სტრატეგიები შეიმუშავეს
- რა ეწოდება დედამიწის მდგომარეობას, როცა მოხმარება აღემატება გარემოს ბიოლოგიურ შესაძლებლობას განაახლოს რესურსი და შეითვისოს ნარჩენები და დაბინძურება?**
 - ეკოლოგიური დავალიანება
 - ეკოლოგიური დეფიციტი
 - ეკოლოგიური კატასტროფა
 - ეკოლოგიური პროფიციტი
- რა განასხვავებს ჩვეულებრივ ბიზნესს ციკლური ეკონომიკისგან?**
 - ჩვეულებრივი ბიზნესიდან შემოსავლები ციკლური ეკონომიკისგან განსხვავებით ნაკლებია
 - ჩვეულებრივი ბიზნესი ციკლური ეკონომიკისგან განსხვავებით გარემოს ზოგავს
 - ჩვეულებრივი ბიზნესი და ციკლური ეკონომიკა ერთმანეთი სინონიმად იხმარება
 - ჩვეულებრივი ბიზნესის მიზანი მაქსიმალური მოგებაა, მაშინ როცა ციკლური ეკონომიკა გამომუშავებული პროდუქტების სასიცოცხლო ციკლს ითვალისწინებს
- მონიშნეთ ის სამი ამოცანა, რომელიც გლობალური მწვანე შეთანხმების კონცეფციის ნაწილია**
 - შეამციროს ბიომრავალფეროვნების განადგურების რისკები
 - შეამციროს ნახშირბადზე დამოკიდებულება და ეკოსისტემის დეგრადაცია
 - შეიტანოს წვლილი მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის, სამუშაო ადგილების შექმნისა და დაუცველი ჯგუფების სოციალური დაცვის საკითხებში
 - ხელი შეუწყოს ინკლუზიურ და მდგრად ზრდას, უკიდურესი სიღარიბის დაძლევა
- რატომ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა ადგილზე წარმოებულ საკვებს? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი**

- ა. ადგილობრივი ფერმერების წასახალისებლად
- ბ. საკვების დანაკარგი მცირდება ტრანსპორტირებისას პროდუქტის გაფუჭებისას
- გ. საკვების დანაკარგი მცირდება შენახვის პირობების დარღვევიდან
- დ. პატრიოტული მოტივებით
- ე. ყველა პასუხი სწორია

6. რა გარემოსდაცვით პრობლემებს იწვევს ტექნოლოგიური პროგრესი? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი

- ა. ელექტრონული ნარჩენები გადამუშავებას არ ექვემდებარება
- ბ. ელექტრონული ნარჩენების მხოლოდ მეხუთედი ექვემდებარება გადამუშავებას
- გ. იზრდება ელექტრონული ნარჩენების მოცულობა
- დ. იზრდება ინფორმაციის მიმოცვლა

7. ცხრილის საფუძველზე უპასუხეთ კითხვას: რომელი ალემატება მაღალი და საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში წარმოებაზე თუ მოხმარებაზე დაფუძნებული ემისიები?

- ა. განსხვავდებულად, არ არის ერთგვაროვანი სურათი
- ბ. თანაბარია ეს ორი მაჩვენებელი
- გ. მოხმარებაზე დაფუძნებული ემისიები
- დ. წარმოებაზე დაფუძნებული ემისიები

შემოსავლების მიხედვით ქვეყნების ჯგუფი და რეგიონები	მოსახლეობის წილი პროცენტებში	წარმოებაზე დაფუძნებული ნახშირორჟანგის ემისიის წილი	მოხმარებაზე დაფუძნებული ნახშირორჟანგის ემისიის წილი
მაღალი შემოსავალი	16%	39%	46%
საშუალოზე მაღალი	35%	48%	41%
საშუალოზე დაბალი	40%	13%	13%
დაბალი შემოსავალი	9%	0.4%	0.4%
ჩრდილო აფრიკა	5%	17%	19%
ევროპა	10%	16%	18%
ლათინური ამერიკა კარიბის ზღვის აუზი	9%	6%	6%
აზია	60%	56%	52%
აფრიკა	16%	4%	3%
ოკეანეთი	0.5%	1.3%	1.3%

8. ცხრილის საფუძველზე უპასუხეთ კითხვას: რეგიონებში, რომელთა მოსახლეობის წილი 15%-ს აღემატება, რა ჭარბობს, წარმოებაზე, თუ მოხმარებაზე დაფუძნებული ემისიები?

- ა. განსხვავდებულად, არ არის ერთგვაროვანი სურათი
- ბ. თანაბარია ეს ორი მაჩვენებელი
- გ. მოხმარებაზე დაფუძნებული ემისიები
- დ. წარმოებაზე დაფუძნებული ემისიები


9. რას გამოიწვევს მოხმარებიდან ვარგარიანი ნათურების ამოღება? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი

- ა. გაიზრდება ელექტროენერჯის მოხმარება
- ბ. გაიზრდება ხარჯები
- გ. დაიზოგება ხარჯები
- დ. შემცირდება ელექტროენერჯის მოხმარება

10. სოფლის მეურნეობის რომელი მიმართულებები არიან წყლის ყველაზე დიდი მომხმარებლები? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი

- ა. აკვაკულტურა
- ბ. მემცენარეობა
- გ. მეცხოველეობა
- დ. ყველა მათგანი

მდგრადი განვითარების მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 13: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება..... 167

რაში მდგომარეობს მიზნის არსი..... 167

ქვემიზნები მიზნისთვის „კლიმატის მდგრადობის მიღწევა“: 168

ფაქტები და მონაცემები: 169

ტერმინები..... 170

კლიმატის ცვლილების ანთროპოგენული წანამდგრები..... 171

კლიმატის ცვლილების შედეგები გარემოზე 173

კლიმატის ცვლილების შედეგები საზოგადოებაზე..... 175

კლიმატის ცვლილების დასაძლევად მიმართული საერთაშორისო ძალისხმევა 177

მე რისი გაკეთება შემძლია 179

გამოყენებული ლიტერატურა:..... 179

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია) 180

რაში მდგომარეობს მიზნის არსი

კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

ამჟამად კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ყველა კონტინენტზე არსებულ ყველა ქვეყანაზე. ის აფერხებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და გავლენას ახდენს სიცოცხლეზე, საზოგადოებაზე, რაც ქვეყნებს ძვირი უჯდებათ და მომავალში კიდევ უფრო ძვირი დაუჯდებათ. ზღვის დონე იმატებს, ამინდი უფრო ექსტრემალური ხდება და სათბურებიდან გამოყოფილი გაზების ემისიები ისტორიაში მათ უმაღლეს დონეზეა. მოქმედების გარეშე, მიმდინარე საუკუნეში დედამიწისზედაპირის საშუალო ტემპერატურა, სავარაუდოდ, გადააჭარბებს 3 გრადუსს, თუკი რადიკალური ზომები არ იქნება მიღებული.

კლიმატის ცვლილება ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საფრთხეა, რაც კაცობრიობის წინაშე დგას. თუკი გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების დროულად აღმოფხვრა არ მოხდება

ლოკალურ თუ ეროვნულ დონეზე, ის გლობალურში გადაიზრდება და ადამიანების ცხოვრების ხარისხზე უარყოფითად აისახება. მსოფლიო ეკონომიკა ძირითადად საწვავით იმართება, რის გამოც ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობა იზრდება. ეს კი კლიმატის ცვლილების გამომწვევი ძირითადი მიზეზია.

ყველა ქვეყანა, მდიდარი თუ ღარიბი, მონაწილეობას იღებს გარემოს უარყოფით ტრანსფორმაციაში ეკონომიკით, სოფლის მეურნეობით, ენერგოგენერაციით, თუ ტრანსპორტით. განსაკუთრებული წვლილი კი შეაქვთ განვითარებულ და სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყნებს.

ხშირად, მედია საშუალებები კლიმატის ცვლილებას აიგივებენ გლობალურ დათბობასთან, რაც არასწორია. დათბობა ყველგან ერთნაირი ხარისხით არ მიმდინარეობს. ის დამოკიდებულია ქვეყნილი ზედაპირის ხასიათზე, ეკვატორთან სიახლოვეზე, ადგილის სიმაღლეზე, თუ წყალთან სიახლოვეზე. გაზრდილ ტემპერატურას რიგ ადგილებში მეტი აორთქლება მოჰყვება, რაც ზრდის ნალექიანობას და საბოლოო ჯამში, რთული სათქმელია, ასეთ ადგილას ტემპერატურის მატება თუ კლება მოხდება. რიგ ადგილებში, სადაც ყინული დნება, თოვლისგან და ყინულისგან თავისუფალი ზედაპირი მეტ სითბოს შთანთქავს და ტემპერატურის უფრო სწრაფ მატებას იწვევს. გლობალურად კი ტემპერატურა აიწვევს და კლიმატის ცვლილების მთავრობათშორისი პანელის მეცნიერების ვარაუდით ტემპერატურა 2-4 გრადუსით მოიმატებს. თუმცა ეს მაჩვენებელი შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება გამონახობა, რომლითაც ჩვენ ატმოსფერულ ჰაერს ვაბინძურებთ.

ქვეყნები მიზნისთვის „კლიმატის მდგრადობის მიღწევა“:

- კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეებისა და სტიქიური უბედურებების მიმართ მდგრადობისა გაძლიერება ყველა ქვეყანაში.
- კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ზომების ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და გეგმებში.
- განათლების გაუმჯობესება, ცნობიერების ამაღლება და ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების ზრდა კლიმატის ცვლილების შემარბილებელი, ზემოქმედების შემცირებისა და წინასწარი გაფრთხილების მიმართულებით.
- კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციასთან დაკავშირებით, 2020 წლისთვის ყოველწლიურად 100 მილიარდი აშშ დოლარის მობილიზება, რაც მიმართული იქნება განვითარებად ქვეყნებში კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით; ასევე, მწვანე კლიმატის ფონდის სრული რეალიზაცია.
- კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული დაგეგმვისა და მართვის მიმართულებით შესაძლებლობების ზრდის მექანიზმების შემუშავება ნაკლებად განვითარებულ და მცირე კუნძულოვან განვითარებად ქვეყნებში; განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ქალებზე, ახალგაზრდობასა და ადგილობრივ და მარგინალიზებულ მოსახლეობაზე.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ 2021 წლის მონაცემებით, 191 მხარემ მოახდინა პარიზის შეთანხმების ხელმომწერა და მისი რატიფიცირება. ქვეყნებმა შეადგინეს ეროვნული დონის ამოცანები ადაპტაციის გეგმები. გაეროს კლიმატის ცვლილების სამდივნოს 5 წელიწადში ერთხელ წარედგინება ხელმომწერი ქვეყნების მიერ მომზადებული ანგარიშები გეგმის შესრულებაზე, დაწესდება მონიტორინგის სისტემა.
- ✓ 2018 წლის აპრილის მონაცემებით, 10 განვითარებადმა ქვეყანამ წარმატებით დაასრულა და წარადგინა კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების ეროვნული ადაპტაციის გეგმა, განვითარებად ქვეყნებს დახმარებას კლიმატის მწვანე ფონდი გაუწევს, რომელიც ამ მიზნის აღსრულების ეფექტური მექანიზმი უნდა გახდეს.
- ✓ განვითარებული ქვეყნების მხარეები განაგრძობენ პროგრესს იმ მიზნისკენ, რომელიც მიზნად ისახავს, ყოველწლიურად 2020 წლიდან მოყოლებული 100 მილიარდი აშშ დოლარის მობილიზებას ყოველწლიურად შემარბილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად.

კლიმატის ცვლილების შესახებ სამთავრობათაშორისო პანელის მუშაობის შედეგად ჩვენ ვიცით:

- ✓ 1880 წლიდან 2012 წლამდე საშუალო გლობალური ტემპერატურა გაიზარდა 0.85°C -ით. ამ ინფორმაციიდან გამომდინარე ვნახეთ, რომ 1 გრადუსზე ტემპერატურის ზრდას მოჰყვა მარცვლეულის მოსავლიანობის შემცირება დაახლოებით 5 პროცენტით. 1981-2002 წლებში სიმინდმა, ხორბალმა და სხვა კულტურებმა განიცადეს მოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება გლობალურ დონეზე, წელიწადში 40 მეგატონა.
- ✓ ოკეანეები მეტად გათბა, თოვლისა და ყინულის მოცულობა შემცირდა და ზღვის დონემ აიწია. 1901 წლიდან 2010 წლამდე ზღვის საშუალო დონემ აიწია 19 სმ-ით მყინვარების დნობის გამო. არქტიკის ზღვის ყინულის მოცულობა მცირდება 1979 წლიდან მოყოლებული და ყოველ ათწლეულში 1.07 მილიონი კმ² ყინული იკარგება.
- ✓ სათბურის აირების ამჟამინდელი კონცენტრაციებისა და მიმდინარე ემისიების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ამ საუკუნის ბოლოსთვის გლობალური ტემპერატურის ზრდა გადააჭარბებს 1.5°C -ს 1850-1900 წლებთან შედარებით. მსოფლიო ოკეანეები გათბება და ყინულის დნობა გაგრძელდება. ზღვის დონის საშუალო აწევა 2065 წლისთვის 24-30 სმ-ს შეადგენს და 2100 წლისთვის 40-63 სმ-ს. კლიმატის ცვლილების შედეგების უმეტესობა ინერციით გაგრძელდება მრავალი საუკუნის განმავლობაში, თუნდაც გამონაბოლქვი შეწყდეს.
- ✓ 1990 წლიდან ნახშირორჟანგის (CO₂) გლობალური ემისიები თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა. ემისიები უფრო სწრაფად გაიზარდა 2000-2010 წლებში, ვიდრე წინა სამი ათეულის მანძილზე ჯამურად.

- ✓ ჯერ კიდევ შესაძლებელია ტექნოლოგიური ზომების ფართო სპექტრისა და ქვევის ცვლილებების გამოყენებით, გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდა შეიზღუდოს 2°C, ვიდრე ეს ინდუსტრიულამდელ პერიოდში იყო.
- ✓ ინსტიტუციური და ტექნოლოგიური ცვლილებები იძლევიან იმის იმედს, რომ გლობალური დათბობა არ გადააჭარბებს 2 გრადუსიან ზღვარს

ტერმინები

ამინდი ეს არის მეტეოროლოგიურ ელემენტთა (ტემპერატურა, ნალექი, ქარი) ერთობლიობა დროის გარკვეულ მომენტსა თუ შუალედში. ამინდს უწოდებენ ატმოსფეროს ქვედა ფენების მდგომარეობას მოცემულ ადგილზე დროის შედარებით ხანმოკლე შუალედში.

კლიმატი/ჰავა გარკვეულ ადგილებზე წლიდან წლამდე განმეორებადი ამინდის ტიპია, მას საფუძვლად მრავალწლიანი დაკვირვება უდევს. განედი, მზის რადიაცია, კონტინენტის განფენილობა, ოროგრაფია, ოკეანისპირა მდებარეობა გავლენას ახდენს კლიმატის ფორმირებაზე.

ალბედო დედამიწის ზედაპირიდან არეკლილი მზის სხივური ნაკადია. მზიდან ატმოსფეროში შემოდის მოკლეტალღიანი ინფრაწითელი რადიაცია, რომელიც უკან აირეკლება. არეკვლა დამოკიდებულია ზედაპირის ფერზე. მაგალითისთვის, ახალი მოსული თოვლიდან არეკლილი რადიაცია 95%-ია, შესაბამისად თოვლის ალბედო 95-ია. მუქი ფერი ნაკლებს აირეკლავს, მაგალითისთვის წყლის ზედაპირი მხოლოდ 10%-ს აირეკლავს, შესაბამისად, მისი ალბედო 10-ია. ღია ფერის ზედაპირის ალბედო, ზოგადად, მეტია, მუქის ნაკლები. მთლიანად დედამიწის ალბედო 30-ია.

სათბურის ეფექტი ასევე მნიშვნელოვანია კლიმატცვლილების გააზრებისთვის, ის ხელს უწყობს დედამიწაზე სიცოცხლეს და მისი ტემპერატურული ბალანსის შენარჩუნებას. ატმოსფეროში გამოვლის შემდეგ მზის სხივები ზედაპირთან შეხებისას მის მიერ შთაინთქმება, ან გარდაიქმნება გრძელ ტალღებად და ათბობს ატმოსფეროს ქვედა ფენებს. რაც უფრო მუქია ზედაპირი, ის მეტად თბება, ხოლო გრძელი ტალღების ატმოსფეროში მოხვედრისას შთაინთქმება სხვადასხვა აირის მიერ, როგორებიცაა ნახშირორჟანგი, მეთანი, წყლის ორთქლი, აზოტის ორჟანგი, ქლოროფტორონახშირბადი. სათბური ეფექტი 1824 წელს პირველად ჟოზეფ ფურიეს მიერ იყო აღმოჩენილი. ერთი მხრივ, რომ არა სათბური ეფექტი, დედამიწაზე ტემპერატურა მთვარის მსგავსი და უსიცოცხლო იქნებოდა, მეორე მხრივ, მათი სიჭარბე იწვევს ტემპერატურის მატებას, რაც სხვა უარყოფითი გამოვლინებების საფუძველი ხდება.

დედამიწაზე ენერჯის ბალანსი გამარტივებულად შემდეგნაირად გამოიყურება – 100% მზისგან წამოსული ენერჯიდან 50% შთაინთქმება დედამიწის ზედაპირის მიერ, 30% უკან აირეკლება ატმოსფეროში, 20% კი შთაინთქმება ღრუბლების მიერ.

კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო პანელი (IPCC) – გაეროს მიერ შექმნილი სტრუქტურა, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალი რეიტინგის მქონე მეცნიერებისგან

სხვადასხვა ქვეყნიდან, შეისწავლიან კლიმატის ცვლილებას, ახდენენ მოდელირებას, რომელთა გამოქვეყნებული ანგარიშები მტკიცებულებებია შემდგომი ქმედებებისთვის.

კლიმატის ცვლილების ანთროპოგენული წანამძღვრები

ადამიანის გავლენა გარემოზე დიდია, მისი საქმიანობა მოითხოვს რესურსებს და ენერჯიას, რაც ვნებს გარემოს. ჩვენ ირგვლივ დაგროვდა მტკიცებულებები, რომ კლიმატის ცვლილებები დამოკიდებულია ბუნებრივ და ანთროპოგენულ ფაქტორებზე. ბუნებრივი ფაქტორების ცვლილების შეჩერება ადამიანის ძალებს აღემატება. ჩვენ გავლენა შეგვიძლია ვიქონიოთ ადამიანის მიერ გამოწვეულ ფაქტორებზე. სატელიტებიდან თუ სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით მიღებული მონაცემები ზუსტი აღრიცხვის საშუალებას იძლევა ტემპერატურის მატებაზე, ნალექებზე, ზღვის დონის მატებაზე, ყინულისა და თოვლის საფარის შემცირებაზე, ექსტრემალური ხასიათის მეტეოროლოგიური მოვლენების გახშირებაზე. ჩვენ ამ ცვლილებების თვითმხილველები გავხდით. ასეთი ცვლილებები უკვე ათწლეულებს ითვლის და გვამლევს სიგნალს, რომ იგივე მასშტაბის უარყოფითი ხასიათის ქმედებებით გარემო გაუდაბურდება.

ინდუსტრიული პროცესები – სითბოს მშთანთქავი სათბურის ეფექტის მქონე აირების მატება ატმოსფეროში მომდინარეობს გლობალური ეკონომიკის ზრდიდან, განსაკუთრებით, როცა ეს პროცესები მიმდინარეობს წიაღისეული საწვავის მოხმარების ფონზე, რაც, ერთი მხრივ, ქვეყნების ეკონომიკას ზრდის, მეორე მხრივ კი, იწვევს გარემოს დაბინძურებას. მთლიან შიდა პროდუქტსა და ნახშირორჟანგის რაოდენობას შორის პირდაპირი კორელაციაა, რაც გულისხმობს – რაც უფრო მაღალია მშპ, მაღალია ნახშირორჟანგი და პირიქით.

ჩვეულებრივი ბიზნესი (Business as usual), რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე, ნაკლებად ითვალისწინებს სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. მედოუზების წიგნში „ზრდის ლიმიტი“ სწორედ ბიზნესი იყო მიჩნეული მთავარ დამნაშავედ, თუკი არ მოხდება მისი სრულად ტრანსფორმაცია და არ დაინერგება ალტერნატიული ენერჯიის წყაროები, ჭკვიანი, დამზოგი ეფექტური ტექნოლოგიები, ჩვენი მომავალი გაურკვეველი იქნება.

ენერჯიის გენერაცია – ინდუსტრიული პროცესების გავლენა ეკოსისტემებზე დიდია, მისი ფუნქციონირებისთვის ელექტროენერჯია საჭირო. მასზე მზარდი მოთხოვნა განაპირობებს ატმოსფერული დაბინძურების ზრდას. ადრე მიიჩნეოდა, რომ ენერგოგენერაციას ზიანის მოტანა არ შეეძლო, დღეს კი დადგენილია, რომ 25% დაბინძურების სწორედ მასზე მოდის. საჭირო ხდება ენერჯიის ალტერნატიულ წყაროებზე გადასვლა. თუკი ენერჯია ბირთვული სადგურიდან, ან კიდევ უკეთესი, მზის, ქარის, გეოთერმული ან ჰიდროელექტრო სადგურებიდან მიიღება, გამონაბოლქვი არ გვაქვს, ატმოსფეროზე ზემოქმედება ნულოვანია, გარემოზე გავლენა კი მხოლოდ მშენებლობის პროცესში თუ გვხვდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სუფთა ენერჯიის წყაროსაც აქვს თავისი უარყოფითი გამოვლინებები, რაც არ არის ატმოსფერულ დაბინძურებასთან დაკავშირებული.

შენობების გათბობა/გაგრილება თანამედროვე კომფორტული ცხოვრების მიღწევაა, თუმცა ყოველ ჯერზე, როცა გათბობას ან კონდიციონერს ვიყენებთ, გარემო ცოტათი უფრო თბება, თუკი ეს ენერჯია ალტერნატიული წყაროებიდან არ არის მიღებული. იქ სადაც ელექტროენერჯია არ არის ხელმისაწვდომი, ყოფაში და გათბობისთვის შემა გამოიყენება, რაც გაუდაბნობას და ატმოსფეროს ნახშირორჟანგით „გამდიდრებას“ იწვევს. ჭკვიანი, დამზოგი

ტექნოლოგიები შეამცირებს გარემოზე მოსახლეობის ზრდით გამოწვეულ მავნე ზემოქმედებას. ქალაქების ტემპერატურა არის გარეუბნების ტემპერატურაზე მაღალი, რაც განპირობებულია ე.წ. სითბური გუმბათით ქალაქების თავზე. ეს კი ქალაქებში უფრო მუქი შეფერილობის ზედაპირების (ასფალტი, აგურის შენობები), ტრანსპორტის ხშირი ქსელის, მოსახლეობის სიმჭიდროვის გამოა, ეს კი თავისთავად ელექტროენერჯის გამოყენებას ზრდის.

ნაგავსაყრელები – ნახშირორჟანგის გარდა მეთანიც მნიშვნელოვანი სათბური აირია. ის ატმოსფერულ ჰაერში ნაგავსაყრელებიდან და მეცხოველეობიდან ხვდება. ორგანული ნარჩენები როდესაც სიმძიმის ქვეშ იტკეპნებიან, გამოდევნიან ჟანგბადს და უჟანგბადოდ, ბაქტერიების საშუალებით იშლებიან, რაც მეთანის გამოყოფის წყაროა. მეთანი ვნებს გარშემო მეცხოველები ადამიანების ჯანმრთელობას, სხვადასხვა დაავადების გავრცელების წყაროა. ის მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაგავსაყრელები ამავდროულად არის ეკონომიკური შესაძლებლობა, გამოიმუშავონ ბიოსაწვავი და სხვადასხვა ნარჩენის გადამუშავებით მიიღონ ახალი ნედლეული. მეცნიერები ბევრს მუშაობენ ამ მიმართულებით და მიღწევებიც უკვე ფეხს იკიდებს.

გაუდაბნობა და ტყის ხანძრები – მხოლოდ საწვავის წვა არ იწვევს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას, ტყეების გაჩეხვა და ხანძარი, ასევე დამაზიანებელია ჩვენი გარემოსთვის, რადგან 1,6 მილიარდ ტონაზე მეტი ნახშირორჟანგი, რომელიც მცენარეებში არის რესპირაციის და ფოტოსინთეზის შედეგად მოხვედრილი, ხელახლა აღმოჩნდება ჰერის და წვის შედეგად ჰაერში. 25-30% სათბური აირები სწორედ ამ გზით ხვდება ჰაერში. ნაანგარიშვია, რომ ტყეების 13 მილიონი ჰექტარი ყოველწლიურად იკარგება. განსაკუთრებული მასშტაბები მას აქვს სარეწაოდ ღირებულ ტროპიკულ ტყეებში.

სოფლის მეურნეობა არის გარემოს მნიშვნელოვანი დამაბინძურებელი (14%), ვიდრე საკვები ჩვენს თევზამდე მოაღწევს, მას სჭირდება წარმოება, შეფუთვა, შენახვა, ტრანსპორტირება და მომზადება. ყველა ეტაპი ვნებს გარემოს. განსაკუთრებული დამაბინძურებელია მეცხოველეობა, რადგან საქონელი საკვების მონელებისას გამოყოფს მეთანს, ნაგავსაყრელების გარდა, მეცხოველეობა არის მეთანიც მეორე დამაბინძურებელი წყარო.

მიწის გამოყენებაში ცვლილებები ასევე ცუდად აისახება გარემოზე, რადგან ძირითადად ტყეები სასოფლო-სამეურნეო სავრგულებად გარდაიქმნება. ინტენსიური მეცხოველეობა და მემცენარეობა, თავის მხრივ, გარემოზე უარყოფით გავლენას ახდენს. 24% დაბინძურების სწორედ გაუდაბურებასა და მიწის გარდაქმნაზე მოდის.

ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, ნაკელიდან და მეცხოველეობიდან მეთანის დაჭერა, სასუქების გონივრული გამოყენება, მეცხოველეობის პროდუქტების შემცირება ჩვენს დიეტაში, ადგილზე წარმოებული პროდუქტების პრიორიტიზება ყიდვისას მნიშვნელოვანია.

ტრანსპორტი – ტრანსპორტის გამოყენების ინტენსივობა და მასშტაბები გლობალიზაციასთან ერთად იზრდება, გარდა იმისა, რომ ტრანსპორტირება არის მნიშვნელოვანი დამაბინძურებელი, ის ქალაქების დაბინძურებაში წამყვან როლს თამაშობს. განვითარებულ ქვეყნებში ქალაქის დაბინძურებაში 30%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც განვითარებად ქვეყნებში ქალაქების დაბინძურებაში ტრანსპორტის წილი 70%-მდე იზრდება. აღნიშნული გამოწვეულია მეორეული ტრანსპორტით, დიზელზე მომუშავე მოძველებული ავტოპარკით, გაუმართავი საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

კლიმატის ცვლილების შედეგები გარემოზე

უკანასკნელ ათწლეულში კლიმატის ცვლილების ხილული შედეგები კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება და ბევრად უფრო სწრაფადც მიმდინარეობს. კლიმატის გავლენა მხოლოდ ლითოსფეროზე (ზედა მანტია და ქერქი, რაც დედამიწის მყარ საფარს შეადგენს) არ აღინიშნება. ატმოსფერო, ბიოსფერო და ჰიდროსფერო მნიშვნელოვნად ზარალდება კლიმატის ცვლილებით. ასევე ეს 4 სფერო დროში ურთიერთქმედებს და ქმნიან პედოსფეროს, ნიადაგს, რომელიც ხმელეთს გარს აკრავს და ამავედროულად, მისი ნაყოფიერება სიცოცხლეს განაპირობებს.

განვიხილოთ თითოეულ სფეროზე კლიმატის ცვლილების შედეგები:

ატმოსფეროს ცვლილებები

ატმოსფერო ჰაერის გარსია, რომელიც დედამიწას აკრავს. ტემპერატურა ინდუსტრიული რევოლუციიდან მოყოლებული იცვლება, რამაც ჯამურად 1 გრადუსი შეადგინა, ეს ცვლილებები კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და დამოკიდებულია სათბური ეფექტის მქონე აირების რაოდენობაზე. გარდა ტემპერატურის ცვლილების, შეიცვალა ტემპერატურული ანომალია, განსხვავება საშუალო წლიურ ტემპერატურასა და ტემპერატურის გრძელვადიან ცვლილებას შორის. ანომალიური ტემპერატურა სულ უფრო ხშირად აღინიშნება.

კლიმატის ცვლილების სამთავრობოთშორისო პანელის ვარაუდით, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 1300 მეცნიერი კლიმატის მიმართულებით კვლევებს აწარმოებს, ამ საუკუნეში ტემპერატურა 4,5 გრადუსით შეიცვლება. თუმცა ეს ცვლილებები ყველგან ერთნაირად არ მოხდება.

გლობალური ტემპერატურის მატებამ ინდუსტრიული რევოლუციიდან დღემდე 1^o შეადგინა, ყველაზე სწრაფი მატება უკანასკნელი 35 წლის მანძილზე შეიმჩნევა. 2010 წლიდან მოყოლებული ყოველი წელი იყო ისტორიის მანძილზე ყველაზე თბილი. ინტერაქტიული რუკა გვიჩვენებს ტემპერატურის ცვლილებებს 1884 წლიდან დღემდე და ეს ვიზუალიზაცია ადასტურებს ცვლილებების მასშტაბურობს <https://climate.nasa.gov/vital-signs/global-temperature/>

გვალვა და სითბური ტალღები, ესაა განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურა, რომელიც დღეებიდან კვირებამდე შეიძლება გაგრძელდეს. ნავარაუდევია, რომ ზაფხულში სითბური ტალღები ინტენსიური გახდება, ხოლო ცივი დღეების რაოდენობა ზამთარში შემცირდება. ტემპერატურის ანომალია, რომელსაც საშუალოდ 20 წელიწადში ერთხელ ჰქონდა ადგილი, ახლა ყოველ 2-3 წელიწადში იჩენს თავს.

ექსტრემალური მოვლენები, შტორმული ხასიათის ტროპიკული ქარების ინტენსივობა, სიხშირე, ხანგრძლივობა და სიძლიერე იზრდება მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან. გახშირდა მეოთხე და მეხუთე კატეგორიის ციკლონები. კლიმატის ცვლილებასთან ერთად ეს ცვლილებები კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება.

წყალდიდობები, წყალმოვარდნები, სითბური ტალღები, გვალვები, ხანძრები სულ უფრო ხშირად იჩენს თავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მათი რაოდენობა ორმაგდება. მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, ყოველწლიურად მოვლენების შედეგების აღმოფხვრაზე 500 მილიარდი აშშ დოლარი იხარჯება და 26 მილიონი ადამიანი ზარალდება.

მყინვარების დნობა მიმდინარეობს ანდეზში, ალასკაზე, ჰიმალაებში, კავკასიაში. მაგალითად, კლიმანჯაროს მთებზე ჩრდილოეთის მყინვარმა უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე 4 მილიონი მ³ ყინული დაკარგა, 2030 წლისთვის კი მთლიანად გაქრება.

ყინულის საფარის შემცირება არქტიკასა და ანტარქტიკაში – ნასას მკვლევრების მიერ შეგროვებული მონაცემებით, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე გრენლანდიამ 286 მილიონი მ³ ყინული დაკარგა, ანტარქტიკამ – 127, სამხრეთ ნახევარსფეროში გასამმაგდა დნობის ტემპი.

თოვლის საფარის შემცირება – ცვლის მცენარეული საფარის, ასევე სოფლის მეურნეობის ციკლებს და მთლიანად ეკოსისტემას. ამ თითქოს დადებითი ცვლილებისადმი ცოცხალ ბუნებას ადაპტაცია სჭირდება. ასევე იცვლება სითბური ბალანსი, რადგან თოვლით დაფარულ თეთრ საფარს მუქი, მისგან თავისუფალი ზედაპირი ანაცვლებს, რაც შთანთქმულ რადიაციას ზრდის და კიდევ უფრო მეტად ათბობს ატმოსფერულ ჰაერს. ჩრდილო ნახევარსფეროში ბოლო ათწლეულები თოვლი წინანდელზე ბევრად ადრე იწყებს დნობას. უთოვლო სეზონი ახლა უფრო მეტხანს გრძელდება ალასკაზე და სხვა ადგილებშიც. სათხილამურო კურორტები კარგავენ შემოსავლებს, სეზონი მოკლდება, მაგალითად, ბოლივიის კურორტი ჩაკატაია 2009 წელს დაიხურა.

ჰიდროსფეროს ცვლილებები

ჰიდროსფერო – წყალი, რომელიც დედამიწას აკრავს გარსს; წყალი 3 ფორმით გვხვდება – თხევადი, აიროვანი და მყარი.

წყლის ბრუნვას ქვია წყლის ბრუნვა/ციკკულაცია. წყალი ორთქლდება წყლის რეზერვუარებიდან და ხმელეთიდან, რის შემდეგაც ის კონდერსირდება და გადადის თხევად მდგომარეობაში და ისევ ნალექის სახით მოდის, მიწაში ჩაიჭონება ან ზედაპირზე გაივლის და მდინარეში, ზღვაში ან ოკეანეში ჩაედინება. ამ პროცესებს მუდმივი, განმეორებითი ხასიათი აქვს. ტემპერატურის მატება წყლის ბრუნვას შეცვლის.

წყლის ორთქლი თავისთავად სათბურის ეფექტის გაზია, ის შთანთქავს სითბოს და ათბობს ატმოსფეროს. წყალი მაღალი თბოშეკავებით გამოირჩევა. მას შეუძლია გააორმაგოს ნახშირორჟანგით გამოწვეული დათბობა. ასევე დათბობას მოჰყვება მეტი აორთქლება, აორთქლებას მეტი ნალექი, ნალექს მეტი სითბოს შეკავება და ა.შ. თუმცა, ნალექების მატებამ რიგ ადგილებში შეიძლება ტემპერატურა აღარ გაზარდოს.

ზღვის დონის მატებამ საუკუნის მანძილზე 8 ინჩი, ანუ 20 სანტიმეტრზე მეტი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ ყოველი ინჩის მატება წყლის 50-100 ინჩზე ხმელეთში შედწევას იწვევს. ამ საუკუნის ბოლომდე ოკეანის 1,3 მეტრით შემოადწევს სანაპირო ზოლში და ნიადაგს დამლაშება. ეს სანაპირო ზოლში მცხოვრებ მოსახლეობას დააზარალებს, მათ აყრას და გადასახლებას გამოიწვევს. ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზარალიც ძალიან მაღალი იქნება, რადგან პორტები, ძვირადღირებული კურორტები ზღვისპირას არის განლაგებული.

ოკეანის ტემპერატურის და მჟავიანობის ზრდა – ოკეანეებს აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია, შთანთქას ნახშირორჟანგი, რაც საერთო რაოდენობის 25%-ს შეადგენს. ოკეანეებში ზედაპირული ტემპერატურა გაიზარდა, რამაც გამოიწვია მათი მჟავიანობის ცვლილებაც. ნახშირორჟანგის რაოდენობის ზრდამ ატმოსფეროში გამოიწვია მჟავიანობის 30%-ით ზრდა. ოკეანეებში ეგზოჩონჩხის მქონე ორგანიზმები (კრაბები და ლობსტერები), ასევე მოლუსკები

და სხვა ნიჟარიანები, ისევე როგორც მარჯნის რიფები და მანგროს ტყეები მჟავიანობის შედეგად გადაგვარების წინაშეა, განსაკუთრებით განვითარების ადრეულ სტადიაზე, როდესაც მეტად მოწყვლადები არიან გარემო პირობებისადმი.

ორგანიზმების ნაწილს, როგორცაა ზღვის ბალახი და სხვა პლანქტონი ეს ცვლილებები გაუმჯობესებს საარსებო გარემოს, თუმცა მთლიანობაში მაინც შეიცვლება უარესობისკენ, ეკოსისტემა გადარიბდება.

მარადიული მზრალობის დნობა – მზრალობა მიწის ქვეშ რამდენიმე მეტრის სიღრმეზე გვხვდება. ეს მრავალი წლის განმავლობაში ყინულით გაერთიანებული ქვების, ნიადაგის, სედიმენტების ერთობლიობაა, რომელშიც ასევე მცენარეების და ცხოველების ნაწილებია შერეული, რომლებიც გახრწნამდე გაიყინა. სწორედ ამის გამო, მზრალობა 1500 მილიარდ ტონა ნახშირორჟანგს აკავებს, რასაც შეუძლია დნობის შემთხვევაში გააორმაგოს ატმოსფეროში მისი რაოდენობა. მზრალობა ჩრდილო ნახევარსფეროში ფარავს ხმელეთის 24%-ს, გვხვდება სიმაღლეებზე და მაღალ განედებში. განსაკუთრებით ახასიათებს ციმბირს, ტიბეტს, ჩრდილო კანადას, ალასკას, სკანდინავიას და გრენლანდიას. მზრალობის დნობა ჰაერში ზრდის ნახშირორჟანგის და მეთანის რაოდენობას, გარდა ამისა, იწვევს მის ზედაპირზე ინფრასტრუქტურის დაზიანებას.

ბიოსფეროს ცვლილებები

ბიოსფერო – ცოცხალი ბუნება დედამიწაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ნელა სწორედ ბიოსფერო იცვლება. მას მილიონობით წელი დასჭირდა ჟანგბადის რაოდენობის დაგროვებით სიცოცხლის გაჩენისთვის შეეწყო ხელი, რაც მცენარეთა რესპირაციის და ფოტოსინთეზის პროცესებს მოჰყვა. მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ მცენარეები და ცხოველები არეალს შეიცვლიან წინაცვლებენ მათთვის ხელსაყრელი კლიმატისკენ. ადაპტაციის მაღალი უნარის მქონე მცენარეები და ცხოველები გადარჩებიან, ხოლო სახეობების ნაწილი შეიძლება გადაშენდეს. კვერცხის დების და ყვავილობის სეზონიც იცვლება, რაც ასევე გარემოსთან ადაპტაციას საჭიროებს.

პედოსფეროს ცვლილება

პედოსფეროში დიდი ოდენობით ნახშირორჟანგია დაგროვილი, რაც მცენარეების დახმარებით ხდება. ნიადაგის დეგრადაცია და ტყეების გაკაფვა, ნიადაგის სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენების ფუნქციის შეცვლა იწვევს მის ეროზიას. ეროზია ასევე გაზრდილი შტორმული ხასიათის მეტეოროლოგიური მოვლენებით არის განპირობებული, ჭარბი ნალექები მას გადარეცხავს, გვალვები – აშრობს, ქარი კი მის გადატანას უწყობს ხელს.

კლიმატის ცვლილების შედეგები საზოგადოებაზე

კლიმატის ცვლილებებზე და მისი ურყოფითი გამოვლინებების შერბილების შესახებ ფიქრი კაცობრიობამ მას შემდეგ დაიწყო, რაც შედეგები სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე მძიმედ აისახა.

მაგალითად, **მყინვარის დნობა** აისახება იმ ადამიანებზე, რომლებიც მდინარის ხეობაში სახლობენ, ისინი წყალდიდობების და წყალმოვარდნების რისკის ქვეშ არიან. გაზრდილი წყლის მოცულობა ასევე ზრდის კაშხლების ნგრევის რისკს, რადგან დიდი მოცულობით წყალს შეუძლია დამბის კედელი გაარღვიოს. ამავდროულად, მყინვარის ბოლომდე

დადნობამ წყლის მიწოდება შეუძლია შეაფერხოს ან საერთოდ გააქროს, რაც მოსახლეობის ფართომასშტაბიან მიგრაციებს გამოიწვევს.

ზოგადად, დნობის მასშტაბი დამოკიდებულია ადამიანის მომავალ გონივრულ ქმედებებზე.

ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები შეიძლება იქცეს ბუნებრივ კატასტროფად, თუ დაზარალებული მოსახლეობა გარე დახმარების გარეშე ვერ მოახერხებს მის შედეგებთან გამკლავებას.

აღსანიშნავია, რომ კლიმატცვლილების შედეგად გეოფიზიკურ მოვლენებს (მიწისძვრა, მეწყერი და ვულკანის ამოფრქვევა), რაოდენობრივად მეტეოროლოგიურმა, ჰიდროლოგიურმა და კლიმატურმა მოვლენებმა გაუსწრო. საინტერესოა, რომ ადრეული შეტყობინების სისტემების დანერგვა-გაუმჯობესებით, მსხვერპლი შემცირდა, თუმცა გაიზარდა დაზარალებულების რაოდენობა და გავრცელების არეალი.

ექსტრემალური მოვლენების მიერ მიყენებული ზარალის დათვლა ეკონომიკისთვის რთულია. გაეროს მიერ ნაანგარიშებია, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ბუნებრივი კატასტროფების შედეგების აღმოფხვრაზე დაიხარჯა 2908 მილიარდი აშშ დოლარი, საიდანაც კლიმატით გამოწვეულ კატასტროფებზე 77%-ია დახარჯული.

ვარიაციები მდებარეობის, განვითარების, ასაკის, სქესის და განათლების მიხედვით

მოწყვლადობა ეს პოტენციური ზიანია, რაც შეიძლება მიიღოს ადამიანმა, ან საკუთრებამ ბუნებრივი კატასტროფული მოვლენის დროს. ბუნებრივ მოვლენებთან გამკლავების უნარს რეზისტენტულობას უწოდებენ. ბუნებრივი კატასტროფა ეწოდება ისეთ მოვლენას, რომლის შედეგებს, ადგილობრივ დონეზე, მოსახლეობა თავს ვერ ართმევს და დახმარება სჭირდება.

განვითარების მიხედვით განსხვავებები – განსაკუთრებული მოწყვლადობით გამოირჩევიან განვითარებადი ქვეყნები, რადგან მათ არ აქვთ საკმარისი თანხები, რომ წინ აღუდგნენ ბუნებრივ კატასტროფებს, გაზარდონ საკუთარი რეზისტენტულობა, შედეგებს გაუმკლავდნენ აღდგენა-რეაბილიტაციით. კლიმატცვლილება ზრდის დაავადებების რისკს, როგორებიცაა მალარია, დიარეა თუ ქოლერა. მათ მკურნალობას აქ არარსებული თანხები სჭირდება.

დონორ ქვეყნებში ასაკობრივი სტრუქტურა იცვლება და მოსახლეობა სიცოცხლის ხანგრძლივობის მატების ფეხდაფეხ ბერდება, მათ თანხების მიმართვა საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობისკენ სჭირდებათ, რის გამოც საერთაშორისო დახმარებებს ნაკლები ხმარდება.

ქვეყნების სიღარიბე ასევე ზრდის დალუპულთა რაოდენობას. ექსტრემალური მოვლენები ძირითადად მოსავალს ანადგურებს, რაც თვითკმარი სოფლის მეურნეობის პირობებში კიდევ უფრო ამძაფრებს შიმშილობის პრობლემას. ორივე ფართომასშტაბიან შიმშილობას ბოლო ათწლეულის განმავლობაში აფრიკაში, სომალის ნახევარკუნძულზე, ჰქონდა ადგილი. მოიცვა კენია, ეთიოპია და სომალი, ასევე შეეხო მეზობელ ქვეყნებსაც ჯიბუტსა და ერიტრეას. ექსტრემალური მოვლენები მოსახლეობის მიგრაციას იწვევს, სადაც უკეთესი ბუნებრივი

პირობებია და უკვე მოსახლეობა საუკუნეებია ტრადიციულად დასახლებულია. ამგვარი გადაადგილებები იწვევენ დამაბულობას და კონფლიქტებს.

ღარიბი მოსახლეობის 50% პასუხისმგებელია 10% დაბინძურებაზე, მაშინ როდესაც 10% მდიდარი 50% დაბინძურების გამომწვევია.

ადგილმდებარეობით განსხვავებაში იგულისხმება, თუ სად ცხოვრობს ადამიანი, სანაპიროსთან ახლოს მისი მოწყვლადობა იზრდება ზღვის დონის მატების, წყალთან დაკავშირებული შტორმული მოვლენების გამო, ასევე წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების გამო. ასევე, რაც უფრო ახლოსაა ადგილი ეკვატორთან, მით უფრო მეტია სითბური ტალღების და გვალვების ალბათობა. თუმცა მდიდარ ქვეყნებს უკეთესი შედეგების უნარი აქვთ, ასევე თანხები, რომ შედეგებს გაუმკლავდნენ.

ასაკის მიხედვითაც არის სხვაობა. 5 წლამდე ბავშვები და მოხუცები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან კლიმატცვლილებისადმი. ეს ჯგუფები უფრო რთულად იტანენ ექსტრემალურ ტემპერატურებს. ბავშვებს ასევე ვნებს მალარიის გადამტანი კოლოების არეალის გაფართოვება, დიარეის და სხვა დაავადებების გავრცელება. 160 მილიონზე მეტი ბავშვი გვალვის შესაძლო გავრცელების არეალში ცხოვრობს. 2013 წელს ციკლონი ჰაიანის დროს ფილიპინებზე დაღუპულთა 40% მოხუცები იყვნენ, აშშ-ში 2005 წელს კატრინასგან მსხვერპლის 50% ასევე მოხუცი იყო. იგივე შეიძლება ითქვას ევროპის სითბურ ტალღებზე 2003-ში, როდესაც მარტო პარიზში 4000 მოხუცი დაიღუპა, ეს მოხდა აგვისტოს თვეში, როდესაც ოჯახები არდადეგებზე იყვნენ გასულები და მოხუცები მზრუნველობის და თანადგომის გარეშე აღმოჩნდნენ.

სქესის მიხედვით სხვაობები – ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში 23%-ია, რაც მათ უზღუდავს შესაძლებლობას მიიღონ გადაწყვეტილებები, ასევე ქალები ნაკლებად ახერხებენ განათლების მიღებას, ისინი მამაკაცებზე 24%-ით ნაკლებს გამოიმუშავენ, შესაბამისად, მათი ეკონომიკური შესაძლებლობები ნაკლებია. ქალები ოჯახში მოხუცებსა და ბავშვებზე ზრუნავენ, ისინი მეტად არიან სახლს მიჯაჭვულები, რის გამოც, ევაკუაციის დროს, ნაკლები მობილურობი არიან, რაც ზრდის მსხვერპლს.

განათლების მიხედვით სხვაობა – განათლების სისტემის გაუმჯობესება მრავალი პრობლემის მოგვარების გზაა, მათ შორის კლიმატის ცვლილებისაც. რადგან განათლებულ მოსახლეობას მეტი წვდომა აქვს ინფორმაციაზე, ადრეულ შეტყობინებებზე და უსაფრთხოების წესებზე, ასევე მათი ჯანმრთელობასთან მიმართება გაუმჯობესებულია. კვლევებით დადასტურებულია, რომ განათლება იწვევს სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასაც. განათლება ასევე მეტ შემოსავალს ნიშნავს, რაც მეტი დაცულობის გარანტიას აძლევს ადამიანს.

მეტი განათლება 60%-ით შეამცირებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ მსხვერპლს.

კლიმატის ცვლილების დასაძლევად მიმართული საერთაშორისო ძალისხმევა

კლიმატის ცვლილების კონვენციაზე მსოფლიო საზოგადოება 1992 წელს შეთანხმდა, რაშიც განსაკუთრებული როლი კლიმატის ცვლილების სამთავრობოთშორისო პანელის მიერ

გამოქვეყნებულმა ანგარიშმა შეასრულა. უკვე 1994 წელს 197-მა მხარემ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. მხარეები ყოველწლიურ კონფერენციზე (COP) იკრიბებიან და თანხმდებიან ქმედებებზე, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო კიოტოს ოქმი, რომელიც მესამე კონფერენციაზე 1997 წელს მიიღეს (ძალაში 2005 წელს შევიდა). საინტერესოა, რომ კიოტოს ოქმმა 35 მდიდარ ქვეყანას დააკისრა ვალდებულება 5%-ით შეემცირებინათ გამონახოლქვი 1990 წლის მდგომარეობასთან შედარებით. განვითარებადი ქვეყნებისთვის ვალდებულებები არ დაუკისრებიათ. ქვეყნებს მიეცათ უფლება, თუკი მათი სათბურის ეფექტის გაზებით დაბინძურების ხარისხი კვოტაზე დაბალია, ევაჭრათ დაბინძურების კრედიტებით, ამით დაინტერესებულები იყვნენ ქვეყნები, რომლებსაც არ ჰქონდათ მაღალი გამონახოლქვი. კრედიტების მოპოვება ასევე კლიმატის ცვლილების ერთობლივი პროექტებით იყო შესაძლებელი. სწორედ აღნიშნული მიდგომების გამო, კიოტოს შედეგებს აფასებენ არაერთაზროვნად. ერთი მხრივ, ამაღლდა ინტერესი საკითხისადმი, ქვეყნებმა გარკვეულწილად გაითვალისწინეს ეს თემები, მეორე მხრივ კი, განვითარებული 35 ქვეყანიდან 10-მა დაბინძურება ვერ შეამცირა და კვოტების ყიდვით დააკმაყოფილა მოთხოვნები.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა დაიწყეს ემისიების შემცირება, მსოფლიოს სხვა ქვეყნებმა ამ პერიოდში დაბინძურება 53%-ით გაზარდეს.

2016 წელს პარიზის შეთანხმება ამოქმედდა, 2020 წელს სრულად ჩაანაცვლა კიოტოს პროტოკოლი. პარიზის ხელშეკრულება მიზნად ისახავს გაამლიეროს გლობალური ძალისხმევა კლიმატის ცვლილებების საფრთხეებზე და შეზღუდოს გლობალური ტემპერატურის ზრდა 2^o-მდე, საუკეთესო შემთხვევაში - 1,5^o-მდე. 2 გრადუსიდან ზემოთ ტემპერატურის ცვლილება საფრთხის შემცველ შედეგებამდე მიგვიყვანს, როგორც ამას კლიმატის ცვლილების სამთავრობოთშორისო პანელი გვაფრთხილებს.

ეროვნულ დონეზე განზრახული განსაზღვრული კონტრიბუცია არის ხელმომწერი ქვეყნების მიერ შედგენილი ეროვნული დონის ამოცანები, რაც 165 ქვეყანას უკვე მზად აქვს. ხშირ შემთხვევაში, ისინი მოიცავენ ადაპტაციის კომპონენტსაც. ასევე არსებობს შეთანხმება, რომ 5 წელიწადში ერთხელ, ხელმომწერი ქვეყნები წარადგენენ ანგარიშს გეგმის შესრულებაზე, დაწესდება მონიტორინგის სისტემა.

კიოტოს ოქმით განსაზღვრული პროცესებიდან განსხვავებით პარიზის ხელშეკრულება:

- ✓ შეეხება ყველა ქვეყანას, სათბური აირების შემცირებას მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს არ მოსთხოვს, რადგან ამ მიდგომამ განვითარებად ქვეყნებში გამონახოლქვი 53%-ით გაზარდა.
- ✓ კლიმატის ცვლილების ადაპტაციის გეგმების განხორციელება ასევე მრავალი ქვეყნისთვის გახდება მისაღწევი ამოცანა, რაც მათ მოამზადებს კლიმატის ცვლილებების შედეგებისადმი, რათა ხალხმა ნაკლებად იზარალოს.

მე რისი გაკეთება შემიძლია

- ✓ შეაგროვეთ ინფორმაცია კლიმატის ცვლილებაზე, მოაწყვეთ კლიმატის ცვლილებაზე მითების განხილვა ცნობიერების ასამაღლებლად.
- ✓ ჩაერთეთ პროექტებში კლიმატის ცვლილებაზე და გარემოს დაცვაზე.
- ✓ შექმენით პოსტერები, რომლებზეც გამოსახული იქნება კლიმატის ცვლილების ზემოქმედება. გაუზიარეთ ინფორმაცია თქვენზე პატარა მოსწავლეებს ჰაერის დაბინძურების და ჯანმრთელობის რისკების კავშირზე.
- ✓ მოიძიეთ და გაეცანით ხელოვნების ნიმუშებს, ლიტერატურას, სიმღერებს გარემოს დაცვაზე, იმსჯელეთ მათ გზავნილებზე.
- ✓ გააშენეთ ბაღი სკოლის შემოგარენში და აწარმოეთ კომპოსტი.
- ✓ მოიძიეთ ინფორმაცია და გააანალიზეთ, ისტორიის მანძილზე, როგორ ახერხებდა კაცობრიობა გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავებას; ასევე შეისწავლეთ ეკოლოგიასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნა ლოკალურად. იმსჯელეთ როგორ მისადაგება მდგრადი განვითარების მიზნებს.
- ✓ გამოიანგარიშეთ დღის განმავლობაში მოხმარებული საკვების მიერ გავლილი გზა და შეადარეთ ერთმანეთისას, ამისთვის ეწვიეთ აპლიკაციას <https://www.foodmiles.com/> . ამ მაჩვენებლების საფუძველზე გამართეთ მსჯელობა, თუ როგორ შეიძლება შეამციროთ გარემოზე უარყოფითი გავლენა, მაგ. ლოკალურად მოყვანილი საკვების მიღებით.
- ✓ შეიმუშავეთ კლიმატის ცვლილების შესარბილებელი ღონისძიებების ნუსხა და აქციით სამოქმედო გეგმად. მაგალითად,
 - ვიარო ფეხით და ველოსიპედით მეტი,
 - შევამცირო ნარჩენების რაოდენობა,
 - გადავამუშავო ყველა პროდუქტი, რაც შეიძლება არ გადაიყაროს,
 - დავზოგო ელექტროენერჯია, გამოვავართო ჩამრთველები,
 - დავგეგმო და მივიღო მონაწილეობა გარემოს გამწვანებაში, ხეების დარგვის კამპანიებში,
 - ვჭამო მეტი ადგილზე მოყვანილი პროდუქცია და შევამცირო ხორცპროდუქტების მიღება,
 - ვიყიდო პროდუქცია გონივრულად.

გამოყენებული ლიტერატურა:

მ. რატანი, შესავალი კლიმატის ცვლილებაში – პირველი და მეორე ნაწილები, 2019წ

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

- 1. ექსტრემალური ამინდების სიხშირე**
 - ა. არ უკავშირდება კლიმატის ცვლილებას
 - ბ. გაიზარდა
 - გ. დარჩა იგივე
 - დ. შემცირდა
- 2. რომელი გადაადგილების საშუალება არის უკეთესი გარემოსთვის? მოხაზეთ პასუხი რომელშიც საუკეთესოდან უარესამდე სწორი თანმიმდევრობაა მითითებული**
 - ა. საზოგადოებრივი ტრანსპორტით, პერსონალური ავტომობილით, ფეხით და ველოსიპედით სიარული, თვითმფრინავით
 - ბ. საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ფეხით და ველოსიპედით სიარული, თვითმფრინავით, პერსონალური ავტომობილით
 - გ. ფეხით და ველოსიპედით სიარული, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, პერსონალური ავტომობილით, თვითმფრინავით
 - დ. ფეხით და ველოსიპედით სიარული, პერსონალური ავტომობილით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, თვითმფრინავით
- 3. კლიმატის ცვლილების რომელი შედეგი ვერ მოხდება აფრიკის კონტინენტზე?**
 - ა. გვალვებისა და სითბური ტალღების გახშირებული რაოდენობა
 - ბ. ზღვის დონის მატება
 - გ. მარადიული მზრალობის დნობა
 - დ. მყინვარის დნობა
 - ე. წყალდიდობები და წყალმოვარდნები
- 4. პარიზის ხელშეკრულების მთავარი განმასხვავებელი კიოტოს პროტოკოლიდან არის**
 - ა. კიოტოს გაგრძელება, მათ შორის სხვაობები არ არის
 - ბ. მისი გავლენა ხორციელდება მდიდარ ქვეყნებზე
 - გ. მისი გავლენა ხორციელდება ღარიბ ქვეყნებზე
 - დ. მისი გავლენა ხორციელდება ყველა ქვეყანაზე
- 5. პარიზის ხელშეკრულების ფარგლებში ქვეყნებს ეკისრებათ შემდეგი ვალდებულებები**
 - ა. ანგარიშგება უნდა აწარმოონ დაბინძურებაზე
 - ბ. განვითარებული ქვეყნები დაეხმარებიან განვითარებად ქვეყნებს
 - გ. უნდა მიიღონ კლიმატის ცვლილების ადაპტაციის გეგმები
 - დ. ყველა პასუხი სწორია
- 6. დააკვირდით სქემას განსხვავებული ტემპერატურული მატებისას რა შედეგები შეიძლება დადგეს და უასუხეთ კითხვას: თუ პარიზის ხელშეკრულების მოლოდინები გამართლდა, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ შედეგს არ ექნება ადგილი? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი**

0*	1*	2*	3*	4*	5*	6*
საკვები	მოსავლის განადგურება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში					
	სიმაღლეზე და მაღალ განედებში სხვა კულტურული მცენარეების მოყვანის შესაძლებლობები			მოსავლის განადგურება განვითარებულ ქვეყნებში		
წყალი	მცირე მყინვარების დნობა და სასმელი წყლის შემცირება მოწყვლად რეგიონებში		წყლის მიწოდების მნიშვნელოვანი შემცირება ყველა მსხვილ რეგიონში		ზღვის დონის მატება, რაც უშუალოდ ზღვისპირა მთავარ ქალაქებს საფრთხეს უქმნის	
ეკოსისტემები	მარჯნის რიფების მნიშვნელოვანი შემცირება		სახეობების განადგურება, ბიომრავალფეროვნების შემცირება			
ექსტრემალური მოვლენები			მტორბული ხასიათის ექსტრემალური ამინდების ინტენსივობის ზრდა, ხანძრების, სითბური ტალღები, წყალდიდობების და წყალმოვარდნების სიხშირის და კატასტროფული ხასიათის ზრდა			
გამოსწორებელი ცვლილებები			გამოსწორებელი ფართომასშტაბიანი ცვლილებები ბიოსფეროში, ჰიდროსფეროში და ატმოსფეროში რეგენერაციის უნარის შესუსტების ან დაკარგვის გამო			

- ა. ბიოსფეროს ფართომასშტაბიანი ცვლილებები
- ბ. მარჯნის რიფების შემცირება
- გ. მოსავლის განადგურება ყველა რეგიონში
- დ. მცირე მყინვარების დნობა
- ე. სასმელი წყლის შემცირება ყველა რეგიონში
- ვ. ზღვის დონის მატება

7. რა ფაქტორებითაა განპირობებული კლიმატის ცვლილება

- ა. ანთროპოგენური
- ბ. ბუნებრივი
- გ. ბუნებრივი და ანთროპოგენური
- დ. კლიმატის ცვლილება მითია

8. მონიშნეთ სწორი დებულება

- ა. განვითარებადი ქვეყნები ბევრად უფრო დაზარალდება კლიმატის ცვლილებისგან, ვიდრე განვითარებული
- ბ. განვითარებული ქვეყნები ბევრად უფრო დაზარალდება კლიმატის ცვლილებისგან, ვიდრე განვითარებადი
- გ. ყველა ქვეყანა თანაბრად დაზარალდება კლიმატის ცვლილებისგან
- დ. ცვლილებები შეეხება მხოლოდ იმ ქვეყნებს, ვინც პარიზის ხელშეკრულების რატიფიცირება არ მოახდინა

9. ჭეშმარიტია თუ მცდარი დებულება: კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო პანელი ყველა ქვეყანამ უნდა შექმნას პარიზის ხელშეკრულების აღსრულების მონიტორინგისთვის

- ა. მცდარია
- ბ. ჭეშმარიტია

10. მონიშნეთ სწორი დებულება

- ა. განვითარებადი ქვეყნები არიან ყველაზე დიდი კონტრიბუტორები ატმოსფეროს დაბინძურებაში
- ბ. განვითარებული ქვეყნები არიან ყველაზე დიდი კონტრიბუტორები ატმოსფეროს დაბინძურებაში
- გ. ყველა ქვეყანა აქვს თანაბრი წილი ატმოსფეროს დაბინძურებაში
- დ. მხოლოდ ატმოსფერული ჰაერის მნიშვნელოვანად დამაბინძურებელ ქვეყნებს ეკისრებათ ვალდებულება ფინანსები განკარგონ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში

მდგრადი განვითარების მიზანი 14:
ოკეანეების, ზღვებისა და ზღვის რესურსების
კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება
მდგრადი განვითარებისათვის.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 14: ოკეანეების, ზღვებისა და ზღვის რესურსების
კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება მდგრადი განვითარებისათვის..... 182

რაში მდგომარეობს მიზნის არსი..... 182

ქვემიზნები მიზნისთვის „წყალქვეშა რესურსები“: 183

ფაქტები და მონაცემები: 184

ოკეანესთან დაკავშირებული პრობლემა და მათი მასშტაბები 186

ტერმინები..... 188

როგორ არის დაკავშირებული ოკეანე ჩვენს ჯანმრთელობასთან..... 189

კლიმატის ცვლილება და ოკეანეების პრობლემები..... 190

ოკეანის სიმდიდრის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები 190

რისი გაკეთება შეგვიძლია? 193

მე რისი გაკეთება შემიძლია?..... 193

გამოყენებული ლიტერატურა:..... 194

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია) 194

რაში მდგომარეობს მიზნის არსი

*მოხდეს ოკეანეების, ზღვების და მათი რესურსების კონსერვაცია და მდგრადად
გამოყენება*

მსოფლიოს ოკეანეები – მათი ტემპერატურა, ქიმიური შემადგენლობა, დინებები და სიცოცხლე წყალში კაცობრიობისთვის დედამიწას საცხოვრებლად მოსახერხებელ ადგილად ხდის. ჩვენი წვიმის წყალი, სასმელი წყალი, ამინდი, კლიმატი, სანაპირო ზოლი, ჩვენი საკვების დიდი ნაწილი და ჟანგბადიც, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ ზღვას უკავშირდება, რადგან ის მონაწილეობს წყლის წრებრუნვაში. მთელი ისტორიის განმავლობაში, ოკეანეები და ზღვები ვაჭრობისა და ტრანსპორტირებისთვის მნიშვნელოვან არხებს წარმოადგენდნენ.

ამ გლობალური რესურსის ფრთხილი და გონივრული მართვა მდგრადი მომავლის მთავარი წინაპირობაა. თუმცა, ამ დროისთვის, დაბინძურების გამო სანაპირო წყლების ხარისხის გაუარესება უწყვეტად ხდება და ოკეანის მჟავიანობის მომატება უარყოფით გავლენას ახდენს ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების ფუნქციონირებაზე. ეს ასევე უარყოფითად აისახება მცირე მასშტაბის თევზჭერაზე, რაზეც ზღვისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილია დამოკიდებული.

საჭიროა დაცული საზღვაო ტერიტორიების ეფექტურად მართვა და კეთილმოწყობა, მათი რაოდენობის და ფართობის გაზრდა. ამასთანავე, საჭიროა ჭარბი თევზჭერის, ზღვის დაბინძურების და ოკეანის მჟავიანობის შესამცირებლად შეიქმნას და დაცულ იქნას რეგულაციები.

ოკეანეები ჩვენი პლანეტის სიცოცხლის ხელშემწყობი და დამცავია. ის არეგულირებს გლობალურ კლიმატურ სისტემას. ზღვები და ოკეანეები მსოფლიოს უდიდეს ეკოსისტემას წარმოადგენს, სადაც სახლობს თითქმის მილიონი ცნობილი სახეობა და შეიცავს მეცნიერული აღმოჩენების უზარმაზარ გამოუყენებელ პოტენციალს. ოკეანეები და მეთევზეობა აგრძელებს გლობალური მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საჭიროებების მხარდაჭერას. ოკეანეების კონსერვაციას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, მიუხედავად ბოლო წლების ძალისხმევისა, ათწლეულების უპასუხისმგებლო ექსპლუატაციამ გამოიწვია დეგრადაციის საგანგაშო დონე. ამჟამინდელი ძალისხმევა ძირითადი საზღვაო გარემოს და მცირე თევზჭერის დასაცავად და ოკეანის მეცნიერებაში ინვესტიციისათვის გამოიყენება, თუმცა აქაც პროცესები ხარვეზებით მიმდინარეობს. კონსერვაციის და რეგულირების მასშტაბები ჯერ ვერ უზრუნველყოფს ამ უზარმაზარი, მაგრამ მყიფე რესურსის დაცვას. ადამიანთა აქტივობის მკვეთრი შემცირება, რაც გამოწვეული არის COVID19-ის კრიზისით, ოკეანეების გამოჯანმრთელების შანსია. ეს არის ასევე შესაძლებლობა, განვსაზღვროთ მდგრადი აღდგენის გზა, რომელიც უზრუნველყოფს საარსებო წყაროს ათწლეულების განმავლობაში ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიაში.

ქვემიზნები მიზნისთვის „წყალქვეშა რესურსები“:

- 2025 წლისთვის, თავიდან იქნას აცილებული და მნიშვნელოვნად შემცირდეს ყველა ტიპის საზღვაო დაბინძურება, მათ შორის, რაც გამოწვეულია მიწასთან დაკავშირებულ საქმიანობასთან.
- 2020 წლისთვის საზღვაო და სანაპირო ეკოსისტემების მდგრადი მართვა და დაცვა, რათა თავიდან იქნას აცილებული მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება; მათი მდგრადობის განმტკიცება და აღდგენის მიზნით ღონისძიებების განხორციელება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ჯანსაღი და პროდუქტიული ოკეანე.
- ოკეანის მჟავების ზემოქმედების მინიმიზაცია და მართვა, მათ შორის გაძლიერებული სამეცნიერო თანამშრომლობის მეშვეობით ყველა დონეზე.

- 2020 წლისთვის თევზის რეწვის ეფექტურად რეგულირება და ზომიერად მეტი, უკანონო, გაუცხადებელი და არარეგულირებული თევზჭერის და თევზჭერის მანეჟმენტის პრაქტიკის აღმოფხვრა, ასევე მეცნიერული საფუძვლის მქონე მართვის გეგმების განხორციელება იმისათვის, რომ აღდგეს თევზის მარაგი შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში, სულ მცირე ისეთ დონეზე, რომ შეიქმნას მაქსიმალურად მდგრადი რაოდენობა, როგორც საშუალებასაც იძლევა თევზების ბიოლოგიური მახასიათებლები.
- 2020 წლისთვის სანაპირო და საზღვაო ტერიტორიების მინიმუმ 10% -ის კონსერვაცია, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და საუკეთესო სამეცნიერო ინფორმაციის საფუძველზე.
- 2020 წლისთვის აიკრძალოს თევზის სუბსიდიების ისეთი ფორმები, რაც ხელს უწყობს გადაჭარბებულ თევზჭერას; აღმოფხვრას სუბსიდიები, რომლებიც იწვევს უკანონო, დაუსაბუთებელ და დაურეგულირებელ თევზჭერას და არ მოხდეს ახალი მსგავსი ტიპის სუბსიდიების დანერგვა; განხორციელდეს შესაბამისი მოპყრობა განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის, რაც უნდა გახდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული შეთანხმების განუყოფელი ნაწილი.
- 2030 წლისთვის გაიზარდოს მცირე კუნძულოვანი განვითარებადი ქვეყნებისა და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნების ეკონომიკური სარგებელი საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენების, თევზჭერის მდგრადი მართვის, აკვაკულტურისა და ტურიზმის მეშვეობით.
- სამეცნიერო ცოდნის ამაღლება, შესაძლებლობების განვითარება და საზღვაო ტექნოლოგიის გაუმჯობესება, სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისიის კრიტერიუმებისა და საზღვაო ტექნოლოგიების წესების გათვალისწინებით, რათა გაუმჯობესდეს ოკეანის მდგომარეობა და გაიზარდოს საზღვაო ბიომრავალფეროვნების წვლილი ნაკლებად განვითარებული და მცირე კუნძულოვანი განვითარებადი ქვეყნების განვითარებაში.
- უზრუნველყოფილი იქნეს მცირე ზომის მეთევზეთათვის საზღვაო რესურსებზე და ბაზრებზე ხელმისაწვდომობა.
- გაძლიერდეს ოკეანეების და მათი რესურსების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება UNCLOS- ში ასახული საერთაშორისო რეგულაციების დანერგვის მეშვეობით.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ ოკეანეები ფარავს დედამიწის ზედაპირის სამ მეოთხედს, მასში აკუმულირებულია არსებული წყლის მარაგის 97 პროცენტი.
- ✓ იზრდება ოკეანეების ზედაპირზე დაცული საზღვაო ტერიტორიების ფართობი, რაც საზღვაო ბიომრავალფეროვნების დაცვას უზრუნველყოფს. 9 ქვეყანას აქვს საჭირო ნორმები დაკმაყოფილებული - ოკეანეების 10% დაცული. ბოლო წლებში დაცული საზღვაო ტერიტორიების შექმნას მეტი ყურადღება ექცევა.

კლიმატის ცვლილება

- ✓ ოკეანეები შთანთქავს ადამიანის მიერ წარმოებული ნახშირორჟანგის დაახლოებით 30 პროცენტს, რაც ხელს უწყობს ატმოსფერული ჰაერის გაწმენდას და გაგრილებას. აფერხებს გლობალური კლიმატცვლილების გავრცელებას.
- ✓ ადამიანის საქმიანობიდან მიღებული ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის ზრდა იწვევს ოკეანის დათბობას, მჟავიანობის ზრდას და ჟანგბადის შემცირებას.
- ✓ 2100 წლისთვის ოკეანეების მჟავიანობის ზრდა 100-150%-ით არის ნავარაუდები, რაც ცოცხალი ორგანიზმების ნახევარს შეუქმნის საფრთხეს.
- ✓ ოკეანემ შთანთქა კლიმატის სისტემაში ჭარბი სითბოს 90 პროცენტზე მეტი, ამით შეანელა კლიმატის ცვლილების პროცესები, თუმცა ეს უარყოფითად აისახა თავად ოკეანეზე, მის წყალზე და ბინადრებზე.
- ✓ ოკეანის ტემპერატურა რეკორდულად მაღალ დონეზეა, რამაც გამოიწვია ფართოდ გავრცელებული პრობლემები, რაც შტორმული ხასიათის დღევანდელ იწვევს, ასევე ტემპერატურული კონტრასტები ტროპიკული შტორმების განმავლობაშიც არის. აღსანიშნავია, რომ ოკეანის თბილმა და ცივმა დინებებმა შესაძლებელია ჩვეული ციკლი იცვალონ.

ოკეანე და ხალხი

- ✓ სამი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს სანაპირო ზოლში, მათი საარსებო წყარო ოკეანის ბიომრავალფეროვნებაზეა დამოკიდებული.
- ✓ გლობალურად, ოკეანეების, ზღვის და სანაპირო ზოლში არსებული რესურსებისა და აქ მოქმედი მრეწველობის საბაზრო ღირებულება შეფასებულია 3 ტრილიონ აშშ დოლარად წელიწადში, რაც მშპ-ს დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენს.
- ✓ ზღვებსა და ოკეანეებში თევზის რეწვა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ასაქმებს 200 მილიონზე მეტ ადამიანს.
- ✓ სანაპირო წყლების ხარისხი უარესდება დაბინძურებისა და ევტროფიკაციის გამო. შეთანხმებული ძალისხმევების გარეშე, მოსალოდნელია, რომ 2050 წლისთვის ზღვის დიდი ეკოსისტემების 20 პროცენტში ევტროფიკაცია გაიზრდება.
- ✓ ზღვისა და სანაპიროების დაბინძურების დაახლოებით 80 პროცენტი წარმოიქმნება ხმელეთზე. დამაბინძურებლებს შორისა სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები, პესტიციდები, პლასტმასი და კანალიზაციიდან ჩანადენი წყალი.
- ✓ ადამიანები მთელს მსოფლიოში, ყოველწლიურად ყიდულობენ ერთ მილიონ პლასტმასის ბოთლს წყლითა და სხვადასხვა უაღკოპოლო თუ ალკოჰოლიანი სასმელით. მსოფლიოში ყოველწლიურად გამოიყენება 5 ტრილიონამდე ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი, ისინიც ნაგავსაყრელებსა და ოკეანეებში ასრულებენ სასიცოცხლო ციკლს. ოკეანის ზედაპირის 1 კვ.კმ-ზე 13 000 პლასტიკური ბოთლია განფენილი.
- ✓ დაახლოებით 680 მილიონი ადამიანი ცხოვრობს ზღვის დონეზე, ან სანაპირო ზოლში რომელიც ზღვის დონეზე დაბლა არის. ზღვის დონის მატებასთან ერთად ეს

ადამიანები რისკის ქვეშ აღმოჩნდებიან, რაც ამ საუკუნის შუა პერიოდისთვის არის მოსალოდნელი. გასამაგრებელ სამუშაოებს დიდი ფინანსური დანახარჯი სჭირდება.

- ✓ მდგრადი და კლიმატმედეგი ტრანსპორტი, მათ შორის საზღვაო ტრანსპორტი, არის მდგრადი განვითარების გასაღები. საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის დაახლოებით 80 პროცენტი ხორციელდება საზღვაო გზით, ხოლო პროცენტი კიდევ უფრო მაღალია განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისთვის.
- ✓ თევზის მდგრადი რეწვა სულ უფრო მზარდი ტენდენციაა, თუმცა ჯერ კიდევ მცირე კუნძულოვანი ქვეყნების რეწვის 1,55%-ს შეადგენს, ხოლო ღარიბი ქვეყნების 1,1%-ს.
- ✓ უკვე 97 ქვეყანას აქვს საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში ხელი მოწერილი არაკანონიერი, არალეგალური და დაურეგულირებელი თევზაობის აკრძალვაზე.

ოკეანესთან დაკავშირებული პრობლემა და მათი მასშტაბები

ოკეანე შთანთქავს ადამიანის საქმიანობით წარმოქმნილი ნახშირორჟანგის წლიური ემისიების დაახლოებით 30 პროცენტს და ეხმარება კლიმატის ცვლილების შემოქმედების შემსუბუქებაში. ოკეანემ ასევე შთანთქა კლიმატური სისტემის და ადამიანის მიერ შექმნილი ჭარბი სითბოს 90% -ზე მეტი. ოკეანის ტემპერატურა რეკორდულად მაღალ დონეზეა, რამაც გამოიწვია საზღვაო სითბური ტალღები, დაემუქრა მის მდიდარ ეკოსისტემებს და გამოიწვია მარჯნის რიფების ეკოსისტემების კვდომა. დედამიწაზე ბევრი უმდიდრესი ზღვის ეკოსისტემა გაერთფეროვდა დაკარგა ბიომრავალფეროვნება და მიზიდულობა. 2014 წელს დაფიქსირდა მარჯნის რიფების ყველაზე დიდი დანაკარგი, რომელიც სათბურის აირების გამოყოფით დამთბარმა ოკეანემ და მისი მქავიანობის ზრდამ გამოიწვია.

მსოფლიო ოკეანეებში ჩაშვებული ნარჩენების ზრდა ასევე ახდენს დიდ გარემოსდაცვით და ეკონომიკურ გავლენას. თითქოს თავდაპირველად ნარჩენების ოკეანეებში ჩაშვება იყო ეკონომიკურად იაფი საშუალება მათ ხმელეთიდან მოსაშორებლად. თუმცა ეს წინდაუხედავი ნაბიჯი კაცობრიობას უარყოფითად მოუტრიალდა. ყოველწლიურად, ოკეანეში ხვდება 5-დან 12 მილიონ ტონა პლასტმასამდე. მათი გამწმენდი სამუშაოები, ასევე ფინანსური ზარალი მეთევზეობაში და სხვა ინდუსტრიებში წელიწადში დაახლოებით 13 მილიარდი დოლარი ჯდება. ოკეანის ფსკერზე არსებული ნარჩენების 89% არის ერთჯერადი პლასტმასის ნივთები, როგორცაა პარკები თუ ბოთლები. ასევე მეორე საგანგაშო დამაბინძურებელი არის ტვირთბრუნვის შედეგად ტანკერებიდან ნავთობის ჩაღვრა, ასევე შელფურ და სანაპირო ზონებში ნავთობის მომპოვებელ ჭაბურღილებზე და მილებზე ტექნოგენური კატასტროფები. ნავთობის ჩაღვრას უზარმაზარი ზიანი მოაქვს ცოცხალი ბუნებისთვის, ასევე მისი გაწმენდა ძვირადღირებულია.

ნავთობის ჩაღვრა კომპანია “ექსონვალდესის” ტანკერიდან (1989 წლის 24 მარტი) კატასტროფის შედეგად ალიასკის რაიონის მახლობლად დაიღვარა უზარმაზარი რაოდენობის ნავთობი, რამაც გამოიწვია 2092 კილომეტრიანი სანაპირო ხაზის დაბინძურება. გამოუსწორებელი ზიანი მიაღწია ეკოსისტემას და დღესაც კი არ არის ის აღდგენილი. 2010

წელს აშშ-ს მთავრობამ განაცხადა, რომ ზიანი მიაღწა 32 სახეობის გარეულ ცხოველსა და ფრინველს, რომელთაგან მხოლოდ 13 სახეობის აღდგენა მოხერხდა.

დასვენების მრავალ ზონაში არ არის გადაწყვეტილი ტერიტორიების სანიტარული დასუფთავების საკითხი, ნარჩენებს ნაპირზე მარხავენ, ყრიან ბუნებრივ ღრმულებში ან ტოვებენ ადგილზე. მსოფლიო ოკეანის ზედაპირზე მცურავი ნაგვის 90% პლასტმასაა. გაეროს მონაცემებით, ჯერ კიდევ 2 წლის წინ ოკეანის ყოველ კვადრატულ მილზე თითქმის 46 ათასი პლასტმასის ფრაგმენტი მოდიოდა. ზოგიერთ რაიონში კი პლასტმასის მასა 6-ჯერ აღემატება ბუნებრივი პლანქტონის მასას. ადამიანის მიერ ყოველწლიურად წარმოებული 300 მლნ ტონაზე მეტი პლასტმასის დაახლოებით 10% ოკეანეში ხვდება, ამ რაოდენობის 70% კი ოკეანის ფსკერზე გროვდება და იქაურ ეკოსისტემებს ანადგურებს. ნაგვის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია ხილული და ოკეანის ზედაპირზე ტივტივებს

1997 წელს ჩარლზ მურმა წყნარ ოკეანეში მოტივტივე ნაგვის უზარმაზარი გროვა აღმოაჩინა. აქ დინებების საშუალებით მთელი მსოფლიოდან მოგროვებული ნაგავი იყრის თავს და ქმნის „ნაგვის კუნძულს“. კუნძული ჰენდერსონია – უდიდესია პიტკერნის ოთხ კუნძულს შორის. ის დიდი ბრიტანეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. კუნძული ჰენდერსონი იმდენად მომორებულია დანარჩენ სამყაროს, რომ იშვიათად მხოლოდ მეცნიერები თუ სტუმრობენ. კუნძულის სანაპიროებზე გამორიყულია მილიონობით პლასტიკური ნარჩენი. დაბინძურების დონე იმდენად მაღალია, რომ მსგავსი მასშტაბის შემთხვევა მეცნიერებს სხვაგან არსად უანახავთ.

ეს ერთგვარი „მსოფლიოს სანაგვეა“ და ეს განპირობებულია არა ადგილობრივი მოსახლეობის უდიერი მოპყრობით, არამედ ახლოს მცურავი სამხრეთამერიკული გემების დანატოვარით. სანაპიროზე ნარჩენების მოგროვებას კი ტალღები უწყობს ხელს. ამას გარდა დინებების საშუალებით სხვადასხვა ქვეყნის ნარჩენები, რომლებიც ოკეანეში აღმოჩნდება, მიემართება ამ კუნძულისკენ.

დინებათა მორევმა ერთდროულად ორი ნაგვის გროვა წარმოქმნა, რომლებიც ცნობილია როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ წყნაროკეანური ნაგვის მონაკვეთები, ხოლო ერთად ზოგჯერ დიდ წყნაროკეანურ ნაგავსაყრელსაც უწოდებენ. ამ ტერიტორიის აღმოსავლეთი მონაკვეთი ჰავაის კუნძულებსა და კალიფორნიას შორის მდებარეობს და ფართობით 2-ჯერ აღემატება ტეხასის შტატს, ხოლო დასავლეთი ნაგავსაყრელი იაპონიის აღმოსავლეთითაა. მაგრამ არ იფიქროთ, რომ მათ წარმოქმნაში მხოლოდ იაპონელები და ჰავაიელები არიან დამნაშავეები: დიდ წყნაროკეანურ ნაგავსაყრელს ჩვენი პლანეტის პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა ქმნის. ამ დინების სუბტროპიკული ზონები 6 ათას კილომეტრზე ვრცელდება და მთელ წყნარ ოკეანეში აგროვებს ნაგავს.

კუნძულ ჰენდერსონზე დაახლოებით 37,7 მილიონი სხვადასხვა სახის ნაგავია – თევზსაჭერი ბადეები, პლასტმასები, კბილის ჯაგრისები, საპარსები და სხვა. კუნძულ ჰენდერსონის პლაჟების ყოველ კვადრატულ მეტრზე 671 პლასტიკური ნარჩენია, რაც დაბინძურების სიმჭიდროვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მთელ მსოფლიოში. ჯამში კუნძულზე გამორიყულია 17 ტონა პლასტიკური ნარჩენი; ამას ყოველდღიურად 3570-ზე მეტი პლასტმასის ახალი ნარჩენი ემატება. შედეგად, სრულიად დაუსახლებელი ჰენდერსონი,

რომელიც თითქოს ბუნებრივი, ხელუხლებელი ატოლი უნდა იყოს, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ადგილია.

ამ კუნძულის გარდა, კიდევ ოთხი უდიდესი ნაგვის გროვაა წყნარ, ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებში. 2040 წლისთვის მსოფლიო ოკეანეში დამატებით 1,3 მილიარდი ტონა პლასტიკატის ნარჩენები აღმოჩნდება.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის დაახლოებით 80% მოდის სანაპირო ზონებზე. საზღვაო ტურიზმის ინდუსტრია იზრდება \$ 134 მილიარდით წელიწადში. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ინდუსტრია უკვე შეადგენს სამუშაო ძალის მესამედს. ტურიზმი თუ საგულდაგულოდ არ იმართება, შეუძლია სერიოზული საფრთხე შეუქმნას ბუნებრივ რესურსებს, რომელზედაც იგი დამოკიდებულია. ამის უამრავი მაგალითია, თუ როგორ გაუკაცრიელდა ერთ დროს ცნობილი საზღვაო კურორტი ოკეანის დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. მაგალითად, ზაფხულში სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლორიდაში ტემპერატურის მატებამ, ტოქსიკური წყალმცენარეების ზრდას შეუწყო ხელი, რის გამოც სასტუმროები და სანაპიროები დაცარიელდა.

ტერმინები

ეგტროფიკაცია - წყლის ბინადრებში ბიოგენური ელემენტების დაგროვება ანთროპოგენური და ბუნებრივი ფაქტორების მეშვეობით. საწყის სტადიებზე იწვევს წყლის აუზების ბიოლოგიური პროდუქციულობის გაზრდას, შემდეგ კი ჟანგბადის პროგრესირებად უკმარისობას და აქედან გამომდინარე, ცოცხალი ორგანიზმების მასიურ დაღუპვას.

მსოფლიო ოკეანე - დედამიწის ოკეანეებისა და ზღვების ერთობლიობა, რომელთა წყლები ყველა კონტინენტისა და კუნძულების გარემომცველ უწყვეტ ოკეანოსფეროს ქმნიან. რიგ წყაროებში ოკეანე ოთხია - წყნარი, ატლანტის, ინდოეთის და ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე. თუმცა მსოფლიო ჰიდროლოგიური საზოგადოება მეხუთე ოკეანეს, სამხრეთის ოკეანესაც გამოყოფს, რომელიც ს.გ. 60 გრადუსის სამხრეთით მდებარეობს.

დაცული საზღვაო ტერიტორიები - (Marine Protected Areas - MPA) მოიცავს ბუნებრივი ტერიტორიების დამცავ მართვას წინასწარ განსაზღვრული მართვის მიზნების შესაბამისად. დაცვის და კონსერვაციის საფუძველი შეიძლება არაერთი მიზეზის გახდეს, მათ შორის ეკონომიკური რესურსები, ბიომრავალფეროვნების დაცვა და სახეობების დაცვა.

წყლის წრებრუნვა - მზის ენერჯიაზე, დედამიწის როტაციაზე და გაბატონებულ ქარებზეა დამოკიდებული. მზე ახურებს ოკეანის ზედაპირს და დედამიწის ზედაპირზე არსებულ სხვა წყლებს, რისი მეშვეობითაც თხევად აგრეგატულ მდგომარეობაში მყოფი წყალი ორთქლდება და ორთქის სახით კავდება ატმოსფეროში, რის შემდეგაც ატმოსფეროში არსებული წყლის ორთქლი დრუბლებად კონდენსირებს და, საბოლოოდ, ატმოსფერული ნალექების, ანუ წვიმის ან თოვლის, სახით კვლევ დედამიწაზე ბრუნდება. ამის შემდეგ მას რამდენიმე გზა აქვს: იგი შესაძლოა, კვლავ აორთქლდეს, იდინოს დედამიწის ზედაპირზე ან მიწაში ჩაიჭონოს.

კონსერვაცია - დედამიწის ბუნებრივ რესურსებზე (ჰაერი, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეები, ნიადაგი, წყალი, ფლორა და ფაუნა) ზრუნვა და მათი დაცვა მომავალი

თაობებისთვის შენარჩუნების მიზნით. იგი მოიცავს სახეობების, ჯიშებისა და ეკოსისტემების მრავალფეროვნების შენარჩუნებას. კონსერვაცია ადამიანის მიერ ბუნების მდგრად გამოყენებას ისახავს მიზნად ისეთი საქმიანობებისთვის, როგორცაა ნადირობა, ხე-ტყის დამზადება, სამთო მოპოვება.

როგორ არის დაკავშირებული ოკეანე ჩვენს ჯანმრთელობასთან

ოკეანის ეკოლოგიური მდგომარეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს ჯანმრთელობასთან. საინტერესოა, რომ ოკეანე დიდი ხანია იძლევა რესურსებს ადამიანების გამოსაკვებად, ასევე წამლების დასამზადებლად. იუნესკოს თანახმად, ოკეანის სიღრმეში აღმოჩენილი ბაქტერიები გამოიყენება COVID 19-ის წინააღმდეგ სწრაფი ტესტირების ჩასატარებლად. ოკეანეში ნაპოვნი სახეობათა მრავალფეროვნება ფარმაცევტულ პროდუქტს ადგილს გლობალურად და უზრუნველყოფს ცილით მოსახლეობის 50% -ზე მეტს განვითარებულ ქვეყნებში.

თუ ოკეანის წყლის ხარისხზე არ ვიზრუნებთ თევზებში და სხვა სახეობებში შეიძლება აღმოჩნდეს მაღალი შემცველობა მავნე მინარევების, რაც შემდგომში მათი საკვებად გამოყენებისას ადამიანის ჯანმრთელობასაც შეარყევს.

მინამატას დაავადება

1908 წელს, იაპონიის ქალაქ მინამატაში ქიმიური ქარხანა გაიხსნა. თავდაპირველად კომპანია „ჩისო“ მხოლოდ მინერალურ სასუქებს აწარმოებდა. ნედლეული კი, რისი დამუშავებაც ხდებოდა მინერალი „კინოვარი“, იგივე „სინგური“ გახლდათ. ქარხნის პროდუქციაზე მაღალი მოთხოვნილება იყო. დროთა განმავლობაში კომპანია გაფართოვდა და ახალი, მათ შორის აცეტილენის, აცეტალდეჰიდის, ძმარმჟავისა და ქლორეთილენის წარმოებები დაიმატა. რა თქმა უნდა, დამსაქმებლებმა წარმოებული პროდუქციის ქიმიური შემადგენლობა და მისი უარყოფითი თვისებების შესახებ ყველაფერი კარგად იცოდნენ, დამუშავების ტექნოლოგიასაც საუკეთესოდ ფლობდნენ; ამიტომ, არც თვითონ და არც იქ დასაქმებულები არ იწამლებოდნენ. აცეტალდეჰიდის წარმოებაში რეაქციის დასაჩქარებლად, კატალიზატორად ვერცხლისწყლის სულფატი გამოიყენებოდა. ნარჩენებად დარჩენილი ვერცხლის წყლის გაუვნებელყოფას ცალკე სახსრები სჭირდებოდა, ამიტომ მათ იოლი გზა მოძებნეს და იქვე ახლოს, მინამატას ყურეში ღვრიდნენ წარმოების ნარჩენებს. ეს გრძელდებოდა 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. შედეგად მოიწამლა წყალი, შემდეგ წყალმცენარეები და შემდეგ უკვე თევზებიც. ქალაქ მინამატას მოსახლეობა თავს მეთევზეობით ირჩენდა და მათი კვების რაციონში ძირითად საკვებს თევზი და ზღვის პროდუქტები წარმოადგენდა. 1956 წლის 21 აპრილს ქალაქ მინამატას საბავშვო კლინიკაში პატარა გოგონა მიიყვანეს ცენტრალური ნერვული სისტემის აშლილობის ნიშნებით. თავდაპირველად ის ინფექციურ დაავადებად მიიჩნიეს. შემდგომმა შესწავლებლა აჩვენა კავშირი ოკეანის წყლების დაბინძურებასა და დაავადებას შორის. მიზეზის დადგენის შემდეგ მკვლევარების ყურადღების ცენტრში მაშინვე მოექცა ქარხანა "ჩისო". თავად კომპანიის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინა ოკეანეში ჩაშვებულ წყლებში ტყვიის, ვერცხლისწყლის,

მანგანუმის, დარიშხანის, სელენისა და თალიუმის მაღალი შემცველობა. თუ რომელი მეტალი გახდა მოწამვლის მიზეზი, მის დადგენაში დიდი წვლილი მიუძღვის ბრიტანელ ნევროლოგს დუგლას მაკ-ოლპაინს. სწორედ, მან აღნიშნა ვერცხლის წყლის ორგანული ნაერთებით მოწამვლასა და მინამატას ავადმყოფობის სიმპტომების მსგავსებაზე.

ამ უცნობ დაავადებას მოგვიანებით „მინამატას დაავადება“ ეწოდა. მალე გაირკვა, რომ მინამატას მცხოვრებთა უმეტესობას იგივე დაავადება ჰქონდათ. ჯამში, ქარხნის დახურვამდე 2000 ადამიანი დაიღუპა.

კლიმატის ცვლილება და ოკეანეების პრობლემები

მსოფლიო ოკეანეში მიმდინარე ცვლილებები:

ზღვის დონის აწევა - თანამედროვე კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლენა ფიზიკურ დონეზე არის გლობალური ზღვის დონის აწევა. ეს მოვლენა წარმოადგენს არქტიკის ყინულის ფენების დნობის და მყინვარების დნობის ბუნებრივ შედეგს. 1901-დან 2012 წლამდე ზღვის დონემ აიწია 0.199 მ-ით. ზღვის დონის აწევის სიჩქარე მე-19 საუკუნის შუა წლებიდან აქამდე, მაღალი სანდობით, აჭარბებს წინა ორ ათასწლეულში არსებულ სიჩქარეს.

მომატა ოკეანის წყლის ტემპერატურამ - მსოფლიო ზღვის დონის აწევა დაკავშირებულია ოკეანის გათბობასთან. ზედა ფენის 75 მ წყლის მასის ტემპერატურა განსაკუთრებით სწრაფად იმატებს და ეს ტემპი შეადგენს 0.11°C ყოველ ათწლეულში.

მჟავიანობის მომატება - ოკეანე იღებს გაფრქვეული ნახშირორჟანგის დიდ წილს, რაც იწვევს მისი მჟავიანობის მომატებას. ოკეანის ზედაპირული წყლების pH შემცირდა 0.1-ით, რაც შეესაბამება მჟავიანობის მომატებას 26%-ით, წყალბადის იონის კონცენტრაციის გაზომვებზე დაყრდნობით. მჟავიანობა კი საფრთხეს უქმნის კალციფიცირებულ ორგანიზმებს და მათ ზრდას უშლის ხელს, მათ შორის, მარჯუნის რიფებს, მოლუსკებს, კრაბისნაირებს და სხვა.

მარილიანობის ცვლილებები - (დიდი სანდობით) მაღალი სიმლაშის რეგიონები, სადაც აორთქლება ძლიერია, ხდება უფრო მლაშე, ხოლო დაბალი მარილიანობის რეგიონები, სადაც ნალექები მძლავრობს, უფრო მტკნარი გახდა 1950-იანი წლებიდან. არის რეგიონული განსხვავებები, გამომდინარე გეოგრაფიული და სხვა თავისებურებებიდან. მაგალითად, განსაკუთრებით ძლიერად ზღვის დონის აწევა იგრძნობა კუნძულოვან ქვეყნებში, რომლებიც, მარტივად რომ ვთქვათ, იძირებიან, რადგან ზღვა ყოველწლიურად შთანთქავს სულ უფრო და უფრო მეტ ტერიტორიას.

ოკეანის სიმდიდრის გამოყენების სამართლებრივი ასპექტები

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე ოკეანის სიმდიდრე საერთო სარგებლობის იყო. ზღვისპირა სახელმწიფოების ტერიტორიული უპირატესობას წარმოადგენდა, რომ სანაპიროდან არაუმეტეს სამ საზღვაო მილის ფარგლებში აკვატორიაც მის მფლობელობაში ითვლებოდა. ფორმალურად, ეს კანონი დაცული იყო, თუმცა სინამდვილეში ბევრმა ქვეყანამ

თავისი პრეტენზიები ზღვის უფრო დიდ ტერიტორიებზე გააფართოვა და მოიცვა სანაპიროდან ბევრად უფრო დიდი აკვატორია. ბევრი სახელმწიფოსთვის მის მფლობელობაში არსებულ აკვატორიაში შეჭრა განიხილებოდა როგორც მისი სუვერენიტეტის და საზღვრების დარღვევა.

ტერიტორიული წყლები საზღვაო ზოლია, რომელიც აკრავს სახელმწიფოს ნაპირებს და რომელზედაც ვრცელდება ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტი. სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავისი ტერიტორიული წყლების სიგანეს საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით დამკვიდრებული ზოლის ფარგლებში (3-დან 12-მდე საზღვაო მილი), რომელიც აითვლება ზღვის უკიდურესი მიქცევის ხაზიდან. საქართველოს ტერიტორიულ წყლებს მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

1982 წელს გაეროს ეგიდით ჩატარდა საზღვაო რეგულაციებზე კონფერენცია. იგი განიხილა მსოფლიო ოკეანის მთავარ პრობლემებს. მრავალდღიანი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ ოკეანე კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობაა. თუმცა ზღვისპირა მდებარეობის მქონე ქვეყნებს მიეცათ უფლება 3-12 მილის ფარგლებში განესაზღვრათ ტერიტორიული წყლები. ასეთმა გაყოფამ საერთო სარგებლობაში არსებული ოკეანის ფართობი შეამცირა. ოკეანის ღია ნაწილს საერთაშორისო სამართალი ცნობს, როგორც ღია, ნეიტრალურ წყლებს, სადაც თევზჭერა, ტრანსპორტირება, კვლევა, წვრთნები ნებადართულია ყველა ქვეყნისთვის. ფსკერი, მისი მინერალები და ეკონომიკური რესურსები გამოცხადდა საერთო საკუთრებად. ტერიტორიულ წყლებად ამ სივრცის დაყოფის შემდეგ შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც არეგულირებდა სანაპირო ეკონომიკური ზონების გამოყენებას.

მინერალების მოპოვება ხორციელდება სანაპირო შელფურ ზონაში, რაც ქვეყნის სარგებლობაშია. განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება გაზის, ნავთობპროდუქტების მოპოვება, ბოლო წლებში დაიწყო ქარის ტურბინების დადგმაც. საწვავი რესურსების წყალში მოპოვება მის დაბინძურებას საფრთხეს უქმნის, რადგან საკმაოდ ხშირია ტექნოგენური კატასტროფები. შელფური ზონები ასევე მოიცავს მარილის, იშვიათი ლითონებისა და სხვა წიაღისეული რესურსების უზარმაზარ მარაგებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოპოვება საკმაოდ ძვირადღირებულია და მათი ფართომასშტაბიანი მოპოვება ძირითადად მომავლის საქმეა. სწორედ, საერთაშორისო სამართალმა უნდა დაარეგულიროს ის, რომ სასარგებლო წიაღისეული რესურსების მოპოვება მოხდეს გარემოს დაცვითი კომპონენტების გათვალისწინებით.

ოკეანეების დაცვის მექანიზმი - დაცული საზღვაო ტერიტორიები

დაბინძურება, ჭარბი თევზაობა და კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის მსოფლიო ოკეანეებს. სწორედ, ამიტომ მეცნიერები და კონსერვაციის პეციალისტები ცდილობენ შექმნან ბიომრავალფეროვნებით მდიდარ ადგილებში დაცული საზღვაო ტერიტორიები, რითიც არა მხოლოდ დაიცავენ ბუნებას, არამედ რეზერვაციებში მათ აღდგენასაც შეუწყობენ ხელს. აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიებს ჯერ ძალიან მცირე ადგილი უჭირავს და საერთო

ზედაპირის მხოლოდ 1,89%-ს შეადგენს, IUCN-ის ცნობით. მიზანი დიდია და ქვეყნებისგან მხარდაჭერას მოითხოვს, რადგან უახლოვეს პერიოდში 10%-ს უნდა ასცდეს დაგეგმილი ფართობი.

1970 წლიდან მოყოლებული, ჭარბმა თევზაობამ, დაბინძურებამ და კლიმატის ცვლილებამ თევზის რაოდენობა გაანახევრა. წყლის ზედაპირის ტემპერატურა რეკორდულად მაღლა იწევს. ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ წყლის მჟავიანობა 30%-ით გაიზარდა. არადა, ოკეანეები ჩვენს მიერ გამოყოფილი ნახშირბადის ემისიებისა და ნახშირორჟანგის 30%-ს შთანთქავენ.

აშშ-ში შედარებით მაღალი მაჩვენებელია და რუზველტის დროიდან მოყოლებული 1200-ზე მეტი დაცული საზღვაო ტერიტორია არის ამ მიზნისთვის გამოყოფილი და შესწავლილი. ეს ქვეყნის წყლების დაახლოებით მეოთხედია. დაცული ტერიტორიების უმრავლესობაში გარკვეული ტიპის თევზების (თუ ისინი იშვიათ და საფრთხის წინაშე მდგომ სახეობებს არ წარმოადგენენ) მოპოვება მდგრადად, რეგულაციების და ლიმიტების გათვალისწინებით მაინც ნებადართულია.

პრეზიდენტმა ობამამ ჩრდილო-დასავლეთ ჰავაის დაცული ტერიტორია გაზარდა ოთხჯერ (1,5 მილიონ კვ/კმ-მდე). ამ ზონაში მხოლოდ რეკრეაციული და საარსებო მიზნებით არის თევზაობა დაშვებული. აქ გვხვდებიან გადაშენების პირას მყოფი ლურჯი ვეშაპები და ჰავაის სელაპები; უმაღლესი მტაცებლებიდან – თინუსი და ზვიგენები. ასევე, წარმოდგენილია მარჯნის რიფები, რომლებიც მიიჩნევა, რომ დედამიწაზე ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობენ და ყველაზე ჯანსაღი პოპულაციაა. ისინი, სავარაუდოდ, გლობალურ დათბობასაც გადაურჩებიან.

განსაკუთრებით რთულია ხალხისა და პოლიტიკოსების დარწმუნება, რომ სანაპიროებსა და ოკეანეებსაც დაცვა სჭირდებათ: სამწუხაროდ, ზღვების და ოკეანეების დასაცავად ცნობიერება უფრო დაბალია, რადგან ვერ ხერხდება ადამიანისთვის ხილულად ამ პრობლემის დანახვა. ყველას არ აქვს საშუალება ეწვიოს ამ ადგილებს, ჩაყვინთოს სპეციალური აღჭურვილობებით და შეისწავლოს დროში ცვლილება და სახეობათა დანაკარგები. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზები, რის გამოც წყალქვეშა სტრატეგიული ადგილების დაცვას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, არის ის, რომ პრობლემები ხშირად უხილავია.

ეს ცვლილებები, შესაძლოა, ვერც დავინახოთ, მაგრამ დაცული საზღვაო ტერიტორიები დაარსების შემდეგ ეფექტი სულ უფრო მეტად ვლინდება. მიუხედავად ამისა, ოკეანე დღემდე ბიომრავალფეროვნების საგანძურია და მყარდება მოსაზრება, რომ ამგვარი მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაცვა ზრდის გლობალური დათბობისადმი ელასტიკურობასა და უკვე დაკარგულის აღდგენის შესაძლებლობასაც კი აჩენს.

რისი გაკეთება შეგვიძლია?

ღია ოკეანისა და ღრმა ზღვის რაიონებისთვის მდგრადობის მიღწევა დაუცველი ჰაბიტატების დასაცავად შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდით. მთავრობებმა უნდა შეძლონ დაცული საზღვაო ტერიტორიების ყოვლისმომცველი, ეფექტური და თანაბრად მართული სისტემების ჩამოყალიბება ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად და სათევზაო ინდუსტრიის მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად. ადგილობრივ დონეზე, ჩვენ ყიდვისას უნდა გავაკეთოთ ოკეანეებისთვის ნაკლები ზიანის მომტან პროდუქციაზე არჩევანი. ოკეანეებიდან თევზჭერისას უნდა მოვიპოვოთ მხოლოდ ის, რაც გვჭირდება. ჩვენ მაქსიმალურად უნდა აღმოვფხვრათ ერთჯერადი პლასტმასის გამოყენება და მოვაწყოთ სანაპიროების გაწმენდა. რაც მთავარია, ჩვენ შეგვიძლია გავავრცელოთ გზავნილი იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ზღვის ცხოვრება და რატომ გვჭირდება მისი დაცვა.

საჭიროა ოკეანის მდგომარეობის მუდმივი კონტროლი, რაგან, მისი თვისებრივი გამოლევა არაერთ პრობლემას შექმნის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რიგ არიდულ ქვეყნებში ოკეანის მარილიანი წყლის დისტრილაციის შედეგად საყოფაცხოვრებო მოხმარებაში გამოყენებადი ხდება, რაც სასლელი წყლის დეფიციტი შემთხვევაში იმედის მომცემია. თუმცა ამისთვის მნიშვნელოვანია ოკეანის და ზღვის წყლების დაბინძურება მინიმუმამდე შემცირდეს.

მე რისი გაკეთება შემიძლია?

- ✓ მოიძიოთ ინფორმაცია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ზღვის ეკოსისტემას იცავენ და შესთავაზოთ მოხალისედ ჩართვა, თუნდაც დასუფთავების აქციებში.
- ✓ არ იყიდოთ მარჯნისგან, ნიჟარებისგან, მარგალიტებისგან დამზადებული სამკაულები.
- ✓ ჭამეთ ადგილზე მოყვანილი პროდუქცია და მდგრადი თევზჭერისგან დაჭერილი ზღვის პროდუქცია.
- ✓ გამოიყენეთ ნაკლები ერთჯერადი პლასტმასა ან საერთოდ თქვით მასზე უარი, რადგან ის ზღვის მთავარი დამაბინძურებელია.
- ✓ მოიპოვეთ მეტი ინფორმაცია საზღვაო კანონმდებლობის, ხელშეკრულებების და კონვენციების შესახებ ინფორმაცია და ნახეთ რა შეგიძლიათ მათ დასაცავად გააკეთოთ.
- ✓ ჩართეთ სარეცხი და ჭურჭლის მანქანა მხოლოდ მაშინ, როცა ის სავსეა, რომ აარიდოთ ჩამდინარე წყლებში სარეცხი საშუალებების ჭარბი მოხვედრა.
- ✓ გახდით პასუხისმგებელი დამსვენებელი და შეისწავლეთ, თუ როგორ შეგიძლიათ ტურისტის როლში გარემოს ნაკლები ზიანი მიაყენოთ.
- ✓ წაიკითხეთ, გაეცანით დოკუმენტურ ფილმებს ზღვაზე და ოკეანეზე, მათ პრობლემებზე და მოაწყვეთ დისკუსიები, რათა ამაღლდეს ცნობიერება მათ დასაცავად.

გამოყენებული ლიტერატურა:

<https://nationalgeographic.ge/story/okeaneebis-gadasarchenad/>

https://el.ge/articles/project_tasks/articles/task/535823

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

170 daily actions to transform our world, 2019

<https://sdg.gov.ge/goals-all>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

- დედამიწის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან (7,8 მილიარდი ადამიანი) რამდენია უშუალოდ დამოკიდებული ოკეანეების რესურსებზე?
 - 1 მილიარდი
 - 3 მილიარდი
 - 5 მილიარდი
 - ყველა
- ზღვის დათბობა და მყინვარების დნობას შემდეგი შედეგი ექნება
 - გაიზრდება სანაპირო ზოლი და ტურიზმი მეტ შემოსავალს მოიტანს
 - ზღვის ფართობი მოიმატებს, რაც მეტ შესაძლებლობას გულისხმობს
 - მეტ ადამიანს ექნება უკეთესი ამინდით ტკბობით საშუალება
 - მცირე კუნძულოვანი სახელმწიფოები გაქრობის საფრთხის წინაშე დადგებიან
- ყოველწლიურად რამდენია ოკეანეების მიერ შთანთქმული ნახშირორჟანგის მოცულობა
 - 5-15%
 - 16-25%
 - 26-35%
 - 36-45%
- ჭეშმარიტია თუ მცდარი დებულება: აკვატორიის 10-11% უნდა იყოს დაფარული დაცული საზღვაო ტერიტორიებით
 - მცდარია
 - ჭეშმარიტია
- რას გულისხმობს ფაქტი, რომ ზღვისა და ოკეანეების დაბინძურების დაახლოებით 80 პროცენტი წარმოიქმნება ხმელეთზე. მონიშნეთ ყველა სწორი დებულება
 - რომ პლასტმასას გამოყენების შემცირებით, შეგვიძლია უკეთ დავიცვათ ოკეანის წყლები

ბ. რომ საკანალიზაციო სისტემებში გამფილტრი ნაგებობების გამართვით შეგვიძლია უკეთ დავიცვათ ოკეანის წყლები

გ. რომ სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისას პესტიციდების და ქიმიკატების შემცირებით შეგვიძლია უკეთ დავიცვათ ოკეანის წყლები

გ. რომ ტურისტების რაოდენობის შემცირებით შეგვიძლია უკეთ დავიცვათ ოკეანის წყლები

6. მარჯნის რიფების განადგურების ხელშემწყობი წამყვანი ფაქტორია

ა. ზვიგენების პოპულაციის ზრდა, რომელიც საკვებად მარჯანს იყენებს

ბ. მჟავიანობის და ტემპერატურის მატება

გ. მყვინთავების მიერ ამკრძალავი რეგულაციების დარღვევა

დ. საიუველირო ინდუსტრიაში მარჯნის გამოყენება

7. მონიშნეთ ყველა სწორი დებულება

ა. კუნძული ჰენდერსონი ცნობილი საზღვაო კურორტია

ბ. ნარჩენები დინებით ათასობით კილომეტრზე გადაიტანება

გ. ოკეანეებს აბინძურებს ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრები მოსახლეობა

დ. საერთაშორის სამართალი არ ცნობს ოკეანის პრობლემებს, რადგან ის მხოლოდ ხმელეთზე მოქმედებს

8. რამ დაადასტურა ჯანმრთელობის პრობლემების და ოკეანის დაბინძურების მჭიდრო კავშირი

ა. კვებით ჯაჭვში ვერცხლის წყლის მოხვედრით ადამიანების დალუპვამ იაპონიაში

ბ. ნავთობის ჩაღვრის შედეგად დალუპულთა რაოდენობამ

გ. ტურიზმი ყველა შემთხვევაში ჯანმრთელობას უწყობს ხელს

დ. ტურისტები, რომლებიც ზღვის ხარისხს უგულვებელყოფენ, ხშირად ხდებიან ავად

9. რა პარამეტრები იცვლება ოკეანეში კლიმატის ცვლილების შედეგად? მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი

ა. მატულობს ზღვის დონე

ბ. მჟავიანობა იმატებს

გ. ნარჩენების მოცულობა იმატებს

დ. ზედაპირული ტემპერატურა იმატებს

ე. ყველა პასუხი სწორია

10. ოკეანეები წარმოადგენენ კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას, რა იგულისხმება, მონიშნეთ ყველა სწორი პასუხი


ა. ოკეანეების ღია წყლების გამოყენება თევზსაჭერად ყველა ქვეყანას შეუძლია, მიუხედავად იმისა, ზღვისპირა მდებარეობა აქვს თუ არა

ბ. წიაღისეული რესურსების მოპოვება შელფურ ზონაში ყველა ყვეყანას შეუძლია

გ. ტერიტორიული წყები იგივეა, რაც ნეიტრალური წყლები

დ. ტერიტორიული წყლები აღიარებული უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში

მდგრადი განვითარების მიზანი 15:
 ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა
 და მდგრადი გამოყენება, ტყის მდგრადი
 მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ
 ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება
 და აღდგენაგაუმჯობესება,
 ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 15: ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენაგაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება..... 196

რაში მდგომარეობს მიზნის არსი?..... 196

ქვემიზნები მიზნისთვის დედამიწის ეკოსისტემები:..... 197

ფაქტები და მონაცემები: 198

ტერმინები..... 201

ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები..... 202

ტყეების ეკოსისტემა და მათი დაკარგვა?..... 202

რას ნიშნავს ნიადაგის დეგრადაცია? 204

როგორ მოქმედებს გარემოს დეგრადაცია ჩვენს ჯანმრთელობაზე? 205

რისი გაკეთება შეგვიძლია? 206

მე რისი გაკეთება შემიძლია 207

გამოყენებული ლიტერატურა..... 208

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია) 208

რაში მდგომარეობს მიზნის არსი?

ტყეების მდგრადი მართვა, გაუდაბნობასთან ბრძოლა, მიწის დეგრადაციის შეჩერება და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის შეჩერება, რაც დაიცავს ხმელეთის ეკოსისტემებს და მათ აღდგენას შეუწყობს ხელს.

ტყეები ფარავს დედამიწის ზედაპირის 30,7 %-ს, ის უზრუნველყოფს ადამიანებს თავშესაფრით, საკვებით, საშენი მასალით, მედიკამენტების კომპონენტებით და რაც მთავარია ჟანგბადით. ტყეები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მკვიდრი/აბორიგენი მოსახლეობის სახლების უზრუნველყოფის მთავარი სისტემაა. ტყეების დაცვით ჩვენ ასევე შევძლებთ ბუნებრივი რესურსების მართვის გაძლიერებას და მიწის პროდუქტიულობის გაზრდას.

ამჟამად, ყოველწლიურად ცამეტი მილიონი ჰექტარი ტყე იკარგება, ხოლო, მიწის მუდმივმა დეგრადაციამ უკვე განაპირობა 3.6 მილიარდი ჰექტარის გაუდაბნობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ხმელეთის 15% დაცვის ქვეშაა, ბიომრავალფეროვნება მაინც საფრთხეშია. ადამიანის აქტივობით და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ტყის განადგურება და გაუდაბნობა მდგრადი განვითარებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს, რომელმაც იმოქმედა მილიონობით ადამიანის სიცოცხლესა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდა ტყეების მართვისთვის და გაუდაბნობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამჟამად, არსებობს მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ხელს უწყობენ რესურსების გამოყენების რეგულირებას. ასევე, ბიომრავალფეროვნების მხარდასაჭერად გათვალისწინებულია ინვესტიციები.

ჰაერი, რომელსაც ვსუნთქავთ, წყალი, რომელსაც ვსვამთ, საკვები, რომელსაც ვჭამთ - სწორედ ტყეებში იღებს სათავეს. ხმელეთის სახეობების 80% ტყეებში ბინადრობს (ცხოველები, მცენარეები და მწერები). თუმცა, ბიომრავალფეროვნება უფრო სწრაფად იკლებს, ვიდრე კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ სხვა დროს ჰქონია ადგილი. გლობალურად, დედამიწის ხმელეთის ერთი მეხუთედი (2 მილიარდ ჰექტარზე მეტი) დეგრადირებულია. პრობლემის მასშტაბი რომ უკეთ წარმოვიდგინოთ, ეს ინდოეთისა და რუსეთის ფედერაციის ფართობია ერთად აღებული. მიწის დეგრადაცია საფრთხის ქვეშ აყენებს 3 მილიარდზე მეტი ადამიანის კეთილდღეობას, რაც სახეობების გადაშენებას და კლიმატის ცვლილების გააქტიურებას იწვევს. ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემების მომსახურება, რომელსაც იგი ემყარება, ასევე შეიძლება იყოს კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და კატასტროფის რისკის შემცირების სტრატეგიის საფუძველი. სწორედ ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებით ხდება შესაძლებელი გაიზარდოს ადამიანების მედეგობა კლიმატის ცვლილების გავლენისადმი.

ქვემოწინები მიზნისთვის დედამიწის ეკოსისტემები:

- 2020 წლისთვის საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნას მიწისზედა და შიდა მტკნარი წყლების ეკოსისტემების კონსერვაცია, აღდგენა და მდგრადი გამოყენება.

- 2020 წლისათვის ყველა სახის ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა, გაუდაბნოების შეჩერება, დეგრადირებადი ტყეების აღდგენა და ტყის ხელოვნური და ბუნებრივი განახლება გლობალური მასშტაბით.
- 2030 წლისთვის განხორციელდეს გაუდაბნოებასთან ბრძოლა, მოხდეს დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, რაც დაზიანდა გაუდაბნოების, გვალვისა და წყალდიდობების შედეგად; მოხდეს ნიადაგის დეგრადაციის არმქონე მსოფლიოს ფორმირება.
- 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნას მთის ეკოსისტემების კონსერვაცია, მათი ბიომრავალფეროვნების ჩათვლით, რათა გაიზარდოს მათი შესაძლებლობები იმ სარგებლის მიღების მიზნით, რაც აუცილებელია მდგრადი განვითარებისათვის.
- დაუყოვნებელი და მნიშვნელოვანი ზომების მიღება ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაციის შესამცირებლად, ბიომრავალფეროვნების დაკარგვის შესაჩერებლად და 2020 წლისთვის გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული სახეობების დაცვა და მათი გადაშენების თავიდან აცილება.
- ხელი შეეწყოს გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიან და თანასწორუფლებიან განაწილებას; ხელი შეუწყოს ამგვარი რესურსების ხელმისაწვდომობას, საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.
- დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებები ფლორისა და ფაუნის ბრაკონიერული მოპოვების აღკვეთის მიმართულებით; გაკონტროლდეს აღნიშნული პროდუქტების არალეგალური მოთხოვნა და მიწოდება.
- 2020 წლისთვის შემოდებული იქნეს ზომები ინვაზიური უცხო სახეობების გაჩენისა და მათი ნეგატიური ეფექტის მინიმიზების მიმართულებით, როგორც მიწის, ასევე წყლის ეკოსისტემებზე.
- 2020 წლისთვის მოხდეს ეკოსისტემასა და ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ღირებულებების ინტეგრირება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე.
- მოხდეს ფინანსური რესურსების ყველა შესაძლო წყაროს მობილიზება და მოცულობის მნიშვნელოვნად ზრდა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის კონსერვაცია და შენარჩუნება.
- მობილიზებული იქნეს რესურსები ყველა წყაროდან და ყველა დონეზე მდგრადი ტყის მენეჯმენტის დასაფინანსებლად და განვითარებადი ქვეყნებისათვის ადეკვატური სტიმულების შესაქმნელად, რომ მოხდეს მსგავსი ტიპის მენეჯმენტის დანერგვა, ტყის რესურსების კონსერვაცია და აღდგენა.
- გააქტიურდეს გლობალური მხარდაჭერა დაცული სახეობების ბრაკონიერული მოპოვების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, მათ შორის, გაიზარდოს ადგილობრივი თემების შესაძლებლობები ალტერნატიული საარსებო საშუალებების მოპოვების უზრუნველსაყოფად.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ ხმელეთის 2 მილიონი ჰექტარი მიწა უკვე დეგრადირებულია, რაც მილიონობით სახეობისთვის გადაშენების საფრთხის შემქმნელია და 3,2 მილიარდი ადამიანისთვის პრობლემის გაღრმავების მომასწავლებელია. პრობლემას დამატებით ამძაფრებს კლიმატის ცვლილება.
- ✓ 113 ქვეყნის მხოლოდ მესამედი აღმოჩნდა, ვინც მიაღწია ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს.
- ✓ ადამიანთა საქმიანობამ შეცვალა დედამიწის ზედაპირის თითქმის 75 პროცენტი. ველური ბუნება დარჩა მხოლოდ 25%-ში, მასშტაბის ასე შემცირებამ გაზარდა ზოონოზური დაავადებების რისკი, როგორცაა COVID-19, ებოლა და სხვა.
- ✓ ცხოველებს შეეზღუდათ საარსებო სივრცე, ამის გამო მეტი შემხებლობა აქვთ ადამიანებთან. ის ვირუსები, რომლებიც ცხოველებში ცირკულირებდა ახლა ბევრად ადვილად გადადის ადამიანებზე, რაც იწვევს ახალ, აქამდე უცნობი ინფექციური დაავადებების გავრცელებას.

ტყეები

- ✓ დაახლოებით 1.6 მილიარდი ადამიანის სიცოცხლე საარსებო წყაროს ტყე და მისი რესურსები წარმოადგენს, მათ შორის არის 70 მილიონი ადგილობრივი, მკვიდრი, აბორიგენი ხალხი.
- ✓ ტყეებში ბინადრობს ცხოველების, მცენარეებისა და მწერების ხმელეთის ყველა სახეობის 80 პროცენტზე მეტი, რაც მის ბიომრავალფეროვნებაზე მიუთითებს.
- ✓ 2010 -დან 2015 წლამდე მსოფლიოში 3.3 მილიონი ჰექტარი ტყის ფართობი დაიკარგა. სოფლად მცხოვრები ღარიბი ქალები განსაკუთრებით დამოკიდებული არიან ამ რესურსებზე და შესაბამისად ამოწურვა მათ კიდევ უფრო მეტად გაღარიბებას შეუწყობს ხელს. შეშა მათთვის საწვავია, ხოლო ტყეში მოგროვილი რესურსები, ძირითადი საკვების წყარო.
- ✓ ამჟამად, ნიადაგის დეგრადაციამ შეამცირა პროდუქტიულობა და მოიცვა ხმელეთის ტერიტორიის 23 პროცენტი, რამაც საფრთხის წინაშე დააყენა 235-577 მილიარდ აშშ დოლარის წლიური მოსავლის აღება. ამ პრობლემის მასშტაბებს ზრდის პოლინატორების (მაგ., ფუტკარი) დაკარგვის საფრთხე, რომლებიც ქიმიკატებს და პესტიციდებს ეწირებიან. დამტვერვის გარეშე მცენარეები მოსავალს ვერ მოგვცემენ.
- ✓ ტყეები ძირითადად ეწირება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ექსტენსიურ (ფართობის გაფართოვება) ზრდას, რადგან მოსახლეობის გაზრდილ რაოდენობას მეტი საკვები სჭირდება, სოფლის მეურნეობის ინტენსიური (იგივე ფართობზე ტექნოლოგიების, ირიგაციის და სხვა მექანიზმებით მოსავლიანობის ზრდა) ზრდისთვის კი ღარიბ ქვეყნებს საკმარისი სახსრები არ აქვთ. ყოველწლიურად 2010 წლიდან მოყოლებული 10 მილიონი ჰექტარი ტყეების იკარგება.

გაუდაბნობა

- ✓ შეფასებებით სახნავ-სათესი მიწის დანაკარგი ისტორიულ მაჩვენებელს 30-35-ჯერ ჩამორჩება.

- ✓ გვალვისა და გაუდაბნოების გამო ყოველწლიურად 12 მილიონი ჰექტარი იკარგება (23 ჰექტარი წუთში). ამ დაკარგულ მიწებზე ერთ წელიწადში შეიძლება 20 მილიონი ტონა მარცვლეულის მოყვანა.
- ✓ ღარიბთა 74 პროცენტი პირდაპირ არის დამოკიდებული ნიადაგის ნაყოფიერებაზე და უშუალოდ ზარალდება ნიადაგის დეგრადაციით.
- ✓ ჰაბიტატის დაკარგვა და მისი ხარისხის გაუარესება დიდწილად გამოწვეულია ადამიანის ქმედებებით. ქმედებებმა შეამცირა ხმელეთის ჰაბიტატი 30 პროცენტით საწყის დაუზიანებელ მაჩვენებელთან შედარებით.

ბიომრავალფეროვნება

- ✓ ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შემცირება 50%-ით ამბიციური და შეუსრულებელი აღმოჩნდა 2020 წლისთვის. IUCN-ის წითელი ნუსხის მიხედვით 31 ათასი სახეობა, რაც 116 ათასი საერთო რაოდენობის 27%-ია, გადაშენების საფრთხის წინაშეა
- ✓ ველური ბუნების უკანონო მოხმარება და ბრაკონიერობა ართულებს კონსერვაციის მცდელობებს და მთლიანად ჩაშლის პირას აყენებს მას. ცხოველთა და მცენარეთა არალეგალურ ვაჭრობას ადგილი აქვს 120 ქვეყანაში, რაც დაახლოებით 7000 სახეობის შენარჩუნებას უშლის ხელს.
- ✓ ჩვენთვის ცნობილი ცხოველების 8300 ჯიშიდან 8 პროცენტი გადაშენებულია და 22 პროცენტი კი გადაშენების საფრთხის წინაშეა.
- ✓ ჩვენთვის ცნობილი ხეების 80 000 სახეობიდან 1 პროცენტზე ნაკლებია შესწავლილი პოტენციური გამოყენებისთვის.
- ✓ თევზი დაახლოებით 3 მილიარდი ადამიანისთვის უზრუნველყოფს ცხოველური ცილის 20 პროცენტს. მხოლოდ ათ სახეობაზე მოდის ჯამური თევზჭერის დაახლოებით 30 პროცენტი, ეს 10 სახეობა წარმოებული აკვაკულტურის დაახლოებით 50 პროცენტია.
- ✓ ადამიანის დიეტის 80 პროცენტზე მეტი უზრუნველყოფილია მხოლოდ სამი მარცვლეული კულტურით - ბრინჯი, სიმინდი და ხორბალი. ეს 3 მცენარე უზრუნველყოფს მოხმარებული ენერჯის 60 პროცენტს.
- ✓ განვითარებადი ქვეყნების სოფლად მცხოვრები ადამიანების 80 პროცენტი სამკურნალოდ ტრადიციულ ცოდნას და მცენარეულეებზე დაყენებულ საშუალებებს იყენებს.
- ✓ მიკროორგანიზმები და უხერხემლოები ეკოსისტემის ფუნქციონირების მთავარი გასაღებია, ისინი კვებითი ჯაჭვის საფუძველია. მათი წვლილი ჯერ კიდევ ცუდად არის შესწავლილი და ნაკლებად აღიარებული.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ დაცული ტერიტორიები ახლა მოიცავს ხმელეთის 15 პროცენტს და აკვატორიის 7 პროცენტს, ისინი ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან ადგილებს მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავენ. ჯერ კიდევ არ არის სრულად დაცული ტერიტორიების ქსელით სახეობები, რომლებიც გადაშენების საფრთხის წინაშეა. არსებული ქსელები ყოველთვის ეფექტურად ვერ უზრუნველყოფენ ეკოსისტემების დაცვას, რაც არასათანადო მენეჯმენტს უკავშირდება.

ტერმინები

გაუდაბნობა - მიწის დეგრადაცია არიდულ, სემიარიდულ და მშრალ სუბჰუმიდურ ტერიტორიებზე. დეგრადაცია შესაძლოა გამოწვეული იყოს კლიმატური და სხვა ბუნებრივი ფაქტორებით, მაგრამ ადამიანის საქმიანობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ამ პროცესზე. ჩვეულებრივ, ეს ხდება მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, ინტენსიური მიწათმოქმედებისა და ძოვების გამო. გაუდაბნობის შედეგად მცირდება (იკარგება) ბიომრავალფეროვნება, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერება ქვეითდება. მრავალფეროვანი ბუნებრივი ეკოსისტემები იცვლება ერთგვაროვანი (ერთი დომინანტი მრავალწლოვანი სახეობის შემცველი) ეკოსისტემით.

ბიომრავალფეროვნება - სიცოცხლის ფორმების ნაირსახეობა მოცემულ ეკოსისტემაში, ბიომში ან მთელ დედამიწაზე. ბიომრავალფეროვნება ხშირად გამოიყენება, როგორც ბიოლოგიური სისტემების ჯანმრთელობის საზომი. გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში. ცოცხალ ორგანიზმთა მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში.

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (International Union for Conservation of Nature; **IUCN**) — არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ბუნების კონსერვაცია / დაცვა. დაარსდა 1948 წლის ოქტომბერში საფრანგეთში. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს შვეიცარიის ქალაქ გლანდიში. კავშირი აერთიანებს მსოფლიოს 82 ქვეყანას, 111 სამთავრობო უწყებას, 800 არასამთავრობო ორგანიზაციას და მსოფლიოს 181 ქვეყნის 10 000 მეცნიერსა და ექსპერტს.

ეკოსისტემა - ცოცხალ ორგანიზმთა თანასაზოგადოება და ის ფიზიკური გარემო, სადაც ისინი არიან დასახლებულნი.

კონსერვაცია - მომავალი თაობებისთვის შენარჩუნების მიზნით დედამიწის ბუნებრივ რესურსებზე (ჰაერი, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეები, ნიადაგი, წყალი, ფლორა და ფაუნა) ზრუნვა და მათი დაცვა. იგი მოიცავს სახეობების, ჯიშებისა და ეკოსისტემების მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

ნიადაგის დეგრადაცია - პროცესი, რომლის შედეგად ნიადაგი კარგავს ადრე დაგროვილ ორგანულ ნივთიერებებს, რის შედეგადაც ნიადაგი კარგავს ნაყოფიერებას.

ჰაბიტატი - ადგილი ან გარემო, სადაც მცენარე ან ცხოველი ბუნებრივად იზრდება და ცხოვრობს.

პოლინატორები - სასარგებლო მწერები, რომლებიც მინდვრებისა და ბაღების განუყოფელი ნაწილი არიან. ზოგიერთი სასარგებლო სახეობა მავნებლების გაკონტროლებასაც უწყობს ხელს. მათ გარეშე დეკორატიული თუ საკვები მცენარეების დამტვერვა ვერ მოხდება.

ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები

ბიომრავალფეროვნება სხვადასხვა ეკოსისტემის, ამ ეკოსისტემებში არსებული ცოცხალი ორგანიზმების სახეობების, ამ სახეობების ერთიანობას წარმოადგენს, რომელთანაც ადამიანის კეთილდღეობა მჭიდრო კავშირშია. დედამიწაზე არაფერია ისე კომპლექსური, დინამიური და მრავალფეროვანი, ვიდრე ამ ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობა, ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი ძირითადი საფრთხეებია: საბინადრო გარემოს განადგურება, დეგრადაცია და ფრაგმენტაცია; ჭარბი მოპოვება; უცხო სახეობების შემოყვანა; დაბინძურება და კლიმატის ცვლილება. ჰაბიტატების რღვევისა და მზარდი, არარეგულირებული მოხმარების გამო, მცენარეების და ცხოველების მრავალი სახეობა გადაშენების ზღვარზეა მისული.

მათ შორის, ცხოველთა 135 სახეობა და 4 ქვესახეობა და მცენარეთა 56 სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. ამასთან, საქართველოში გავრცელებულ ხერხემლიან ცხოველთა 44 სახეობა გლობალურად გადაშენების პირას მყოფია და შეტანილია IUCN-ის წითელ ნუსხაში, როგორც მოწყვლადი, გადაშენების პირას მყოფი ან გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა. ინტენსიური მოვება განიხილება ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რაც, ძირითადად, ეხება საქართველოს მაღალმთიანეთის სუბალპურ და ალპურ საძოვრებს და საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის არიდულ ეკოსისტემებს.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ეფექტურ ინსტრუმენტს დაცული ტერიტორიების დაარსება წარმოადგენს. ამჟამად საქართველოში სხვადასხვა კატეგორიის 56 დაცული ტერიტორიაა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის სულ 7.3%-ს ფარავს (ევროპაში დაცულ ტერიტორიებს საშუალოდ 18%-ი უკავია). დაცული ტერიტორიების სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის განვითარება; ნაკლოვანია დაცული ტერიტორიებთან დაკავშირებული კანონმდებლობა - ის, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიის ძირითადი ფუნქციის - ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების - რეალიზებას. საქართველოს დაცული ტერიტორიებიდან დღეს მხოლოდ სამს გააჩნია მართვის გეგმა - სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს ყოველდღიური საქმიანობა ამ ტერიტორიებზე. საქართველოს დაცულ ტერიტორიებს არაადეკვატურად მწირი დაფინანსება გააჩნიათ. ეს, სხვა პრობლემებთან ერთად, განაპირობებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და აღდგენის სამუშაოების არასაკმარისობას.

ტყეების ეკოსისტემა და მათი დაკარგვა?

დღესდღეობით ტყის საფარი დედამიწაზე არსებული ხმელეთის მესამედს შეადგენს და იგი პლანეტისთვის ყველაზე უფრო ორგანულ ადგილს წარმოადგენს, რომლის მიღმაც უამრავი ცოცხალი არსება ბინადრობს. ყოველწლიურად ადამიანები მილიონობით ჰექტარ მიწას ითვისებენ, რაც საბოლოო ჯამში, ტყის საფარის მნიშვნელოვნად შემცირებაში გამოიხატება. ნადგურდება ეკოსისტემები, რის შედეგადაც სიცოცხლეს წყვეტს უამრავი ცოცხალი ორგანიზმი. ტყეები ადამიანებს სრულიად უსასყიდლოდ მოგვცა. თუმცა, კაცობრიობამ რატომღაც ისე გაიგო, რომ მისი რესურსის გამოყენება უსასრულოდ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეიძლება. გარდა იმისა, რომ ტყეს ადამიანის საქმიანობა დიდ ზიანს აყენებს, ხშირად ეს ადგილები დიდი ტრაგედიების მსხვერპლი ხდება, რისი მაგალითებიც ამაზონის და ავსტრალიის ხანძრებია. ძალიან ბევრი მიზეზის გამო ტყეს გაფრთხილება სჭირდება. რა მნიშვნელობა აქვს ტყეებს:

სუნთქვაში დახმარება - გამოყოფს ჟანგბადს და შთანთქავენ ნახშირორჟანგს, რომელსაც ჩვენ ამოვისუნთქავთ. ერთი ხე დღის განმავლობაში იმდენ ჟანგბადს აწარმოებს, რამდენიც დღიურად მინიმუმ ორი, მაქსიმუმ კი ათი ადამიანისთვისაა საჭირო

ცოცხალი ორგანიზმების საარსებო გარემო - ხმელეთზე არსებული ცოცხალი ორგანიზმის 80% ტყის ბინადარია. ყველაზე უფრო მრავალფეროვანი სახეობებით კი ტროპიკული ტყეები გამოირჩევიან. თუკი ტყეებს საფრთხე დაემუქრებათ, შესაბამისად განადგურდება ცოცხალი ორგანიზმებიც.

ტყე ადამიანების საცხოვრებელი გარემო - მსოფლიო მასშტაბით ტყეში დაახლოებით 300 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, უფრო მეტი კი – ტყეებთან ახლოს. ამიტომაც, ტყის მოფრთხილება საჭიროა არა მხოლოდ აქ არსებული ხეებისა და სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმის გამო, არამედ მოსახლეობის გამოც, რადგან ისინი სწორედ აქ არსებულ პირობებთან არიან ადაპტირებულები და უშუალოდ მათი კეთილდღეობა ტყეების მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

ტიმპერატურის რეგულაცია - ტყე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კლიმატის დარეგულირებაშიც. ტყის საფარი აკავებს მზიდან წამოსულ ულტრაიისფერ სხივებს და ინარჩუნებს სიგრილეს, რაც ხელს უწყობს გლობალური დათბობის შეჩერებას. რაც უფრო შემცირდება ტყის საფარი, მით უფრო მწვავე გამოხატულება ექნება კლიმატის ცვლილებას.

წყალდიდობების პრევენცია - ხეთა ფესვებს აქვთ უნარი, შეიწოვონ მაქსიმალურად შეიწოვონ წყალი, რაც წყალდიდობის თავიდან არიდებას შესაძლებელს ხდის. ხეები აკავებს დიდი რაოდენობით წყალს, რის შედეგადაც არ ხდება ნიადაგის გადარეცხვა და ნაკლებად ზიანდება გარემო.

ქარის ზემოქმედების შემცირება - ხშირად ფერმერები თავიანთი საქმიანობისთვის სწორედ ტყისპირა ადგილებს ირჩევენ, რადგანაც აქაურობა საკმაოდ ნაყოფიერი, დიდი რესურსის მქონეა. გარდა ტყის ამგვარი სარგებლისა, აქ არსებული ხეები ბლოკავენ ქარს, რაც ეხმარება ფდრმერებს. სახნავ-სათესებს ხშირად ქარსაცავი ზოლების ხელოვნურად დარგვით იცავენ ქარისმიერი ეროზიისგან.

ხმაურის დაკავება - ხმაურის საუკეთესო ბარიერი სწორედ ტყე არის, რაც ახშობს გარე ხმებს და იცავს გარემოს ხმაურით დაბინძურებისგან

საკვებით მომარაგება - ოდითგანვე ტყეებს იყენებდნენ ადამიანები. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები შემგროვებლობით იყვნენ დაკავებულნი, ტყვე სწორედ საუკეთესო გარემოდ ითვლებოდა დასასახლებლად, რადგან თავშესაფარს, საწვავ რესურსს გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად და საკვებს ყველაფერს ერთად აწვდიდა ადამიანებს.

მედიკამენტებით მომარაგება - იგი უამრავ ბუნებრივ მედიკამენტსაც გვაძლევს, რომლებიც სერიოზულ დაავადებებს კურნავენ. მაგალითად, ასთმის პრეპარატ თეოფილინს კაკაოს ხეებიდან მოიპოვებენ.

დაკარგული ტყეები ნიშნავს სოფლის მოსახლეობის საარსებო წყაროს გაქრობას, ნახშირბადის გამონაბოლქვის გაზრდას, ბიომრავალფეროვნების შემცირებას და მიწის დეგრადაციას. მიუხედავად იმისა, რომ ტყის დანაკარგი კვლავ მაღალია, 2020 წლის მონაცემები აჩვენებს, რომ ტყეების პროპორცია დაცულ ტერიტორიებზე დარჩა სტაბილური გლობალურ დონეზე და მსოფლიოს უმეტეს რეგიონებში. გაიზარდა გრძელვადიანი მენეჯმენტის გეგმების მქონე ქვეყნების რაოდენობა, რამაც გაზარდა იმედი. თუმცა მეორეს მხრივ ადამიანის საქმიანობის შეუქცევადი ეფექტი უარყოფითია გარემოზე, მოიცავს სახეობების გადაშენებას, რაც არღვევს ბუნების ბალანსს. ეკოსისტემებს ხდის უფრო მყიფეს და ნაკლებად მდგრადს დარღვევების მიმართ. ბიომრავალფეროვნების შესახებ გაეროს უახლესი ანგარიში აჩვენებს, რომ დაახლოებით 1 მილიონი ცხოველისა და მცენარის სახეობას ემუქრება გადაშენება. ეს დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ვიდრე ოდესმე კაცობრიობის ისტორიაში.

რას ნიშნავს ნიადაგის დეგრადაცია?

ნიადაგში უმთავრესად ფარული პროცესები მიმდინარეობს და ამის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შევითვობთ, რაც მცენარეებსა და ცხოველებს საფრთხე დაემუქრება ან სულაც გადაშენდება. უდიდეს კატასტროფებს ხშირად სწორედ ნიადაგის გადაგვარება ახლავს თან. ნიადაგის დაბინძურება, მისი მჟავიანობის მომატება, ნაყოფიერების დაკარგვა, რომელიც ხმელეთის სხვადასხვა უბანზე სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს. ამის მიზეზი კი უმთავრესად სოფლის მეურნეობის არასწორი მენეჯმენტია.

ნიადაგი ცოცხალი ბუნების მთავარი კომპონენტია. ის წყლის ინფილტრაციით ხელს უწყობს მისი წრებრუნვის პროცესს. გამოიყენება დაავადებებთან ბრძოლისთვის და, რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის წარმმართველია, გვაძლევს საკვებს, ტანსაცმელს, ტექნიკურ მცენარეებს.

კაცობრიობის განვითარების ისტორიის უდიდესი ნაწილი მიწათსარგებლობასა და მეცხოველეობასთან არის დაკავშირებული.

როდესაც ბუნების კონსერვაციაზე ვსაუბრობთ, მთავარი საზრუნავი სწორედ ნიადაგი უნდა იყოს. ნიადაგის თითოეული სანტიმეტრის ჩამოყალიბებას ასეულობით წელი სჭირდება. თანამედროვე ცხოვრების ტემპი და განვითარების მასშტაბი დიდ საფრთხეს უქადის

ნიადაგის ნაყოფიერებას, მისი შენარჩუნება კი თითოეული ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ნიადაგის დეგრადაცია მისი რაოდენობრივი და თვისებრივი შემცირებაა, რომელშიც გამოიყოფა:

- ✓ წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია,
- ✓ ბიოლოგიური დეგრადაცია (ჰუმუსის დაკარგვა, ცვლილებები მცენარეებისა და ცხოველების სასიცოცხლო ციკლში);
- ✓ ფიზიკური დეგრადაცია (სტრუქტურის შეცვლა, ფორიანობის შემცირება);
- ✓ ქიმიური დეგრადაცია (მჟავიანობა, ნაყოფიერების შემცირება, PH-ის ცვლილება, დამლაშება, ქიმიური ტოქსიკაცია).

ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიით ხდება ნიადაგების 80%-ის (20 მლნ კვ/კმ) დეგრადაცია მსოფლიოში.

ნიადაგის დეგრადაციის მიზეზებია:

- ✓ ბუნებრივი მცენარეული საფარის შემცირება, რაც ზედაპირს ეროზიისადმი უფრო მოწყვლადს ხდის
- ✓ არამდგრადი მიწათსარგებლობა, გადამეტებული მორწყვა, სასუქების, პესტიციდების არასწორი გამოყენება და გადამეტებული ძოვება
- ✓ მიწისქვეშა წყლების ზედმეტი გამოყენება, რამაც შესაძლოა მიწების გამოშრობა და ფიზიკური დეგრადაცია გამოიწვიოს
- ✓ ატმოსფეროში მძიმე ლითონებისა და სხვა დამაბინძურებლების მაღალი შემცველობა, რაც ნიადაგის ბუნებრივ წონასწორობას არღვევს
- ✓ კლიმატის ცვლილებაც გაცილებით ინტენსიურ ხასიათს სძენს მიმდინარე პროცესებს, რაც რეგიონულად მეტად ვლინდება აფრიკისა და აზიის კონტინენტებზე, სადაც გაუდაბურება, გაუდაბნობა, ტყის საწვავად გამოყენება, არამდგრადი სოფლის მეურნეობა სულ უფრო მზარდ მასშტაბს იძენს

მცენარეული საფარის შემცირების შედეგად ნიადაგში შემდეგი პროცესები მიმდინარეობს: წყლის ინფილტრაციის დარღვევა, მიწისქვეშა წყლების შემცირება, ეროზიის წარმოქმნა, მიკროკლიმატის შეცვლა, მეტად – არიდულისკენ, ჭებისა და წყაროების დაშრობა

როგორ მოქმედებს გარემოს დეგრადაცია ჩვენს ჯანმრთელობაზე?

ცხოველურ ცილებზე მოთხოვნილების გაზრდა, ინტენსიური და არამდგრადი მეურნეობის ზრდა, ველური ბუნების მოხმარება და ექსპლუატაცია და კლიმატური კრიზისი იწვევს ყველაფერზე ზოონოზური დაავადებების გაჩენის საფრთხეს-ველური ბუნებიდან ადამიანებზე გადაცემულ დაავადებებს, როგორცაა ებოლა, COVID-19 და სხვა.

ყოველწლიურად, ძირითადად დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყნებში, დაახლოებით ორი მილიონი ადამიანი იღუპება ზოონოზური დაავადებებისგან, თუმცა კოვიდის სტატისტიკამ კიდევ უფრო საშიში მასშტაბები გამოავლინა. მოიცვა მთელი დედამიწა, დაავადებულთა რაოდენობამ 20 აგვისტოსთვის 210 მილიონს გადააჭარბა, ხოლო დაღუპულების - 4,4 მილიონს. პანდემია ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია, შესაბამისად, რაოდენობაც შეიცვლება.

უკანასკნელ ათწლეულებში ცნობილ ინფექციურ დაავადებებს უფრო შეზღუდული მასშტაბები ჰქონდათ, ვიდრე ვოვიდ 19-ს. მაგალითად ებოლა, დაავადება, რომელიც დღევანდელი კონგოს ტერიტორიას უკავშირდება, პირველად 1976 წელს იჩინა თავი. მისი მატარებელია ლამურასებრები და ძუძუმწოვრები და ცხოველებიდან ადამიანზე გადადების შესაძლებლობა აქვს. საკმაოდ მაღალი სიკვდილიანობით გამოირჩეოდა და 11 ათასი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია 2013-2015 წლებში. ძირითადად მოიცვა დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, ლიბერია, გვინეა და სიერა-ლეონა.

ყურადსაღებია ზოონოზური დაავადებები, რადგან მათ ადამიანების ჩვეული ყოფა შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენონ. მსგავსმა აფეთქებებმა შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ავადმყოფობა, სიკვდილი და პროდუქტიულობის დაკარგვა განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, სადაც ადამიანი მეცხოველეობას მისდევს და იზრდება ცხოველიდან ადამიანზე დაავადების გადაცემის შესაძლებლობა. ასობით მილიონ მცირე ფერმერს მძიმე სიღარიბეში აყენებს სწორედ მსგავსი დაავადებების გავრცელება. მხოლოდ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ზოონოზურმა დაავადებებმა გამოიწვია 100 მილიარდ დოლარზე მეტი ეკონომიკური ზარალი, ამ თანხაში არ არის ასახული COVID-19 პანდემიის ღირებულება, რომელიც პროგნოზით 9 ტრილიონ დოლარს მიაღწევს.

ადამიანის ჯანმრთელობა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სამრეწველო, საყოფაცხოვრებო თუ სხვა ნარჩენებით ნიადაგის დაბინძურებაზე. მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება კი შიმშილობის პრობლემას ამძაფრებს. გარდა ამისა, დაბინძურებულ ნიადაგზე მოწეული მოსავალი ჯანმრთელობას ვნებს. იგივე ეხება ტყეების ფართობის შემცირებას, რაც პირდაპირ აუარესებს სასიცოცხლო პირობებს. ამძაფრებს კლიმატის ცვლილების დამანგრევე ზემოქმედებას და ასევე ბევრად უფრო ნაკლებად ახერხებს ჰაერის ინფილტრაციას, რაც ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესების ან უარეს შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი შეიძლება გახდეს.

რისი გაკეთება შეგვიძლია?

ნიადაგის დეგრადაციის შემცირების სტრატეგიები, ისეთები, როგორებიცაა ხეების დარგვა, მექანიზაციის მდგრადი პროცესების განხორციელება, ფერდობების დატერასება, ზომიერი ირიგაცია და ღია სარწყავი სისტემების ჩანაცვლება, ქარსაცავი ზოლების განაშენიანება და სხვა მოსახლეობის შიმშილისგან დაცვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ტრადიციული მეთოდები ხშირად ვერ უზრუნველყოფს ნიადაგის საფარის დაცვას, ამდენად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის იმ ნაწილის ახალი უნარ-ჩვევებით აღჭურვა, რომელიც სოფლის მეურნეობას მისდევს.

მექანიკური მეთოდები

- ✓ მექანიკურ მეთოდებს შორისაა შემაკავებელი ბარიერების აშენება, რაც ნიადაგის გადარეცხვასა და ქარის მიერ ნაყოფიერი ნაწილაკების გადატანას შეუშლის ხელს, ასევე – ფერდობების დატერასება და კონტურული ხვნა, ხეების ბარიერებად გამოყენება, რაც ჩამოტანილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ადგილზე დაკავებას იწვევს. განსაკუთრებული საჭიროება წარმოიშობა იქ, სადაც მუსონური და თავსხმა წვიმებია და ეროზია ინტენსიურად მიმდინარეობს. ფერდობების ამგვარი გამაგრება

საშუალებას იძლევა, მოსავალი იქაც მოიყვანონ, სადაც ეს სხვაგვარად გართულდებოდა.

- ✓ ქარსაცავი ზოლები უფრო მეტად ქარისმიერი ეროზიის შემაკავებლად მიიჩნევა და მოსავლიანობას ზრდის, რადგან ნიადაგის ნაყოფიერება მისი ზედა ფენის შენარჩუნებით არ მცირდება. ქარსაცავი ზოლი ქარის სისწრაფესაც ამცირებს.

ხვნა-თესვის ტექნიკა

- ✓ მნიშვნელოვანია ნარგავების საფარის შენარჩუნება რაც შეიძლება დიდხანს – ეს ზედაპირს ქარისმიერი ეროზიისგან დაცავს.
- ✓ იქ, სადაც ერთწლიანი ნარგავებია, მცენარეთა ფესვები მოსავლის ალების შემდეგ უნდა დარჩეს, რათა გაამაგროს ნიადაგის ფენა და მოშიშვლებული ზედაპირი ადვილად არ გამოიქაროს.
- ✓ საჭიროა ბალახების დარგვა და ნარგავებით გამწვანება ეროზირებულ ფართობებზე პროცესის შესაჩერებლად.
- ✓ ორგანული, მცენარეული საფარი ნიადაგს საშუალებას აძლევს, მეტი წყალი შეაკავოს. გარდა ამისა, ის ამაგრებს სტრუქტურას და ნაკლებად მოწყვლადს ხდის ქარის მიერ ნაყოფიერი ნაწილაკების დაყოფისა და გადატანის მიმართ.

ჩვენ შეგვიძლია ხმელეთზე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვის, ბუნების რეგენერაციისთვის არაერთი სასარგებლო რამის გაკეთება:

პირველ რიგში, ესაა მოხმარებული რესურსების შემცირება, მათი მეორადი გადამუშავება. არანაკლებ მნიშვნელოვანს იძენს ადგილობრივად მოყვანილ და წარმოებულ პროდუქციაზე არჩევანის გაკეთება. ლოკალურ პროდუქციაზე დაფუძნებული დიეტის დაცვა უფრო მდგრადია, რადგან ნაკლები დანაკარგი აქვს, არ ემატება გარემოზე მავნე ზემოქმედება ტრანსპორტირების შედეგად ნახშირორჟანგის ნაკვალევს სახით, ასევე შენახვის პირობებზე დიდი ენერჯო დანახარჯები. შესაბამისად ამგვარი დიეტა მდგრადია და მოიხმარს მხოლოდ იმას, რაც ჩვენ გვჭირდება.

ჩვენ პატივისცემით უნდა განვეწყოთ და ვიმოქმედოთ ველური ბუნების მიმართ, მოვუფრთხილდეთ მას, დავვგემოთ ისეთი აქტივობები, რომლებსაც ბუნებაზე მინიმალური ზემოქმედება აქვს, როგორებიცაა ეკოტურიზმი. ტურიზმის აღნიშნული სახეობა საშუალებას იძლევა პასუხისმგებლობით და ეთიკურად გამოვიყენოთ ველური ბუნება და ავიცილოთ თავიდან დარღვევები. კარგად მართული დაცული ტერიტორიები მხარს უჭერენ ეკოსისტემების გაჯანსაღებას, რაც თავის მხრივ ადამიანების ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ დაცული ტერიტორიების განვითარებასა და მართვაში ადგილობრივი თემების ჩართულობას.

მე რისი გაკეთება შემიძლია

- ✓ მოიძიოთ ინფორმაცია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც გარემოს დაცვის საკითხებზე მუშაობენ და შესთავაზოთ მოხალისედ ჩართვა, თუნდაც დასუფთავების აქციებში.
- ✓ ჭამეთ ადგილზე მოყვანილი სეზონური პროდუქცია, ისინი სასარგებლო, იაფი და გარემოსთვის ნაკლებ საზიანოა. ასევე შეამცირეთ ხორცი თქვენს მენიუში, რადგან მეცხოველეობა ემისიების დიდი წყაროა.
- ✓ არ იყიდოთ პროდუქცია, სუვენირები, რომლის დამზადებისასაც გამოყენებული იყო საფრთხის წინაშე მდგომი სახეობები. ასევე მაღაზიებში ყიდვისას არჩევანი გააკეთეთ ეკოლოგიურად სუფთა გზით მოყვანილ პროდუქციაზე, ყურადღება მიაქციეთ პროდუქციის შეფუთვას.
- ✓ შეამცირეთ ქალაქის გამოყენება, რაც ციფრული ტექნოლოგიების ფონზე იოლდება, ფურცელზე წერეთ ორმხრივად, ყურადღება მიაქციეთ საბეჭდ მოწყობილობებს და დარწმუნდით, რომ ორმხრივად ბეჭდავთ. შეაგროვეთ და გადაამუშავეთ მაკულატურა.
- ✓ მოიპოვეთ მეტი ინფორმაცია კანონმდებლობის, ხელშეკრულებების და კონვენციების შესახებ ინფორმაცია და ნახეთ რა შეგიძლიათ მათ დასაცავად გააკეთოთ.
- ✓ ჩართეთ სარეცხი და ჭურჭლის მანქანა მხოლოდ მაშინ, როცა ის სავსეა, რომ აარიდოთ ჩამდინარე წყლებში სარეცხი საშუალებების ჭარბი მოხვედრა.
- ✓ წაიკითხეთ, გაეცანით დოკუმენტურ ფილმებს ტყეზე, ბიომრავალფეროვნებაზე, მათ პრობლემებზე და მოაწყვეთ დისკუსიები, რათა ამაღლდეს ცნობიერება მათ დასაცავად.

გამოყენებული ლიტერატურა

მ.რატინი, ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემები, 2015
 მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, მწვანე ალტერნატივა, 2013
<https://www.un.org/sustainabledevelopment/>
 170 daily actions to transform our world, 2019
<https://sdg.gov.ge/goals-all>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

1. რა ეწოდება ინფექციურ დაავადებებს რომელიც ცხოველებიდან ადამიანებზე გადადის?
 - ა. არაორგანული
 - ბ. ბიოტური
 - გ. ზოონოზური
 - დ. ორგანული

2. ტყეების განადგურება პირველ რიგში ადამიანების რომელ ჯგუფს დააზარალებს?
 - ა. სოფლად მცხოვრებ მამაკაცებს
 - ბ. სოფლად მცხოვრებ ქალებს

- გ. ქალაქებში მცხოვრებ მამაკაცებს
- დ. ქალაქებში მცხოვრებ ქალებს

3. რა ეწოდებათ სასარგებლო მწერებს, რომლებიც მცენარეების ნაყოფიერებას დამტვერვით უზრუნველყოფენ?
 - ა. ექოლოტიანები
 - ბ. სწორფრთიანები
 - გ. პოლინატორები
 - დ. ჰერბიციტები

4. რა ტერმინი გამოიყენება ბიოლოგიური სისტემების, სიცოცხლის ფორმების ნაირსახეობათა, ჯანმრთელობის საზომად?
 - ა. ბიომრავალფეროვნება
 - ბ. ეკოსისტემა
 - გ. კონსერვაცია
 - დ. ჰაბიტატი

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ წარმოადგენს საფრთხეს ბიომრავალფეროვნებისთვის?
 - ა. გადამეტებული ძოვება
 - ბ. კლიმატის ცვლილება
 - გ. რეგულირებული მოხმარება
 - დ. უცხო სახეობების შემოყვანა

6. რატომ ვიგებთ დაგვიანებით ინფორმაციას ნიადაგების დეგრადაციის შესახებ? მონიშნეთ ყველა სწორი დებულება
 - ა. მედიის ყურადღების ქვეშ არ ექცევა
 - ბ. მეცნიერები ნაკლებად იკვლევენ ნიადაგს
 - გ. პროცესი ნელია და დინამიკაში მნელად აღვიქვავთ
 - დ. პროცესი ნიადაგში თვალისგან უხილავად მიმდინარეობს

7. ნიადაგში შეიძლება შეიცვალოს მისი მჟავიანობა და მარილიანობა. რა ეწოდება ნიადაგის ეროზიის ამ ფორმას?
 - ა. ბიოლოგიური ეროზია
 - ბ. ქარისმიერი ეროზია
 - გ. ქიმიური ეროზია
 - დ. წყლისმიერი ეროზია

8. ადამიანის ჯანმრთელობაზე რა პირდაპირ და ირიბ გავლენას ახდენს ნიადაგის სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დაბინძურება?
 - ა. ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას

- ბ. იწვევს მის ქიმიურ ეროზიას
- გ. იწვევს მოსავლის მოწამვლას
- დ. ყველა პასუხი სწორია

9. ჭეშმარიტია თუ მცდარი დებულება: გადაშენების პირას მყოფი სახეობისგან დამზადებული სუვენირები ძვირია და შესაბამისად კარგი საჩუქარი

- ა. მცდარი
- ბ. ჭეშმარიტი

10. რა ზიანი შეიძლება მოიტანოს იმპორტირებული საკვები პროდუქციის გამოყენებას?

- ა. ართულებს ქვეყნებს შორის სავაჭრო კავშირებს
- ბ. დიდი დანაკარგს იწვევს პროდუქციის გადაზიდვა-შენახვისას
- გ. იწვევს ნიადაგის დეგრადაციას
- დ. ხელს უწყობს ადგილობრივი ფერმერების საქმიანობას

მდგრადი განვითარების მიზანი 16:
 მშვიდობიანი და ინკლუზიური
 საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა
 მდგრადი განვითარებისათვის,
 მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის
 უზრუნველყოფა ყველასათვის, ეფექტიანი,
 ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუციების
 მშენებლობა ყველა დონეზე.



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.....	211
რაში მდგომარეობს მიზნის არსი.....	212
ქვემიზნები მიზნისთვის მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები:.....	213
ფაქტები და მონაცემები:	213
ტერმინები.....	215
ლტოლვილების გაზრდილი რაოდენობა და პრობლემები	216
თანამედროვე მონობა.....	218
როგორ იზომება ქვეყნების დემოკრატიის ხარისხი და ადამიანის თავისუფლება.....	219
რა უნდა გაკეთდეს პრობლემის გადასაჭრელად?.....	220
რა მოჰყვება პრობლემის უგულებელყოფას?	221
მე რისი გაკეთება შემიძლია	222
გამოყენებული ლიტერატურა.....	223
ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)	223

რაში მდგომარეობს მიზნის არსი

მდგრადი განვითარების მისაღწევად ჩამოყალიბდეს მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოება, სადაც ინსტიტუციები ეფექტიანად ასრულებენ თავიანთ საქმიანობებს და აქვთ ანგარიშვალდებულება

კონფლიქტი, დაუცველობა, სუსტი ინსტიტუციები და სამართალზე შეზღუდული წვდომა რჩება მდგრადი განვითარებისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ.

ადამიანი ყველგან უნდა ცხოვრობდეს და საქმიანობდეს შიშისგან თავისუფალ გარემოში, მასზე არავინ უნდა ძალადობდეს, თავი დაცულად იგრძნოს მიუხედავად სქესისა, ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური ორიენტაციისა.

2019 წელს ომიდან, დევნიდან და კონფლიქტიდან გაქცეული ადამიანების რიცხვმა 79,5 მილიონს გადააჭარბა, ყველაზე მაღალი დონე, რაც კი ოდესმე დაფიქსირებულა. ყოველი მეოთხე ბავშვს არ აქვს იდენტობის დამადასტურებელი კანონიერი დოკუმენტი, მისი არარსებობა უზღუდავს უფლებებს მიიღონ განათლება, სამედიცინო მომსახურება, დახმარებები, კანონიერად დასაქმდნენ განხორციელებას სხვა სფეროებში. COVID-19 პანდემიამ კიდევ უფრო გაამძაფრა ექსპლუატაცია და ძალადობა, რაც კიდევ უფრო დაასუსტებს ქვეყნებს და ხელს შეუშლის მათ წინსვლას.

მკვლევლობების (მათ შორის ფემიციდი, ქალებზე ძალადობის უკიდურესი ფორმა, ქალთა მკვლევლობა), ბავშვთა მიმართ ძალადობის, ადამიანების ტრეფიკინგის და სექსუალური ძალადობის საფრთხეების აღმოფხვრა მნიშვნელოვანია, რათა მდგრადი განვითარებისთვის ხელი შეეწყოს მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების შექმნას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს თითოეული ადამიანის მართლმსაჯულებაზე წვდომასა და ყველა დონეზე ეფექტური, სანდო ინსტიტუციების შექმნას. უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა ძალადობის მასშტაბი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვლევლობებისა და ტრეფიკინგის შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ლათინურ ამერიკაში, აზიასა და სუბ-საჰარის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ათასობით ადამიანი არის სიცოცხლის ხელყოფის დიდი რისკის ქვეშ. ბავშვთა უფლებების დარღვევა (სექსუალური ძალადობა, აგრესია) მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის კვლავ დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ამ პრობლემას განსაკუთრებით ამძაფრებს დანაშაულის შესახებ განუცხადებლობა, აღრიცხვიანობაში ხარვეზები.

იმისათვის, რათა გავუმკლავდეთ ხსენებულ გამოწვევებს და შევექმნათ უფრო მშვიდობიანი და სოციალურად თანასწორი საზოგადოება, საჭიროა, რომ მიღებულ იქნას უფრო ეფექტიანი და მკაფიო რეგულაციები. თითოეული ინდივიდის უფლებების დასაცავად წინგადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მსოფლიოს მასშტაბით ახალდაბადებულების რეგისტრაციის დანერგვა და ადამიანების უფლებების დაცვის უფრო დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუციების შექმნა, სადაც არსებობს, ამ ინსტიტუციების გაძლიერება.

ქვემიზნები მიზნისთვის მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები:

- ძალადობის ყველა ფორმისა და ამ მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება ყველგან.
- ბავშვთა სასტიკი მოპყრობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ყველა სახის ძალადობის ფორმისა და წამების აღმოფხვრა.
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობისა დამკვიდრების ხელშეწყობა და თითოეული ადამიანისთვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა.
- 2030 წლისათვის უკანონო იარაღისა და ფინანსური ნაკადების მნიშვნელოვნად შემცირება, მოპარული ქონების დაბრუნების განმტკიცება და ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმასთან ბრძოლა.
- კორუფციისა და მექრთამეობის ყველა ფორმის მნიშვნელოვნად შემცირება.
- ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე.
- ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა.
- გლობალური მმართველობის ინსტიტუციის განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის გაფართოება და განმტკიცება.
- 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის სამართლებრივი სტატუსის, მათ შორის დაბადების რეგისტრაციის, უზრუნველყოფა.
- საზოგადოებისთვის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვა, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად.
- შესაბამისი ეროვნული ინსტიტუტების გაძლიერება, მათ შორის საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, ყველა დონეზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ძალადობის პრევენციისა და ტერორიზმთან, დანაშაულთან ბრძოლის უნარის გასაუმჯობესებლად.
- მდგრადი განვითარების მიზნით არადისკრიმინაციული კანონებისა და პოლიტიკის შემოღების ხელშეწყობა და შემდგომ განხორციელება.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ კორუფციით ყველაზე მეტად დაზარალებულ ინსტიტუციებს შორის არის სასამართლო და პოლიცია. სწორედ ისინი უნდა ემსახურებოდნენ სამართლიანობის აღდგენას და ებრძოდნენ ძალადობას თუ კანონისგან გადაცდენებს.

- ✓ ნავარაუდევია, რომ კორუფცია, მექრთამეობა, ქურდობა და გადასახადებისგან თავის არიდება განვითარებად ქვეყნებში ძალიან დიდ მასშტაბებს აღწევს და წელიწადში 1,26 ტრილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა სწორედ ამ კრიმინალურ და არალეგალურ საქმიანობაში ტრიალებს. ეს თანხა თუ შესაბამისად იქნებოდა გამოყენებული, საკმარისი იქნებოდა ექვსი წლის განმავლობაში ყველა სიღარიბეში მცხოვრების ადამიანის დასახმარებლად, ვინც დღეში \$ 1.25 -ზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს.
- ✓ დაბადების რეგისტრაცია და შესაბამისი მოწმობა 5 წლამდე ასაკის ბავშვების 73 პროცენტზე არის გაცემული. აღურიცხაობა არასწორი შეფასებების, მოდელირების მიზეზი ხდება ხოლმე, როდესაც ქვეყნები სიღარიბესთან ბრძოლის გზებს სახავენ. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო საგანგაშოა აფრიკის კონტინენტზე, სუბ-საჰარის რეგიონში. აქ ბავშვების მხოლოდ 46 პროცენტს აქვს დაბადების მოწმობა.
- ✓ სასკოლო ასაკის ბავშვებიდან დაწყებით სკოლაში არ დადის დაახლოებით 28.5 მილიონი. მათი ძირითადი ნაწილი კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში ცხოვრობენ.
- ✓ კანონის უზენაესობასა და განვითარება ურთიერთდამოკიდებულია და ერთმანეთს აძლიერებს, რაც მათ აუცილებელს ხდის მდგრადი განვითარებისათვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.
- ✓ ბოლო ათწლეულში თითქმის უცვლელი დარჩა პატიმრების წილი, რომლებიც დაკავებულნი არიან სასჯელის წაყენების გარეშე, რაც საერთო რაოდენობის 31 პროცენტს შეადგენს.
- ✓ ყოველდღიურად 100 მშვიდობიანი მოქალაქე იღუპება შეიარაღებულ კონფლიქტებში, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის დაცვის ქვეშ არიან.
- ✓ 127 ქვეყანას აქვს მიღებული კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლებაზე.

ძალადობა

- ✓ გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) მონაცემებით ომიდან და კონფლიქტებიდან გაქცეულთა რიცხვმა 2018 წელს გადააჭარბა 70 მილიონს მიაღწია, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში.
- ✓ 2019 წელს გაეროს მონაცემებით 47 ქვეყანაში უფლებადამცველების, ჟურნალისტებისა და პროფკავშირის წარმომადგენლების 357 მკვლელობა, 30 ძალადობრივი გაუჩინარება დაფიქსირდა.
- ✓ ბავშვთა მიმართ ძალადობა გავლენას ახდენს 1 მილიარდზე მეტ ბავშვზე მთელს მსოფლიოში. ეს საზოგადოებისთვის წელიწადში 7 ტრილიონი აშშ დოლარის ზარალად არის შეფასებული. ბავშვების 50 პროცენტი ყოველწლიურად განიცდის ძალადობას რაიმე ფორმით.
- ✓ ყოველ 7 წუთში ძალადობის შედეგად იღუპება ერთი ბავშვი.
- ✓ 18 წლამდე 10 ბავშვიდან 1 სექსუალურ ძალადობას განიცდის.

- ✓ 10 ბავშვიდან 9 ცხოვრობს ისეთ ქვეყნებში, სადაც ფიზიკური დასჯა სრულად არ არის აკრძალული და აღზრდის ნაწილად ითვლება, რის გამოც 732 მილიონი ბავშვი იურიდიული დაცვის გარეშე დარჩენილი.
- ✓ მსოფლიოში ინტერნეტის ყოველი 3 მომხმარებელიდან ერთი ბავშვია და მათგან 800 მილიონი იყენებს სოციალურ მედიას. ნებისმიერი ბავშვი შეიძლება გახდეს ონლაინ ძალადობის მსხვერპლი.
- ✓ ბავშვთა ონლაინ სექსუალური ძალადობის განაცხადების რაოდენობა 1 მილიონიდან 2014 წელს 45 მილიონამდე 2018 წელს გაიზარდა.
- ✓ მსოფლიოში 246 მილიონი ბავშვი ყოველწლიურად განიცდის სკოლასთან დაკავშირებულ ძალადობას. ბოლო 3 თვის განმავლობაში სკოლაში 3-დან ერთმა მოსწავლემ განიცადა თანატოლებისგან ჩაგვრა, ხოლო 10-დან ერთმა ბავშვმა განიცადა კიბერბულინგი.

ტერმინები

ლტოლვილი - ლტოლვილად პირი ითვლება მხოლოდ მაშინ თუ იგი გადაკვეთს ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვარს და შემწეობისა და მფარველობისათვის მიმართავს უცხო ქვეყნის ხელისუფლებას. ლტოლვილად ჩაითვლება აგრეთვე ყველა პირი, რომელიც აგრესიის, უცხოური ოკუპაციის, უცხოური დომინაციის ან მისი წარმოშობის ან ეროვნების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში საჯარო წესრიგის სერიოზულად ხელმყოფი მოვლენების გამო იძულებულია დატოვოს თავისი საცხოვრებელი და თავშესაფარი ემიოს ქვეყნის გარეთ

იძულებით ადგილნაცვალი პირები (Internally Displaced Persons-IDPs) - პირველად ეს ტერმინი გაჩნდა ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციაში. 1975 წლიდან ერთმანეთისაგან ასხვავებენ ლტოლვილებსა და ადგილმონაცვლე პირებს (იგივეა „იძულებით გადაადგილებული პირები“, „დევნილები“). ჩამოყალიბდა აზრი, რომ ლტოლვილები არიან პირები, რომლებმაც გადაკვეთეს თავიანთი ქვეყნის საზღვრები. ადგილმონაცვლე პირები რჩებიან ქვეყნის საზღვრებში. გადაადგილების მიზეზი კი განსხვავებულია. შეიძლება საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ეს საფრთხე შეიძლება იყოს ეკოლოგიური, ადამიანებს მოუწიოთ საცხოვრებლის დატოვება ბუნებრივი კატასტროფის დამანგრეველი მოქმედების ან შექმნილი საფრთხის გამო.

კორუფცია არის საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.

ტრეფიკინგი - ტრეფიკინგის მსხვერპლად ითვლება ადამიანი, რომელიც იქნა დაქირავებული, ტრანსპორტირებული, გადაცემული, დამალული, ან მიღებული ქვეყნის შიგნით, ან ქვეყნის საზღვრებს გარეთ, მუქარის, იძულების, მოტყუების, დაშინების, ან სხვა უკანონო საშუალებებით, მისი ექსპლუატაციის მიზნით.

ტვინების გადინება (Brain Drain) პირველად შეიმუშავეს 60-იანი წლების დასაწყისში. 1963 წელს ბრიტანეთის სამეფო საზოგადოებამ ხსენებული ტერმინი განმარტა, როგორც: "ბრიტანელი მეცნიერების აშშ-ში საცხოვრებლად და სამუშაოდ ემიგრირება". თანამედროვე რეალობაში ეს ტერმინი გამოიყენება მაღალ კვალიფიციური და განათლებული ადამიანური რესურსების გადინების აღსანიშნავად განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში. ინტელექტუალურ მიგრანტებად მოიაზრებიან ინჟინრები, ექიმები, მეცნიერები და სხვა ძალიან მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ საუნივერსიტეტო განათლება.

ლტოლვილების გაზრდილი რაოდენობა და პრობლემები

იძულებითი მიგრაციის მიზეზები მრავალფეროვანია. მათგან აღსანიშნავია ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენები, ანთროპოგენული ხასიათის კატასტროფები, ომი, კონფლიქტები, შიმშილობა, ეკონომიკური განვითარება (ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იწვევს ადამიანების გადასახლებას, მაგალითად, ჰესის ან ავტობანის მშენებლობა).

კონფლიქტით გამოწვეული გადაადგილებისას ადამიანები იძულებით ტოვებენ საკუთარ სახლებს, სადაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათ დაცვას. მიზეზებს შორისაა შეიარაღებული კონფლიქტი, მათ შორის – სამოქალაქო ომი, ძალადობა, ეროვნების, რასის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე დევნა.

ამ გადაადგილებული პირების დიდი ნაწილი თავშესაფრის ძიებაში საერთაშორისო საზღვრებს კვეთს. მათი ნაწილი თავშესაფარს საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით ეძებს და ლტოლვილის სტატუსს იღებს, ნაწილი გამოსახლების შიშით სტატუსგარეშე დარჩენას ამჯობინებს.

ფართომასშტაბიანი ომების რაოდენობა მცირდება, თუმცა მათ ადგილს იკავებს შეიარაღებული სეპარატისტული კონფლიქტები, რომლებიც უკვე შიდა შუღლსა და დაპირისპირებას იწვევს. ეს ბევრს გადასახლებისკენ უბიძგებს. დრამატულად იზრდება იძულებით ადგილნაცვალ პირთა რაოდენობა, რომელთა რიცხვი ლტოლვილებისას აღემატება.

2017 წლის მონაცემებით, მსოფლიოში სულ 257,7 მილიონი მიგრანტია, ანუ პლანეტის დაახლოებით 3,4%. მათგან 68,5 მილიონი - ლტოლვილია.

აღსანიშნავია, რომ უკიდურესად რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან კონფლიქტების და ომის შედეგად დაზარალებულები, რომელთაც იძულებით, სიცოცხლის გადასარჩენად მოუწიათ საკუთარი ქვეყნის დატოვება. ხშირად რთულ პირობებს განაპირობებს მათ მიმართ არაკეთილგანწყობილი განწყობა, მიაჩნიათ, რომ ქვეყანა ადგლობრივების პრობლემების მგვარებაზე უნდა ხარჯავდეს სახსრებს ლტოლვილების ნაცვლად.

გაეროს დოკუმენტის მიხედვით, ლტოლვილად ითვლება ნებისმიერი პიროვნება, ვინც:

- სამართლიანად შიშობს, რომ შეიძლება დაისაჯოს რასობრივი, რელიგიური, ეროვნული კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო;
- იმყოფება სამშობლოს გარეთ და არ შეუძლია, ან პირად კეთილდღეობაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზებით დაშინებულს, არ სურს თავისი ქვეყნის მფარველობით ისარგებლოს;
- იმყოფება იმ საზღვრებს მიღმა, სადაც მუდმივად ცხოვრობდა, არ გააჩნია ეროვნება და არ შეუძლია, ან პირად კეთილდღეობაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, არ სურს უკან დაბრუნება“;
- თვლის, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება;
- მას აქვს უფლება თავშესაფარი ითხოვოს თავისი ქვეყნის გარდა, ყველა სხვა ქვეყანაში;
- შეუძლია მოითხოვოს, რომ მისი საკითხი ინდივიდუალურად განიხილოს.

ამასთან, ყველა ქვეყანას აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ვის მისცეს თავშესაფარი.

2018 წელს მაროკოში გამართულ სპეციალურ კონფერენციაზე გაერომ უსაფრთხოდ, თანმიმდევრული და ლეგალური მიგრაციის შესახებ გლობალური პაქტი მიიღო, რომელიც ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დაამტკიცეს. პაქტს არ შეუერთდნენ ავსტრია, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, ისრაელი და ბევრი სხვა ქვეყანა.

დოკუმენტი ნებაყოფლობითია და მას სავალდებულო იურიდიული ძალა არ აქვს.

დოკუმენტის მთავარი მიზანია მიმღები ქვეყნების ტვირთის შემცირება, ლტოლვილებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის გადანაწილება სახელმწიფოებს შორის და მიგრანტების სამშობლოში დაბრუნებისთვის პირობების შექმნა. ნიუ-იორკის დეკლარაციაში ჩამოთვლილია ვალდებულებები, რომლებიც ხელმომწერმა ქვეყნებმა თავის თავზე აიღეს, გლობალურ შეთანხმებაში კი მათი რეალიზების უფრო კონკრეტული მექანიზმებია გაწერილი.

მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ გაცვლიან ყველაზე ახალ, ზუსტ და დეტალიზებულ მონაცემებს ლტოლვილების შესახებ და ასეთი სტატისტიკის შეგროვებისათვის ადგილებზე სპეციალურ საინფორმაციო თუ სამეცნიერო ცენტრებს შექმნიან. ისინი შეთანხმდნენ ასევე, რომ შეებრძოლებიან გარემოებებს, რომლებიც ადამიანებს მშობლიური ადგილების დატოვებას აიძულებს: სიღარიბეს, ომებს, სტიქიურ უბედურებებს.

გარდა ამისა, სახელმწიფოები პირობას დებენ, რომ ერთად შეებრძოლებიან არალეგალური მიგრანტების ტრანსპორტირების ბიზნესს და განსაკუთრებით ადამიანებით ვაჭრობას, ასევე გააიოლებენ ლეგალური მიგრაციის პირობებს. ადამიანების დროებითი მოთავსების ცენტრებში განთავსება მხოლოდ უკიდურეს ზომად უნდა იქცეს. ყველა მიგრანტს ექნება საბაზო სოციალური მხარდაჭერა და პირობები, რომელიც უზრუნველყოფს მათ ახალ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ქვეყნები, რომლებიც აღნიშნულ ხელშეკრულებას არ აწერენ ხელს, შიშობენ, რომ გაიზრდება ლტოლვილების რიცხვი, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანები საკუთარი ნებით მასობრივად დატოვებენ მშობლიურ ადგილებს ისეთი სერიოზული მიზეზების გარეშე, როგორცაა სიცოცხლის საფრთხე. ასევე ისინი შიშობენ, რომ შეთანხმება მისცემს სტიმულს იმიგრაციას, რადგან როგორც კი პოტენციური მიგრანტები მისი არსებობის შესახებ შეიტყობენ, დაიჯერებენ, რომ განვითარებულ ქვეყნებში მათ მართლაც ელიან. მათი აზრით, მიგრანტებისთვის დაპირებულმა მრავალმა შეღავათმა განვითარებადი ქვეყნების

ღარიბ მოქალაქეებს შეიძლება შეუქმნას ილუზია, რომ დასავლეთით გაქცევა უფრო სარფიანია, ვიდრე სამშობლოში დარჩენა, იმ შემთხვევაშიც კი თუ მათ სახლში პირდაპირი საფრთხე არ ემუქრებათ.

კრიტიკოსებს საეჭვოდ მიაჩნიათ ლტოლვილების საკუთარ ქვეყნებში დახმარების იდეა. ამ სახელმწიფოების დიდ უმრავლესობაში ხელისუფლებები კორუმპირებულია, ხოლო ინსტიტუციები არ მუშაობს, ამდენად ასეთი დახმარება რეალურ სარგებელს ვერ მოიტანს. მსოფლიოს ლტოლვილების ორი მესამედი ისეთი ქვეყნებიდანაა, როგორებიცაა სირია, ავღანეთი, სამხრეთ სუდანი, მიანმარი, სომალი.

და ბოლოს, დოკუმენტში გაცხადებული სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების პრინციპმა პრაქტიკაში შეიძლება ტვინების გადინება გამოიწვიოს, ასევე მსოფლიოს ყველაზე ღარიბი რეგიონები საბოლოოდ ჩარჩენენ დღევანდელ მდგომარეობაში.

თანამედროვე მონობა

ლტოლვილები და სხვა დაუცველი ფენები ხშირად ხდებიან ადამიანით ვაჭრობი (ტრეფიკინგი) მსხვერპლი, რაც მონობის თანამედროვე ფორმაა, რომელშიც ადამიანების ჩათრევა მოტყუების, ძალადობის, მუქარის ან იძულების სხვა ფორმით ხდება. ტრეფიკინგის დროს ადამიანებს ეზღუდებათ დამოუკიდებლობა, თავისუფალი გადაადგილებისა და არჩევნის უფლება და ხდებიან ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი.

მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგი დასჯადი დანაშაულია, უამრავი ადამიანი ხდება ამ სახის იძულებითი მიგრაციის მსხვერპლი.

ადამიანებს უმთავრესად ყიდიან ან ამუშავებენ სექსუალური მომსახურების მისაღებად და მისი მსხვერპლი ქალები და ბავშვები არიან.

შესაძლოა, პირმა საკუთარი ქვეყანა ნებით დატოვოს, მაგრამ ვალის, მუქარის, ზეწოლის შედეგად, შემდგომში ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდეს. არის შემთხვევები, როცა საზღვრის გადაკვეთაც უკანონოდ, კონტრაბანდისტების დახმარებით ხდება, რომლებიც არალეგალური გზებით ცდილობენ ბარიერების დაძლევას. ამის გამო ტრეფიკინგის სტატისტიკის წარმოება ძალიან რთულია.

ადამიანით ვაჭრობის ყველაზე გავრცელებული სახეებია:

- ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით;
- იძულებითი შრომა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, საოჯახო მეურნეობებსა და სხვა სექტორებში;
- ადამიანის სხეულის ორგანოებით ვაჭრობა.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა მასშტაბებით მეორე დანაშაულებრივი ინდუსტრიაა მსოფლიოში და მსხვილი საერთაშორისო კრიმინალური ქსელების მიერ იმართება. დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკისა და საზღვრის მონიტორინგის გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გამო, არალეგალური მიგრანტების მზარდი ნაწილი ხდება მსგავსი კრიმინალური დაჯგუფებების მსხვერპლი.

როგორც წესი, არალეგალური მიგრანტების საცხოვრებელი პირობები სავალალოა. ხშირად მათთვის შეუძლებელია ნორმალური ბინის დაქირავება; ხოლო ისინი, ვინც მზად არიან

უზრუნველყონ არალეგალი მიგრანტები საცხოვრებლით, ძირითადად სთავაზობენ სამიმ ადგილებს არადამაკმაყოფილებელი პირობებითა და დაუცველობის დიდი რისკით. ტრეფიკინგისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა არალეგალურ გარიგებებზე უარის თქმა და ლეგალური გზით სხვა ქვეყანაში მუშაობის უფლების მოპოვება. ასევე საჭიროა წინსწრებით ყველა ინფორმაციის გადამოწმება და დროულად სამართალდამცველი ორგანოების ჩართვა.

იმ ქვეყნებში, სადაც სიღარიბე კონფლიქტები ნაკლებია, ასევე მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემები გამართულად ფუნქციონირებს, ნაკლებად აქვს ადგილი ტრეფიკინგს. მისი მსხვერპლი ძირითადად კონფლიქტის რეგიონებიდან და ღარიბი ქვეყნებიდან არიან. ეს უჩვენებს, რომ სიღარიბის დაძლევა და მშვიდობიანი მსოფლიო არ დატოვებს იძულებითი მონობისთვის სივრცეს.

როგორ იზომება ქვეყნების დემოკრატიის ხარისხი და ადამიანის თავისუფლება

მსოფლიოში დემოკრატიის ხარისხის კვლევითი ცენტრის – Economist Intelligence Unit-ის ყოველწლიურად ქვეყნდება ანგარიში, რომელიც ქვეყნების საინტერესო რეიტინგს გვთავაზობს. აღნიშნული რეიტინგი ეხმიანება გაეროს მდგრადი განვითარების მეთექვსმეტე მიზნის გადასაწყვეტ პრობლემებს და შესაძლებელია ქვეყნების პროგრესის დაკვირვებაც. „დემოკრატიის ინდექსი 2020-ის“ [ანგარიშში](#) მიმოხილულია 165 ქვეყნის მდგომარეობა. თითოეული ქვეყანა 10-ქულიანი სისტემით ფასდება. ქვეყნების ინდექსირება ხუთ კატეგორიას ეფუძნება:

- ✓ საარჩევნო პროცესი, პლურალიზმი;
- ✓ მთავრობის ფუნქციონირება;
- ✓ პოლიტიკური მონაწილეობა;
- ✓ პოლიტიკური კულტურა;
- ✓ სამოქალაქო თავისუფლება;

ამ კრიტერიუმებით ქვეყნები დაყოფილია დემოკრატიის ხარისხის მიხედვით ოთხ კატეგორიად

ეს ჯგუფებია: „სრული დემოკრატია“, „არასრულყოფილი დემოკრატია“, „ჰიბრიდული რეჟიმი“ და „ავტორიტარული რეჟიმი“.

მსოფლიოს მასშტაბით პირველ ხუთეულში შემდეგი ქვეყნებია: ნორვეგია, ისლანდია, შვედეთი, ახალი ზელანდია და კანადა. ბოლო ადგილზეა ჩრდილოეთი კორეა.

მთლიანობაში 2020 წელს დემოკრატიის ხარისხი მთელ მსოფლიოში საგრძნობლად დაეცა 2019 წელთან შედარებით. 165 ქვეყნიდან 116-მა განიცადა უკუსვლა.

საქართველო 91-ე ადგილზეა, 2020 წელს 5,31 ქულა მიენიჭა, გასულ წელს კი ეს მაჩვენებელი 5,42 იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გასულ 2019 წელთან შედარებით, ორი პუნქტით ჩამოქვეითდა. უფრო კონკრეტულად საქართველო რჩება „ჰიბრიდული რეჟიმების“ ჯგუფში. ყველაზე მაღალი – 7,8 ქულით საქართველოში საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი შეფასდა. სხვა მონაცემები კი ასეთია:

პოლიტიკური თანამონაწილეობა – 6,11 ქულა;

მთავრობის ფუნქციონირება – 3,57 ქულა;

პოლიტიკური კულტურა – 3,75 ქულა;

სამოქალაქო თავისუფლება – 5,29 ქულა.

ადამიანის თავისუფლება არის არსებითად ღირებული სოციალური კონცეფტი, რომელიც აღიარებს ინდივიდების ღირსებას. ინდივიდებს უნდა შეეძლოთ გარე ძალები ხელის შეშლის გარეშე განახორციელონ ქმედებები, რაც გამოიწვევს დასჯას. ადამიანის თავისუფლება უზარმაზარ როლს თამაშობს ადამიანის წინსვლაში.

ადამიანის თავისუფლების ინდექსი წარმოადგენს კრიტერიუმებზე დაფუძნებულ საზომს, რომლითაც დგინდება ქვეყნების რეიტინგი. ადამიანის თავისუფლების მდგომარეობა მსოფლიოს 162 ქვეყანაში ყოველწლიურად ფასდება. ინდექსი მოიცავს ეკონომიკურ, სამოქალაქო და პიროვნულ თავისუფლებებს. სამივე მიმართულებით ჯამში გამოიყენება 76 მაჩვენებელი, ამ ინდიკატორებს შორისაა:

- ✓ კანონის უზენაესობა
- ✓ უსაფრთხოება და დაცულობა
- ✓ იდენტობა და ურთიერთობები
- ✓ მთავრობის ზომა
- ✓ სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლებები
- ✓ წვდომა რესურსებზე
- ✓ თავისუფლება საერთაშორისო ვაჭრობაზე
- ✓ გამოხატვის უფლება და ინფორმაციაზე წვდომა
- ✓ რწმენის თავისუფლება
- ✓ გადაადგილების თავისუფლება
- ✓ და სხვა

ინდექსი თითოეულ ქვეყანაში ადამიანთა თავისუფლებას 0-დან 10 ქულამდე აფასებენ. სადაც 10 ქულა ნიშნავს, რომ ქვეყნის მოსახლეობას ყველაზე მეტი თავისუფლება აქვს, ხოლო) ნიშნავს ყველაზე ნაკლებ თავისუფლებას.

შედეგების მიხედვით, განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებშია.

რა უნდა გაკეთდეს პრობლემის გადასაჭრელად?

მთავრობებმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და ადგილობრივმა თემებმა ერთად უნდა იმუშაონ ძალადობის შესამცირებლად, სამართლიანობის მისაღწევად, კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად და უზრუნველყონ ინკლუზიური მონაწილეობა, საზოგადოების ყველა ჯგუფების ჩართულობა საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. უნდა იყოს გარანტირებული შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება, როგორც პირადად, ასევე საჯაროდ. 2015 წლიდან 2019 წლამდე გაეროს მონაცემებით 81 ქვეყანაში

უფლებადამცველების, ჟურნალისტებისა და პროფკავშირის წარმომადგენლების 1940 მკვლელობა, 106 ძალადობრივი გაუჩინარება დაფიქსირდა, ხოლო მკვლელობების ნახევარზე მეტი მოხდა ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში. კანონი უნდა იქნას გამოყენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და ქვეყნების მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტები ასევე ყველაზე თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს. ყველანაირი საკამათო საკითხი, სამართლებრივი, ქონებრივი თუ სხვა დავები უნდა მოგვარდეს მართლმსაჯულების სისტემის ეფექტური მუშაობის შედეგად. ეროვნული და ადგილობრივი

ინსტიტუციები უნდა იყოს ანგარიშვალდებულნი, ძლიერები და ყველა დონეზე ფუნქციონირებდნენ, რათა უზრუნველყონ ძირითადი სერვისები, კორუფციის გარეშე ხდებოდეს საკითხების მოგვარება.

აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, რადგან მათ ისარგებლონ თავიანთი უფლებით და არჩეული თუ დანიშნული მთავრობისგან, რიგითი ჩინოვნიკებისგან მოითხოვოს მათი ანგარიშვალდებულება. გამოიყენონ თავიანთი კანონიერი უფლება და გაუზიარონ საკუთარი აზრები მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს. ხელი შეუწყონ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პასუხისმგებლიანი მოქალაქეები ერთად ქმნიან სამოქალაქო საზოგადოებას, რაც სახელმწიფოს აძლიერებს და ხელს უწყობს თითოეული ადამიანისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

მნიშვნელოვანია კორუფციის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რადგან გაეროს რეზოლუციის თანახმად „კორუფცია სასტიკი სენია, რომელიც მრავალმხრივ ვნებს საზოგადოებას. იგი აზარალებს დემოკრატიას და კანონის უზენაესობას, იწვევს ადამიანის უფლებების შელახვას, აფერხებს ბაზრების საქმიანობას, აუარესებს ცხოვრების ხარისხს და ხელს უწყობს ორგანიზებულ დანაშაულს, ტერორიზმს და სხვა მოვლენებს, რომლებიც ადამიანის უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს“.

კორუფციაა, როდესაც სახელმწიფო მოხელე ასაქმებს, ქირაობს და შესაბამისად, ბიუჯეტის ფულს უხდის ისეთ პირს ან ორგანიზაციას, რომელიც არაა კონკურსის წესით ობიექტურად შერჩეული. შერჩევის საფუძველი კი პირადი სიმპათიები ან გამორჩენა ხდება. ეს შეიძლება იყოს ნეპოტიზმი, რაც სახელმწიფო მოხელეების მიერ საკუთარი ოჯახის წევრების და ახლობლების დასაქმებას ეწოდება, ან სახელმწიფო უწყებების მიერ პროდუქტის ან მომსახურების მომწოდებლის პირადი ინტერესების მიხედვით, ხშირად, ქრთამის სანაცვლოდ შერჩევა.

კორუფციასთან ბრძოლის გარეშე ქვეყნები ვერ დაძლიებენ სხვა გამოწვევებს, რადგან სახელმწიფო სერვისები არ იქნება მორგებული მოსახლეობის ფართო ფენებზე. გაეროს ანტიკორუფციულ პროგრამაში ხაზგასმულია რომ კორუფციასთან ბრძოლა, პირველ რიგში ხელისუფლების ვალდებულებაა, თუმცა ამასთანავე, ყველა მოქალაქის პასუხისმგებლობაა, არ დაუშვას კორუფცია, არ მიიღოს მონაწილეობა კორუფციულ გარიგებებში, ხოლო თუ ასეთის შესახებ შეიტყობს, დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის ორგანოებს.

რა მოჰყვება პრობლემის უგულებელყოფას?

შეფასებებით კორუფცია, მექრთამეობა, ქურდობა და გადასახადებისგან თავის არიდება განვითარებად ქვეყნებში ძალიან დიდ მასშტაბებს აღწევს და წელიწადში 1,26 ტრილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა.

შეიარაღებული კონფლიქტები, ძალადობა, ადამიანების დაუცველობა დესტრუქციულ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე და

ხშირად იწვევს საზოგადოების გრძელვადიან უკმაყოფილებას, უიმედობის და უპერსპექტივობის განცდას აჩენს. ადრეულ ასაკში ბავშვთა მიმართ ძალადობა გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე, განვითარებაზე და კეთილდღეობაზე, მომავალში მათ სრულფასოვანი რეალიზაციის შესაძლებლობაზე. ეს იწვევს ტრავმას და ასუსტებს სოციალურ ჩართულობას. სასამართლოზე და მართლმსაჯულებაზე წვდომის არარსებობა ნიშნავს იმას, რომ კონფლიქტები გადაუჭრელი რჩება და ხალხი ვერ იღებს დაცვას, ვერ ასწორებს უსამართლობას და შესაბამისად ნერგავს ნიჰილიზმს და დაუცველობის განცდას. დაწესებულებები, რომლებიც არ ფუნქციონირებენ არსებული კანონების შესაბამისად, მიდრეკილი არიან თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისკენ და ნაკლებად შეუძლიათ ყველას გაუწიონ სამართლიანი მომსახურება. მსგავსი დისკრიმინაცია არა მხოლოდ არღვევს ადამიანის უფლებებს, არამედ იწვევს უკმაყოფილებას, მტრობას და შეიძლება გამოიწვიოს შურისძიება, სისხლის აღება და თანმდევი ძალადობა.

ეს აისახება ადამიანის ცხოვრებაზე, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს. დანაშაულები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მშვიდობიანი საზოგადოებების დაფუძნებას, მათ შორის არ აღკვეთს მკვლევლობებს, ადამიანებით ვაჭრობას და სხვა ორგანიზებულ დანაშაულებებს, ასევე დისკრიმინაციულ კანონებსა თუ პრაქტიკას, არ არის შეზღუდული რაოდენობის ქვეყნების პრობლემა და ეხება თითქმის ყველას. მსოფლიოს უდიდესი დემოკრატიებიც კი დიდი გამოწვევების წინაშე დგანან კორუფციის, დანაშაულისა და ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით და უამრავ რესურსს ხარჯავენ მასთან ბრძოლაში.

მე რისი გაკეთება შემიძლია


- ✓ გაარკვიეთ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა ადამიანების არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, როდიდან ირჩევენ მმართველობით სტრუქტურებს, როდის მიეცათ ქალებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. რა ასაკიდან შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა და როგორ შეიძლება ინფორმაციის სრულფასოვნად მიღება ინფორმირებული არჩევნების გასაკეთებლად.
- ✓ გაარკვიეთ, როგორ შეიძლება თვითმმართველობებისთვის ხმის მიწვდენა თქვენი თემისთვის, სკოლისთვის აქტუალურ საკითხებზე.
- ✓ მოიძიეთ ინფორმაცია ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე, ვისი უფლებები ირღვევა ყველაზე ხშირად? გაზარდეთ საზოგადოების და თანაკლასელების ცნობიერება მათ უფლებებზე, განახორციელეთ შესაბამისი პროექტები.
- ✓ მოიძიეთ ინფორმაცია მიმდინარე კონფლიქტებზე, დაზარალებულ მოსახლეობაზე. გაარკვიეთ, რა კეთდება საერთაშორისო დონეზე ამ კონფლიქტების მოსაგვარებლად, ასევე როგორ შეიძლება კონფლიქტის გადაჭრის მშვიდობიანი გზების, მედიაციის უნარის განვითარება.
- ✓ მოიძიეთ ინფორმაცია ძალადობის შესახებ, რა ტიპის ძალადობები არსებობს და როგორ შეიძლება ძალადობისგან თავისუფალი სკოლის შექმნა. რა უნდა გაკეთდეს ამისთვის. თუ ძალადობის წინააღმდეგ მოქმედ და ადამიანების უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს დახმარება სჭირდებათ ჩაერთეთ მათ საქმიანობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://euronewsgeorgia.com/2021/02/05/the-economist-sakartvelos-demokratiis-xarisxi-2019-weltan-shedarebit-gauaresda/>
<https://www.unhcr.org/>
https://migration.commission.ge/index.php?article_id=148&clang=0
<https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-26>
<https://worldpopulationreview.com/country-rankings/freedom-index-by-country>
<https://www.un.org/sustainabledevelopment/>
<https://sdg.gov.ge/goals-all>

ქვიზი (სწორი პასუხები გამწვანებულია)

- ადამიანის რომელი ჯგუფები არის ყველაზე ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლი? მონიშნეთ ყველა სწორი დეზულება.
 - განვითარებადი ქვეყნების ღარიბი მოსახლეობა
 - განვითარებული ქვეყნების ღარიბი მოსახლეობა
 - კონფლიქტის შედეგად დაზარალებული
 - სუსტი სახელმწიფო ინსტიტუციების მქონე ქვეყნების მოწყვლადი მოსახლეობა
- კორუფცია ყველაზე მეტად რომელ ინსტიტუციებს აზარალებს?
 - არასამთავრობო ორგანიზაციებს
 - მედიას
 - სასამართლოს
 - პოლიციას
- რუკა ასახავს ქვეყნებში დემოკრატიის ინდექსს (2020 წ.), რომელზეც გამოყოფილია 4 კატეგორიის ქვეყანა - სრული დემოკრატიის, არასრული დემოკრატიის, ჰიბრიდული დემოკრატიის და ავტორიტარული რეჟიმი. რა კატეგორია არ არის გათვალისწინებული ინდექსის გამოანგარიშებისას?



- ა. საარჩევნო კულტურა
- ბ. პლურალიზმი
- გ. პოლიტიკური კულტურა
- დ. პოლიტიკური მონაწილეობა

14. რუკა ასახავს ქვეყნებში დემოკრატიის ინდექსს (2020 წ.), რომელზეც გამოყოფილია 4 კატეგორიის ქვეყანა - სრული დემოკრატიის, არასრული დემოკრატიის, ჰიბრიდული დემოკრატიის და ავტორიტარი რეჟიმის მქონე ქვეყნები. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყანა არ შედის ჰიბრიდული დემოკრატიის მქონე ქვეყანათა რიცხვში?

- ა. ალჟირი
- ბ. ბოლივია
- გ. რუსეთი
- დ. საქართველო
- ე. ყირგიზეთი

15. რუკა ასახავს ქვეყნებში დემოკრატიის ინდექსს (2020 წ.), რომელზეც გამოყოფილია 4 კატეგორიის ქვეყანა - სრული დემოკრატიის, არასრული დემოკრატიის, ჰიბრიდული დემოკრატიის და ავტორიტარი რეჟიმის მქონე ქვეყნები. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყანა არ შედის ავტორიტარი რეჟიმის მქონე ქვეყანათა რიცხვში?

- ა. ბელორუსი
- ბ. თურქეთი
- გ. თურქმენეთი
- დ. ირანი
- ე. ჩინეთი

16. ჭეშმარიტია თუ არა დებულება: დემოკრატიული ინდექსის მიხედვით საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა აქვს პოლიტიკურ თანამონაწილეობაში, ხოლო ყველაზე დაბალი მთავრობის ფუქციონირებაში

- ა. მცდარია
- ბ. ჭეშმარიტია

17. გაეროს რეზოლუციიდან ამ ამონარიდში რა მოვლენა არის აღწერილი: „...სასტიკი სენია, რომელიც მრავალმხრივ ვნებს საზოგადოებას. იგი აზარალებს დემოკრატიას და კანონის უზენაესობას, იწვევს ადამიანის უფლებების შელახვას, აფერხებს ბაზრების საქმიანობას, აუარესებს ცხოვრების ხარისხს და ხელს უწყობს ორგანიზებულ დანაშაულს, ტერორიზმს და სხვა მოვლენებს, რომლებიც ადამიანის უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს“.

- ა. ავტორიტარიზმი
- ბ. კონფლიქტი
- გ. კორუფცია

დ. ტერორიზმი

18. კვალიფიციური კადრების განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულლებში მიგრაციას უწოდებენ

- ა. კადრების გადაწვას
- ბ. პროფესიონალების დემარშს
- გ. სარფიან დასაქმებას
- დ. ტვინების გადინებას

19. რა მახასიათებელი განასხვავებს დევნილს და ლტოლვილისგან

- ა. დევნილი რჩება საკუთარ ქვეყანაში
- ბ. დევნილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება
- გ. დევნილის უფლებები არ ირღვევა
- დ. დევნილის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება

20. ჭეშმარიტია თუ მცდარი დებულება: კორუფციიდან, მექრთამეობიდან, ქურდობიდან და გადასახადებისგან თავის არიდებისგან მიღებული ზარალი წელიწადში 1,26 ტრილიონი აშშ დოლარის ექვივალენტია, რითის შეიძლება 6 წლის განმავლობაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადამიანების დახმარება.

- ა. მცდარია
- ბ. ჭეშმარიტია

მდგრადი განვითარების მიზანი 17: განხორციელების საშუალებების და გლობალური პარტნიორობის გაძლიერება მდგრადი განვითარებისთვის



შინაარსი

მდგრადი განვითარების მიზანი 17: განხორციელების საშუალებების და გლობალური პარტნიორობის გაძლიერება მდგრადი განვითარებისთვის 226

რაში მდგომარეობს მიზნის არსი..... 226

ქვემიზნები მიზნისთვის „თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის“ 227

ფაქტები და მონაცემები: 229

ტერმინები..... 229

გლობალიზაცია და მისი გამოვლინებები 232

საერთაშორისო დახმარებების მნიშვნელობა და საფრთხეები 233

ფულადი გზავნილების, რემიტანსების მნიშვნელობა 236

რა უნდა გაკეთდეს პრობლემის გადასაჭრელად? 237

მე რისი გაკეთება შემიძლია?..... 238

გამოყენებული ლიტერატურა..... 239

ქვიზი (სწორი პასუხი გამწვანებულია) 239

რაში მდგომარეობს მიზნის არსი

მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად შესაძლებლობების განვითარება და გლობალური თანამშრომლობის გაძლიერება

მდგრადი განვითარების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ძლიერი საერთაშორისო პარტნიორობის პირობებში. პარტნიორობა მოიცავს გლობალურ, რეგიონულ, ეროვნულ დონეებზე ინკლუზიურ თანამშრომლობას თანამშრომლობას. საჭიროა მდგრადი განვითარების დღის წესრიგში არსებობდეს პარტნიორობა მთავრობებს, კერძო სექტორს და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. ეს ინკლუზიური პარტნიორობაა, რომელიც დაფუძნებული იქნება პრინციპებსა და ფასეულობებზე, საერთო ხედვასა და საერთო მიზნებზე, რომელთა ცენტრში ხალხი და პლანეტა იქნება.

იმისათვის, რათა მოხდეს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა, საჭიროა გადაუდებელი მოქმედება ტრილიონობით დოლარის კერძო რესურსებიდან მობილიზებისთვის. გრძელვადიანი ინვესტიციები, მათ შორის, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, საჭიროა კრიტიკულ სექტორებში. განსაკუთრებით იზრდება მათი მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნებისთვის. აღნიშნული სექტორი მოიცავს მდგრად ენერჯის, ინფრასტრუქტურასა და ტრანსპორტს, ასევე, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. საჯარო სექტორს დასჭირდება მკაფიო მიმართულების განსაზღვრა. ინვესტიციების მოსაზიდად და მდგრადი განვითარების გასაძლიერებლად უნდა განხორციელდეს ჩარჩოების, რეგულაციების და მასტიმულირებელი სტრუქტურების განხილვა და მონიტორინგი. უნდა გაძლიერდეს ეროვნული ზედამხედველობის ისეთი მექანიზმები, როგორებიცაა სახელმწიფო აუდიტის სამსახური და საკანონმდებლო ორგანოს ზედამხედველობის ფუნქციები.

გლობალური COVID-19 პანდემიის შედეგების გათვალისწინებით, ჩვენ დავინახეთ, რომ მრავალმხრივი ურთიერთობების გაძლიერება და გლობალური პარტნიორობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე, თუ ჩვენ გვსურს მსოფლიოს პრობლემების მოგვარება. მდგრადი განვითარების მიზნები რჩება უკეთესობისკენ გზად. ჩვენ გვჭირდება ყველას გაერთიანება - მთავრობები, სამოქალაქო საზოგადოება, მეცნიერები, აკადემიური წრე და კერძო სექტორი.

ქვემიზნები მიზნისთვის „თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის“

- შიდა რესურსების მობილიზაციის გაძლიერება; მათ შორის, განვითარებადი ქვეყნებისადმი საერთაშორისო მხარდაჭერა, რათა გაიზარდოს ეროვნული შესაძლებლობები საგადასახადო და სხვა შემოსავლების აკუმულირების მიმართულებით.
- განვითარებულმა ქვეყნებმა სრულად განახორციელონ თავიანთი ოფიციალური განვითარების ხელშეწყობის ვალდებულებები, რაც გულისხმობს განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად 0.7%-ის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევას ოფიციალური განვითარების დახმარება მთლიან ეროვნულ პროდუქტში გამოხატული (ODA/GNI), აქედან 0.15-0.20 %-მდე ყველაზე სუსტად განვითარებულ ქვეყნებისთვის.
- მოხდეს სხვადასხვა წყაროებიდან დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზება განვითარებადი ქვეყნებისათვის.
- განვითარებად ქვეყნებს გაეწიოთ დახმარება ვალის გრძელვადიანი მდგრადობის მისაღწევად კოორდინირებული პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც მიზნად ისახავს ვალის მართვის ხელშეწყობას; ყურადღება მიექცეს ვალის დიდი მოცულობის მქონე ღარიბი ქვეყნების საგარეო ვალს, რათა შემცირდეს მათ წინაშე არსებული წნეხი.
- შემუშავდეს და დაინერგოს ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის ინვესტიციების ხელშეწყობის რეჟიმები.

- გაძლიერდეს ჩრდილოეთ-სამხრეთი, სამხრეთ-სამხრეთი და რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელმისაწვდომობისა და ცოდნის გაზიარების მეთოდების გაუმჯობესების მიზნით, როგორც გაეროს დონეზე, ასევე სხვა გლობალური ტექნოლოგიების მექანიზმების გამოყენებით.
- ეკოლოგიურად ჯანსაღი ტექნოლოგიების განვითარების, გავრცელებისა და გადაცემის ხელშეწყობა განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათთვის ხელსაყრელი და შეღავათიანი პირობებით, ორმხრივი შეთანხმებების თანახმად.
- ტექნოლოგიების ბანკისა და მეცნიერების სრული ოპერაციონალიზაცია, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შესაძლებლობების ზრდა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართულებით 2017 წლისათვის, ტექნოლოგიების სრულფასოვანი გამოყენება, განსაკუთრებით კი ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების მხრივ.
- განვითარებადი ქვეყნებისათვის საერთაშორისო მხარდაჭერის გაძლიერება ეფექტიანი და მიზანმიმართული შესაძლებლობების ზრდის მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ეროვნული გეგმების შემუშავება და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა, მათ შორის ჩრდილოეთსა და სამხრეთის, სამხრეთსა და სამხრეთის და სამგანზომილებიანი თანამშრომლობის გზით.
- უნივერსალური, წესებზე დაფუძნებული, ღია და არადისკრიმინაციული მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის ფორმირება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში, მათ შორის, დოჰას განვითარების დღის წესრიგის გათვალისწინებით.
- განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ, 2020 წლისთვის ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ექსპორტის წილის გაორმაგება გლობალურ მაჩვენებელში
- ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის ვალდებულებისა და კვოტებისაგან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის დროული რეალიზაცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად, მათ შორის, ისეთი გამჭვირვალე და მარტივი შეღავათიანი წესების შემუშავება აღნიშნული ქვეყნების საექსპორტო საქონელზე, რაც ხელს უწყობს ბაზარზე ხელმისაწვდომობას.
- გლობალური მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაზრდა, მათ შორის პოლიტიკების კოორდინაციისა და თანხვედრის მეშვეობით.
- უზრუნველყოფილ იქნას მდგრადი განვითარების პოლიტიკების თანხვედრა.
- პატივი სცენ თითოეული ქვეყნის პოლიტიკურ სივრცესა და მმართველობას სიღარიბის აღმოფხვრისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში.
- გლობალური პარტნიორობის გაძლიერება მდგრადი განვითარებისათვის, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას, რის ფარგლებშიც ხდება ცოდნის, ექსპერტიზის, ტექნოლოგიისა და ფინანსური რესურსების გაზიარება, რათა მხარე დაეჭიროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას ყველა ქვეყანაში, კერძოდ კი განვითარებად ქვეყნებში.

- ხელი შეეწყოს ეფექტურ საჯარო, კერძო და სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორულ ურთიერთობებს, რაც დაფუძნებული იქნება გამოცდილებასა და პარტნიორობის დაფინანსების სტარტეგიებზე.
- 2020 წლისთვის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების და მცირე კუნძულოვანი განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, შემოსავლის, გენდერის, ასაკის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, მიგრაციული სტატუსის, შეზღუდული შესაძლებლობების, გეოგრაფიული მდებარეობის და შესაბამის ეროვნულ კონტექსტებში არსებული სხვა მახასიათებლების მიხედვით კლასიფიცირებულ ხარისხიან, დროულ, სანდო და დეტალურ მონაცემებზე წვდომის მნიშვნელოვნად გაზრდის მიზნით.
- 2030 წლისთვის არსებულ ინიციატივებზე დაყრდნობით საზომების შემუშავება მდგრადი განვითარების მიმართულებით მიღწეული, მთლიანი შიდა პროდუქტის შემავსებელი პროგრესის გასაზომად, და ხელშეწყობა.

ფაქტები და მონაცემები:

- ✓ ოფიციალური განვითარების დახმარების (ODA) მოცულობის ნაკადი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განვითარების დახმარების კომიტეტის (DAC) წევრი ქვეყნებიდან 2019 წელს შეადგინა \$ 147.4 მილიარდი. ის უცვლელია 2018 წელთან შედარებით. თუმცა ამ დახმარების ფარგლებში თანხები განსხვავებულად გადანაწილდა და აფრიკის ქვეყნებისკენ მიმართული დახმარებების წილი 1,3%-ით გაიზარდა, ხოლო სუსტად განვითარებადი ქვეყნების წილი - 2,6%-ით.
- ✓ განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის 79 პროცენტი განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო გადასახადის გარეშე შემოდის, რაც ახალისებს ვაჭრობას და პროდუქციას კონკურენტუნარიანს ხდის.
- ✓ განვითარებადი ქვეყნების ვალის ტვირთი სტაბილური რჩება ექსპორტის შემოსავლების დაახლოებით 3 პროცენტზე.
- ✓ ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) და ფულადი გზავნილები (რემიტანსები) 2020 წელს 40 % –მდე შემცირდება. რაც უკავშირდება დონორი ქვეყნების პრიორიტეტების ცვლილებას, მათ საკუთარ ქვეყანაში მეტი თანხის მობილიზება დაჭირდათ პანდემიასთან დაკავშირებით, ქვეყნების ჩაკეტვა შეამცირა სამუშაო ადგილები და შესაბამისად საჭიროება იაფფასიან მუშახელზე.
- ✓ მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი არ არის დაკავშირებული ინტერნეტთან, განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში.
- ✓ მონაცემთა აღრიცხვის და სტატისტიკის გასაუმჯობესებლად საერთაშორისო დაფინანსება 2017 წელს 690 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც საჭირო თანხის ნახევარს წარმოადგენდა.

ტერმინები

გლობალიზაცია - საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვერსიით, ეს არის ქვეყნების ურთიერთობის გაფართოება მთელ მსოფლიოში მომსახურების, საქონელბრუნვისა და კაპიტალბრუნვის ზრდისა და მრავალფეროვანი ტრანზაქციების შედეგად ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელების ფონზე

ოფიციალური განვითარების დახმარება (Official development assistance (ODA)) განისაზღვრება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ (Organization for Economic Co-operation and Development — OECD) როგორც განვითარების დახმარების კომიტეტი (Development Assistance Committee (DAC)), როგორც მთავრობის დახმარება, რომელიც ხელს უწყობს სპეციფიკური ეკონომიკური განვითარებებიკენ მიმართული ამოცანების განხორციელებას განვითარებადი ქვეყნების კეთილდღეობისთვის. განვითარების დახმარების კომიტეტმა 1969 წლიდან მიიღო ოფიციალური განვითარების დახმარება, როგორც საერთაშორისო დახმარებების ოქროს სტანდარტი და დღესაც ფინანსური დახმარების წყაროდ რჩება. მის ფარგლებში გაიცემა კრედიტები (სესხები), გრანტები და სხვა ტიპის ტრანსფერები

განვითარების დახმარების კომიტეტი (Development Assistance Committee (DAC)) წარმოადგენს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ორგანიზებულ ფორუმს, რომელიც მსჯელობს დახმარებებზე, განვითარებასა და სიღარიბის აღმოფხვრაზე განვითარებად ქვეყნებში. კომიტეტი თავის თავს აღწერს, როგორც შიგნით ადგილსა და მსოფლიო დონორი ქვეყნების ხმას. DAC 30 წვრისგან შედგება (ავსტრალია, ავსტრია, აშშ, ახალი ზელანდია, ბელგია, კანადა, გაერთიანებული სამეფოები, გერმანია, დანია, ესპანეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, სამხრეთ კორეა, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთი, ჰოლანდია, ევროკავშირი, ხოლო დამკვირვებლები არიან მსოფლიო ბანკი, მსოფლიო მონეტარული ფონდი, გაეროს, განვითარების პროგრამა, აფრიკის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ინტერ-ამერიკული განვითარების ბანკი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (Foreign direct investment FDI) ითვლება გლობალიზაციის, ეკონომიკური ზრდის და ინდუსტრიალიზაციის მთავარ მასტიმულირებელ ძალად. არის საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის ერთ-ერთი კატეგორია. ეს უკანასკნელი ერთი ქვეყნის ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაციების წარმოებას გულისხმობს. უცხოური კაპიტალის მოზიდვა და საგარეო წყაროებზე ხელმისაწვდომობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ როდესაც ქვეყანა ძირითადად დამოკიდებულია საგარეო ინვესტიციებზე და გრძელვადიან პერიოდში გააჩნია მაღალი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, ეს ფაქტი სხვადასხვა დადებით ეფექტებთან ერთად მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია.

ფულადი გზავნილები, რემიტანსები - არის ემიგრაციაში წასული და დასაქმებული (ლეგალურად თუ არალეგალურად) ადამიანებისგან განხორციელებული ფულადი ტრანზაქციები ოჯახის წევრებთან, ან ახლობლებთან

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) - გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც შეიქმნა 1944 წელს. ფონდი სრული ავტონომიით სარგებლობს. ფონდის წევრია 180-მდე ქვეყანა. წესდების მიხედვით, ფონდმა ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას, თვალყური ადევნოს ვალუტის სტაბილურობას და გასცეს კრედიტები წევრ სახელმწიფოებზე საგადასახადო ბალანსების გასაწონასწორებლად. ფონდის ძირითად კაპიტალს შეადგენს წევრი სახელმწიფოების კვოტური შენატანები. თითოეული სახელმწიფოს კვოტური შენატანის ოდენობა განისაზღვრება ქვეყნის ფინანსურეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელთა გადახედვაც პერიოდულად ხდება. საწევროების 25 პროცენტი იხდება ოქროსა და აშშ დოლარში, ხოლო 75 პროცენტი - ეროვნულ ვალუტაში. კრედიტების ოდენობა, რომელიც შეიძლება ავტომატურად მიიღოს თითოეულმა ქვეყანამ, შეეფარდება მის „ოქროს წილს“. ფონდიდან ამ ოდენობაზე მეტი თანხის მიღება შეუძლებელია. ფონდში გადამწყვეტ როლს ასრულებენ აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, კანადა, ბელგია, ნიდერლანდები და შვეიცარია (ე.წ. ათთა ჯგუფი), რომლებსაც ხმების უმრავლესობა აქვთ და განსაზღვრავენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავალუტო პოლიტიკას. ფონდის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება. საბჭოში შედის თითოეული წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი. ფონდის შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში. საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრია 1992 წლიდან.

მსოფლიო ბანკი (WB) - ბანკის შექმნა გადაწყდა ბრეტონ-ვუდსში 1944 წელს. მუშაობა დაიწყო 1945 წელს. იგი გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა, მაგრამ მის წევრად მიიღებიან მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი სახელმწიფოები. შტაბ-ბინაა ვაშინგტონში. მისი უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო. ბანკის ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებს დირექტორატი. ბანკს ჰყავს პრეზიდენტი. პირველი სესხი ბანკმა მისცა საფრანგეთს 1947 წელს ომის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის (250 მილიონი აშშ დოლარი). ამ მიზნით სესხის გაცემა მას შემდეგ მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. ბანკში 180-ზე მეტი წევრია. მისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სიღარიბესთან ბრძოლა მთელს მსოფლიოში. მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიოს განვითარების ანგარიშს. საქართველო მსოფლიო ბანკის წევრია 1992 წლიდან. ამჟამად ბანკში გაერთიანებულია ხუთი ინსტიტუტი:

- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (International Bank for Reconstruction and Cooperation - IBRD)
- საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (International Development Association - IDA)
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (International Finance Corporation - IFC)
- მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (Multilateral Investment Guarantee Agency - MIGA)
- ინვესტიციების სფეროში დავების მოსაგვარებელი საერთაშორისო ცენტრი (International Center for Settlement of International Disputes - ICSID)

გლობალიზაცია და მისი გამოვლინებები

გლობალიზაცია კომპლექსური და წინააღმდეგობრივია. ზოგი მეცნიერი მას ეკონომიკურ ასპექტში განიხილავს, ზოგი – პოლიტიკურ ჭრილში. სინამდვილეში გლობალიზაცია გაცილებით ფართო მნიშვნელობის მქონე მოვლენაა და პოლიტიკურსა და ეკონომიკურთან ერთად სოციალურ და კულტურულ, ფაქტორებსაც მოიცავს. არ შეიძლება, მისი შეფასებისას ისეთი ერთმნიშვნელოვანი ცნებებით შემოვიფარგლოთ, როგორცაა “კარგი” და “ცუდი”. გლობალიზაციის პროცესი ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი პროცესია კაცობრიობის ისტორიაში. მან მრავალი ქვეყნის საერთაშორისო სტატუსი, ადგილი და გავლენა შეცვალა. ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით – ინტერნეტმა, ერთსა და იმავე საწყის პოზიციაზე დახია ყველა ქვეყანა და ხელახლა ჩართო ისინი საყოველთაო მართონში, თითქოს მნიშვნელობა დაკარგა მანამდე არსებულმა კულტურულმა თუ ისტორიულმა წარსულმა, პოლიტიკურმა გავლენებმა და ა.შ., თუმცა უწინარესად სწორედ პოლიტიკურად გავლენიან და ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებს აღმოაჩნდათ თანხები საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განსავითარებლად, რამაც ინტერნეტი მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადა და ეს სახელმწიფოები უფრო მეტად დააწინაურა. შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა მანძილი მდიდრებსა და ღარიბებს შორის. თუმცა ამ ახალ თამაშში ჩაერთნენ სახელმწიფოები, რომლებიც სწრაფად იკვალავენ გზას განვითარებული ქვეყნებისკენ (სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები).

“Globe” ინგლისური სიტყვა და გლობუსს ნიშნავს, ხოლო “global” – მსოფლიოს, გლობალურს.

ტერმინ “გლობალიზაციის” წარმოშობა უკავშირდება ამერიკელი სოციოლოგის რ. რობერტსონის სახელს, რომელმაც ეს 1983 წელს სტატიაში გამოიყენა. ამ ცნებას მრავალნაირად განმარტავენ:

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვერსიით, ეს არის ქვეყნების ურთიერთობის გაფართოება მთელ მსოფლიოში მომსახურების, საქონელბრუნვისა და კაპიტალბრუნვის ზრდისა და მრავალფეროვანი ტრანზაქციების შედეგად ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელების ფონზე;

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ვერსიით – ქვეყნების ურთიერთობათა გაფართოება, რაც განაპირობებს ვაჭრობის, ფინანსების, ადამიანებისა და იდეების ინტეგრაციის ზრდას მთელ გლობალურ ბაზარზე;

პიტერ ჰაგეტის მიხედვით – პროცესი, რომლის შედეგადაც მოვლენები, აქტივობები და გადაწყვეტილებები, მიღებული მსოფლიოს ერთ წერტილში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოშორებით მცხოვრებ მოსახლეობაზე/თემებზე.

საბოლოო ჯამში, გლობალიზაციას ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ გააჩნია; მას ხშირად აიგივებენ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული იდეების გავრცელებასთან და ერევათ გაერთვაროვნებაში.

გლობალიზაციის პროცესს სამყაროს დაპატარავება-შეკუმშვა მოჰყვა. ეს, ცხადია, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. სატრანსპორტო საშუალებები უფრო მეტად აახლოებს

ერთმანეთთან გეოგრაფიულ წერტილებს, რადგან მანძილის დაფარვა ბევრად უფრო სწრაფად ხდება შესაძლებელი. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის დროული გაცვლა – ინფორმაციული ტექნოლოგიები იმდენად განვითარდა, რომ დიდი მოცულობის ინფორმაციის ნაკადების უმოკლეს დროში გატარება უკვე აღარ წარმოადგენს პრობლემას.

ყოველივე ეს გლობალიზაციის შეუქცევადი ნიშნებია, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დღემდე არსებობენ ქვეყნები, რომლებიც უარს ამბობენ აღნიშნულ პროგრესზე. ამ ქვეყნების ხელისუფლებამ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის შიშით იზოლაციაში მოაქცია საკუთარი მოსახლეობა და პერსპექტივაზეც კი უარი თქვა.

ტელევიზიით ხშირად გადაიციმა სიუჟეტები ანტიგლობალისტთა პროტესტის შესახებ, ისინი განსაკუთრებით აქტიურდებიან საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმების G7, G8, G20 შეხვედრების დროს. ანტიგლობალისტები მდიდარ ქვეყნებთან ერთად ადანაშაულებენ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს. მათი მთავარი არგუმენტებია უმუშევრობა, ბავშვების შრომა, გარემოს უგულვებელყოფა.

თუმცა, მეორე მხრივ, სწორედ გლობალიზაციის შედეგია, რომ დღეს ჩვენ ღია ეთერში ვუყურებთ ასეთ შეხვედრებს, ვითარდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემები, ტრანსნაციონალური კორპორაციები პირდაპირ აბანდებენ ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებში საწარმოების გასახსნელად, რაც ამ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, თავი დააღწიონ სიღარიბეს, გაყიდონ საკუთარი პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე.

სწორედ გლობალიზაციამ გახადა შესაძლებელი ქვეყნებს შორის თანამშრომლობა შედგეს, შეუფერხებლად მოხდეს ადამიანთა, მომსახურებების, იდეების გავრცელება.

საერთაშორისო დახმარებების მნიშვნელობა და საფრთხეები

საერთაშორისო დახმარებათა სარგებლის შესახებ ერთგვაროვანი პოზიცია ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები: სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი თუ სხვები, – დიდი თანხებით ეხმარებიან ქვეყნებს, რომლებსაც საკუთარი ძალებით განვითარების შეზღუდული საშუალება აქვთ.

განვიხილოთ ორივე პოზიცია: მათიც, ვისაც ამ დახმარების აუცილებლობაში ეჭვი არ შეაქვს და მათიც, ვისაც მიაჩნია, რომ ამით სარგებელზე მეტი ზიანის მოტანა შეიძლება.

გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის რეკომენდაციის თანახმად, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც დონორებს წარმოადგენენ, თავიანთი მშპ-ს 0,7% ყოველწლიურად საერთაშორისო დახმარებისთვის უნდა გაეღოთ, მაგრამ ეს რეკომენდაცია მეტწილად შეუსრულებელი დარჩა, მრავალი ქვეყნისთვის ეს მიმართულება პრიორიტეტული არ აღმოჩნდა. მსხვილ დონორებს შორის არიან აშშ, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და იაპონია. დახმარებისთვის 0,7%-ზე მეტს ხარჯავენ მხოლოდ დანია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ნორვეგია და შვედეთი.

ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ მთავრობები ანგარიშვალდებულნი არიან საკუთარი მოსახლეობის წინაშე და იმისთვის, რომ მომავალშიც გარანტირებული ჰქონდეთ

ხელისუფლებაში დარჩენა, სხვა ქვეყნების დასახმარებლად ფულის ხარჯვას მისი ადგილობრივი საჭიროებებისკენ მიმართვა ურჩევნიათ. გარდა ამისა, განვითარებულ ქვეყნებში პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის დაბერება, რადგან სულ უფრო იზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობა და გადასახადები მისამართია სწორედ ხანდაზმულთა კეთილდღეობისკენ, ეს კი სოციალური მიმართულებით დამატებით კაპიტალდაბანდებას მოითხოვს. პანდემიასთან დაკავშირებით შეიცვალა ასევე დონორი ქვეყნების საჭიროებები, რაც რისკის ქვეშ აყენებს საერთაშორისო დახმარებების მოცულობებს.

რა თქმა უნდა, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ საერთაშორისო დახმარებათა უმეტესი ნაწილი განვითარებადი ქვეყნებისა და რეგიონებისკენ არის მიმართული. ჯამური დახმარების საშუალოდ 70% აფრიკისა და აზიის ქვეყნების წილად მოდის, დანარჩენი კი სხვა რეგიონებზე ნაწილდება.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებად ქვეყნები აშკარად უმძიმეს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სიტუაციაში იმყოფებიან, საერთაშორისო დახმარებათა კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ:

- ✓ დახმარება ხშირად ვერ აღწევს ყველაზე დარბ მოსახლეობამდე;
- ✓ დახმარების უმეტესი ნაწილი ხმარდება დონორის მიერ განხორციელებულ სერვისებს, ასევე ხორციელდება მათი საქონლით, რაც ნიშნავს, რომ ის კვლავ განვითარებულ ქვეყნებს უბრუნდება;
- ✓ დახმარების შედეგად შესაძლოა იზარალოს ადგილობრივმა მოსახლეობამ;
- ✓ დახმარებამ შესაძლოა გააჭიანუროს რეფორმები (მაგ., მიწის რეფორმა);
- ✓ დახმარებამ შესაძლოა ქვეყანა გარე ფაქტორებზე დამოკიდებული გახადოს.

ხშირად დახმარება საკვებით ხდება. მსოფლიო საკვები პროგრამის ფარგლებში 755 მლნ-ის მობილიზება მოხერხდა. ამ თანხით დაეხმარნენ 80 მლნ ლტოლვილს კონფლიქტის ზონიდან, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კი ქრონიკულად შიმშილობს 800 მლნ კაცი.

საკვებით დახმარება ძლიერ აზარალებს ადგილობრივ ფერმერებს, რომლებიც ვითარდებიან და ადგილობრივ ბაზარზე ფეხის მოკიდებას ცდილობენ. მათი პროდუქციის გასაღების ბაზარს ჩაენაცვლება დახმარების უფასო საქონელი, რაც მათ კონკურენტუნაროს ხდის. განსაკუთრებით საზიანოა არაერთჯერადი დახმარება – ამ დროს ფერმერი თავს ანებებს სოფლის მეურნეობას და დახმარების შეწყვეტის შემდეგ ქვეყანა შიმშილობის საფრთხის წინაშე დგება.

საკვებით საერთაშორისო დახმარება ყოველთვის ასეთ უარყოფით შედეგებს როდი იწვევს – ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული კასასტროფის შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს მიწისძვრითა თუ სხვა ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენებით, ასევე ომითა თუ ადამიანის მიერ გამოწვეული სხვა კატასტროფებით.

უმთავრესად განვითარებისკენ მიმართული დახმარება ნაწილდება განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ვალების დაფარვა თუ ჰუმანიტარული დახმარება. ეს ის სფეროებია, რომელთა განვითარებას ქვეყნების უმეტესობა დამოუკიდებლად ვერ გაართმევდა თავს.

ძირითადად, განვითარების დახმარება „ზემოდან ქვემოთ“ პროცესია, რაც გულისხმობს, რომ მისი მასშტაბი შეიძლება საკმაოდ დიდი იყოს. მისი მოცულობიდან გამომდინარე, ასეთ დახმარებას მეტწილად სამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, რაშიც ჩართულნი არიან საერთაშორისო ექსპერტები; ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში მინიმალურია. დახმარებას გეგმავენ ქვეყნის გარეთ მოქმედი ორგანიზაციები. დახმარებები სწრაფი რეაგირების საშუალებაა ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევაში.

სხვადასხვა ტიპის განვითარების დახმარების ეფექტიანობა შეგვიძლია 2 სვეტად გამოვსახოთ, რომლებშიც ახსნილი იქნება, როდის შეიძლება იყოს დახმარება ეფექტიანი და როდის – არა.

როდის არის დახმარება ეფექტიანი	როდის არის დახმარება უეფექტო
როდესაც მას აქვს ჰუმანიტარული ხასიათი	ქვეყნები გადაავადებენ ადგილობრივი რესურსების მობილიზაციას, ეფექტურ მართვას
მოაქვს დამატებითი რესურსები, რომლებიც პირდაპირი ინვესტიციების შემთხვევაში სხვა კომპონენტებზე ნაწილდება	ის ანაცვლებს ინვესტიციებს, ადგილობრივ დახმარებებს, ინფრასტრუქტურა მხოლოდ დახმარებაზე დამოკიდებული
საპროექტო სამუშაოებში საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად ადგილობრივთა ჩართვით იზრდება მათი კვალიფიკაცია	ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანა თვითკმარი გახდეს, შესაძლოა გაიზარდოს დახმარებაზე მისი დამოკიდებულება
შეუძლია დახმარება სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას	მრავალ ქვეყანას ჰგონია, რომ კვების დახმარება სოფლის მეურნეობას დაეხმარება, რაც შეცდომაა. ადგილობრივი ფერმერები უფასო საქონელთან მიმართებით კონკურენტუნარიანობას კარგავენ, რამაც შესაძლოა მათ საქმიანობა მიატოვებინოს
	პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, დახმარება შეიძლება ხან შეჩერდეს, ხან გაუქმდეს
	დახმარების პროექტების განხორციელებისას გარემოს ფაქტორები ხშირად უგულვებელყოფილია
	მოკლევადიანი დახმარებები არ იწვევს ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას
	დახმარებას მოჰყვება გარკვეული პროდუქცია დონორი ქვეყნებიდან, რომელიც ხშირად ყველაზე ეკონომიური და საუკეთესო არ არის

დახმარების დიდი ნაწილი ვერ აღწევს მოსახლეობის იმ ნაწილამდე, რომელსაც ის ყველაზე მეტად სჭირდება

მიუხედავად ბევრი კრიტიკისა, უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო დახმარებები ხშირად ერთადერთი საშუალებაა ქვეყნებისთვის, თავს დაადლონ უკიდურეს გაჭირვებასა და პრობლემებს, თუმცა მისი დაგეგმვისას მეტად უნდა იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები, ცოდნა და გამოცდილება. პროცესებში მათი მეტი ჩართულობა დამატებითი ინვესტიციაა ადგილობრივი კადრების პროფესიული განვითარებისთვის, ეს კი ამ ქვეყნების უკეთესი მომავლისკენ გადადგმული კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი იქნება.

ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად ცალკეულ ქვეყნებს არ აქვთ საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსები, ვერ შეძლებენ გლობალური გამოწვევების დაძლევას. თუ ეს გამოწვევები ყველა ქვეყანაში არ მოგვარდა მდგრადი განვითარების საყოველთაო მიღწევა ვერ მოხერხდება. დღის წესრიგი, თავისი 17 მიზნებით, არის უნივერსალური და მოითხოვს ყველა ქვეყნის, როგორც განვითარებული ქვეყნების, ისე განვითარებადი ქვეყნების ერთობლივ ქმედებას, რათა არავინ დარჩეს უკან.

ფულადი გზავნილების, რემიტანსების მნიშვნელობა

მრავალი ქვეყნისთვის საზღვარგარეთ მომუშავე მოქალაქეებისგან ფულადი გზავნილები მაშველი რგოლია. როდესაც მიგრანტები თავიანთი შემოსავლის ნაწილს აგზავნიან სახლში ფულადი სახსრების ან საქონლის სახით ოჯახების დასახმარებლად, ეს გადარიცხვები ცნობილია როგორც ფულადი გზავნილები, ან რემიტანსები. რემიტანსების მოცულობა იზრდება გლობალიზაციასთან და მიგრაციის მასშტაბების ზრდასთან ერთად და წარმოადგენს უცხოური შემოსავლის უდიდეს წყაროს მრავალი განვითარებადი ეკონომიკისთვის. ამ გზავნილების ზუსტი მოცულობის დადგენა რთულდება, რადგან ხშირად ფული იგზავნება არაოფიციალური არხებით.

მიგრანტების მიერ ოფიციალურად დადასტურებული ტრანზაქციების მოცულობამ 2017 წელს 596 მილიარდი დოლარი შეადგინა, აქედან 450 მილიარდი აშშ დოლარი განვითარებად ქვეყნებისკენ იყო მიმართული. ვარაუდობენ, რომ არაოფიციალური არხებით რემიტანსების ნახევარი იგზავნება. მნიშვნელოვანია, თუ ოფიციალური დახმარებები ან პირდაპირი ინვესტიციების განაწილება ხშირად არ არის კონკრეტული ოჯახების საჭიროებებისკენ მიმართული, რემიტანსები სწორედ ოჯახების სიღარიბის დაძლევას ემსახურება. ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით გაანალიზებულია, რომ ფულადი გზავნილები ამცირებს ღარიბ ადამიანთა წილს მოსახლეობაში. მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით საერთაშორისო ფულადი გზავნილების მიღებამ უგანდაში 11 პროცენტული პუნქტით შეამცირა სიღარიბე, ბანგლადეშში 6 პროცენტით და განაში 5 პროცენტით.

ფულადი გზავნილები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის და მათი მშპ-ს თითქმის 4 პროცენტს შეადგენს, საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების მშპ-ს დაახლოებით 1,5 პროცენტს.

ფულადი გზავნილების ნაკადები უფრო სტაბილურია ვიდრე ინვესტიციები და დახმარებები, მისი ანალიზი აჩვენებს, რომ ეკონომიკურ კრიზისს, ბუნებრივ კატასტროფებს არ შეუმცირებია მისი მოცულობა.

ფულადი გზავნილებს აქვს ადამიანური მხარე. მიგრანტები ხანდახან იღებენ მნიშვნელოვან მსხვერპლს - მათ შორის ოჯახიდან განშორებას, სამუშაოს პოვნის რისკებს სხვა ქვეყანაში. მიგრანტებს შეიძლება მოუწიონ მძიმე შრომა, არ იცხოვრონ სათანადო პირობებში, რათა დაზოგონ საკმარისი იმისათვის, რომ დაეხმარონ ადგილზე დარჩენილ ოჯახებს.

მიგრანტების გადინება სახელმწიფოსთვისაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის, რადგან ისინი ძირითადად შრომისუნარიანი მოსახლეობაა, მათი ქვეყნიდან წასვლა ცვლის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას. მათ განათლებაში სახელმწიფო დანახარჯი არ უბრუნდება უშუალოდ ქვეყანას, რადგან ამ ქვეყანაში არ საქმდებიან და არ იხდიან გადასახადებს. მიდიან ძირითადად კვალიფიციური ახალგაზრდა კადრები, რომლებიც ადგილზე კონკურენტულ გარემოს ფორმირებას შეუწყობდა ხელს.

რა უნდა გაკეთდეს პრობლემის გადასაჭრელად?

COVID-19 პანდემია ახლა საფრთხეს უქმნის წარსულ მიღწევებს, რადგან ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები 2020 წელს 40% -მდე შემცირდება. მოსახლეობის ზრდა იწვევს უთანასწორობის გაღრმავებას, რადგან ზრდა იმ ქვეყნებშია, რომელთაც ნაკლები წვდომა აქვთ რესურსებზე, ტექნოლოგიებზე, განვითარებაზე. ამით კიდევ უფრო ფართოვდება ციფრული გაყოფის პროცესი, რომლის დაძლევა საერთაშორისო მალისხმევის გარეშე ნაკლებად მოხერხდება.

მსოფლიო საზოგადოებას, ქვეყნებს დაჭირდებათ როგორც არსებული, ისე დამატებითი რესურსების მობილიზება - ტექნოლოგიის განვითარება, ფინანსური რესურსები, შესაძლებლობების განვითარება. განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა შეასრულონ ოფიციალური განვითარების დახმარების ვალდებულებები, რაც დღის წესრიგის ფარგლებში აქვთ აღებული. მრავალმხრივი თანამშრომლობა გადამწყვეტი იქნება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ეფექტურობის გასაზრდელად და შესაძლებლობა გაჩნდება დაჩქარდეს პროგრესი. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნების გაძლიერება, მათი დახმარება არ არის მხოლოდ ამ ქვეყნებისთვის სასარგებლო. სარგებელს მიიღებენ დონორი ქვეყნებიც, რადგან მათ მომავალში შეუმცირდებათ დახმარების ხარჯები, ასევე შემცირდება ღირებულება მიგრანტთა ნაკადი რაც მიგრაციის კრიზისს შეამსუბუქებს, ასევე შემცირდება სიღარიბით გამოწვეული კონფლიქტები, რაც ასევე მოსახლეობას საშუალებას მისცემს ადგილზე დაკავდნენ სასარგებლო და ქვეყნების განვითარებისკენ მიმართული საქმიანობებით.

საჭირო რესურსების ეფექტური მობილიზება და პროცესის მონიტორინგი იქნება პირველ რიგში ქვეყნების პასუხისმგებლობა. პროგრესის მიმოხილვა რეგულარულად განხორციელდება, რომელშიც ჩართული იქნება სახელმწიფო ინსტიტუციები, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესისა და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლები. ეს პროცესის გამჭვირვალობას და დახმარების თანხების ეფექტურ განკარგვას შეუწყობს ხელს.

ამავე მიზნის ფარგლებში დაგეგმილია რეგიონულ დონეზე, ქვეყნების მიერ ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარება, თუ როგორ გაუმკლავდნენ სირთულეებს.

ყოველწლიურად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მდგრადი განვითარების მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმი (HLPF) გაიმართება, სადაც შეფასდება პროგრესი გლობალურ დონეზე, ხარვეზები და წარმოქმნილი საკითხები, რათა დროულად მოხერხდეს მაკორექტირებელი ქმედებების დაგეგმვა.

მე რისი გაკეთება შემიძლია?

- ✓ სასკოლო პროექტების დაგეგმვა სხვადასხვა გლობალურად აქტუალურ საკითხებზე. ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, თუ როგორ მსგავსად ან განსხვავებულად ვლინდება პრობლემა და როგორია მასზე ქვეყნების რეაგირება. სასკოლო პროექტების განხორციელებაში მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემის, ბიზნესის და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა.
- ✓ ნახეთ როგორ მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგალითად, მიიღეთ მონაწილეობა გაეროს მოდელირებაში, რაც როლური თამაშით საშუალებას იძლევა გაიუმჯობესოთ მოლაპარაკების, კომუნიკაციის, საჯარო გამოსვლების, ლიდერული უნარები და გაიღრმავოთ ცოდნა საერთაშორისო თანამშრომლობის და ორგანიზაციების შესახებ.
- ✓ საერთაშორისო პროექტებში ჩართვა, რაც ზრდის ცნობიერებას ქვეყნების შესახებ, ეხმარება კეთილგანწყობილი, ტოლერანტული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ხდება ცოდნის, გამოცდილების საერთაშორისო დონეზე გაზიარება. საქართველოში იტვინინგ პლუსის პროექტები ამ მიმართულებით დიდ შესაძლებლობებს იძლევა <https://www.etwinning.net/ka/pub/etwinning-plus/about.htm>.
- ✓ საერთაშორისო პარტნიორობის სწავლება სპორტის საშუალებით შეიძლება, მაგალითად, ოლიმპიური თამაშებით. საინტერესოა მონაწილე ქვეყნების მედლების განაწილების შესწავლა. რა გავლენას ახდენს ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური ფაქტორები ოლიმპიურ თამაშებზე ქვეყნების დაწინაურებაზე <http://mastsavlebeli.ge/?p=2478>
- ✓ მოიძიოთ ინფორმაცია იმ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც საერთაშორისო პროექტებით არიან დაკავებულნი. შესთავაზეთ მათ ჩაერთოთ მოხალისედ.
- ✓ შეაგროვეთ საინტერესო და წარმატებული პროექტები თქვენთვის საინტერესო მიზნის შესახებ, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა და მოაწყვეთ სასკოლო განხილვები. ამით თქვენ აამაღლებთ ცნობიერებას

თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, რაც მსოფლიოს უფრო მშვიდობიან ადგილად გახდის.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://www.imf.org/external/Pubs/FT/fandd/basics/76-remittances.htm>

მ. რატანი, ხელს უწყობს თუ არა საერთაშორისო დახმარებები ქვეყნების განვითარებას

მ. რატანი, გლობალიზაცია და მისი გამოვლინებები

<http://www.nplg.gov.ge/>

<https://www.un.org/sustainabledevelopment/>

<https://sdg.gov.ge/goals-all>

ქვიზი (სწორი პასუხი გამწვანებულია)

1. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში რა როლი უნდა დაეკისროს სამოქალაქო საზოგადოებას?
 - ა. ჩართულობა დაგეგმვაში
 - ბ. ჩართულობა მიზნების განხორციელებაში
 - გ. ჩართულობა მიზნების მინიტორინგში
 - დ. ყველა პასუხი სწორია
2. ჭეშმარიტია თუ მცდარი დებულება: გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმს (HLPF) მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში მაკორექტირებელი ღონისძიებების დასაგეგმი ფუნქცია ენიჭება
 - ა. მცდარია
 - ბ. ჭეშმარიტია
3. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)
 - ა. გაეროს
 - ბ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის
 - გ. მსოფლიო ბანკის
 - დ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის
4. რა ეწოდება პროცესს, რომელიც განაპირობებს ქვეყნების ურთიერთობათა გაფართოებას, რაც განაპირობებს ვაჭრობის, ფინანსების, ადამიანებისა და იდეების ინტეგრაციის ზრდას მთელ გლობალურ ბაზარზე?
 - ა. ასიმილაცია

- ბ. გლობალიზაცია
- გ. თანამშრომლობა
- დ. ინტეგრაცია

5. როგორ იმოქმედა პანდემიამ მე-17 მიზნის შესრულებაზე?

- ა. დააჩქარა მიზნის მიღწევა
- ბ. გაზარდა საერთაშორისო დახმარებების მოცულობები
- გ. შეანელა ურთიერთობები
- დ. შეამცირა საერთაშორისო დახმარებების მოცულობები

6. რას მიიჩნევენ საერთაშორისო დახმარებების ნაკლოვანებებად? მოხაზეთ ყველა სწორი დებულება

- ა. დახმარება არ ითვალისწინებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს
- ბ. დახმარება ხშირად ვერ აღწევს ყველაზე ღარიბ მოსახლეობამდე
- გ. დახმარების დიდი ნაწილი კვლავ განვითარებულ ქვეყნებს უზრუნდება
- დ. დახმარების შედეგად შესაძლოა იზარალოს ადგილობრივმა მოსახლეობამ
- ე. დახმარებამ შესაძლოა ქვეყანა გარე ფაქტორებზე დამოკიდებული გახადოს

7. რა მიიჩნევა რემიტანსების უპირატესობად საერთაშორისო დახმარებებთან და პირდაპირ ინვესტიციებთან შედარებით?

- ა. რემიტანსების განკარგვა უშუალოდ ოჯახების მიერ ხდება, რაც ამცირებს სიღარიბეს
- ბ. რემიტანსების განკარგვას არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, რაც ზრდის საზოგადოებრივ ჩართულობას
- გ. რემიტანსების განკარგვას საერთაშორისო ორგანიზაციები აწარმოებენ, რაც პროცესის სანდოობას უზრუნველყოფს
- დ. რემიტანსების განკარგვას სახელმწიფო სტრუქტურები აწარმოებენ, რაც მის მასშტაბურობას განაპირობებს

8. რა უარყოფითი შედეგები მოაქვს ემიგრაციას სახელმწიფოსთვის, რომლიდანაც მიემგზავრებიან სამუშაოს მაძიებლები?

- ა. არ არიან გადასახადის გადამხდელები ქვეყნისთვის, რომელშიც დაიბადნენ და გაიზარდნენ
- ბ. იცვლება ქვეყნის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა
- გ. მათ განათლებში ჩადებული ხარჯები ხმარდება სხვა ქვეყანას
- დ. ქვეყანის სამუშაო ბაზარზე, რომელშიც დაიბადნენ და გაიზარდნენ კონკურენტული გარემოს მნიან


9. როდის არის საერთაშორისო დახმარება ეფექტური?

- ა. როცა ის ბევრია და ადგილობრივი პროდუქციის წარმოება აღარაა საჭირო
- ბ. როცა ის ქვეყანის მოკლევადიან განვითარებებზეა მიმართული

გ. როცა ის გარემო ფაქტორებს ეკონომიკური კეთილდღეობის სანაცვლოდ უგულებელჰყოფს

დ. როცა კონფლიქტების და კატასტოფების დროს ჰუმანიტარულ დახმარებას ეწევიან

10. დააკვირდით ქვემოთ მოცემულ სქემას „საერთაშორისო დახმარებების პროცენტული განაწილება“ და უპასუხეთ კითხვას, საერთაშორისო დახმარებებიდან რომელ მიმართულებაში იდება ყველაზე მეტი ინვესტიცია?



ა. განათლებაში

ბ. პროგრამულ დახმარებებში

გ. სოციალურ ინფრასტრუქტურაში

დ. წარმოებაში